

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი

ბექა კობახიძე

საქართველოს საკითხი პარიზის საზავო კონფერენციაზე

ისტორიის დოქტორის (Ph.D.) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ისტორიის დოქტორი,

პროფესორი დიმიტრი შველიძე

თბილისი

2015

შინაარსი

წინასიტყვაობა	გვ. 4
თავი I	
პარიზის სამშვიდობო კონფერენციამდე	13
1. საქართველო საფრანგეთისა და შეერთებული შტატების ომის შემდგომ პოლიტიკაში.	13
2. კავკასიის რესპუბლიკათა ამოცანები პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე	16
3. მსოფლიო ომის შემდეგ ბრიტანული პოლიტიკის ფორმირება საქართველოსთან მიმართებაში	25
თავი II	
საქართველო საკითხი პარიზის სამშვიდობო კონფერენციის საწყის ეტაპზე	46
1. საქართველოს დელეგაცია	46
2. “ერთიანი რუსეთის” ჩრდილქვეშ	67
თავი III	
საქართველო და მოკავშირეები	79
1. იტალიური მანდატი და შემდეგ	79
2. სამხრეთ კავკასიიდან დიდი ბრიტანეთის სამხედრო სამინისტროს გასვლა, საგარეო საქმეთა სამინისტროს შემოსვლა და თანმდევი შედეგები	99
ა) ბრიტანული ჯარების ევაკუაცია	99
ბ)ახალი რეალობა: მისი უდიდებულესობის მთავრობის უმაღლესი კომისრები	106
3. კლემანსო და პიშონი	118

4. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და შეერთებული შტატები	126
--	-----

თავი IV

კონფერენციის ბოლო ფაზა	161
------------------------	-----

1. საქართველოს “დე ფაქტო” აღიარება	161
------------------------------------	-----

2. კონფერენციის ბოლო ორი კვირა: კავკასია – საერთაშორისო პოლიტიკის მთავარი თემა	188
--	-----

დასკვნები	223
-----------	-----

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა	231
------------------------------------	-----

წინასიტყვაობა

1917 წელს რუსეთში მომხდარმა ჯერ თებერვლის რევოლუციამ და შემდეგ ბოლშევიკურმა გადატრიალებამ იმპერიის მთელს ტერიტორიაზე ტურბულენტური პროცესები გამოიწვია, რაც მსოფლიოს უდიდესი სახელმწიფოს დაშლით დასრულდა.

აღნიშნულ მოვლენებში თავისი ადგილი ჰქონდა კავკასიასაც. 1918 წლის მაისის ბოლოს მის ტერიტორიაზე ოთხი სახელმწიფოს – საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის და ჩრდილოეთ კავკასიის დამოუკიდებლობა გამოცხადდა. საკმაოდ მოულოდნელ დამოუკიდებლობას ახალგაზრდა რესპუბლიკები მოუმზადებლები შეხვდნენ. მათ თავიანთი არსებობის უნარი დასამტკიცებელი ჰქონდათ, რაც საერთაშორისო მხარდაჭერის გარეშე წარმოუდგენელი იყო. მეტადრე, თავიდანვე ყველას კარგად ესმოდა, რომ რუსეთი ადრე თუ გვიან აღდგებოდა და, იქნებოდა ის წითელი (ბოლშევიკური) თუ თეთრი (კოლჩაკ-დენიკინური), აუცილებლად მოინდომებდა ყოფილი ტერიტორიების რეინკორპორაციას. კავკასიის რესპუბლიკები და კერძოდ საქართველო ვერ შეძლებდა ერთი მხრივ რუსეთის, ხოლო მეორე მხრივ თურქეთის პოტენციური აგრესიას მარტო გამკლავებას, ამიტომ დასავლეთში ძლიერი მფარველის პოვნა ეგზისტენციალურ ამოცანად ისახებოდა. ქვეყანამ ასეთი მოკავშირე გერმანიის სახით იშოვნა, მაგრამ ამ უკანასკნელის დიდ ომში დამარცხების შემდეგ საქართველოს, ისევე როგორც მთელი მსოფლიოს, ბედი გამარჯვებული სახელმწიფოების – დიდი ბრიტანეთის, ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთისა და იტალიის ხელში აღმოჩნდა.

მოკავშირე სახელმწიფოთა ლიდერები 1919 წლის იანვარში პარიზში შეიკრიბნენ. მათ ომის შედეგები უნდა შეეჯამებინათ, დაეხატათ მსოფლიოს ახალი პოლიტიკური რუკა, შეექმნათ ახალი სახელმწიფოები და ახალი მსოფლიო წესრიგი. იქვე იყვნენ პლანეტის უმრავლეს სახელმწიფოთა დიპლომატიური წარმომადგენლები, მათ შორის რუსეთის ყოფილი იმპერიის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ყველა პოლიტიკური ერთეულის დელეგაციები. კონფერენცია წელიწადზე მეტი – 1919 წლის 18 იანვრიდან 1920 წლის 21

იანვრამდე გაგრძელდა. მსოფლიო ისტორიაში არც მანამდე და არც შემდეგ მსგავსი მასშტაბის საერთაშორისო ფორუმი არ გამართულა.

საქართველოს ახალ წარმოქმნილ რესპუბლიკას თუ სადმე უნდა ექებნა საერთაშორისო აღიარება, უსაფრთხოების უზრუნველყოფა და ტერიტორიული პრეტენზიების დაკმაყოფილება, ეს უნდა გაეკეთებინა პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე. საქართველოს საკითხი ძალზე კომპლექსურად გამოიყურებოდა: ის ცალკე აღებული ვერ იქნებოდა განხილული და მჭიდროდ იყო დაკავშირებული კავკასიის სხვა სახელმწიფოთა ბედთან, რომელიც მთლიანობაში ერთი მხრივ რუსეთის უფრო მასშტაბურ პრობლემას, ხოლო მეორე მხრივ ოსმალეთის იმპერიასა და მოკავშირეებს შორის გასაფორმებელ ზავს უკავშირდებოდა. თავად კავკასიის თემაც არაერთგვაროვანი იყო: საქართველო-აზერბაიჯანი, როგორც გერმანია-ოსმალეთის ყოფილი მოკავშირეები, გამარჯვებულთა ბანაკისათვის გეოგრაფიულადაც ერთიან პროექტს ქმნიდნენ, რაც გამოიხატებოდა ერთი მხრივ რუსეთთან პირდაპირი საზღვრის ქონაში, ხოლო მეორე მხრივ ბაქო-ბათუმის სარკინიგზო და ნავთობსადენის ერთიანი ეკონომიკური არტერიების არსებობაში; მათგან ცალკე იდგა სომხეთის რესპუბლიკა, რომელიც გამარჯვებულთა ერთგული მოკავშირის სტატუსით სარგებლობდა და დამარცხებული ოსმალეთისაგან სომეხი ხალხით დასახლებული ტერიტორიების გადაცემას მოელოდა; ყველაზე არახელსაყრელ მდგომარეობაში ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა რესპუბლიკა რჩებოდა. რუსეთთან გეოგრაფიული სიახლოვე მისი დამოუკიდებლად არსებობის შანსებს რამდენადმე ამცირებდა.

მოკავშირეები კომპლექსურ ვითარებაში გარკვევას და საკუთარ ინტერესთა შესაბამისი პოლიტიკის წარმოებას ცდილობდნენ. იგივე იმპულსი ამოძრავებდა სამშვიდობო კონფერენციაზე ქართულ დელეგაციასაც, მაგრამ მას წინაღობათა ფართო სპექტრი უშლიდა ხელს, კვალიფიციური კადრების ნაკლებობით დაწყებული, ტრანსპორტირების პრობლემებით დამთავრებული.

პირველი რესპუბლიკისათვის არსებობის განმსაზღვრელი თემა “საქართველოს საკითხი პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე” ღრმად არავის შეუსწავლია. ვახტანგ ადამიამ 1958 წელს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში წაიკითხა 13 გვერდიანი მოხსენება “Вопрос о Грузии на Парижской мировой конференции” (363), 1961 წელს კი გამოვიდა მისივე მონოგრაფია “Из истории

Английской интервенции в Грузии (1918-1921гг.)” (364), რომელშიც ერთ თავად შევიდა ზემოსხენებული მოხსენება. ავტორი განიხილავს ქართულ-ბრიტანულ ურთიერთობებს 1918-21 წლებში, ცდილობს წარმოაჩინოს მისი ინტერვენტული და ანტისაბჭოთა ხასიათი. რაც შეეხება პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე საქართველოს საკითხის განხილვას, მას არ აქვს კვლევის სახე. იგი ავტორის მიერ მოკლედ, ინფორმატიული სახით არის წარმოდგენილი.

1960 წელს რუსულ ენაზე გამოვიდა გივი დამბაშიძის წიგნი “Из истории политики США в отношении Грузии 1917-1920” (365). 1964 წელს კი უფრო შევსებული სახით ქართულ ენაზე გამოიცა მისივე მონოგრაფია “ინგლისისა და ამერიკის აგრესიული პოლიტიკა საქართველოსა და ამიერკავკასიის მიმართ” (326). ავტორმა პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე საქართველოსა და სამხრეთ კავკასიის საკითხის განხილვას მთელი 39 გვერდი დაუთმო და მას კვლევის სახე მისცა. ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში ეს უკანასკნელი ნაშრომი შეიძლება ჩაითვალოს ჩვენთვის საინტერესო თემის გამოკვლევის ყველაზე ფართომასშტაბიან მცდელობად. იგი ეყრდნობა ერთი მხრივ თბილისსა და მოსკოვში დაცულ საარქივო მასალებს, მეორე მხრივ ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტისა და ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ გამოცემებს, აგრეთვე დასავლურ პრესასა და სამეცნიერო ლიტერატურას. ყველა ამ ღირსების მიუხედავად, ნაშრომის შინაარსი მაინც შეზღუდულია, იგი არ მოიცავს ქართული დელეგაციის მოღვაწეობის ამსახველ ფაქტებს და, საბჭოთა ისტორიოგრაფიისათვის დამახასიათებელი სტილით, მისი მიზანია “დასავლური იმპერიალიზმის მტაცებლური სახის წარმოჩენა”.

1982 წელს რუსულ ენაზე გამოიცა ალექსანდრე ჩოხელის მონოგრაფია “Политика Франции в отношении Грузии в 1917-1821 годах” (373). წიგნში სამწუხაროდ, ნაკლებად არის განხილული პარიზში მიმდინარე მოვლენები, აქცენტი გაკეთებულია კავკასიაში ფრანგების ეკონომიკურ-პოლიტიკურ ინტერესებზე და მათ წინააღმდეგობებზე ინგლისურ პოლიტიკასთან, მაგრამ აქაც საბჭოთა ეპოქის იდეოლოგიური კვალი აზის ჩატარებულ კვლევას.

სულ სხვა სახის და მახასიათებლების გახლავთ 1990 წლის შემდგომი პერიოდის ქართული სამეცნიერო ლიტერატურა. იგი გამოირჩევა შედარებით უფრო თავისუფალი აზროვნებით, მაგრამ ხშირ შემთხვევაში მოკრძალებულია მისი წყაროთმცოდნეობითი ბაზა.

სწორედ ამ ბაზის შესავსებად ავთანდილ მენთეშაშვილმა 1992 წელს დაიწყო წყაროთა სერიის გამოცემა “საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და პარიზის სამშვიდობო კონფერენცია” (283; 284; 285), რაც მოიცავდა პარიზში ქართული დელეგაციის სხდომის ოქმებს. სამწუხაროდ, მხოლოდ რამდენიმე ოქმის გამოცემა მოხერხდა, მაგრამ დღეისათვის ოქმების სრული რაოდენობა საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში არის ხელმისაწვდომი (31).

1994 წელს ლელა სარალიძემ დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე “საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დიპლომატიური მისიები დასავლეთ ევროპაში 1918-1921” (325). პოსტსაბჭოთა ეპოქაში აქ პირველად წარმოჩინდა დემოკრატიული რესპუბლიკის ქართველ დიპლომატთა მოღვაწეობის დეტალები, თუმცა დღეისათვის გაცილებით მეტი წყარო არის ხელმისაწვდომი, რაც იძლევა ლელა სარალიძის მიერ მიკვლეული ფაქტების დაზუსტების, განვრცობისა და ზოგ შემთხვევაში ჩასწორების შესაძლებლობას.

დამოუკიდებელ საქართველოში ქართულ-დასავლური ურთიერთობების ისტორიის მონოგრაფიულად შესწავლა ერთ-ერთმა პირველმა რამაზ ცუხიშვილმა სცადა 1995 წელს გამოცემულ ნაშრომში “ინგლის-საქართველოს ურთიერთობა 1918-21 წლებში” (329). იგი მთლიანად ქართულ საარქივო და პრესის მონაცემებს ეყრდნობა, შესაბამისად მას არ გააჩნია პრეტენზია პარიზში ქართულ-ბრიტანული დამოკიდებულების გამოკვლევისა, თუმცა ნაშრომმა თავისი წვლილი შეიტანა პრობლემათა კვლევის საწყის ეტაპზე.

1997 წელს გამოცემული დაზმირ ჯოჯუას მონოგრაფია “საქართველო-იტალიის ურთიერთობა 1919-1921 წლებში” (330) დაფუძნებულია ქართულ და იტალიურ საარქივო მასალებზე, მემუარულ, სამეცნიერო და სხვა სახის ლიტერატურაზე. ავტორი წარმოაჩენს იტალიის მიერ საქართველოზე მანდატის აღების სურვილთან დაკავშირებულ პერიპეტიებს, იტალიის ეკონომიკურ ინტერესებს საქართველოში, ამ პოლიტიკისა თუ ინტერესთა დინამიკას სხვადასხვა ეტაპზე და აანალიზებს მის გამომწვევ მიზეზებს.

1997 წელს გამოიცა ნესტან კირთაძის წიგნი “ევროპა და დამოუკიდებელი საქართველო” (321). ავტორი ნაკლებად ეხება პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე მიმდინარე მოვლენებს, მაგრამ საარქივო, საგაზეთო თუ სამეცნიერო ლიტერატურის მონაცემთა შეჯერებით ნაშრომში თავმოყრილია

საქართველოს რესპუბლიკის ევროპული ურთიერთობების სხვადასხვა მიმართულება, რაც გარკვეულ საფუძველს ქმნის მომავალში უფრო დეტალური სამეცნიერო კვლევისთვის.

1998 წელს გამოქვეყნდა ილია ტაბაღუას სტატია—“საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის დელეგაცია პარიზში (1919წ.)” (376, 13-22). სტატიაში, საფრანგეთში მოპოვებულ საარქივო მასალებზე დაყრდნობით, აღწერილია პარიზში ქართული დელეგაციის ჩასვლამდე (ნ. ჩხეიძე, ი. წერეთელი და სხვ.) უკვე აღგილზე მყოფი ქართული მისიის (ზ. ავალიშვილი, კ. გვარჯალაძე, დ. დამბაშიძე) პოლიტიკურ-ეკონომიკური მოღვაწეობის დეტალები 1919 წლის დასაწყისში.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი ავტორებისა, ჩვენს საკვლევ პრობლემას მეტ-ნაკლებად შეეხნენ ვ. ტაბაღუა (375, 299-318), ხ. ქოქრაშვილი (377, 223-240), ა. ბენდიანიშვილი (320), ჯ. ანჩაბაძე (319) და სხვები.

სამშვიდობო კონფერენციაზე საქართველოს საკითხს ევროპასა და შეერთებულ შტატებში, “ცივი ომის” ეპოქაში დაწერილი არაერთი ნაშრომი შეეხო. საბჭოთა ისტორიკოსებისაგან განსხვავებით, “კაპიტალისტური მსოფლიოს” წარმომადგენლები, რასაკვირველია, უფრო ფართო თვალთახედვით, ობიექტურობითა და ძლიერი წყაროთმცოდნეობითი ბაზით გამოირჩევიან, მაგრამ ავტორთაგან არც ერთის საკვლევი თემა არ ყოფილა ცალკე აღებული საქართველო. უფრო მეტიც, ისინი არც ამ ქვეყნის ისტორიის ექსპერტები არიან და ენობრივი ბარიერის გამო არც ქართული წყაროების სიღრმისეულად გაცნობის საშუალება ჰქონდათ.

წარმოდგენილი ნაშრომი გახლავთ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიის კვლევასთან მიმართებით ბრიტანული, ფრანგული, ამერიკული, იტალიური, ქართული, რუსული, აზერბაიჯანული და სომხური წყაროების შეჯამების პირველი პრეცედენტი.

ხშირად პოლიტიკა იქმნებოდა არა კონფერენციაზე, არამედ გამარჯვებულ სახელმწიფოთა და კავკასიის რესპუბლიკათა დედაქალაქებში, რომელსაც შემდეგ დაინტერესებული მხარეები სამშვიდობო კონფერენციაზე აჯამებდნენ. ამიტომ კვლევა არა მარტო პარიზში, არამედ ლონდონში, რომში, ვაშინგტონში,

თბილისში და სხვა ქალაქებში თემასთან დაკავშირებით განვითარებულ პოლიტიკურ მოვლენებსაც ეხება.

ნაშრომის წერისას წამყვანი ადგილი ბრიტანულმა დოკუმენტებმა დაიკავეს, რადგან 1917 წლის 23 დეკემბრის ანგლო-ფრანგული შეთანხმებით კავკასია მისი უდიდებულესობის მთავრობის საპასუხისმგებლო ზონად ცხადდებოდა, ამ ქვეყნის ჯარები იდგნენ საქართველოში 1918 წლის ბოლოდან 1920 წლის ზაფხულამდე და ბრიტანეთის აღმოსავლური პოზიციების გათვალისწინებით მოკავშირეთა შორის სწორედ ის იყო ყველაზე მეტად რეგიონის მომავლით დაინტერესებული.

მოვიპოვე შოთა რუსთაველის სახელობის სამეცნიერო ფონდის ეგიდით გამოცხადებული “პრეზიდენტის გრანტი ახალგაზრდა მეცნიერთათვის”, რამაც დიდ ბრიტანეთში მოგზაურობის საშუალება მომცა. ბრიტანეთის ეროვნულ არქივში ამომწურავად გავეცანი ამ ქვეყნის მინისტრთა კაბინეტის, საგარეო საქმეთა და სამხედრო სამინისტროთა დოკუმენტებს. მარჯორი უორდროპის ქართულ მეცნიერებათა ფონდის დირექტორის – დოქტორ დონალდ რაიფილდის ნებართვითა და მხარდაჭერით ვიმყოფებოდი ოქსფორდის უნივერსიტეტის ბოდლეინის რადკლიფის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში, სადაც შევისწავლე სამხრეთ კავკასიაში მისი უდიდებულესობის უმაღლესი კომისრის – სერ ოლივერ უორდროპის პირადი არქივი. გაწეული დახმარებისათვის მინდა მადლობა გადაუხადო შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნულ სამეცნიერო ფონდს, პროფესორ რაიფილდს, ბრიტანეთის ეროვნული არქივისა და ბოდლეინის ბიბლიოთეკის კოლექტივებს. ჩემი კიდევ ერთი მოგზაურობა დიდ ბრიტანეთში დაფინანსებულ იქნა ფონდ “ღია საზოგადოება საქართველოს” მიერ, რა დროსაც მოვიპოვე ბრიტანეთის ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცული საგარეო საქმეთა მინისტრ ლორდ კერზონის პირადი და ინდოეთის საქმეთა სამინისტროს საარქივო დოკუმენტები; ბრიტანეთის სამხედრო საიმპერიო მუზეუმში გავეცანი პოლკოვნიკ კლოდ ბეიფილდ სტოქსის პირად არქივს, რომელიც 1919 წლის სექტემბრიდან მისი უდიდებულესობის მთავრობის წარმომადგენელი იყო ბაქოში, ხოლო ერთი წლის შემდეგ დაწინაურდა სამხრეთ კავკასიაში უმაღლესი კომისრის პოზიციაზე; ლონდონის ქინგს კოლეჯის არქივში ჩემთვის ხელმისაწვდომი გახდა დიდი ბრიტანეთის შავი ზღვის ჯარების სარდლის – გენერალი სერ ჯორჯ მილნის საარქივო დოკუმენტები.

მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ფონდ “ღია საზოგადოება საქართველოს”, საიმპერიო სამხედრო მუზეუმს, ქინგს კოლეჯსა და ბრიტანეთის ბიბლიოთეკას, რომელთაც საშუალება მომცეს უფრო ფართო თვალთახედვით აღმეკვა ჩემთვის საინტერესო ისტორიულ ეტაპზე მიმდინარე მოვლენები.

საფრანგეთის საგარეო საქმეთა და სამხედრო სამინისტროების საქართველოს პირველ რესპუბლიკასთან დაკავშირებული დოკუმენტების სრული კრებული პროფესორებმა გიორგი მამულიამ და სტივენ ჯონსმა გადმომცეს. მინდა ორივე მათგანს გულითადი მადლობა გადავუხადო გაწეული დახმარებისათვის.

1980-იან წლებში იტალიის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და მინისტრთა კაბინეტის არქივებში მუშაობდა პროფესორი ილია ტაბაღუა. მან პირველ რესპუბლიკასთან დაკავშირებული ასეულობით საინტერესო ფურცელი ჩამოიტანა საქართველოში. პროფესორის გარდაცვალების შემდეგ აღნიშნული დოკუმენტები საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულმა ცენტრმა შეიძინა. მიუხედავად იმისა, რომ საარქივო ფაილების კატალოგიზაცია არ იყო დასრულებული, ცენტრმა ჩემი თხოვნა გაითვალისწინა და დოკუმენტებზე მუშაობის ნება დამრთო. ამისათვის მინდა განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო ბატონებს – ბუბა კუდავასა და გონა საითიძეს.

შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა, სერიის “Papers Relating to The Foreign Policy of United States”, სამშვიდობო კონფერენციასთან დაკავშირებული მასალების ყველაზე სრული გამოცემა განახორციელა, რაც დოკუმენტთა ცამეტ ტომს მოიცავს და თითოეულის მოცულობა ათას გვერდს აღწევს. გარდა უშუალოდ კონფერენციასთან დაკავშირებული ფურცლებისა, ჩემთვის საინტერესო იყო იგივე გამოცემის თურქეთთან, სპარსეთთან, რუსეთთან და თბილისში შეერთებული შტატების საკონსულოსთან დაკავშირებული ტომები. ამერიკულ დოკუმენტთა კოლექცია კიდევ უფრო შეავსო კონგრესის ოფიციალურმა გამოცემებმა, რომლებიც ნათელ სურათს იძლევიან გენერალ ჰარბორდის სამხედრო მისიის კავკასიაში მოღვაწეობაზე, საბჭოთა რუსეთში ბულიტის მისიაზე, კავკასიის შესახებ სენატში გამართულ დებატებსა თუ მოხსენებებზე. თუმცა, ბრიტანეთისაგან განსხვავებით, შეერთებული შტატებისათვის საქართველო უშუალო ინტერესის საგნად არ ქცეულა და მისი ინტერესდებოდა იმდენად, რამდენადაც ახალი რესპუბლიკა ოსმალეთის

საკითხის სამშვიდობო მოგვარებასთან, უფრო კონკრეტულად, სომხეთის შექმნასთან იყო დაკავშირებული. ამერიკას ეს უკანასკნელი აწუხებდა. შესაბამისად, პრეზიდენტ ვუდრო უილსონის, სახელმწიფო მდივან რობერტ ლანსინგის ან კონგრესის დღის წესრიგში საქართველო პრიორიტეტულ ადგილს არ იკავებდა.

დემოკრატიული რესპუბლიკის საბჭოთა ოკუპაციის შემდეგ, საქართველოს მთავრობამ საარქივო დოკუმენტები ემიგრაციაში წაიღო. მათ შორის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და კარლო ჩხეიძის, აკაკი ჩხენკელის, ევგენი გეგეჭკორის, კონსტანტინე გვარჯალაძის, ნოე ჟორდანიას პირადი არქივები. მარტო საგარეო საქმეთა სამინისტროს დოკუმენტები პარიზის სამშვიდობო კონფერენციასთან დაკავშირებულ სამასზე მეტ საარქივო საქმეს მოიცავს – ქართული დელეგაციის სხდომის ოქმებს, მთავრობისადმი მოხსენებებს, პირად მიმოწერებს, დიპლომატიურ ნოტებს, წარმოებულ ფინანსურ ანგარიშებს და ა.შ. მათი მეშვეობით შესაძლებელი ხდება არა მარტო რესპუბლიკის დიპლომატიური კორპუსის სტრუქტურის, არამედ ქართულ მისიათა ყოველდღიური ცხოვრების აღდგენა. ეს მასალები მნიშვნელოვანია როგორც საქართველოს, ასევე მთლიანად კავკასიისა და რუსეთის ისტორიის შესასწავლადაც, რადგან თბილისი წარმოადგენდა რეგიონის ცენტრს, სადაც ბაზირებულნი იყვნენ გამარჯვებულ სახელმწიფოთა წარმომადგენლობები. აღნიშნული მასალა დღემდე შეუსწავლელი იყო და საქართველოს ეროვნულმა არქივმა ის მკვლევართათვის ხელმისაწვდომი 2013 წლიდან გახადა. განსაკუთრებული მადლიერება მინდა გამოვხატო საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივის დირექტორის – ბატონი ანტონ ვაჭარაძის მიმართ, რომელიც გულისყურით ეკიდებოდა ჩემს მუშაობას და, ფაქტობრივად, ჩართული იყო კვლევის პროცესში.

დამუშავებულ იქნა ყველაზე პოპულარული, ოფიციალური თუ ნახევრად ოფიციალური ქართული, ბრიტანული, ამერიკული და ფრანგული გაზეთები – “საქართველოს რესპუბლიკა”, “The Times”, “New York Times” და “Le Temps”.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, წყაროთმცოდნეობით ბაზად გამოყენებულ იქნა ბრიტანული, ქართული, აზერბაიჯანული და სომხური გამოცემული დოკუმენტები. შევეცადე საკვლევ თემასთან მიმართებაში სრულად ამეთვისებინა დღემდე შექმნილი ინტელექტუალური მემკვიდრეობა: მემუარული ლიტერატურა,

მონოგრაფიები, სტატიები. თუ რამდენად სრულად მაქვს გამოყენებული ქართულ, ინგლისურ, რუსულ, ფრანგულ, გერმანულ, იტალიურ ენებზე არსებული ლიტერატურა ეს მკითხველს შეუძლია ნაშრომის ბოლოს, ბიბლიოგრაფიის წაკითხვისას შეაფასოს. განსაკუთრებით გამოვეყოფდი დოქტორ რიჩარდ ჰოვანესიანის ფუნდამენტურ ოთხტომეულს “სომხეთის რესპუბლიკა”. რიგ შემთხვევებში განსხვავებული შეხედულებების მიუხედავად, მისი ნაშრომი მაინც ჩემს გზამკვლევადაც იქცა.

მინდა სინანული გამოვთქვა, რომ ერთი ადამიანისათვის შეუძლებელი აღმოჩნდა საკითხის კვლევისათვის საჭირო ყველა ენის ცოდნა და ალბათ ნაცნობ თუ უცნობ ენებზე არსებული ყველა წყაროს, წიგნის, მემუარის მოძიებაც შეუძლებელი ამოცანაა, მაგრამ ამასთანავე გამოვთქვამ რწმენას, რომ ნაშრომი აერთიანებს იმ მასალებს, რომელთა ანალიზი მკითხველს თემაზე ამომწურავ ხედვას შესთავაზებს. იმედს გამოვთქვამ, რომ კვლევა დაბალანსებული და ჭეშმარიტებასთან მაქსიმალურად მიახლოებული გამოვიდა.

წერისას გამოვიყენე არა თანამედროვე, არამედ იმ დროისათვის არსებული გეოგრაფიული სახელწოდებები, მაგალითად: არა სტამბული, არამედ კონსტანტინოპოლი; არა კრასნოდარი, არამედ ეკატერინოდარი; არა ოსლო, არამედ ქრისტიანია და ა.შ.

რუსეთსა და ევროპაში ქართულ გვარებს ხშირად რუსული ფორმებით ხმარობდნენ, მაგრამ საქართველოში მათი ქართული ფორმით გამოყენება ხდებოდა და მეც ქართული დაბოლოებების გამოყენება ვარჩიე, მაგალითად: არა ავალოვი, არამედ ავალიშვილი; არა ჩერქეზოვი, არამედ ჩერქეზიშვილი და ა.შ.

თავი I

პარიზის სამშვიდობო კონფერენციამდე

საქართველოს საკითხის მომზადება პარიზის სამშვიდობო კონფერენციისათვის.

სამხრეთ კავკასიისა და საქართველოს მომავლის განსაზღვრაზე საუბარი მოკავშირეთა გადაწყვეტილებების მიმღებმა პირებმა მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ დაიწყეს. აქ უმთავრესი იყო დიდი ბრიტანეთის პოზიცია, როგორც ქვეყნისა, რომლის პასუხისმგებლობაში შედიოდა კავკასია 1917 წლის 23 დეკემბერს საფრანგეთთან გაფორმებული შეთანხმების მიხედვით. ბრიტანეთი 1918 წლის ბოლოდან რეალურად ახორციელებდა რეგიონის ოკუპაციას და ამასთანავე სამხრეთ რუსეთში ეხმარებოდა მოხალისეთა მოძრაობას.

1. საქართველო საფრანგეთისა და შეერთებული შტატების ომისშემდგომ პოლიტიკაში. საქართველოს საკითხის გადაწყვეტა, მოკავშირეთა თვალთახედვით, რუსეთის მომავლის განსაზღვრას უკავშირდებოდა. საფრანგეთს ერთიანი და განუყოფელი რუსეთის აღდგენა სურდა. ამას რამდენიმე მიზეზი ჰქონდა: 1. რუსეთს მსოფლიო ომის მსვლელობისას საფრანგეთის ვალები დაუბრუნდა, რომელთა გადახდაზე ბოლშევიკები უარს აცხადებდნენ; 2. ფრანგული კაპიტალი გამოიდევნებოდა რუსეთიდან; 3. დასუსტებული რუსეთი, მომავალში, დამარცხებული გერმანიის რევანშისტული გეგმების პოტენციური მოკავშირე იქნებოდა; 4. ბოლშევიზმის ექსპორტის საფრთხე არსებობდა თავად საფრანგეთში.

პრემიერ-მინისტრ ჟორჟ კლემანსოს დავალებით, მისმა თანაშემწემ ანდრე ტარდიუმ “პარიზის კონფერენციაზე ფრანგული დელეგაციის სამშვიდობო შეთავაზებები” შეადგინა, რომელიც დელეგაციისათვის სახელმძღვანელო დოკუმენტი გახლდათ და ასახავდა იმ მიზნებს, რომელთა მიღწევას საფრანგეთი კონფერენციაზე ისახავდა. ამ დოკუმენტში საქართველო ან კავკასია საერთოდ არ ყოფილა ნახსენები. სამაგიეროდ, ახლო აღმოსავლეთის პრობლემათა კონტექსტში, საუბარია სომხეთზე, რომელიც სხვა ეროვნულ უმცირესობათა მსგავსად უნდა გათავისუფლებულიყო თურქთა ბატონობისაგან. რუსეთის

შესახებ ძალიან ზოგადად იყო ნათქვამი, რომ სხვადასხვა ეროვნებებს უნდა წარედგინათ თავიანთი სურვილები და მათ შორის შეთანხმება უნდა მომხდარიყო (358, 90-91). საფრანგეთის მიერ სომხეთისა და კილიკიის მოხსენიება განპირობებული იყო საიქს-პიკოს შეთანხმებიდან გამომდინარე არსებული ფრანგული ინტერესებით. კავკასია გახლდათ რუსეთის ყოფილი იმპერიის შემადგენელი ნაწილი, რომლის ერთიანობით აღგენასაც ის ესწრაფოდა და ამასთანავე ეს იყო ტერიტორია, რომლის ოკუპაციასაც ბრიტანეთი ახორციელებდა, ამიტომ ფრანგთა ინტერესი რეგიონისადმი დიდი არ ყოფილა. საქართველოში ათასობით ბრიტანელი სამხედრო და სამოქალაქო პირის ყოფნის ფონზე, საფრანგეთს თბილისში ჰყავდა სამკაცციანი სამხედრო მისია პოლკოვნიკ შარდინის მეთაურობით.

1918 წლის 12 დეკემბერს საგარეო საქმეთა მინისტრმა სტეფან პიშონმა ტელეგრამებიდაუგზავნა საფრანგეთის წარმომადგენლებს ლონდონში, ქრისტიაშიაში, რომში, ვაშინგტონსა და არხანგელსკში, იმის თაობაზე, რომ საქართველოს აღიარება არ შეესაბამებოდა მიმდინარე მომენტის მოთხოვნილებებს (273, 111). უფრო მეტიც, საფრანგეთის მთავრობამ თხოვნით მიმართა დიდ ბრიტანეთს, რათა ამ უკანასკნელს საქართველოს დამოუკიდებლობა არ ეცნო (124).

პარიზში მყოფი ქართველი დელეგატები ხელის შეშლას ხვდებოდნენ პროპაგანდის საქმეშიც. მათ საფრანგეთის მთავრობის ნახევრად ოფიციალურ ორგანო Le Temps-ში საქართველოს შესახებ ცნობების მოთავსება უნდოდათ, თუმცა გაზეთის რედაქციამ პირდაპირ განუცხადა ქართველებს, რომ საქართველოს საკითხი საფრანგეთის მთავრობის პოზიციასთან წინააღმდეგობაში მოდიოდა და ამიტომ უარი უთხრეს მომსახურებაზე.¹

¹Le Temps-ის პოზიცია 1919 წლის ბოლოს შეიცვალა, როდესაც ცხადი გახდა, რომ მოხალისეთა მოძრაობა მარცხდებოდა და მოკავშირეები იძულებულნი იყვნენ ანტიბოლშევიკური “სანიტარული კორდონის” ფარგლებში ამიერკავკასიის ახალ რესპუბლიკებს დაყრდნობოდნენ. რედაქცია ქართულ მხარეს წელიწადში 150000 ფრანკის საფასურად საქართველოს შესახებ გაზეთში ინფორმაციების მოთავსებაზე შეუთანხმდა, ხოლო იგივე თხოვნით მისულ აზერბაიჯანელებს განუცხადეს, რომ მათ 300000 ფრანკზე ნაკლებად არ გაუწევდნენ იგივე მომსახურებას, რადგან საქართველოსაგან განსხვავებით, აზერბაიჯანი ნათლობილი მთავრობის ქვეყანა არისო. უფრო დაწვრილებით ის ქართული დელეგაციის სხდომის ოქმები (31, 97-98-117-128-129-151-152-154-155-156-172-199). უფრო მეტიც, ქართულმა მხარემ ფული გადაიხადა იმისათვის, რომ 1920 წელს გაზეთს თავისი კორესპონდენტი მოეველინა ქვეყანაში და ადგილიდან გადაეცა ახალი ამბები. ეს პიროვნება გახლდათ წარმოშობით შვეიცარიელი ჟურნალისტი პოლ

სამშვიდობო კონფერენციაზე ამერიკის დელეგაციისათვის სადაზვერვო განყოფილებამ რეკომენდაციები შეიმუშავა, რომლითაც დელეგაციას უნდა ეხელმძღვანელა. დოკუმენტის იმ ნაწილში, რომელიც რუსეთს ეხებოდა, ეწერა: “1. როცა ამის დრო მოვა, მხარი დაუჭიროთ სამხრეთით და დასავლეთით ჩამოყალიბებული ეროვნული მთავრობების რუსეთთან გაერთიანებას... 2. ამ ზოგადი წესიდან გამონაკლისს წარმოადგენენ ფინეთი, პოლონეთი, სომხეთი და შესაძლოა ლიტვა”.² განმარტებაში განვრცობილია, რომ რუსეთის რეგიონები ცალ-ცალკე ვერ შესძლებდნენ ძლიერი სახელმწიფოების ჩამოყალიბებას და მათი ფედერაციულ საწყისებზე გაერთიანების საფუძველი ეკონომიკური კეთილდღეობა უნდა ყოფილიყო. მეორე მხრივ, იმ დროისათვის, როდესაც რუსეთის საზღვრების საკითხები გადაწყდებოდა თუ კვლავინდებურად ბოლშევიკები იქნებოდნენ ხელისუფლებაში და არსებულ პოლიტიკურ კურსს შეინარჩუნებდნენ, არ ჩანდა სხვა ალტერნატივა, გარდა იმისა, რომ შეერთებულ შტატებს ეროვნული სახელმწიფოების დამოუკიდებლობა მიეღო. დოკუმენტი შესაძლებლად მიიჩნეოდა უკრაინის, ლატვიისა და ესტონეთის აღიარებას იმ პირობით თუ ამ ქვეყნებში რეფერენდუმი ჩატარდებოდა მათი რუსეთთან შეერთებიდან რამდენიმე წლის შემდეგ.

ფინეთის, პოლონეთისა და სომხეთის საკითხებში გამონაკლისი შემთხვევები გამართლებული იყო იმ მოტივით, რომ მათი გამოცალკეება არ დაანგრევდა რუსეთის ერთიან ეკონომიკურ სხეულს, ამ ხალხებმა გამოიარეს ჩაგვრის პერიოდი და ისინი ცალკე არსებულნი უკეთესად შესძლებდნენ ცხოვრებას (296, 219-220).

ცალკე პუნქტი ეთმობოდა საქართველოსა და სამხრეთ კავკასიას: “1. ამიერკავკასიის სომხეთი მიიღებს მუდმივ დამოუკიდებლობას, როგორც ახალი სომხური სახელმწიფოს ნაწილი; 2. ქართველები მიიღებენ დროებით დამოუკიდებლობას; 3. აზერბაიჯანელი თათრები მიიღებენ დროებით

უენტიზონი, რომელმაც საკუთარი მოგზაურობა დეტალურად აღწერა 1921 წელს გამოცემულ 350 გვერდიან წიგნში “საქართველოს აღორძინება” (339).

²ეს შიდა მოხმარების დოკუმენტი, შეერთებული შტატების გაცხადებულ პოლიტიკად 1920 წლის 10 აგვისტოდან იქცა, როდესაც სახელმწიფო მდივანმა ბენბრიჯ კოლბიმ იტალიის ელჩისადმი გაგზავნილ ღია ნოტაში საქართველოსა და აზერბაიჯანს ეგრეთწოდებული რეკომენდაციები უწოდა, მხარი დაუჭირა რუსეთის ერთიანობას პოლონეთის, ფინეთისა და სომხეთის გამოკლებით (316, 463-468).

დამოუკიდებლობას.” განმარტებაში საქართველოს შესახებ ეწერა, რომ “შემოთავაზებულ ქართულ სახელმწიფოს ზღვაზე ექნება ფართო გასასვლელი ბათუმიდან ჩრდილოეთით,³ საზღვარი გაგრძელდება ჩრდილოეთით კავკასიონის თოვლიან მთებამდე, აღმოსავლეთით საზღვარი იქნება კარგად გამოკვეთილი ეთნიკური გაერცვლების ხაზამდე და სამხრეთით სომხეთის მადლობამდე. ამ სახელმწიფოს ტერიტორია მოიცავს 67.000 კვადრატულ კილომეტრს 2.55 მილიონი მოსახლეობით. შესაძლოა ქართველებმა მოისურვონ სომხეთთან ფედერაციული წესით გაერთიანება, რაც ორივესათვის მომგებიანი იქნება.მათ შორის ჩამოყალიბდა პოლიტიკური განსხვავებები და ამიტომ საჭიროა დროებითი დამოუკიდებლობა. თუ მომავალში ეს წინააღმდეგობები გადაილახება, სასურველია მათი გაერთიანება.” (296, 229-230)

ვუდრო უილსონის ადმინისტრაცია, მისი ხელისუფლებაში ყოფნის მანძილზე, ბოლომდე მიჰყვებოდა იმ რეკომენდაციებს, რუსეთთან და ამერიკაკავკასიის რეგიონთან მიმართებაში, რომელიც ზემოთმოყვანილ დოკუმენტშია ჩამოთვლილი: 1. რუსეთის ერთიანობა; 2. სომხეთის უპირატესი უფლებრივი მდგომარეობა; 3. სომხეთსა და ანატოლიაზე ამერიკული მანდატის აღების შემთხვევაში, მასში საქართველოსა და აზერბაიჯანის შესაძლო ჩართვა. ჩამოთვლილი პირველი და მეორე პუნქტებისადმი ამერიკის სახელმწიფო ისტებლიშმენტის სრულ თანხმობას, ჯერ კიდევ 1918 წლის ბოლოს, უილსონსა და სახელმწიფო მდივან ლანსინგს შორის რუსეთისა და სომხეთის საკითხებზე, იმავე წლის ნოემბერში, გამართული კორესპონდენცია ადასტურებს (299, 268-271; 300, 272).

2. კავკასიის რესპუბლიკათა ამოცანები პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე. საქართველომ 1918 წლის გაზაფხულზე სომხეთისაგან მაქსიმალური დისტანცირება მოახდინა, გერმანიის მფარველობით გადაირჩინა თავი და სომხეთი ოსმალეთის პირისპირ დატოვა. იმავე პერიოდში აზერბაიჯანი ცალსახა პროთურქულ პოლიტიკას ატარებდა. თუმცა, კავკასიის რესპუბლიკათა

³აქ იგულისხმება როგორც ბათუმის, ისე ართვინისა და არდაგანის ოლქები, რადგან დოკუმენტშივე წარმოდგენილია რუკა, სადაც საქართველო მოხაზულია შემდეგ ფარგლებში: ბათუმი, ართვინი არდაგანი სამხრეთ-დასავლეთით, მდინარე ფსოლზე გამავალი საზღვარი აფხაზეთის მიმართულებით. სამხრეთით ახალციხისა და ახალქალაქის მაზრები სომხეთის შემადგენლობაშია შეყვანილი. ღორე სადაო ტერიტორიად არის მონიშნული, ხოლო აღმოსავლეთით ზაქათალის ოლქი რუსეთის შემადგენლობაშია.

მდგომარეობა მსოფლიო ომის შედეგმა ძირეულად შეცვალა. ამჯერად აზერბაიჯანს უნდა ეცადა ომში დამარცხებული ოსმალეთის იმპერიისაგან მაქსიმალური დისტანცირება მოეხდინა, ხოლო საქართველო ახლო კავშირებს გამარჯვებულ სახელმწიფოთა სამხრეთ კავკასიელ მეგობარ სომხეთთან ეძებდა.

1918 წლის 21 ნოემბრის საქართველოს მთავრობის სხდომაზე დამტკიცებულ იქნა პარიზის საზავო კონფერენციაზე გასამგზავრებლად გამზადებული ქართული დელეგაციისათვის სამოქმედო პოლიტიკური ინსტრუქციები, რომლებიც მოვლენათა განვითარების სხვადასხვა მიმართულებას ითვალისწინებდნენ: 1. თუ მოკავშირეები აღდგენილ რუსეთში საქართველოს დაბრუნებას დაისახავდნენ მიზნად, ამაზე ქართულ დელეგაციას სასტიკი უარი უნდა ეთქვა, რადგან ეს საქართველოს ან ბოლშევიკურ ქაოსში ან რეაქციონერთა უღელქვეშ ჩათრევას უქადდა. დემოკრატიულ რუსეთში ეს შესაძლებელი იქნებოდა, მაგრამ მოცემულ მომენტისათვის დემოკრატიული რუსეთი ახლო მომავლის საქმე არ იყო; 2. დელეგაცია სამხრეთ კავკასიის კონფედერაციის წინააღმდეგ არ უნდა წასულიყო, მაგრამ კონფედერაციად მოწყობამდე საჭირო იყო მისი წევრი ქვეყნები განმტკიცებულიყვნენ როგორც დამოუკიდებელი სუბიექტები. თუ მოკავშირეებს ბაქო-ბათუმის რკინიგზა საბაჟოების გარეშე, როგორც ერთიანი ეკონომიკური სივრცე დასჭირდებოდათ, საქართველო ამაზე მზად იყო მათთვის მხარი დაეჭირა; 3. დელეგაციას მხარი უნდა დაეჭირა სომხეთის პრეტენზიებისათვის თურქეთთან, რათა სომხეთს თურქეთის ხარჯზე მისცემოდა შავ ზღვაზე გასასვლელი. ამით სომხეთის პოლიტიკური ამბიციების ცენტრი თურქეთზე გადაიწვედა და იგი საქართველოს აღარ მოაწვებოდა; 4. დელეგაციას უნდა ემუშავა სამაჰმადიანო საქართველოს შემოერთებისათვის,⁴ ამის გამო კი მას თურქეთის წინააღმდეგ მოუწვედა წასვლა. თურქეთის წინააღმდეგ წასვლა კი აზერბაიჯანის წინააღმდეგ წასვლის ტოლფასი იყო, რადგანაც ამ ორ სახელმწიფოს ურთიერთტოლვა და გაერთიანებისაკენ მისწრაფება ამოძრავებდათ; 5. დელეგაციას დაევალა შესულიყო პატარა ერთა კავშირის ორგანიზაციაში და მათთან ერთად ემუშავა სამშვიდობო კონფერენციაზე; 6. საქართველოს მხარე, რაოდენ მძიმეც არ უნდა ყოფილიყო, უნდა დათანხმდებოდა რუსეთის ვალების საკუთარი წილის გადახდას, რათა ამით განმტკიცებული ყოფილიყო მისი დამოუკიდებლობა; 7. თუ

⁴ იგულისხმება ბათუმის, არდაგანის, ართვინის ოლქები და ლაზისტანი

ევროპის ქვეყნები არასგზით არ სცნობდნენ საქართველოს დამოუკიდებლობას, დელეგაციას უკიდურეს შემთხვევაში უფლება ეძლეოდა დაეთმო და პროტექტორატი შეეთავაზებინა რომელიმე ევროპულ სახელმწიფოსათვის (10, 5-6; 283).

მოვლენათა მსვლელობის დროს, ვითარების გათვალისწინებით, დელეგაციას ინსტრუქციათა პრინციპებისაგან გადახედვა უხდებოდა. იგი დაიწერა სომხეთ-საქართველოს ომამდე და ამ დროს, ბუნებრივია, საქართველოს მთავრობას ჯერ კიდევ ექნებოდა სომხეთის კავკასიური ორიენტაციის, მასთან საერთო ინტერესით გამოსვლის იმედი. მოხდა კი პირიქით — საქართველოს აზერბაიჯანთან ტანდემში მოუწია კონფერენციაზე მუშაობა. ვითარებისავე შესაბამისად, დელეგაციას ხშირად უხდებოდა თავი აერიდებინა რუსეთის იმპერიის სხვა პატარა ერებთან ერთად საერთო პოლიტიკური გამოსვლებისათვის, რათა ამით საქართველოს საკითხი კონფერენციის წინაშე რუსეთის საკითხისაგან დამოუკიდებლად დაეყენებინა. გარდა ამისა, ქართული დელეგაცია ხშირად თავს არიდებდა რუსეთის შიდა მხარეებთან (მაგ. ყუბანის მთავრობა), მოხალისეთა ფაქტობრივი კონტროლის ქვეშ მყოფ რეგიონებთან (მაგ. ჩრდილო კავკასიის მთიელთა რესპუბლიკა) და ხანდახან აზერბაიჯანთან, როგორც ცალსახა პროთურქული იმიჯის მქონე სახელმწიფოსთან, ერთად გამოსვლას. სამაგიეროდ, არასოდეს ერიდებოდა პოლონელებთან, ბალტიის რეგიონის წარმომადგენლებთან ერთიან დეკლარაციებზე ხელის მოწერას,

ყველაზე საინტერესოა თუ როგორ უყურებდა საქართველოს დელეგაცია საკუთარ ტერიტორიულ პრეტენზიებს. ამონარიდები დოკუმენტიდან: “განსაზღვრავს რა თავის საზღვრებს, საქართველოს მთავრობა მოითხოვს მხოლოდ იმ ტერიტორიებს, რომლებიც ყოველთვის ეკუთვნოდა ქართველ ხალხს და, რომლებსაც მისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. მაგრამ ამავე დროს, სხვა ხალხების სასიცოცხლო ინტერესებს არ ეხება...”

“მეორე მხრივ, რუსეთმა ივალდებულა 1783 წლის ხელშეკრულებით საქართველოსათვის თურქეთის მიერ უკანასკნელ მეფეთა მეფობის ხანაში დაპყრობილი ზოგიერთი ტერიტორია დაებრუნებინა. თურქეთმა ეს ტერიტორიები დაუბრუნა რუსეთს ადრიანოპოლში (1829) და ბერლინში (1878) დადებული ხელშეკრულებების თანახმად და დღეს საქართველოს თავისი სამშობლოს ამ ნაწილზე უფლება აქვს.

გარდა ამისა, როდესაც სომხეთის საზღვარი თურქეთის ძველ ტერიტორიაზე გაივლება, საქართველო დაჟინებით მოითხოვს დაუბრუნდეს მას ამჟამად თურქეთის კუთვნილი ლაზეთის ტერიტორია, ასევე მოითხოვს, საზღვრის რეგულირებას ზემო ჭოროხის რაიონში, რადგან არავის არა აქვს უფლება ოდითგანვე ქართულ მიწებს ფლობდეს.

გამოდის რა ამ საერთო მოსაზრებიდან და საერთო ადმინისტრაციული შესაძლებლობებიდან, საქართველოს დელეგაცია ამტკიცებს, რომ საქართველოს ტერიტორიამ უნდა მოიცვას: თბილისისა და ქუთაისის გუბერნიები, სოხუმის, ზაქათალის და ბათუმის ოლქები, ორი ოლქი ყარსის დასავლეთით (ოლთისი და არდაგანი) და შავიზღვისპირეთის (სოხუმის) ოლქის რამდენიმე ნაწილი, აგრეთვე ტრაპეზუნდის ვილაიეთი.” (24; 271, 224-237)

აზერბაიჯანის მთავრობამაც შეიმუშავა, კონფერენციისადმი წარსადგენი დელეგაციის მემორანდუმი — “Claims of the Peace Delegation of the Republic of Caucasian Azerbaidjan Presented to the Peace Conference in Paris”. მათ კონფერენციის წინაშე სამი ძირითადი მოთხოვნა წამოაყენეს: 1. აზერბაიჯანის საერთაშორისო აღიარება მისთვის სასურველ საზღვრებში; 2. აზერბაიჯანის დელეგაციის ოფიციალური დაშვება კონფერენციის კომიტეტებსა და სხვა ორგანოებში სამუშაოდ; 3. ერთა ლიგის შემადგენლობაში აზერბაიჯანის შეყვანა.

აღნიშნულ მემორანდუმს თურანიზმის ელფერი დაჰკრავდა. მსგავსი ტერიტორიული მოთხოვნების დაკმაყოფილება, 1919 წლისათვის შექმნილ საერთაშორისო პოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით, არარეალისტურად გამოიყურებოდა. აზერბაიჯანი ითხოვდა ახალციხის, ყარსისა და ბათუმის ტერიტორიის მისთვის გადაცემას. საზღვარი საქართველოსთან მდინარე ჩოლოქზე, მტკვარზე და ხრამზე უნდა გასულიყო. დელეგაციას ამის საარგუმენტაციოდ დემოგრაფიული და ისტორიული მონაცემები მოჰყავდა. აზერბაიჯანის დელეგატები კონფერენციას უცხადებდნენ, რომ ისინი თურქმანული მოდემის ხალხი იყვნენ და მათ მიერ მოთხოვნილი სამხრეთ კავკასიის ტერიტორიები უხსოვარი დროიდან დასახლებული იყო ამ ხალხებით. ისინი ქართველებისაგან აღნიშნულ ოლქებში რეფერენდუმის ჩატარებას მოითხოვდნენ, რათა დაცული ყოფილიყო ადგილობრივი თურქმანული მოსახლეობის კულტურა და ტრადიციები. მაგრამ, მიუხედავად ზემოთქმულისა,

მემორანდუმი ძირითადად ანტისომხურ და ანტირუსულ ხასიათს ატარებდა, მათ წინააღმდეგ იყო მიმართული.

მეორე მხრივ აზერბაიჯანელი დელეგატები აღწერდნენ იმ სიმდიდრეებს, ეკონომიკურ სარგებლიანობას, რომელიც ქვეყანას გააჩნდა და მზადყოფნას გამოთქვამდნენ გამარჯვებული სახელმწიფოებისათვის ყოფილი რუსეთის იმპერიის ვალების საკუთარი წილი გადაეხადათ.

მათი კავკასიური პოლიტიკის პრიორიტეტი იყო კონფედერაციული მოწყობა 4 თანაბარუფლებიანი სუბიექტის (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, მთიელთა რესპუბლიკა) მონაწილეობით, ხოლო კავკასიური ეკონომიკა ყოველგვარი საზღვრების გარეშე უნდა გაერთიანებულიყო (287).

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ დელეგაციის მეთაური – ალი მარდანი-ბეკ თოფჩიბაშევი ფართო თვალთახედვის პოლიტიკოსი იყო და პარიზში მუშაობის არც ერთ ეტაპზე სერიოზულად არ წამოუწვია ახალციხის, ახალქალაქის, ბათუმის საკითხები. უფრო მეტიც, ბრიტანული სამშვიდობო დელეგაციის წევრ – პროფესორ სიმპსონთან საუბრისას თოფჩიბაშევიმ აღნიშნა, რომ მისი მთავარი მიზანი კავკასიის რესპუბლიკებს შორის მჭიდრო კავშირის დამყარება იყო და ამიტომ ზაქათალის ოლქის ის რაიონები, სადაც მოსახლეობის უმრავლესობას ქართველები ან ჩრდილო კავკასიელები შეადგენენ, შესაბამის რესპუბლიკებს უნდა შეერთებოდნენ (207).

როგორც ქართული დელეგაციისათვის მთავრობის მიერ მიცემული ინსტრუქციებიდან ჩანს საქართველოსათვის პრიორიტეტი, პარიზის საზავო კონფერენციის ჩარჩოებში, სომხეთთან ურთიერთობების დარეგულირება იყო.⁵ მაგრამ ამას წინ უძღოდა 1918 წლის მაისში საქართველოს მიერ ამიერკავკასიის ფედერაციის მიტოვება, რამაც სომხეთი ოსმალეთის პირისპირ მარტო დატოვა, ასევე ქართული ჯარის მიერ ახალციხე-ახალქალაქის მარცხის და ლორეს დაკავება, რომელზეც პრეტენზიას სომხეთი აცხადებდა. მოკავშირეთა გამარჯვების შემდეგ, იგრძნო რა საკუთარი უპირატესობა, 1918 წლის

⁵ პარიზში მიმავალმა ქართველმა დელეგატებმა აზერბაიჯანელებს განუცხადეს: “სანამ სომხები არ მიიღებდნენ იმდენ ტერიტორიას, რამდენიც მათ უნდათ, მანამდე მოგვიწამლავდნენ ცხოვრებას” და ამიტომ თურქეთის ხარჯზე სომხეთის ტერიტორიული მოთხოვნების გადაჭრას სთავაზობდნენ (366, 333).

დეკემბერში სომხეთმა საქართველოს წინააღმდეგ ომი დაიწყო, რომელიც ბრიტანელთა ჩარევით შეწყდა.

აღნიშნულ მოვლენათა ჯაჭვის ლოგიკური გაგრძელება იყო ის, რომ პარიზის სამშვიდობო კონფერენციის უმაღლესი საბჭოს სხდომაზე⁶ მიწვეულმა სომხურმა დელეგაციამ გამოსვლის დიდი ნაწილი საქართველოსა და აზერბაიჯანის კრიტიკას დაუთმო. ისინი მეზობლებს დალატში და ოსმალურ-გერმანულ გეგმებში მონაწილეობაში ადანაშაულებდნენ. ამის საპირისპიროდ იყო სომხეთი, რომელიც მუდამ ერთგული რჩებოდა მოკავშირეთა პოლიტიკისა, მას შეეწირა ასიათასობით მათი თანამემამულის სიცოცხლე და ა.შ. (302, 147-157)

მსოფლიო ომის შემდგომი სომხეთი აღარ იყო ის მიუსაფარი რესპუბლიკა, რომელიც ხსნას კავკასიის შიგნით, ერთობაში ხედავდა. ომის მსვლელობისას მოკავშირეებმა სომეხი ხალხი დაპირებებით აავსეს. არმენოფილური მოძრაობა ყველაზე ძლიერი შეერთებულ შტატებში იყო. ამერიკული ხსნის ადმინისტრაცია და ახლო აღმოსავლეთის ხსნის ამერიკული კომიტეტი ყოველთვიურად ათეულობით მილიონი დოლარის ღირებულების ჰუმანიტარულ ტვირთს აწვდიდნენ ნანგრევებად ქცეულ სომხეთს. თვით პრეზიდენტმა უილსონმაც არაერთხელ დაადასტურა სომხეთისადმი არსებული განსაკუთრებული სენტიმენტების ქონა. 1918 წლის დეკემბერში გავლენიანმა სენატორმა – ჰენრი კაბოტ ლოჯმა სენატში გაიტანა რეზოლუცია, რომლის მიხედვით სომხეთის ტერიტორია უნდა ყოფილიყო სამ ზღვაზე გადაჭიმული: ის მოიცავდა რუსეთის სომხეთს, თურქეთის სომხეთის ექვს ვილაიეთს, კილიკიას და ჩრდილოეთ სპარსეთს (345, 261). ამერიკულ პრესაში ფართო გაქანება ჰპოვა არმენოფილურმა

⁶ იგულისხმება “ათთა საბჭო”, რომელშიც მონაწილეობდნენ ბრიტანეთის, შეერთებული შტატების, საფრანგეთის, იტალიის სახელმწიფოს მეთაურები და საგარეო საქმეთა მინისტრები, ასევე იაპონიის დელეგაციის მეთაურები. 1919 წლის მარტიდან, უფრო ევკეტური მუშაობისთვის, “ათთა საბჭო” გადაკეთდა “ოთხთა საბჭოდ”, სადაც ოთხი სახელმწიფოს მეთაური შედიოდა. ამასთანავე, პარალელურად შეიქმნა “საგარეო საქმეთა მინისტრთა საბჭო”. გერმანიასთან ზავის ხელმოწერის შემდეგ სახელმწიფოს მეთაურებს აღარ შეეძლოთ მთელი წლის მანძილზე პერმანენტულად პარიზში ყოფნა და ივლისში “დელეგაციის მეთაურთა საბჭო” შეიქმნა, რომელშიც გამარჯვებული ხუთი სახელმწიფოს დელეგაციების მეთაურები შედიოდნენ. თუმცა, დელეგაციათა ხელმძღვანელთა როლში ხშირად სახელმწიფო მეთაურები გამოდიოდნენ. კონფერენციის ბოლო ფაზაში, 1919 წლის დეკემბრიდან 1920 წლის იანვრის ჩათვლით, ამერიკული დელეგაციის ვაშინგტონში დაბრუნების შემდეგ, ჩამოყალიბდა “პრემიერ-მინისტრთა საბჭო” დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, იტალიის მთავრობის მეთაურთა შემადგენლობით და ამის პარალელურად 1920 წლის 10 იანვარს აღდგა “საგარეო საქმეთა მინისტრთა საბჭო”.

მოწოდებებმა (390; 391; 392; 393; 395; 396; 397; 398; 399; 400; 401; 402; 403; 404; 405; 406; 407; 408; 409; 410; 411; 412; 419).

საქართველოსა და სომხეთს შორის სადავო ტერიტორიებად განიხილებოდა ლორე, ახალქალაქი, ყარსის ოლქში შემავალი ოლთისი და არდაგანი. ახალქალაქი 1829 წელს ოსმალეთთან ომის შედეგად შემოიერთა რუსეთის იმპერიამ. იქ მცხოვრები ათიათასობით ოსმალეთში გადასახლებული ქართველი მაჰმადიანის ნაცვლად სომეხი ეროვნების ხალხი ჩაასახლა⁷ და ადმინისტრაციულად თბილისის გუბერნიას დაუკავშირა. ლორე, ასევე სომხური უმრავლესობით დასახლებული, თბილისის გუბერნიის ნაწილი იყო. ორივე რესპუბლიკა თავიანთ ადრეულ სახელმწიფოებრივ ისტორიულ კუთვნილებას უკავშირებდა აღნიშნულ ტერიტორიებს. ამასთანავე, სომხები მოსახლეობის ეთნიკურ შემადგენლობაზე აპელირებდნენ, ხოლო ქართველები საქართველოსა და რუსეთს შორის 1783 დადებულ ტრაქტატზე, რომლის მიხედვით რუსეთი ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთით ოსმალეთის მიერ მიტაცებული ტერიტორიების დაბრუნებას დაჰპირდა. ქართველთა თქმით, ეს მიწები ქართული სახელმწიფოს ეკონომიკური სხეულის განუყოფელი ნაწილები და სტრატეგიული მნიშვნელობის მქონენი იყვნენ. მორიგი არგუმენტი გახლდათ რუსეთის იმპერიის ადმინისტრაციული დაყოფა, რომლის მიხედვით, თბილისის გუბერნია უპირობოდ საქართველოს რესპუბლიკას უნდა დარჩენოდა. მაგრამ ეს უკანასკნელი მოსაზრება თავისთავად ეწინააღმდეგებოდა ოლთისისა და არდაგანის საქართველოს შემადგენლობაში ყოფნას, რადგან ეს რაიონები ყარსის ოლქში შედიოდნენ.

პარიზში ჩასულმა ამერიკულმა და ბრიტანულმა დელეგაციებმა დიდი სომხეთის შექმნის გეგმები წაიღეს, რომელიც მოიცავდა რუსეთის სომხეთს, თურქეთის სომხეთის ექვს ვილაიეთს შავ ზღვაზე გასასვლელით და კილიკიას ხმელთაშუა ზღვაზე გასასვლელით. ამერიკული გეგმის მიხედვით არა მარტო

⁷ეს არგუმენტიც მნიშვნელოვანი იყო ქართული მხარისათვის, იმდენად, რამდენადაც ახალქალაქსა და ლორეში რეფერენდუმის მოთხოვნაზე ქართული დელეგაციის ერთ-ერთმა ლიდერმა – ირაკლი წერეთელმა სომხებს ჰკითხა: ჩაატარებდნენ თუ არა ისინი რეფერენდუმს თურქეთის სომხეთში (345, 353). იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ახალქალაქში მაჰმადიანი მოსახლეობის ხოცვა-ჟლეტვარ განხორციელებულა, წერეთელს პირდაპირ არ უსაუბრია სომხური მხარისათვის ესოდენ სენსიტიურ თემაზე, მაგრამ ის, რასაკვირველია, ოსმალეთისა და რუსეთის იმპერიების მიერ განხორციელებულ ეთნიკურ წმენდებს შორის არსებულ პარალელებს გულისხმობდა.

ახალქალაქი, არამედ ახალციხეც, რომელიც ოფიციალურად არ ყოფილა მოთხოვნილი სომხების მიერ, ამ უკანასკნელთ უნდა დაქვემდებარებოდა (296, 259-260). ბრიტანული პროექტი ფაქტობრივად იმეორებდა საქართველოს მთავრობის მიერ დელეგაციისთვის გაცემულ ინსტრუქციებს, ქართულ-სომხურ სადავო ტერიტორიებთან დაკავშირებით, იმის თაობაზე, რომ სომხური სახელმწიფოს შექმნის სიმძიმის ცენტრი თურქეთის სომხეთისკენ უნდა გადახრილიყო: “ახალციხისა და ახალქალაქის რაიონები უმთავრესად დასახლებულია წინა საუკუნეში თურქეთიდან გადმოსახლებული სომეხი ლტოლვილების შთამომავლებით. ეროვნული ნიშნის მიხედვით ეს რაიონები უნდა ეკუთვნოდნენ სომხეთს, მაგრამ ისინი სტრატეგიულად წარმოადგენენ საქართველოს გულს და მთლიანობაში სამართლიანი იქნებოდა თუ მათ მივაკუთვნებდით საქართველოს და სომხურ მოსახლეობას სამხრეთ-დასავლეთით, მათთვის მიკუთვნებულ ვრცელ ტერიტორიაზე გადასახლების საშუალებას მივცემდით.” (104; 87) ბრიტანელთა თვალთახედვით, საქართველოს უნდა დარჩენოდა ლორეც (103).

სომხეთის რესპუბლიკას საქართველოსგან თავი შორს ეჭირა მოხალისეთა მოძრაობასთან და პარიზში მის წარმომადგენლობასთან მჭიდრო ურთიერთობის გამოც. სომხეთის დელეგაციას რუსულ “სოვეშანიესთან”⁸ ერთგვარი პოლიტიკური ფლირტი ჰქონდა გამართული. რუსი დიპლომატები პირად საუბრებში ავეტის აპარონიანს⁹ ეუბნებოდნენ, რომ ისინი მომხრენი იყვნენ გაერთიანებული, მეგობრული და დამოუკიდებელი სომხეთისა, რაც, მოძმე სახელმწიფოს დახმარებით, რუსეთს ხმელთაშუა ზღვაზე გასასვლელს

⁸ რუსული პოლიტიკური სათათბირო, რომელიც პარიზში წარმოადგენდა ადმირალ კოლჩაკისა და გენერალ დენიკინის მოხალისეთა მოძრაობას. “სოვეშანიეს” პრეტენზია ჰქონდა აღიარებული ყოფილიყო ერთიანი რუსეთის წარმომადგენლობად კონფერენციაზე. ამ რანგში მისი მიღება არ მომხდარა, მაგრამ მოკავშირეთა შორის რუსულ საკითხთან მიმართებაში წონად ერთეულად ითვლებოდა. მასში შედიოდნენ რუსეთის დროებითი მთავრობის თავმჯდომარე – გიორგი ლვოვი, რუსეთის ყოფილი იმპერიის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი საზონოვი, ელჩი ლონდონში ვასილი მაკლაკოვი და ა.შ. (359, 65-78)

⁹ სომხეთის რესპუბლიკის დელეგაციას მეთაურობდა მმართველი პარტიის – დაშნაკცუტიუნის ერთ-ერთი ლიდერი ავეტის აპარონიანი, ხოლო ბოდოს ნუბარ ფაშა “დასავლეთ სომხეთს” წარმოადგენდა და პირადად სომხეთის კათოლიკოსის – გეგორქ მეხუთის კურთხევით იყო დანიშნული. პიროვნულ და პოლიტიკურ განსხვავებათა მიუხედავად სომხებმა მოახერხეს ერთ დელეგაციად გაერთიანება

მოუპოვებდა (119; 345, 375). ამ რწმენასა და იმედს ემყარებოდა 1919 წლის სომხური პოლიტიკა.

მოკავშირეთა დაპირებებით და მოხალისეთა არმიასთან ნორმალიზებული ურთიერთობით გამამაცებელი სომხური პოლიტიკა და ამბიციები უკვე აღარ უკავშირდებოდა კავკასიას, ისინი მახლობელი აღმოსავლეთის ფართო ასპარეზზე გაჭრას აპირებდნენ. ამით სომხეთი მოსწყდა კავკასიურ ორბიტას. მის ინტერესში აღარ იყო რუსეთის იმპერიისაგან გამოყოფილ სახელმწიფოებთან და კავკასიის ერებთან ერთად სამშვიდობო კონფერენციაზე საერთო ინტერესით გამოსვლა.

ეს იყო თავისებურება, რაც 1918-1921 წლებში არსებობის მანძილზე ახალგაზრდა რესპუბლიკებს ახასიათებდათ. რეგიონის პოლიტიკურ ცხოვრებაში შემოსული დიდი სახელმწიფოს მხრიდან რომელიმე მათგანისადმი გამოხატულ განსაკუთრებულ დამოკიდებულებას, ამ უკანასკნელის მიერ მეზობლებთან შედარებით თავის მაღლა დაყენება, მათდამი უპირატეს მდგომარეობაში ყოფნა და რეგიონული თანამშრომლობის გათიშვა მოსდევდა.

ასეთი წანამძღვრებითა და პათოსით შედგა პარიზის საზავო კონფერენციისათვის 1919 წლის 12 თებერვალს წარდგენილი სომხური დელეგაციის მემორანდუმი. მასში ჩამოყალიბებული იყო მოთხოვნათა შემდეგი ნუსხა: 1. ახალი რესპუბლიკის დელეგატები სამშვიდობო კონფერენციისაგან სომხეთის დამოუკიდებლობის აღიარებას და, საზღვრების დასადგენად, სომეხ კომისართა მონაწილეობით კომისიის შედგენას ითხოვდნენ; 2. ამგვარად წარმოქმნილი სომხური სახელმწიფო უნდა დაქვემდებარებოდა ევროპულ სახელმწიფოთა, აშშ-ს, ან “ერთა ლიგის” კონტროლს, რომლის წევრობა თავადაც სურდა; 3. სამშვიდობო კონფერენციას, სომხურ დელეგაციასთან შეთანხმებით, ერთ-ერთი დიდი სახელმწიფოსათვის სომხეთზე დროებითი მანდატი უნდა მიეცა. მანდატის მაქსიმალურ ხანგრძლივობად დელეგაცია 20 წელს მოიაზრებდა; 4. დამხმარე სახელმწიფოს თურქებისა და თათრებისაგან სომხური ტერიტორიების გათავისუფლება, ხალხის განიარაღება, დამნაშავეთა დასჯა, ქვეყნიდან კანონდამრღვევთა და მოხეტიალე ჯურის ხალხის გაძევება, სომეხთა მიწებზე ჩასახლებულ მუჰაჯირთა უკან დაბრუნება უნდა უზრუნველყო.

ამის შემდეგ მემორანდუმი უფრო დეტალურად ეხებოდა სომხეთის ტერიტორიულ პრეტენზიებს, ახდენდა ისტორიული და სტატისტიკური მეთოდებით მათ გამყარებას. მოთხოვნათა ძირითადი ნაწილი თურქეთის სომხეთთან იყო დაკავშირებული, თუმცა მოთხოვნებში ქართველებთან არსებული სადაო ტერიტორიები – ახალქალაქი, სამხრეთ არდაგანი, ოლთისი და ლორე შედიოდა. მოცემული იყო ამ რაიონების სომხური მოსახლეობის სტატისტიკურ-ისტორიული მანკენებლები, სომხეთის საციცოცხლო საჭიროება შავ ზღვაზე გასასვლელის მოსაპოვებლად და ა.შ. (286; 317)

3. მსოფლიო ომის შემდეგ ბრიტანული პოლიტიკის ფორმირება საქართველოსთან მიმართებაში.

რუსეთის ომიდან გამოთიშვის, გერმანიასთან და ოსმალეთთან მისი საომარი ფრონტის მოშლის შემდეგ, 1917 წლის 23 დეკემბერს, პარიზში გამართულ ბრიტანეთ-საფრანგეთის კონფერენციაზე ამ ქვეყნებმა სამხრეთ რუსეთის საომარი საპასუხისმგებლო ზონა ორ ნაწილად გაიყვეს — უკრაინა, ყირიმი და ბესარაბია ფრანგულ საოკუპაციო ზონად, ხოლო კავკასია კი ბრიტანეთის საოკუპაციო ზონად ცხადდებოდა (108). მუდროსის ხელშეკრულების მე-15 მუხლის თანახმად, ბაქო-ბათუმის ხაზი ბრიტანულ ჯარებს უნდა დაეკავებინათ, რაც 1917 წლის 23 დეკემბრის შეთანხმების ახალ პირობებში რეალიზაციას ნიშნავდა.

აქედან დაიწყო ანტანტის ქვეყნებს შორის საქართველოს საკითხში ძირეული შემობრუნება — თუ მანამდე იგი რუსეთის შიდა საქმედ ითვლებოდა, ახალ ვითარებაში იგი ბრიტანეთის პრეროგატივა გახდა და 1919-1920 წლების უმნიშვნელოვანესი პერიოდის მანძილზე დიდ წილად მან განსაზღვრა საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობა.

სამხრეთ კავკასიაში შემოსული ბრიტანული ჯარების თავდაპირველი მიზანი იყო მუდროსის ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების აღსრულება: ბათუმი-ბაქოს სარკინიგზო ხაზის დაკავება, მოწინააღმდეგის სამხედრო ძალების, დიპლომატიური მისიების რეგიონიდან გაძევება და რეგიონის ოკუპირებული ტერიტორიების გათავისუფლება. ბაქოში მესოპოტამიიდან შევიდა გენერალ ტომპსონის 2000 კაციანი ბრიგადა, ხოლო ბათუმში ბრიტანეთის სალონიკის (შავი ზღვის)

ძალების 1 დივიზია – გენერალ ფორიესტიე-უოკერის მეთაურობით. საქართველოს ოკუპაციას სალონიკის ძალები ახორციელებდნენ, რომელთაც მთავარი შტაბი თბილისში ჰქონდათ.¹⁰

ბრიტანეთის ქართული და კავკასიური პოლიტიკის ფორმირება მთელი რიგი უფრო დიდი საკითხების მოგვარებასთან იყო დაკავშირებული. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი სამოქალაქო ომის პირობებში მყოფი რუსეთის პრობლემა იყო; მას ომში დამარცხებული ოსმალეთის დანაწილების თემა მოსდევდა; ბრიტანეთ-სპარსეთის 1919 წლის პროტექტორატის ხელშეკრულება მისი უდიდებულესობის მთავრობას რუსეთისაგან სპარსეთის და მთლიანად ინდოეთამდე მისული აღმოსავლეთის დაცვას უსახავდა მიზნად. ამასთანავე, 1919 წლისათვის, როდესაც შუა აღმოსავლეთის ნაეთობი ჯერ კიდევ არ ყოფილა მსოფლიო მოხმარებაში შემოსული, ბაქოს საბადოები და ჭიათურის მანგანუმი ფასს მატებდა რეგიონს.

კავკასიაში ბრიტანეთის აღმოსავლური ინტერესების დაცვა და სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება საშურველი საქმე იყო, მაგრამ მის საპირისპიროდ იდგა ერთი მხრივ, ადრე თუ გვიან, აღდგენილი რუსეთის საფრთხე, რომელიც კავკასიაში ვერ აიტანდა, მისი დასუსტებით მოსარგებლე, შორიდან მოსულ ბრიტანეთის იმპერიას, ხოლო მეორე მხრივ რუსეთის აღდგენის სურვილი, რომელსაც მისი უდიდებულესობის მთავრობისათვის ვალები უნდა დაებრუნებინა, ხოლო ვაჭრობასა და რუსეთში ბიზნესის კეთებას ომისაგან დაღლილი ბრიტანული ეკონომიკა უნდა გამოეცოცხლებინა. რაც მთავარია, რუსეთს, აღდგენის შემდეგ, არ უნდა გასჩენოდა რევანშისტული ზრახვები და არ უნდა დაკავშირებოდა გერმანიას.

ინსტიტუციონალურად საკითხთა აღნიშნული წყების გადაწყვეტა, პოლიტიკის შემუშავება ბრიტანეთის საომარ კაბინეტს, მასთან არსებულ აღმოსავლეთის საკითხთა კომიტეტს და ბრიტანეთის საიმპერიო საომარ კაბინეტს, ებარათ.¹¹ თუმცა, ამ უწყებათა შიგნით ყველაზე მნიშვნელოვანი იყო

¹⁰ ბრიტანული ჯარების სამხრეთ კავკასიაში განლაგების, ოდენობის უკეთესი ილუსტრაციისათვის იხილეთ ბრიტანეთის შამხედრო სამინისტროს რუკები (261).

¹¹ 1. საომარი კაბინეტი (The War Cabinet) 1916 წლის დეკემბერში ჩამოაყალიბა პრემიერ-მინისტრმა დევიდ ლოიდ ჯორჯმა. ის მოიცავდა მთავრობის წევრთა შეზღუდულ რაოდენობას 5-დან 7

პრემიერ-მინისტრის, საგარეო საქმეთა სამინისტროს და სამხედრო სამინისტროს, როგორც სამხრეთ კავკასიაში ოკუპაციის განმახორციელებელი ორგანოს, როლები. გადაწყვეტილებების მიღების პროცესში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა უწყებათაშორის კოორდინაციას, გადაწყვეტილებების მიმღებ პირთა პირად დამოკიდებულებებს საკითხებისადმი, პრეფერენციებს, მათ შორის პირად ურთიერთობებს, და ა.შ.

ღორდი ჯორჯ ნათანიელ კერზონი, კედლესტონის გრაფი, ინდოეთის ყოფილი მეფისნაცვალი; ჯერ აღმოსავლეთის საკითხთა კომიტეტის, შემდეგ შუა აღმოსავლეთის საკითხებში დეპარტამენტთაშორისი კონფერენციის თავმჯდომარე, საგარეო საქმეთა მინისტრ – არტურ ბალფურის პარიზის კონფერენციაზე გამგზავრების შემდეგ, 1919 წლის იანვარ-სექტემბერში, მინისტრის მოვალეობას ასრულებდა, ხოლო იმავე წლის ოქტომბრიდან საგარეო საქმეთა მინისტრად დაინიშნა. კონსერვატორი და იმპერიალისტი – კერზონი, ბრიტანულ პოლიტიკურ ელიტაში ყველაზე უკეთ ერკვეოდა აღმოსავლურ საკითხებში. ის ყოველთვის ხაზს უსვამდა რომ მინისტრთაგან მხოლოდ ის

წევრამდე, რათა ამ ორგანოს უფრო ეფექტურად ეპასუხა საომარი საჭიროებებით შექმნილი გამოწვევებისათვის. 2. 1918 წლის მარტში კაბინეტმა ჩამოაყალიბა აღმოსავლეთის კომიტეტი (Eastern Committee), რომლის პასუხისმგებლობაშიც შედიოდა აღმოსავლეთ სხელთაშუა ზღვისპირეთიდან ინდოეთამდე ტერიტორიებზე მსჯელობა. კომიტეტს თავმჯდომარეობდა ღორდი კერზონი, წევრები იყვნენ საგარეო საქმეთა მინისტრი არტურ ბალფური, მისი მოადგილე რობერტ სესილი, გენერალ-ლეიტენანტი იან ქრისტიან სმუთსი, სახელმწიფო მდივანი ინდოეთის საკითხებში ედვინ სამუელ მონტაგუ და საიმპერიო გენერალური შტაბის უფროსი ფელდმარშალი სერ ჰენრი უილსონი. კომიტეტი დაიშალა 1919 წლის 10 იანვარს და მის ადგილას წარმოიქმნა დეპარტამენტთაშორისი კონფერენცია შუა აღმოსავლეთის საკითხებზე (Interdepartmental Conference on Middle Eastern Affairs), რომლის პასუხისმგებლობაში კავკასიის რეგიონიც შედიოდა და მის შემადგენლობაში ასევე იყვნენ უმაღლესი თანამდებობის პირები. თავმჯდომარედ კვლავინდებურად ღორდი კერზონი რჩებოდა. კომიტეტისაგან განსხვავებით, კონფერენცია არ ყოფილა მუდმივმოქმედი ორგანო, ის პერიოდულად, საჭიროების მიხედვით იკრიბებოდა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ როგორც აღმოსავლეთის კომიტეტის, ასევე დეპარტამენტთაშორისი კონფერენციის დადგენილებებს მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათი ჰქონდათ მთავრობისათვის. 3. პერიოდულად იმართებოდა ხოლმე საიმპერიო საომარი კაბინეტის (Imperial War Cabinet) სხდომები, რომელშიც შედიოდნენ ბრიტანეთის საომარი კაბინეტის წევრები და დომინიონების (კანადა, ავსტრალია და სხვ.) პრემიერ-მინისტრები (345, 267).

ყოფილა აზიის ამა თუ იმ რეგიონში. როდესაც მინისტრთა კაბინეტის სხდომებზე თავის ვრცელ გამოსვლებს იწყებდა, ქედმაღლურად შენიშნავდა “თქვენ შეიძლება არ იცოდეთ...” (343, 510).

კერზონი, არა მხოლოდ ბრიტანეთში, არამედ მთლიანად გამარჯვებულ სახელმწიფოების პოლიტიკოსთა შორის, ყველაზე მაღალი თანამდებობის პირი იყო, რომელიც პარიზის სამშვიდობო კონფერენციის მსვლელობის მანძილზე მხარს უჭერდა საქართველოს მისწრაფებებს. 1880-90-იან წლებში სპარსეთსა და ცენტრალურ აზიაში მოგზაურობის დროს, რამდენჯერმე იმყოფებოდა თბილისში, ამ პერიოდიდან მოყოლებული მას განსაკუთრებული სენტიმენტები ჰქონდა ქართველებისადმი. ის ჯერ კიდევ 1889 წელს უფროსოდა რუსეთის შესვლას ინდოეთში. დარიალის ხეობასა და ჩრდილო-სამხრეთ კავკასიის დამაკავშირებელ სამხედრო გზის შესახებ წერდა: “ეს არის სახელგანთქმული უღელტეხილი, რომელმაც ხაზი გაავლო ალექსანდრესა და იუსტინიანეს დაპყრობითი ომების დროს, ანტიკური მსოფლიოს კავკასიური ჭიშკარი, რომელიც კეტავდა აღმოსავლეთს დასავლეთისაგან და მისი შესასვლელი და გამოსასვლელი არასოდეს ყოფილა ერთი სახელმწიფოს ხელში, სანამ ის რუსეთს არ ჩაუვარდა ხელში... ეს გზა დღეისათვის ყველა შემთხვევაში არის და სავარაუდოდ კიდევ დიდი ხნის მანძილზე შეინარჩუნებს უმაღლეს სამხედრო მნიშვნელობას, რადგან ის არის პირველადი დამაკავშირებელი არხი სომხეთთან და კასპიისპირეთთან...” (337, 28-29). ახალგაზრდა კერზონმა შემდეგ სამხრეთ კავკასიის დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ – ბათუმი-ბაქოს ხაზზე იმოგზაურა. ის ბათუმში რუსულ ჯარებს, ნავთობწარმოებას, ექსპორტს და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს აკვირდებოდა. ის წერდა: “არაფერს შეუძლია გადააჭარბოს ბათუმი-თბილისის სარკინიგზო ხაზის გასწვრივ არსებულ სილამაზეს”, კერზონი იხსენებდა არგონავტებს და იქვე უმატებდა, რომ იმ სიმდიდრით, რომელსაც ოქროს საწმისიც კი ვერ შეედრებოდა, რეგიონი ბევრ თანამედროვე “არგო“-ს იზიდავდა (336, 61-69). სპარსეთში მოგზაურობის შემდეგ, 1892 წელს, მან დაწერა ორტომიანი ნაშრომი “სპარსეთი და სპარსეთის საკითხი”, სადაც, სხვა თემებთან ერთად გვიან შუა საუკუნეებში ქართულ-სპარსული ურთიერთობის დეტალები განიხილა, შეხვდა მეჩვიდმეტე საუკუნის დასაწყისში საქართველოდან სამხრეთ სპარსეთში გადასახლებულ ქართველთა შთამომავლებს და ა.შ.

კერზონი სპარსეთთან პროტექტორატის ხელშეკრულების გაფორმებაზე მუშაობდა, რომელსაც 1919 წლის 9 აგვისტოს მოეწერა ხელი და მას სამხრეთ კავკასია, კერძოდ ბათუმი-ბაქოს ხაზი სპარსეთის, ავღანეთისა და ინდოეთის რუსეთისაგან დასაცავად სჭირდებოდა. რასაკვირველია, ბრიტანეთი აღდგენილ რუსეთს სამხრეთ კავკასიაში სამხედრო ძალით ვერ დაუპირისპირდებოდა, ამისათვის საჭირო იყო ძლიერი და დამოუკიდებელი კავკასია.¹²

მართალია, კერზონის საქართველოსადმი დამოკიდებულება სრულიად პრაგმატული მიზნებიდან გამომდინარეობდა, მაგრამ მას ქართველი ხალხისადმი პიროვნული სიმპათიაც ჰქონდა. ის საქართველოს ისტორიის დრმა ცოდნას ავლენდა და არაერთხელ ჩაუტარებია საიმპერიო, ბრიტანეთის საომარი კაბინეტებისა თუ აღმოსავლეთის კომიტეტისათვის “გაკვეთილები” ქართველთა წარჩინებულობის შესახებ (85; 95; 100). პრემიერ-მინისტრი დევიდ ლოიდ ჯორჯი იგონებდა: “მთავრობაში იყო ორი ძლიერი კაცი, რომლებიც ვნებიანი და დაუღალავი მომხრენი იყვნენ [რუსეთში] ინტერვენციის პოლიტიკისა. ერთი მათგანი იყო ლორდი კერზონი. მას ყველაზე მეტად საქართველოს ბოლშევიკური დაბინძურებისგან ხსნა აწუხებდა. მას განსაკუთრებული გრძნობა ამოძრავებდა კავკასიასთან მიმართებაში. ის იმყოფებოდა ამ რეგიონში რამდენიმე წლით ადრე და აღფრთოვანდა მამაცი მთიელი ხალხით. ლენინისა და ტროცკის დესპოტიზმში მათი მიტოვების აზრი მას საშინელი გრძნობებით აღაგებდა და ბოლომდე იბრძოლა საქართველოში ბრიტანული ჯარების დასატოვებლად.” (351, 213-214).

თუმცა, საქართველოსადმი არსებულ მის პირად გრძნობებს კერზონისათვის ხელი არ შეუშლია, აზერბაიჯანის ბოლშევიკური ოკუპაციისა და ბაქო-ბათუმის სტრატეგიული ხაზის მოშლის შემდეგ, მხარი არ დაეჭირა ახალგაზრდა რესპუბლიკის ერთა ლიგაში გაწევრიანებისათვის. 1920 წლის იანვარში, როდესაც მისი გეგმები ჯერ კიდევ ძალაში რჩებოდა, კერზონი იყო ინიციატორი პარიზის სამშვიდობო კონფერენციის მიერ საქართველოს დე ფაქტო აღიარებისა და მისთვის იარაღის მიწოდებისა, თუმცა 1 წლის შემდეგ,

¹² აღნიშნული ხელშეკრულების რატიფიკაციაზე სპარსეთის პარლამენტმა უარი განაცხადა. უფრო დაწვრილებით კავკასიასთან და სპარსეთთან მიმართებაში კერზონის პოლიტიკის შესახებ იხ. (384, 266-287; 379; 380, 50-82; 338; 356).

კვლავინდებურად ადასტურებდა რა თავის პირად სიმპათიებს ქართველებისადმი, ქვეყნის დე იურე აღიარების წინააღმდეგ გამოდიოდა (80).

მეორე მნიშვნელოვანი ინსტიტუცია, ბრიტანეთის ქართული პოლიტიკის ფორმირების საკითხში, სამხედრო სამინისტრო იყო. 1919 წლისა და 1920 წლის პირველი ნახევრის, სამხრეთ კავკასიასთან დაკავშირებულ, ბრიტანულ საარქივო დოკუმენტებს წითელ ხაზად გასდევს სამხედრო და საგარეო საქმეთა სამინისტროებს შორის დაპირისპირება იმ დონეზე, რომ მათი რეპორტები მოწინააღმდეგე სახელმწიფოთა მიერ მომზადებულ ანგარიშებს წააგავს.

უინსტონ ჩერჩილი სამხედრო მინისტრად 1919 წლის იანვარში დაინიშნა. ის რადიკალი ანტიბოლშევიკი და კოლჩაკ-დენიკინის მოხალისეთა მოძრაობის, რუსეთის აღდგენის თავგამოდებული მომხრე იყო. მისი ინიციატივით თეთრგვარდიული მოძრაობის დასახმარებლად ბრიტანეთმა 100 მილიონ ფუნტზე მეტი დახარჯა. ჩერჩილი აღნიშნული დახმარების გაგრძელებას 1920 წლის დასაწყისში, მოხალისეთა მოძრაობის ფაქტობრივი მარცხის შემდეგაც მოითხოვდა. გენერალ დენიკინის შტაბთან მოქმედებდა ბრიტანული სამხედრო მისია (ე.წ. Denmiss), რომელიც გარდა ინსტრუქტაჟისა, ხშირად პირადად იღებდა მონაწილეობას ანტიბოლშევიკურ სამხედრო ოპერაციებში.¹³

როგორც საქართველოში შემოსულ, ასევე დენიკინის შტაბში მივლინებულ სამხედრო ხელმძღვანელებს, 1918 წლის დეკემბრიდან 1919 წლის სექტემბრამდე, დიპლომატიური როლების შესრულებაც უწევდათ. მათ სათანადო არც კვალიფიკაცია, არც განათლება არ გააჩნდათ. ბრიტანელი გენერლები ვერ გაერკვნენ ისედაც გაურკვეველ ბრიტანულ პოლიტიკაში. სამხედრო სამინისტრო მათ ბოლშევიკურ ელემენტებთან ბრძოლას, ერთიანი რუსეთის ლოზუნგით მოქმედ დენიკინის დახმარებას ავალებდა, ხოლო საგარეო საქმეთა სამინისტროს გაცხადებული პოლიტიკა საქართველოს დამოუკიდებლობის მხარდაჭერა იყო. ძნელად თუ მოეთხოვებოდა ბრიტანელ სამხედრო მოსამსახურეს ბოლშევიკისა და მენშევიკის წითელი დროშების ერთმანეთისაგან გარჩევა ან ადგილობრივ ხალხთა ზედმიწევნით ცოდნა.

¹³ მოხალისეთა მოძრაობასა და ბრიტანეთის სამხედრო სამინისტროს ურთიერთობათა შესახებ დაწერილებით იხ. (361; 350; 333).

ბრიტანელი გენერლები მაინც ყოველთვის ცდილობდნენ და ახერხებდნენ საქართველოსა და აზერბაიჯანის მიმართულებით დენიკინის პირდაპირი სამხედრო აგრესიის შეკავებას.¹⁴ მათი ამ ქმედებით არც რუსი გენერალი იყო კმაყოფილი (370). ბრიტანელი სამხედროები განწირულნი იყვნენ იმისათვის, რომ მათი ქმედება ადგილობრივ მთავრობათა უკმაყოფილებას გამოიწვევდა, რადგან ისინი ერთმანეთისადმი დაპირისპირებულ ორ რადიკალურ მხარეს შორის იდგნენ, არ გააჩნდათ შესაბამისი დიპლომატიური კვალიფიკაცია და მისი უდიდებულესობის მთავრობაში არ არსებობდა ცალსახა სახელმწიფო პოლიტიკა, რომელსაც უნდა დამორჩილებოდნენ. აღნიშნული გაუგებრობები დღის წესრიგიდან მოიხსნა, როდესაც საგარეო საქმეთა სამინისტრომ პოლიტიკურ საკითხთა დასარეგულირებლად სამხრეთ (1919 წლის აგვისტოს ბოლოს) და ჩრდილოეთ (1920 წლის იანვარში) კავკასიაში უმაღლესი კომისრები მიაველინა.

პრემიერ-მინისტრი ლოიდ ჯორჯი დიდად არ აქტიურობდა კავკასიის გარშემო მიმდინარე დისკუსიებში, მაგრამ მისი სურვილი იყო რაც შეიძლება მალე დაესურა პრობლემატური “რუსეთის საკითხი”. ის, კერზონისაგან განსხვავებით, რუსეთის მიერ ბაქოდან აღმოსავლეთით, ბრიტანეთისათვის შექმნილ საფრთხეს ვერ ხედავდა. ლოიდ ჯორჯს ასევე ადარდება ჩერჩილის, ახირებადვე მისული, ანტიბოლშევიკური გეგმები. მას ომის შემდგომი ბრიტანული ეკონომიკის ფორმაში მოყვანა, ლეიბორისტული ოპოზიციის პაციფისტური პროტესტის ჩაცხრომა სურდა.¹⁵ ამისათვის საჭირო იყო ჯარების სახელში დაბრუნება და რუსეთში ვითარების დალაგება. პრემიერისათვის მთავარი იყო ბრიტანეთს ომი დაესრულებინა და საკუთარ თავზე არ აეღო ანტიბოლშევიკურ ჯვაროსნულ ლაშქრობაზე პასუხისმგებლობა. მან მოახერხა, რომ ისეთი ძლიერი პოლიტიკური ფიგურები, როგორებიც კერზონი და ჩერჩილი იყვნენ, ლონდონში დაეტოვებინა სამუშაოდ. ქვეყნის შიგნიდან და გარედან წამოსულ მოლოდინს იმის თაობაზე, რომ ბრიტანეთს ბოლშევიკთა წინააღმდეგ რამე უნდა ეღონა, ლოიდ ჯორჯი ტაქტიანად და დიპლომატიურად, კითხვით

¹⁴ დოკუმენტები დენიკინის არმიის საქართველოსთან დამოკიდებულებისა და ინგლისელ სამხედროთა შუამავლობის შესახებ იხ. (255)

¹⁵ უფრო დაწვრილებით რუსეთში ბრიტანული ინტერვენციის შესახებ ლეიბორისტების მცდელობის შესახებ იხ. (344, 83-115).

პასუხობდა: “თქვენ რამდენი ჯარისკაცის მოწოდება შეგიძლიათ?” ამ მიმე ტვირთის საკუთარ თავზე აღება, რასაკვირველია, არავის სურდა და როდესაც კოლეგებისაგან უარყოფით პასუხს მიიღებდა, შემდეგ უფრო ადვილად აყენებდა, რუსეთთან მიმართებით, საკუთარ სამშვიდობო პირობებს.¹⁶

ბრიტანეთის კავკასიური პოლიტიკის ფორმირებაში ასევე მონაწილეობდნენ საგარეო საქმეთა მინისტრი არტურ ბალფური, მისი მოადგილე ლორდი რობერტ სესილი, ინდოეთის საქმეთა მინისტრი ედვინ მონტაგუ და სხვა არაერთი მაღალჩინოსანი, რომლებიც, ლოიდ ჯორჯისა და ჩერჩილის მსგავსად, ძირითადად სამხრეთ კავკასიიდან ბრიტანული ჯარების რაც შეიძლება სწრაფი ევაკუაციით იყვნენ დაინტერესებულნი. თუმცა, მათი აქტივობა საკითხთან მიმართებაში, იმავე კერზონისა და ჩერჩილისაგან განსხვავებით, ინტენსიური არ ყოფილა.

სამხრეთ კავკასიასთან მიმართებაში ბრიტანეთის დელეგაციის გზამკვლევის მომზადება სერ ერლ რიჩარდსს დაევალა. ამ დოკუმენტს უნდა განესაზღვრა დელეგაციის მიზნები, ამოცანები, რეგიონში ტერიტორიული გადანაწილების პრინციპები და ა.შ. რიჩარდსი რეკომენდაციებს აღმოსავლეთის საკითხთა კომიტეტისაგან ღებულობდა, სადაც თავმჯდომარე – ლორდი კერზონი საქართველოს საკითხის განსაზღვრაზე კეთილისმყოფელ გავლენას ახდენდა. თავის მხრივ აღმოსავლეთის საკითხთა კომიტეტი საგარეო და სამხედრო სამინისტროებიდან მიწოდებულ მემორანდუმებსა თუ რეპორტებს ეყრდნობოდა.

1918 წლის დასასრულისათვის საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური დაზვერვის დეპარტამენტში მუშაობდა საქართველოს ძველი მეგობარი ოლივერ უორდროპი. სწორედ ამ დეპარტამენტმა 28 ოქტომბერს მოამზადა უაღრესად პროქართული დოკუმენტი “მემორანდუმი სამხრეთ კავკასიაში შექმნილი პოლიტიკური ვითარების შესახებ”, სადაც უდავო ქართულ ტერიტორიად არის გამოცხადებული ზაქათალა, ლორე, ახალციხე-ახალქალაქი,

¹⁶ მაგალითისათვის იხ. ლოიდ ჯორჯის მიმართვა ბრიტანეთის იმპერიის სამშვიდობო დელეგაციაში შემავალ დომინიონთა ხელმძღვანელებისადმი (112), ასევე (84) და უმაღლესი საბჭოს სხდომაზე მისივე კითხვა ვუდრო უილსონს, ჟორჟ კლემანსოსა და იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრ სონინოს (301, 651).

ოლთისი, არდაგანი, ბათუმი, ლაზისტანი და ისტორიული აფხაზეთი ტუაფსემდე. დოკუმენტში არის მცდელობა, მსოფლიო ომის მსვლელობისას წარმოქმნილი მძლავრი არმენოფილური მოძრაობის საპირწონედ, საქართველოს, როგორც რეგიონალური ლიდერის, სტატუსის დამკვიდრებისა. მასში ვკითხულობთ: “...სამხრეთ კავკასიაში შექმნილ ვითარებას ვერ გავიგებთ თუ არ გავაანალიზებთ, რომ არა სომხები, არამედ ქართველები წარმოადგენენ დომინანტ ეთნოსს რეგიონში.” (86)

აღნიშნული მემორანდუმი წყაროდ იქცა მომდევნო პროქართული დოკუმენტებისათვის. 1 ნოემბერს საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური დაზვერვის დეპარტამენტმა, სამთავრობო უწყებებისათვის, მიმოქცევაში გამოუშვა “მემორანდუმი, ბრიტანეთის ინტერესების გათვალისწინებით, კავკასიის საკითხის სამომავლო მოგვარებაზე”. დოკუმენტი ფაქტობრივად იმეორებდა ქართული მხარის არგუმენტებს და ის სრულ შესაბამისობაში იყო საქართველოს ეროვნულ მისწრაფებებთან. მემორანდუმი დასაყრდენი დოკუმენტი გახდა აღმოსავლეთის საკითხთა კომიტეტის იმპერიალისტური, ანტირუსული ნაწილისათვის. პოლიტიკური დაზვერვის დეპარტამენტი ემსრობოდა სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკათა დამოუკიდებლობას, მათ შორის ყველაზე ადრე საქართველოს აღიარების რჩევას იძლეოდა, როგორც ქვეყნისა, რომელსაც ყველაზე მაღალი პოლიტიკური განვითარებისა და კულტურის დონე, ამასთანავე უძველესი ისტორია გააჩნდა. დოკუმენტი მოითხოვდა, რომ რეგიონზე მანდატი დიდ ბრიტანეთს ან ამერიკას აეღოთ (110).

7 ნოემბერს საგარეო საქმეთა სამინისტრომ, კერძოდ სერ ეირ ქროუმ მოამზადა მორიგი, 17 პუნქტიანი “მემორანდუმი შესაძლო ტერიტორიულ პოლიტიკაზე კავკასიაში”. აქ მხარდაჭერილია კავკასიის რესპუბლიკათა დამოუკიდებლობა, მაგრამ ამასთანავე ხაზგასმულია ფრთხილი მოქმედების საჭიროება, რათა აღდგენილ რუსეთს არ გასჩენოდა მტრული ზრახვები, იმის გამო რომ მოკავშირეებმა ისარგებლეს მისი დასუსტებით და ტერიტორიები გამოაცალეს. პირველ ამოცანად მემორანდუმი რესპუბლიკებში არსებულ ხელისუფლებათა ცნობას სახავედა, მაგრამ იმ ფორმით, რომ ნებისმიერ საჭირო მომენტში შესაძლებელი ყოფილიყო ვითარების შემობრუნება. ანუ, თუ რუსეთი მაღევე აღდგებოდა, მაშინ კავკასიის რესპუბლიკები შესაძლო იყო ავტონომიური სახით მას შეერთებოდნენ, ხოლო თუ ყოფილ მეტროპოლიაში ანარქია დიდი

ხნით გაგრძელდებოდა, ამ შემთხვევაში მათი დამოუკიდებლობა პერმანენტულ სახეს მიიღებდა. ერთი კი ცხადი იყო – რეგიონი ბრიტანეთის ინტერესის ქვეშ მყოფ ტერიტორიებს ესაზღვრებოდა და იმპერიას მსოფლიოს ამ ნაწილში ანარქია არ უნდა დაეშვა. საქართველოს ეხებოდა მემორანდუმის მერვე პუნქტი: “საქართველო არის კომპაქტური ტერიტორია შესაბამისი პორტებითა და რკინიგზებით. აქ სახლობს პოლიტიკური დამოუკიდებლობის ტრადიციის მქონე ხალხი და არის ერთფეროვანი როგორც ენით, ასევე თითქმის სარწმუნოებითაც. გამონაკლისს წარმოადგენს ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთით მაცხოვრებელი მუსულმანური უმცირესობა, რომელიც შეიძლება გაიზარდოს იმ შემთხვევაში თუ თურქეთის საზღვრის იქით მოსახლე ქართულად მოსაუბრე ელემენტები (ლაზები) საქართველოსთან გაერთიანდებიან. შედარებით უფრო ადვილი იქნება საქართველოს მთავრობის ცნობა, თუმცა ჩვენ მისგან გერმანიასთან არსებული განსაკუთრებული ურთიერთობების გაწყვეტა უნდა მოვითხოვოთ. გარედან დახმარება შინაურ ადმინისტრაციაში საქართველოს მცირე ოდენობით ან საერთოდ არ დასჭირდება. ის რეგიონში შესული დიდი სახელმწიფოსათვის მთავარი დასაყრდენი იქნება, როგორც ამ სამ სახელმწიფოს შორის ყველაზე კომპაქტური და პოლიტიკურად განვითარებული. ამ უპირატესობის მისაცემად შესაძლოა საქართველოს ერთი პირობა წაეყენოს. სახელდობრ ის, რომ ბათუმი და ფოთი გამოცხადდეს თავისუფალ პორტებად. დაშვებული უნდა იყოს თავისუფალი ტრანზიტი რკინიგზით, აზერბაიჯანთან, დაღესტანთან, სომხეთთან, სპარსეთთან და ცენტრალურ აზიასთან ვაჭრობისათვის.” (103)

მომდევნო ეტაპზე საგარეო საქმეთა სამინისტრომ, იმავე ეირ ქროუმ, კავკასიის სახელმწიფოთა ტერიტორიული გამიჯვნის პრინციპები შეიმუშავა, რომლებიც, ხშირ შემთხვევაში, თანხვედრაში მოდიოდნენ პარიზში საქართველოს დელეგაციის მიერ წარდგენილ ტერიტორიულ მოთხოვნებთან. ბრიტანული გეგმის მიხედვით, საქართველოს უნდა მიკუთვნებოდა ეთნიკურად ქართული, თუმცა სარწმუნოებით მუსულმანური ბათუმის ოლქი და ლაზისტანის სანჯაყი; ახალციხისა და ახალქალაქის მაზრები, ლორეს ოლქი; ზაქათალის ოლქთან მიმართებაში ნათქვამია, რომ ეს იყო ქართველებს, მთიელებსა და აზერბაიჯანელებს შორის სადავო ტერიტორია, თუმცა, ქროუს მტკიცებით, ქართველებსა და აზერბაიჯანელებს შორის გამიჯვნა არ გაჭირდებოდა. ერთადერთი მიმართულება, სადაც ბრიტანულმა მემორანდუმმა საქართველოსათვის არახელსაყრელი პოზიცია დაიჭირა, იყო აფხაზეთი. მის

შესახებ ვკითხულობთ: “ეს ტერიტორია დასახლებულია აფხაზებით, ადგილობრივი მუსულმანური ტომით, რომელთა ენა არ არის ქართული. ბოლო რამდენიმე თვის მანძილზე ქართველები მათი ტერიტორიის ანექსიას ცდილობდნენ და როგორც გადმოგვცემენ აფხაზები შეიარაღებულ წინააღმდეგობას უწევდნენ მათ. ისინი არ უნდა გაიძულათ საქართველოსთან მათი ნების წინააღმდეგ გაერთიანდნენ. აფხაზები ან რუსეთის ნაწილად უნდა დარჩნენ, ან დამოუკიდებელ ერთეულად ჩამოყალიბდნენ და მიეცეთ საგარეო დახმარება.” (88)¹⁷

1918 წლის 5 დეკემბერს, სამხედრო მინისტრად ჩერჩილის დანიშვნამდე და ბრიტანული ჯარების რეგიონში შესვლამდე, გენერალური შტაბის უფროსმა – სერ ჰენრი უილსონმა მოამზადა საქართველოსათვის საკმაოდ ხელსაყრელი, 15 პუნქტიანი მემორანდუმი სახელწოდებით “სამხრეთ კავკასიის საკითხის სამომავლო მოგვარება: სამხედრო ასპექტი”. მემორანდუმის თანახმად, რეგიონის მანდატის საფრანგეთისათვის გადაცემა სახიფათო იყო, რადგან, მიუხედავად მიმდინარე მომენტში მეგობრული ურთიერთობისა, ეს ქვეყანა სამომავლოდ შეიძლება აღმოსავლეთში ბრიტანეთის იმპერიის მეტოქე გამხდარიყო და მას საფრთხე ინდოეთის ან სპარსეთისთვის შეექმნა. ამასთანავე საფრანგეთი, თავისი გავლენის ზონით, აღდგენილ რუსეთს გაუმეზობლდებოდა და შესაძლო იყო მასთან ალიანსში დაპირისპირებოდა ბრიტანეთის აღმოსავლურ ინტერესებს. ამიტომ საჭირო იყო ბრიტანული გავლენის ქვეშ მყოფი სამხრეთ კავკასიის დამოუკიდებლობისათვის მხარის დაჭერა. მემორანდუმის მეათე პუნქტი ეხებოდა საქართველოს: “საქართველოს საკითხი დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს,

¹⁷ აფხაზეთის დამოუკიდებლობის იდეის წამოწვევა ბათუმში ბრიტანეთის კონსულ სტივენსის მემორანდუმს უნდა უკავშირდებოდეს (90). ასევე დენიკინის შტაბში მუშაობდა ეროვნებით აფხაზი კაპიტანი ხასაია, რომელიც პარიზის საზავო კონფერენციას იმავე სტივენსის შუამავლობით “აფხაზი ხალხის სახელით” წერდა მემორანდუმებს და ამ ტერიტორიის ქართველთაგან გათავისუფლებას ითხოვდა (204). თავად სტივენსი აფხაზეთის რუსეთის შემადგენლობაში შესვლას უჭერდა მხარს (226). კერზონისათვის გაგზავნილ ტელეგრამაში, სამხრეთ კავკასიაში ბრიტანეთის უმაღლესი კომისარი – ოლივერ უორდროპი აღნიშნავდა, რომ ხასაიას არანაირი უფლება არ ჰქონდა აფხაზი ხალხის სახელით ელაპარაკა, რადგან ის დენიკინის თამაშს თამაშობდა, ხოლო ადრე თურქებისას. ბრიტანელი კომისარი დასძინდა, რომ აფხაზებს კულტურა ქართველებისაგან ჰქონდათ ადებული და არა რუსებისაგან. ის დარწმუნებული იყო, რომ რეგიონში მშვიდობას საფრთხე არ შეექმნებოდა თუ დენიკინი გარედან არ მოაწყოდა პროვოკაციებს (147; 139).

უბრალო აუცილებლობაა მივიღოთ ქართველთა სურვილი დამოუკიდებლობის თაობაზე; უნდა აღინიშნოს, რომ ეს საკითხი შესაძლოა მალევე გადაწყდეს, როდესაც ჩვენი ჯარები ბათუმში ჩავლენ.” (105) საქართველოსთან მიმართებაში, სამხედრო და საგარეო უწყებათა პოზიციები ესე ახლოს, როგორც ზემოთმოყვანილ მემორანდუმებშია ასახული, 1919-1921 წლების მანძილზე აღარასოდეს ყოფილა.

ამ ფონზე, 1918 წლის 2 დეკემბერს, აღმოსავლეთის კომიტეტი შეუდგა სამხრეთ კავკასიის საკითხზე მსჯელობას. ლორდმა კერზონმა საქართველოს უახლეს ისტორიაზე “გაკვეთილი” ჩაატარა და დასძინა: “ჩემი აზრით, ჩვენი ზოგადი პოლიტიკა უნდა იყოს, და ეს არის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ აღებული ხაზი, საქართველოს დამოუკიდებლობის წახალისება ჩვენს ხელთ არსებული ყველა რესურსით.” კერზონი კავკასიის გავლით სპარსეთისკენ ახალი სავაჭრო გზის გახსნაზე ფიქრობდა, მას ბაქოს ნავთობიც აინტერესებდა და უპირველეს ყოვლისა სპარსეთის რუსეთისგან დაცვას უმიზნებდა. მიუხედავად ამისა, მას კარგად ესმოდა, რომ აღდგენილი რუსეთისათვის ბრიტანეთს შორეულ კავკასიაში სამხედრო წინააღმდეგობის გაწევა გაუჭირდებოდა და ამიტომ არც რეგიონის ფედერალიზებულ მეტროპოლიაში დაბრუნებას გამორიცხავდა.

თავმჯდომარის მოსაზრებებს დაუპირისპირდნენ საგარეო საქმეთა მინისტრის თანაშემწე ლორდი რობერტ სესილი და ინდოეთის საქმეთა მინისტრი ედვინ მონტაგუ. ლორდი სესილის აზრით, არც ერთი ევროპული სახელმწიფო არ აიღებდა რეგიონზე პასუხისმგებლობას, რადგან რუსებს თავის დროზე იქ 150 ათასი ჯარისკაცი ჰყავდათ წესრიგის დასაცავად, რასაც მოცემული მომენტისათვის ვერავინ გააკეთებდა და მთლიანობაში, მას არ სჯეროდა საქართველოსა და დაღესტნის დამოუკიდებელი არსებობისა. მონტაგუს ვერ გაეგო საერთოდ რატომ უნდა აეღო ბრიტანეთს რაიმე პასუხისმგებლობა (100).

კომიტეტში საკითხზე მსჯელობა 9 დეკემბრის სხდომაზე გაგრძელდა. ამჯერად მას საგარეო საქმეთა მინისტრი ბალფური და გენერალური შტაბის უფროსი ჰენრი უილსონიც ესწრებოდნენ. კერზონმა დასამტკიცებლად წარმოადგინა 14 პუნქტიანი რეზოლუციის პროექტი. ამათგან საქართველოსათვის უმნიშვნელოვანესი იყო ის პუნქტები, რომლებიც ა) მოითხოვდნენ უწინარეს

სხვა რესპუბლიკებისა, საქართველოს აღიარებას; ბ) მანდატორ სახელმწიფოდ დიდი ბრიტანეთის დანიშვნას; გ) ბრიტანეთის მიერ, რეგიონში სტაბილური ვითარებისა და მთავრობების დამკვიდრებამდე, სამხედრო ოკუპაციის გაგრძელებას, როგორც ბაქო-ბათუმის ხაზზე, ასევე კასპიის ზღვაშიც; დ) ბათუმისა და ლაზისტანის საქართველოსათვის გადაცემა.

აღნიშნულ პუნქტთა გარშემო დაიწყო კამათი. ეს იყო კერზონის მაქსიმალისტური გეგმები, რომლებიც იოლად ვერ გავიდოდნენ. კომიტეტის თავმჯდომარე 2 დეკემბრის სხდომაზე ეჭვობდა შეძლებდა თუ არა ბრიტანეთი კავკასიის დაცვის საკუთარ თავზე აღებას, მაგრამ უილსონის 5 დეკემბრის მემორანდუმით შეგუდიანებულმა ეს იდეაც წამოაყენა. მოწინააღმდეგეთა რიგებში იყვნენ ბალფური, სესილი და მონტაგუ. ბალფური უკმაყოფილო იყო გენერალური შტაბის პოლიტიკით, რომელიც ყოველ ხუთ წელიწადში სულ უფრო დასავლეთისაკენ სწევდა ინდოეთის დაცვის ხაზს და განსაკუთრებით ახლა, როდესაც უმთავრესი საფრთხე, რუსეთის სახით, ფაქტობრივად აღარ არსებობდა. მინისტრის აზრით, მსჯელობა სულ ტყუილად მიმდინარეობდა, რადგან სულაც არ იყო სავალდებულო პარიზში ბრიტანეთის დელეგაციას რაიმე პოზიცია ჰქონოდა რეგიონთან მიმართებაში. ის არც რეგიონში წესრიგის დაცვით იყო დაინტერესებული. მას არ ახარებდა ის მდგომარეობა, რომ ახლომდებარე ტერიტორიებზე გასაგზავნად ერთი ოცეულის შოვნაც კი ჭირდა, ხოლო კავკასიაში ათასობით ბრიტანელი სამხედრო უნდა გაეგზავნათ.

ლორდი კერზონი უარყოფდა კავკასიის მუდმივი ოკუპაციის იდეას. მისი აზრით, ბრიტანული ჯარები რესპუბლიკებს უნდა დახმარებოდნენ სახელმწიფოებრიობის გამყარებაში და რეგიონს დატოვებდნენ მას შემდეგ, რაც ადგილობრივი მაცხოვრებლები მზად იქნებოდნენ, რომ საკუთარ საქმეებს თავად გაძღვოდნენ. კერზონის სიტყვებით, მათ შანსი უნდა მისცემოდათ დამოუკიდებელი არსებობისა.

ჰენრი უილსონიც რეგიონში ბრიტანული ჯარების ყოფნას ემხრობოდა, იმ განსხვავებით, რომ მათ აღმოსავლეთი შესაძლო ფრანგული თავდასხმისაგან უნდა დაეცვათ.

თავმჯდომარისა და გენერალური შტაბის უფროსის წინააღმდეგობრივ პოზიციებს შორის გარკვევა გაუჭირდა ლორდ სესილს – თუ რეგიონში

ბრიტანული ჯარები საფრანგეთის ან რუსეთისაგან აღმოსავლური პოზიციების დასაცავად შედიოდნენ, მაშინ რატომ უნდა გამოსულიყვნენ უკან რესპუბლიკათა ფეხზე დაყენების შემდეგ? თუ მიზანი აღმოსავლური პოზიციების დაცვა არ ყოფილა, რა საჭირო იყო კავკასიის სახელმწიფოთა ფეხზე დაყენება? სესილი წინააღმდეგი არ იყო ფრანგების კავკასიაში შესვლისა თუ ისინი საიქს-პიკოს შეთანხმებას გადახედავდნენ და სანაცვლოდ სამხრეთის მიმართულებით განახორციელებდნენ დათმობებს (101). თუმცა ეს მხოლოდ თეორია იყო. პრაქტიკაში ფრანგებს არ იზიდავდა არც რეგიონი და მით უმეტეს ასეთი გარიგება.

შეთანხმება ვერ მოხერხდა და 16 დეკემბრის სხდომაზე ლორდმა კერზონმა გაცილებით უფრო ზომიერი, 13 პუნქტიანი რეზოლუციის პროექტი წარმოადგინა, რომლის მცირედი შესწორებებით მიღებაზე კომიტეტმა საკმაოდ ძუნწი თანხმობა განაცხადა.

მიღებულ ვერსიაში უცვლელი დარჩა საქართველოსათვის უმნიშვნელოვანესი პუნქტები: ბრიტანეთის სურვილია კავკასიაში იხილოს ძლიერი, დამოუკიდებელი სახელმწიფოები; საქართველო მათ შორის არის ყველაზე განვითარებული და ყველაზე მეტი საფუძველი აქვს მოკლე ხანში იქნას აღიარებული; ბათუმი და ლაზისტანი უნდა შეუერთდეს საქართველოს; მოცემული მომენტისათვის ბრიტანეთმა უნდა შეინარჩუნოს საზღვაო კონტროლი კასპიის ზღვაზე; ბათუმი, ფოთი, ტრაპიზონი, ბაქო უნდა გახდნენ თავისუფალი ნავსადგურები და უზრუნველყოფილ უნდა იქნას რკინიგზით თავისუფალი ტრანზიტი ბათუმიდან ბაქოს მიმართულებით; ყურადღება უნდა მიექცეს ბაქოში და ბაქოს ნავთობსაბადოებზე საერთაშორისო ინტერესების დაცვას.

თუმცა, წინა პროექტისაგან განსხვავებით, ახალ ვერსიაში მეშვიდე და მერვე პუნქტებად გაჩნდა შემდეგი ჩანაწერები:

7. "...მხოლოდ ბოლო ვარიანტად, თუ იძულებული გახდება ბრიტანეთმა შესაძლოა, თავისი სურვილის წინააღმდეგ, დროებით აიღოს მანდატის ვალდებულება.

8. ჩვენ არც ერთ შემთხვევაში არ გვაქვს სურვილი აღნიშნულ ტერიტორიათაგან რომელიმეს ანექსიის ან მათი ბრიტანეთის პროტექტორატად

ქცევისა. არ გვსურს ავიღოთ ვალდებულება, რომელიც დიდი რაოდენობის ბრიტანული ჯარებით კავკასიის უზრუნველყოფას გამოიწვევს.” (102; 89; 106).

კომიტეტმა ფაქტობრივად უარი თქვა რეგიონში აქტიური პოლიტიკის გატარებაზე, რაც ასუსტებდა საქართველოს შესახებ რეზოლუციაში შეტანილ ბევრ დადებით პუნქტს, რადგან ინტერესდაკარგული ბრიტანეთი ბევრს აღარ იბრძოლებდა მათ ცხოვრებაში გასატარებლად. თუმცა კავკასიურ პოლიტიკაზე მყისიერად ხელის აღება ვერ მოხერხდებოდა, რადგან საიმპერიო ჯარები ახალი მისულები იყვნენ რეგიონში და ვერ მიატოვებდნენ ბათუმი-ბაქოს ხაზს, სანამ ალტერნატივა ან ახალი პოლიტიკა არ დაისახებოდა. ბრიტანეთს გარკვეული ხანი მოუწევდა აქტიური როლის შესრულება კავკასიაში სურდა ეს აღმოსავლეთის კომიტეტს თუ არა.

აღსანიშნავია ის, რომ იმპერიის ხელისუფლების დამაინტერესებელ კატალიზატორ ფაქტორად ვერ იქცა სამხრეთ კავკასიის მდიდარი ბუნებრივი რესურსები. ამ შემთხვევაში ძირითადად საუბარია ჭიათურის მანგანუმსა და ბაქოს ნავთობზე. ეს განპირობებული იყო იმით, რომ მანგანუმის ნომერ მეორე მომპოვებელი მსოფლიოში – ინდოეთი დიდი ბრიტანეთის კოლონია იყო; ხოლო, ბაქოსთან შედარებით, პოლიტიკურად უფრო უსაფრთხო ნავთობის მოპოვება იმპერიას მისთვის სამანდატოდ მიკუთვნებულ მესოპოტამიაში შეეძლო (340; 341; 248; 166; 290, 678-680; 72; 189; 190).

მოგვიანებით, 1927 წელს, სამართლიანად შენიშნავდა პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე ქართული დელეგაციის ერთ-ერთი მეთაური – ირაკლი წერეთელი, რომ ინგლისი იყო ერთადერთი ქვეყანა, რომელსაც შეიძლებოდა რაღაც ინტერესი ჰქონოდა საქართველოსთან მიმართებაში, რადგან ეს უკანასკნელი წარმოადგენდა ინდოეთამდე და სპარსეთამდე მისასვლელ გზას, მაგრამ ინგლისურ ბურჟუაზიას არ სურდა შეჯიბრში ჩაბმულიყო რუსეთთან იმ ტერიტორიისათვის, რომელიც რუსეთისათვის უფრო ხელმისაწვდომი იყო, ვიდრე ინგლისისათვის (355, 205).

აღმოსავლეთის საკითხთა კომიტეტის მიერ მიღებული რეზოლუციის საქართველოსათვის დადებითი მომენტი იყო ის, რომ 1918 წლის ბოლოსათვის, ლორდმა კერზონმა, თავისი პირადი ცოდნისა და ქართველებისადმი არსებული სიმპათიის გამო, სცადა ბრიტანულ პოლიტიკურ ელიტაში შეექმნა და

ოფიციალურ დოკუმენტში დააფიქსირა ქვეყნის მაღალი იმიჯი, რომელიც განიხილებოდა არა როგორც მტრის მოკავშირედ, არამედ ქვეყნად, რომელსაც გამარჯვებული სახელმწიფოები უნდა დაყრდნობოდნენ. ასევე მნიშვნელოვანი იყო ბრიტანეთის მიერ საქართველოს ტერიტორიული მოთხოვნებისადმი მხარის დაჭერა.

რეზოლუციის პუნქტები ფაქტობრივად უცვლელად გადავიდნენ სერ ერლ რიჩარდსის მიერ, ბრიტანეთის სამშვიდობო დელეგაციისათვის, მომზადებულ გზამკვლევში (110).

მართალია, ლორდმა კერზონმა ვერ მოახერხა აღმოსავლეთში აქტიური იმპერიალისტური, ანტირუსული გეგმების გატანა, მაგრამ ბრიტანეთის საგარეო უწყება დაადგა სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკათა დამოუკიდებლობის მხარდაჭერის ფრთხილ, დაბალანსებულ და ამავე დროს რუსეთთან კონფრონტაციის გამომრიცხავ გზას.

როგორც სერ ერლ რიჩარდსის გზამკვლევისა და 1918 წლის დასასრულის სხვა ბრიტანულ მემორანდუმებშია აღნიშნული, კავკასიის რესპუბლიკათა ფლაგმანი საქართველო უნდა ყოფილიყო. ამის შედეგი იყო ის, რომ 1918 წლის 30 დეკემბერს, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის თანაშემწემ – სერ ლუის მალეტმა ლონდონში მყოფ საქართველოს წარმომადგენლებს შემდეგი შინაარსის ნოტა გაუგზავნა: “მისი უდიდებულესობის მთავრობა თანაგრძნობით შეხვდა საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადებას და მზად არის დაიცვას მისი ცნობა სამშვიდობო კონფერენციაზე.” (229; 12, 25; 318, 195). კავკასია არ ყოფილა გამონაკლისი შემთხვევა. ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ დამოუკიდებელ რესპუბლიკათა ჩამოყალიბებას დაუჭირა მხარი ბალტიისპირეთის შემთხვევაშიც, სადაც წამყვან სახელმწიფოდ ესტონეთი ითვლებოდა და ქართველთათვის გაგზავნილი ნოტის ანალოგი მათაც გაუგზავნათ (361, 53). მოკლედ რომ ვთქვათ, ბრიტანეთის საგარეო უწყებას სურდა რუსეთისაგან ახალშექმნილ რესპუბლიკათა ჩამოშორება და იქ საკუთარი დასაყრდენის გაჩენა, მაგრამ მზად არ იყო ამისათვის აღდგენილ რუსეთთან კონფრონტაციაში ჩაბმულიყო.

პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე ბრიტანულ პოლიტიკას, ხშირ შემთხვევაში, ერთპიროვნულად, საიდუმლოდ აწარმოებდა პრემიერ-მინისტრი

ლოიდ ჯორჯი. ის აღმოსავლეთის კომიტეტის სხდომებს არ ესწრებოდა და საკითხავი იყო, რამდენად გაითვალისწინებდა კომიტეტისა თუ საგარეო საქმეთა სამინისტროს რჩევებს, რადგან ის ყოველთვის ყურადღებით არ უსმენდა აღნიშნულ უწყებათა მითითებებს. მეტადრე მას პარიზში მიჰყავდა საკმაოდ სუსტი მინისტრი – ბალფური, რომელიც თავის მხრივ მოწინააღმდეგე იყო კავკასიაში აქტიური ბრიტანული პოლიტიკის წარმოებისა და კომპრომისის შედეგად დათანხმდა ლორდი კერზონის მიერ წარმოდგენილ იმ პუნქტებს, რომლებიც საქართველოს გარკვეულ უპირატეს მდგომარეობაში აყენებდნენ. ბრიტანული დელეგაციის პარიზში გამგზავრება ლოიდ ჯორჯისა და ბალფურის შემადგენლობით იძლეოდა რეალურ საშიშროებას იმისა, რომ აღმოსავლეთის კომიტეტისა და შემდეგ ერლ რიჩარდსის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების ის ნაწილი, რომელიც საქართველოს ადრეულ ცნობას ითვალისწინებდა, ფურცელზევე დარჩებოდა.

კავკასიის საკითხის გარშემო დაპირისპირებულ მხარეთა ჭიდილის ფონზე, 1918 წლის 12 დეკემბერს, ბრიტანული დელეგაციის პარიზში გამგზავრების წინ, შედგა ბრიტანეთის საომარი კაბინეტის სხდომა, სადაც კავკასიის საკითხზე იმსჯელეს. აქ უნდა წარმოჩენილიყო იმის ნიშნები თუ რამდენად ემხრობოდა და ცხოვრებაში გაატარებდა კომიტეტის რეკომენდაციებს პრემიერ-მინისტრი. სამხედრო მინისტრი – ლორდი მილნერი¹⁸ ამბობდა, რომ ბაქო-ბათუმის ხაზის დაჭერის პირობებში, უფრო მცირე ძალები იქნებოდა საჭირო სპარსეთისა და თურქესტანის დასაცავად. ლორდი კერზონი ამატებდა, რომ ბრიტანული ჯარები არსებობისათვის მებრძოლ კავკასიის სახელმწიფოებს უნდა დახმარებოდნენ. ლოიდ ჯორჯი ეჭვობდა, რომ ბრიტანეთს ამ მიმართულებით რაიმე ვალდებულება ჰქონოდა, განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც კავკასიისათვის 40000 ჯარისკაცს ითხოვდნენ, ხოლო ინდოეთისათვის 70000-ზე მეტის გამოყოფის საშუალება არ იყო. პრემიერს საგარეო მინისტრი ბალფური დაეთანხმა, მაგრამ აღნიშნა, რომ რეგიონში ბოლშევიზმის მომძლავრების გამო, საჭირო იყო რაიმე ელონათ. ბალფურის შენიშვნა ლოიდ ჯორჯს არარსებულ არგუმენტად მოეჩვენა: “არ ვფიქრობ ბოლშევიზმი ჩვენთვის რაიმენაირად იყოს

¹⁸ მილნერი სამხედრო მინისტრად 1919 წლის იანვრამდე მუშაობდა, რის შემდეგაც ის გადაყვანილ იქნა კოლონიათა მინისტრად. მილნერი სამხედრო მინისტრის თანამდებობაზე უინსტონ ჩერჩილმა შეცვალა, რომელსაც 1921 წლის ბოლომდე ებარა სამინისტრო.

იმხელა საფრთხე, რამხელაც ძველი რუსეთის იმპერია იყო თავისი აგრესიული ხელმძღვანელობითა და მილიონობით ჯარებით. ვითარება, რომელთანაც ახლა გვაქვს საქმე, არ არის იმ სირთულის, როგორც რამდენიმე წლის წინ იყო.” საიმპერიო კაბინეტის არასრული შემადგენლობის გამო, საკითხის განხილვა გადაიდო (81).

მსჯელობა 23 დეკემბრის სხდომაზე გაგრძელდა. ლორდმა კერზონმა განაცხადა, რომ კავკასია გამონაკლისი შემთხვევა იყო, რადგან აქ საქმე ჰქონდათ არა ბოლშევიზმთან, არამედ არარუსული წარმოშობის ადგილობრივ სახელმწიფოებთან, მაგალითად ქართველებთან, რომლებიც სახელგანთქმულნი იყვნენ თავიანთი ისტორიით. მოკავშირეთა ძალებს შორის ბრიტანული ჯარები ერთადერთნი იყვნენ რეგიონში მათ დასაცავად და თუ მათი გამოყვანა მოხდებოდა, მაშინ ეს სახელმწიფოები ვეღარ შეძლებდნენ არსებობას. კერზონი ითხოვდა, რომ ბათუმი-ბაქოს ხაზი მაინც დაეცვათ კონფერენციის მიერ მანდატორი სახელმწიფოს დანიშვნამდე. ის კაბინეტს კიდევ ერთხელ შეახსენებდა საფრთხეს, რომელიც შესაძლო იყო დამუქრებოდა ინდოეთს კავკასიის გავლით.

პრემიერმა მას ჰკითხა თუ ვისგან ემუქრებოდათ ახალ რესპუბლიკებს საშიშროება. მიიღო რა პასუხად, რომ საფრთხე მოხალისეთაგან მოდიოდა, ირონიულად შენიშნა, რომ ახლა ბრიტანეთი ვალდებული იყო ებრძოლა არა მხოლოდ ბოლშევიკთა, არამედ ანტიბოლშევიკთა წინააღმდეგაც. “ხალხი ვერ მიესალმება კავკასიაში ჯარების იმ აუცილებლობით დატოვებას, რომ ქართველები, სომხები და თათრები ერთმანეთზე თავდასხმისაგან დაიცვას; ბრიტანელმა ხალხმა იცის თუ რისთვის წავიდა ის ომში და, ამ სახის ოპერაციების გაგრძელებით, სავალდებულო გაწვევა კრახით დასრულდება.”, ასკენიდა ლორდ ჯორჯი (82).

კერზონის “აპელაციამ” იმის თაობაზე, რომ საიმპერიო საომარი კაბინეტის დონეზე მოეპოვებინა აქტიური კავკასიური პოლიტიკის გატარების უფლება, მარცხი განიცადა პრემიერის ძლიერი პოზიციის გამო.

შემდეგში კერზონის, როგორც მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის და მთლიანად საგარეო საქმეთა სამინისტროს როლი კავკასიასთან მიმართებაში მნიშვნელოვნად შესუსტდა. რეგიონის საქმეები, 1919 წლის დასაწყისში,

სამინისტროს რუსეთის დეპარტამენტიდან აღმოსავლეთის დეპარტამენტის დაქვემდებარებაში გადავიდა, მაგრამ საგარეო უწყება იანვრიდან სექტემბრამდე ხშირად რჩებოდა საინფორმაციო იზოლაციაში, რადგან მას ადგილზე არ ჰყავდა დიპლომატიური წარმომადგენელი და მთლიანად დამოკიდებული იყო სამხედრო სამინისტროს მიერ მიწოდებულ რეპორტებზე, რომლებიც მინისტრის მოვალეობის შემსრულებლამდე ყოველთვის არ მიდიოდნენ ან მის მოსაზრებებს ეწინააღმდეგებოდნენ.¹⁹

ბრიტანელ სამხედროებს გაუჭირდათ მენშევიკური სოციალიზმის ბოლშევიკურისაგან გარჩევა. თავის მხრივ საქართველოს მთავრობა უკმაყოფილო იყო ბათუმის ოლქში ბრიტანელთა მიერ რუსთა ეროვნული საბჭოსათვის ფაქტობრივად ძალაუფლების გადაცემით. მთავრობა არც დენიკინთან ბრიტანელ სამხედროთა შუამავლობით და ამ შუამავლობის შედეგად გამოწვეული შედეგებით იყო კმაყოფილი.

აღნიშნულმა გარემოებებმა ძალიან დაძაბა ურთიერთობები საქართველოს მთავრობასა და ბრიტანელ გენერლებს შორის. ამ უკანასკნელთა, კერძოდ კონსტანტინოპოლში ბრიტანეთის უმაღლესი სარდლობისა და დენიკინის შტაბთან არსებული ბრიტანული მისიების მიერ, 1919 წლის დასაწყისიდან, ლონდონში იგზავნებოდა საქართველოს მთავრობისათვის უადრესად უარყოფითი ხასიათის რეპორტები. ამ ვითარებამ არარაობამდე დაიყვანა 1918 წლის ბოლოს, საგარეო საქმეთა სამინისტროსა და ლორდი კერზონის გარჯით შექმნილი, საქართველოს მაღალი პოლიტიკური რეპუტაცია.

სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკათა, მათი მთავრობების შესახებ პირველი ვრცელი და ყველაზე მნიშვნელოვანი რეპორტი, 1919 წლის 6 თებერვალს, საიმპერიო ჯარების გენერალური შტაბის უფროსს – ფელდმარშალ სერ ჰენრი უილსონს გაუგზავნა ბრიტანეთის შავი ზღვის ჯარების სარდალმა – გენერალმა ჯორჯ მილნმა. მილნის პასუხისმგებლობა სამხრეთ კავკასიაზეც ვრცელდებოდა,

¹⁹ აღნიშნულზე კერზონმა ჯერ აღმოსავლეთის დეპარტამენტის ხელმძღვანელს – ჯორჯ კიდსტონს შესწივლა, ხოლო შემდეგ შუა აღმოსავლეთის საკითხებში დეპარტამენტთაშორის კონფერენციაზე დააყენა საკითხი (262; 184). კიდსტონის განცხადებით, ბათუმში მყოფი ბრიტანეთის კონსული სტივენსი, მისი ასაკის, ამასთანავე არა დიპლომატიური, არამედ კომერციული განათლებისა და სამუშაო გამოცდილების გამო, ვერ ასრულებდა და ვერ შეასრულებდა პოლიტიკურ ფუნქციას (185).

ის რეგიონში წარმოდგენილი ბრიტანეთის ყველაზე მაღალი თანამდებობის პირი იყო იმ მომენტისათვის. ასე რომ მის მოსაზრებებს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა იმ პირობებში, როდესაც მოვლენათა ეპიცენტრიდან ბრიტანეთის სამთავრობო უწყებებს ფაქტობრივად სხვა საინფორმაციო წყარო არ გააჩნდათ.

მილნის აზრით, მთავრობა, რომელიც თავის თავს დემოკრატიულს უწოდებდა, ყველაზე უკიდურესი ფორმის ულტრასოციალისტური იყო და როცა მას ფული შემოაკლდებოდა, ბიუჯეტის შესაგვებად კერძო მესაკუთრეთა ქონების კონფისკაციას ეწეოდა. რესპუბლიკა ყველა გაგებით ბოლშევიკური ხასიათის გახლდათ. მისივე თქმით, მმართველი პარტიის გარდა არსებობდა კიდევ ორი: ბოლშევიკური და რუსული პარტიები. მილნის აზრით, აჭარლები მტრულად იყვნენ ქართველებისადმი განწყობილნი და არაფრით სურდათ მათთან თანაცხოვრება (260; 206; 263).

საგარეო საქმეთა სამინისტროს აღმოსავლეთის დეპარტამენტში განხილვისას, თავმჯდომარემ – ჯორჯ კიდსტონმა მილნის რეპორტის შესახებ დაწერა, რომ აღნიშნულ საკითხებზე მოსაზრებას ვერ შეიმუშავებდნენ, სანამ სამინისტროს ადგილზე კომპეტენტური წარმომადგენელი არ ეყოლებოდა. მისივე თქმით, რომელსაც იქვე პროფესორი სიმპსონიც დაეთანხმა, არ არსებობდა არც ერთი მინიშნება საქართველოს მთავრობის ბოლშევიკური ტენდენციებისა. კიდსტონი წუხდა, რომ სანამ პარიზში ბრიტანეთის დელეგატები მსჯელობდნენ საქართველოს აღიარების საკითხზე, სამხედროებს შესაძლოა არასიმპათიური დამოკიდებულება ჩამოეყალიბებინათ ქართველებთან (125).

მილნი უფრო მეტად ჰიპერკრიტიკული იყო უილსონისადმი მიწერილ პირად წერილში: “მე სრულად ვაცნობიერებ, რომ ბრიტანული ჯარების გაყვანა საგარეოდ ანარქიას გამოიწვევს, მაგრამ არ ვფიქრობ, რომ მსოფლიო რამეს დაკარგავს იმით თუ რეგიონის მაცხოვრებლები ერთმანეთს ყელებს დაჭრიან. ისინი აშკარად არ ღირან ერთი ბრიტანელი ჯარისკაცის სიცოცხლედაც კი... ვფიქრობ სახლში (ბრიტანეთში) კარგად უნდა ესმოდეთ, რომ თუ ამ ქვეყნებზე დახმარების პასუხისმგებლობას ავიდებთ, ჯარების დატოვება მოგვიხდება არა ერთი ან ორი, არამედ შესაძლებელია ათი წლითაც. ეს მაშინ, როდესაც ამ ხალხის იმ დონემდე განათლებას, რომ მათ საკუთარ თავს მიხედონ, თაობათა მუშაობა დასჭირდება... მე არასოდეს მინახავს ამაზე მეტად საცოდავი ქვეყანა ან ხალხი.” (380, 54).

უფრო მეტიც, მან ბრიტანეთის მთავრობას მოსთხოვა, რომ უკან გამოეწვია საქართველოსადმი მხარდამჭერი 1918 წლის 30 დეკემბრის განცხადება და ქართველი დელეგატები გაეძევათ, როგორც პარიზიდან, ასევე ლონდონიდან. ის ასევე მოითხოვდა უფლებას ქართული გემებისათვის გაეხსნა ცეცხლი თუ ისინი ბრიტანელთა მიერ მათთვის დადგენილ ჩრდილოეთ საზღვარს გადალახავდნენ. მილნის მოსაზრებებს ეთანხმებოდა სამხედრო დაზვერვის დირექტორი – გენერალი თვითიც (228).

საგარეო საქმეთა სამინისტროში საკითხის განხილვისას, პროფესორმა სიმპსონმა წააწერა, რომ მსგავსი მოქმედება დენიკინს წაახალისებდა სამხრეთ კავკასიაში შეჭრისაკენ. მის მოსაზრებას ხელმოწერა მოქმედმა მინისტრმაც დაუსვა (127).

იმავე წერილში მილნი სამხედრო სამინისტროს წერდა, რომ საქართველოს მთავრობა არასგზით არ წარმოადგენდა ქვეყნის მოსახლეობას და ის შედგებოდა ბოლშევიზმის ყველაზე უარესი ელემენტებისაგან, რომლებიც სულდგმულობდნენ სამხრეთ რუსეთში ბოლშევიკთა მიერ მიღწეული სამწუხარო წარმატებით. ბრიტანელი გენერალი უფრო მეტ ფანტაზიასაც ავლენს და ამბობს, რომ ქართულ არმიაში ჩინელებიც კი მსახურობენ, რაც უტყუარი დასტურია, რომ შეესება ბოლშევიკებისაგან მიიღესო (127; 256; 227).

ერთ მხარეს იყო 1918 წლის 30 დეკემბრის ნოტა, რომელიც მიესალმებოდა და მხარს უჭერდა საქართველოს დამოუკიდებლობას, ხოლო მეორე მხარეს გენერლების – მილნისა და ბრიგსის დამოკიდებულება, რომლებიც საქართველოს მთავრობას დენიკინის სახელით ესაუბრებოდნენ.²⁰ ქართულმა მხარემ, რასაკვირველია, არაფერი იცოდა ბრიტანეთის სამხედრო და საგარეო სამინისტროებს შორის არსებულ განსხვავებულ მიდგომათა შესახებ, ამიტომ მისთვის გაუგებარი იყო თუ როგორ მოდიოდა შესაბამისობაში დენიკინისათვის იარაღის მიწოდება, რომელსაც ის ბოლშევიკთა გარდა საქართველოს წინააღმდეგაც იყენებდა, ქვეყნის დამოუკიდებლობის მხარდაჭერის პოლიტიკასთან (233; 131; 20, 40-41; 318, 192-195).

²⁰ ის ასევე დენიკინის შტაბში დისლოცირებული ბრიტანული მისიის ხელმძღვანელის თანამდებობაზე ბრიგსის შემცვლელის, გენერალ ჰოლმანის მემორანდუმში, რომლის მიხედვითაც საქართველომ “უპატიებელი ცოდვა ჩაიდინა დამოუკიდებლობის გამოცხადებით” (93).

ჩერჩილსა და კერზონს შორის შემაჯამებელი “შეტაკება” 1919 წლის 6 მარტს შუა აღმოსავლეთის საკითხებში დეპარტამენტთაშორისი კონფერენციის სხდომაზე მოხდა, სადაც მხარეები შემდეგი სახის დასკვნამდე მივიდნენ: ურთიერთკომპრომისის შედეგად კონფერენციამ გადაწყვიტა კავკასიიდან დაუყოვნებელი ევაკუაცია, მას შემდეგ, რაც ევაკუაციის გეგმა მომზადდებოდა; გენერალი დენიკინისათვის იარაღით, ტყვია-წამლით, ძლიერი სამხედრო მისიით, კასპიის ზღვაზე სამხედრო მხარდაჭერით დახმარების მიწოდება; აღნიშნული დახმარება დამოკიდებული უნდა ყოფილიყო პირობაზე, რომ თეთრი გენერალი პატივისცემით მოეპყრობოდა კავკასიის სახელმწიფოებთან მისთვის დაწესებულ საზღვრებს (263).

თუმცა, ჭიდილი ევაკუაციის თემის გადახედვის, კავკასიაში აქტიური პოლიტიკის გატარების, დენიკინისა და საქართველოს გარშემო არც შემდეგ შეწყვეტილა.

შექმნილი რეალობიდან გამომდინარე 1919 წლის გაზაფხულისათვის სამხედრო სამინისტროს – ჩერჩილის პოლიტიკურმა ხაზმა გაიმარჯვა და კერზონს დროებით მოუწია აქტიური კავკასიური პოლიტიკისათვის ბრძოლაზე ხელის აღება.

თავი II

საქართველო საკითხი პარიზის სამშვიდობო კონფერენციის საწყის ეტაპზე

1. საქართველოს დელეგაცია

1919 წლის დამდეგისათვის საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას ჯერ კიდევ არ ჰყავდა ფორმირებული, გამართულად მომუშავე დიპლომატიურ წარმომადგენლობათა სისტემა. იგი შეიქმნა პარიზის საზავო კონფერენციაზე ქართული დელეგაციის ჩამოყალიბების თანადროულად. წარმომადგენლობათა სუბორდინაციის სტრუქტურა საკმაოდ უცნაური იყო. ცენტრალური ორგანო გახლდათ პარიზში საქართველოს დელეგაცია, რომელიც კოორდინაციას, კონტროლს უწევდა დასავლეთ და ცენტრალურ ევროპაში, გამარჯვებულ და

ნეიტრალურ სახელმწიფოებში საქართველოს წარმომადგენლობებს.²¹ შვეიცარიაში, გერმანიასა და სკანდინავიის ქვეყნებში არსებულ მისიებს, მთელი 1919 წლის მანძილზე, საქართველოში გამომგზავრებამდე, სრულიად არაფორმალურად, მეთვალყურეობას უწევდა ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი – აკაკი ჩხენკელი (6, 12-13), რომელსაც ევროპის ქვეყნებში საქართველოს წარმომადგენლის ძალიან აბსტრაქტული პოსტი ეჭირა და მის მიერ დამკვიდრებული პროგერმანული რეპუტაციის გამო დიპლომატიურ წრეებში ღიად არ გამოდიოდა. თავის მხრივ ჩხენკელიც პარიზის დელეგაციას ექვემდებარებოდა, თუმცა სოციალ-დემოკრატიულ პარტიასა და საქართველოს მთავრობაში მისი მაღალი ავტორიტეტის გამო, ის პარიზში მყოფ თანამემამულეებსაც აძლევდა რჩევებს (2; 3; 62).

ძალიან მნიშვნელოვან როლს ასრულებდა კონსტანტინოპოლში საქართველოს წარმომადგენლობა. 1919 წლის მანძილზე არ არსებობდა რეგულარული საფოსტო კავშირი თბილისსა და პარიზს შორის, საქართველოს დედაქალაქი, უფრო ზუსტად მისი მთავრობა, მოწყვეტილი იყო ევროპას, სადაც ამ დროს გადაწყვეტილებათა მიღების პროცესი მიმდინარეობდა. კონსტანტინოპოლის ქართული მისია ახერხებდა შეზღუდული კონტაქტი ჰქონოდა, როგორც თბილისთან, ასევე პარიზთან, რადგან ამ დროისათვის ოსმალეთის იმპერიის დედაქალაქში მოკავშირეთა სამხედრო სარდლობები მოქმედებდნენ და უფრო გახშირებული კონტაქტი იყო ევროპასთან.²² მასვე ექვემდებარებოდა საბერძნეთის მთავრობასთან მომუშავე ქართული წარმომადგენლობა. ვითარება დამძიმდა 1919 წლის 2 მაისიდან, როდესაც ბრიტანულმა სარდლობამ ქართულ მხარეს აუკრძალა თბილისიდან კონსტანტინოპოლში და კონსტანტინეპოლიდან პარიზში კურიერების გაგზავნა (60, 7; 36, 11). სწორედ კომუნიკაციის უქონლობით იყო განპირობებული სახელდახელოდ მოწყობილი დიპლომატიური სტრუქტურა. ხშირ შემთხვევაში წარმომადგენლობები ინსტრუქციებს იღებდნენ არა თბილისიდან, არამედ ევროპაში მოქმედი ზემდგომი მისიებიდან.

²¹უფრო ვრცლად იხ. საქართველოს დელეგაციის სხდომის ოქმები (31).

²²კონსტანტინოპოლში საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლის – გრიგოლ რცხილადის კორესპონდენცია პარიზის დელეგაციასთან იხ. (57; 60; 26; 37). საქართველოს მთავრობასთან რცხილადის მიმოწერა იხ. (26; 37; 65).

ოფიციალურად პარიზის დელეგაციას ექვემდებარებოდა დიდ ბრიტანეთში საქართველოს წარმომადგენელი – დავით ღამბაშიძე, მაგრამ ის დამოუკიდებელი ფიგურა იყო და იგნორირებას უკეთებდა დელეგაციას, რაც ამ უკანასკნელის უკმაყოფილებას იწვევდა (46, 1-19; 383, 151-168).

გარკვეულწილად შერეული დაქვემდებარების ქვეშ მუშაობდა 1919 წლის ოქტომბერში იტალიაში მომუშავე ქართული მისია, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის – კონსტანტინე საბახტარაშვილის მეთაურობით. საქმე ისაა, რომ იტალიის მთავრობამ კარგი დამოკიდებულება დაამყარა საქართველოს რესპუბლიკასთან და საბახტარაშვილი შეზღუდული სახით მაინც ახერხებდა კორესპონდენცია გაემართა საქართველოს მთავრობასთან, თუმცა ის მითითებებს პარიზიდანაც ღებულობდა. მისია ნახევარ წელზე მეტხანს დარჩა რომში და, იტალიაში ასეთის არ არსებობის პირობებში, დიპლომატიური წარმომადგენლობის ფუნქციაც შეითავსა.²³

აღსანიშნავია, რომ არც ერთ ჩამოთვლილ ორგანოს არ ჰქონია მასპინძელ მთავრობასთან აკრედიტებული კლასიკური საელჩოს, ხოლო წარმომადგენელთა მეთაურებს ელჩის სტატუსები. ამისი მთავარი მიზეზი იყო ის, რომ საქართველო 1919 წელს არ ყოფილა აღიარებული ევროპულ სახელმწიფოთა მიერ, ამასთანავე, ქვეყანას არ ჰქონდა მატერიალური საშუალება საზღვარგარეთ შეენახა საელჩოთა აპარატები. მეტ-ნაკლებად ტიპიური საელჩოს სახე ჰქონდათ და საკონსულო სერვისით, ოფიციალური შენობებით აღჭურვილნი იყვნენ ბერნისა და ბერლინის წარმომადგენლობები.

მისიები საკმაოდ დუხჭირ ცხოვრებას ეწეოდნენ. მაგალითად, საბერძნეთში საქართველოს წარგზავნილ ალექსანდრე მდივანს უკრაინის საელჩოსაგან უწევდა ფულის სესხება და ამავე დროს თარჯიმნის ნათხოვრობა ადგილობრივ მთავრობასთან, გამარჯვებულ სახელმწიფოთა წარმომადგენლებთან მოლაპარაკებების გასამართად (37, 1-12). დიდი ხვეწნა სჭირდებოდა საგარეო საქმეთა მინისტრ გეგეჭკორს, რომ გრიგოლ რცხილაძე კონსტანტინოპოლში სამუშაოდ დაეტოვებინა (65, 1-2). ამ უკანასკნელის მდივანი – სოსო გოგოლაშვილი კარლო ჩხეიძეს წერდა, რომ ისინი ღამის 11 საათამდე

²³საბახტარაშვილის მიმოწერა საქართველოს მთავრობასა და პარიზის დელეგაციასთან იხ. (38; 39; 40)

მუშაობდნენ, რადგან თანამშრომლების დაქირვების ფული არ ჰქონდათ (58, 1). პარიზში მოქმედ მთავარ დიპლომატიურ მისიაში მომუშავეთ 1919 წელს 500-დან 2500 ფრანკამდე ხელფასი ჰქონდათ, რაც ომის შემდგომი ინფლაციის პირობებში არ იძლეოდა ფუფუნებით ცხოვრების საშუალებას. გერმანიაში მოქმედ წარმომადგენლობას ბიუჯეტის ორი მესამედი ქართველ სამხედრო ტყვეთა რეპატრაციის საქმეში მისდიოდა. ხდებოდა ისეც, რომ გზად მიმავალი ევროპული სამხედროები კარზე მიაყენებდნენ ქართველ ტყვეებს კონსტანტინოპოლის წარმომადგენლობას, რაც ამ უკანასკნელს დიდ ტვირთად აწვა. ამასთანავე, ყველა მისია ეხმარებოდა ევროპაში მოსწავლე ქართველ სტუდენტებს, ომის შემდეგ ადგილზე დარჩენილებს და ა.შ.²⁴ ქართველი დიპლომატები დიდ წილად პატრიოტული ენთუზიაზმის ხარჯზე მუშაობდნენ. ყველაფერთან ერთად, ფაქტობრივად არც ერთ მათგანს არ ჰყოლია ოჯახი საზღვარგარეთ წაყვანილი.

ქვეყნის შიგნით არსებული ერთპარტიული დომინირებისა და მწვავე დაპირისპირების ფონზე, საგარეო ასპარეზზე საკმაოდ ჰარმონიული პარტიათაშორისი თანამშრომლობა სუფევდა. უცხოურ მისიებში უფრო მეტი ოპოზიციონერი მუშაობდა, ვიდრე სოციალ-დემოკრატი: სკანდინავიის წარმომადგენლობას ხელმძღვანელობდა ჯერ ეროვნულ-დემოკრატი მიხეილ წერეთელი, შემდეგ სოციალისტ-ფედერალისტი არისტო ჭუმბაძე. 1919 წლის პირველ ნახევარში გერმანიაში წარმომადგენლობას უძღვებოდა ფედერალისტი იახონ ბაქრაძე, კონსტანტინოპოლში ფედერალისტი გრიგოლ რცხილაძე, საბერძნეთში ფედერალისტი ალექსანდრე მდივანი, შვეიცარიაში ეროვნულ-დემოკრატი მიხეილ სუმბათაშვილი, დიდ ბრიტანეთში ეროვნულ-დემოკრატი დავით ღამბაშიძე, პარიზის მისიაში ერთ-ერთი წამყვანი როლი ეჭირა ეროვნულ-დემოკრატ ზურაბ ავალიშვილს,²⁵ 1918-1920 წლებში ევროპაში ხშირად ასრულებდნენ დიპლომატიურ ფუნქციებს ეროვნულ-დემოკრატები ნიკო

²⁴ დიპლომატიურ წარმომადგენლობათა ფინანსური ანგარიშები იხ. (30; 31; 50; 51; 55; 56).

²⁵ ჩამოთვლილთაგან არც ერთი არ ირიცხებოდა ოფიციალურად ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიაში, მაგრამ ისინი აღნიშნული პარტიის იდეოლოგიის მატარებლები იყვნენ და აღიქმებოდნენ როგორც მათი მესვეურები. სოციალ-დემოკრატები მათ ბურჟუაზიის წარმომადგენლებად მოიხსენიებენ. აკაკი ჩხენკელი 1919 წლის 17 აპრილს ბერნიდან პარიზში წერდა საქართველოს დელეგაციას: “მე დავრწმუნდი, რომ ხშირათ ძალიან სასარგებლოა, როცა ჩვენს გარდა მოქმედებენ ჩვენი “ბურჟუაზიის” წარმომადგენლებიც. ამ მხრივ ბევრი გააკეთეს ზურაბმა და ნიკომ ბერლინში.” (3, 5).

ნიკოლაძე და გიორგი მანაბელი, პარიზის მისიაში მუშაობდნენ ქართველ სოციალისტ-რევოლუციონერთა და ანარქისტთა ლიდერები – იოსებ გობეჩია და ვარლამ ჩერქეზიშვილი.

პარიზის, ლონდონისა და სან-რემოს კონფერენციებზე ქართული დელეგაციის სხდომის ოქმები ცალსახად მიუთითებენ, რომ სოციალ-დემოკრატებს არ ჰქონიათ საგარეო პოლიტიკურ გადაწყვეტილებების მიღების პროცესზე მონაპოვია დაწესებული, ადგილი არ ჰქონია ფრაქციულ დაყოფას და მხარეები ეროვნული ინტერესებით მოქმედებდნენ. უფრო მეტიც, სოციალ-დემოკრატ ლიდერთა შორის გამართული პირადი მიმოწერა ხშირად უფრო კრიტიკულია, ვიდრე ამ უკანასკნელთა კორესპონდენცია ოპოზიციონერ დიპლომატიურ წარმომადგენლებთან.²⁶

ქართული მისიები, შეზღუდული შესაძლებლობების ფარგლებში, პროპაგანდასაც ეწეოდნენ დასავლეთის ქვეყნებში. პარიზის დელეგაცია ინფორმაციების დასაბუჯდად ფულს უხდიდა უმსხვილეს ფრანგულ გამოცემა Le Temps-ს, მათვე შეისყიდეს პარიზში გამომავალი, დასურათებული ჟურნალი L'Image-ის 1919 წლის ოქტომბრის ნომერი და 10000 ეგზემპლარი სრულად მიუძღვნეს საქართველოს. დელეგაციის მიერ გამოიცემოდა საინფორმაციო ბიულეტენი საქართველოს შესახებ (34). 1919 წლის აგვისტოში პარიზში დაარსდა ფრანგულ-კავკასიური კომიტეტი (Comite France-Caucase), რომლის საპატიო თავმჯდომარე იყო საფრანგეთის პარლამენტის წევრი – ანატოლი დე მონზი. კომიტეტი აწყობდა ღონისძიებებს, ღებულობდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების მხარდამჭერ რეზოლუციებს. ამ მოთხოვნის ხორცშესხმის შემთხვევაში, კომიტეტის მესვეურთა აზრით, განხორციელდებოდა ორი იდეა – 1. ხალხის უფლება თავისუფალი არსებობის შესახებ და 2. კავკასიის მიმართულებით საფრანგეთის ეკონომიკურ შესაძლებლობათა ზრდა. ქართული დელეგაციის მიერ შეერთებულ შტატებში საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების საკითხის წამოწევისათვის, დაქირავებულ იქნა

²⁶ ლონდონის კონფერენციაზე საქართველოს დელეგაციის სხდომის ოქმები იხ. (45; 46); სან-რემოს კონფერენციის ოქმები იხ. (47; 48). თუმცა ზურგს უკან, თანაპარტიულ ამხანაგებთან მიმოწერისას ოპოზიციონერი დელეგატები მაინც აკრიტიკებდნენ სოციალ-დემოკრატ წარმომადგენლებს. იხ. არისტო ჭუმბაძის წერილი იასონ ბაქრაძისადმი, სტოკჰოლმიდან ბერლინში, 1919 წლის 19 ივნისი (13, 66-67); ალექსანდრე მდივანის წერილი გრიგოლ რცხილაძისადმი, ათენიდან კონსტანტინოპოლში, 1919 წლის ივლისი (37, 212). საკმაოდ მწვავე კრიტიკაა წარმოდგენილი ზ. ავალიშვილის წიგნშიც (318).

ყოფილი კონგრესმენი რესპუბლიკური პარტიიდან – უოლტერ მარიონ ჩენდლერი (374, 280-292; 28, 29). ქართველმა ანარქისტმა – ვარლამ ჩერქეზიშვილმა 1919 წელსვე პარიზში გამოაქვეყნა წიგნი La Georgie.

შრომატევადი იყო შვეიცარიაში, საქართველოს წარმომადგენლობასთან არსებული პრესის ბიუროს მუშაობა. ბერნში 1919 წელს ფრანგულ ენაზე გამოვიდა საერთაშორისო სამართლის ცნობილი სპეციალისტის – პროფესორ ნიპოლდის წიგნი “საქართველოს დამოუკიდებლობა საერთაშორისო უფლების მხრივ”, შვეიცარიელმა ჟურნალისტმა კიუნმა გამოსცა წიგნი “თავისუფალი საქართველო”. თვით ბიუროს მიერ გამოიცა წიგნები: “1783 წლის ტრაქტატი”, “ლაზისტანი” და ა.შ. შვეიცარელი პროფესორების თაოსნობით 1920 წლის იანვარში მოეწყო შეკრება, რომელსაც 2000 კაცი დაესწრო და მიიღო სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკების დამოუკიდებლობის აღიარების მხარდამჭერი რეზოლუცია. დაარსდა ქართულ-შვეიცარიული საზოგადოება. საქართველოზე მის პოლიტიკურ ელიტასა და ეკონომიკურ მდგომარეობაზე ქვეყნდებოდა სტატიები Journal De Geneve-ში, Suisse Orient-ში, Tribune De Geneve-ში, La Tribune-ში, Gazette De Laussane-ში, ასევე მუდმივად მიეწოდებოდა საქართველოს შესახებ ინფორმაციები სააგენტო Reuter-ს და ა.შ. (1, 34; 43, 4-14) შვეიცარიაში წარმოებულმა პროპაგანდამ შედეგი ვერ გამოიღო. გულითადი მიღების მიუხედავად, კონფედერაციის პრეზიდენტმა საქართველოს წარმომადგენელს განუცხადა, რომ გამარჯვებულ სახელმწიფოებზე ადრე მისი ქვეყანა ახალ რესპუბლიკას ვერ აღიარებდა (43, 4-14). თუმცა ერთა ლიგის მომავალი შტაბ-ბინა და მოკავშირეთა საელჩოები ბერნში მდებარეობდა, ამიტომ ქართული მხარის მუშაობას თავისი მნიშვნელობა ჰქონდა.

აქტიურ პროპაგანდას ეწეოდა 1919 წლის შემოდგომაზე იტალიაში სამუშაოდ წასული ქართული მისია, კერძოდ ვლადიმერ ვოიტინსკი, რომელსაც ეს კონკრეტული დავალება ჰქონდა. მან სტატიები გამოაქვეყნა პოპულარულ გაზეთებში Il Popolo, Messaggero და ა.შ. (41).

ლონდონში საქართველოს წარმომადგენელმა – დავით დამბაშიძემ 1918-1919 წლის მანძილზე სამი წიგნი გამოაქვეყნა: “საქართველოსა და კავკასიის მინერალური რესურსები”, “კავკასიის პეტროლიუმის ინდუსტრია და მისი მნიშვნელობა აღმოსავლეთ ევროპისა და აზიისათვის”, “კავკასია: მისი ხალხი, ისტორია, ეკონომიკა და თანამედროვე მდგომარეობა”. ეს წიგნები ბრიტანელი

მეწარმეების კავკასიური ბაზრით დაინტერესების, იმ დროისათვის მიუღწევად ამოცანას ისახავდა მიზნად. ზოგიერთ მათგანს კიდევ არ დაუკარგავს მნიშვნელობა და დღესაც შეიძლება მათი შექმნა ევროპული წიგნის ბაზრებზე.

ლონდონშივე დაარსდა ქართული საზოგადოება, ლივერპულში რუსეთის ყოფილი იმპერიის კონსულის – კონსტანტინე ჯაყელის მეთაურობით (32; 35),²⁷ რომელმაც 1919 წელს გამოსცა წიგნაკი *Georgia and The Georgian Race* (საქართველო და ქართველთა მოდგმა).

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი წარმომადგენლობა ადგილობრივ მთავრობებსა და საზოგადოებებზე მუშაობდა, თუმცა საბოლოო ჯამში, საერთაშორისო პოლიტიკური ძაფები პარიზში იყრიდნენ თავს. ყველა მისია ვალდებული იყო პარიზული დელეგაციისთვის ეცნობებინა მიმდინარე ვითარების შესახებ და მისგან მიეღო მითითებები. ანალოგიურად, გამარჯვებულ სახელმწიფოთა წარმომადგენლები საკუთარ დედაქალაქებში ჩამოყალიბებული პოლიტიკის იმპლემენტაციას პარიზში ახდენდნენ.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ 1918 წლის 17 ნოემბრის სხდომაზე დაადგინა: “ევროპაში პროპაგანდისათვის და კონგრესზე დასწრებისათვის გაიგზავნოს დელეგაცია კარლო ჩხეიძის, ნოე რამიშვილის, ნიკო ნიკოლაძის და სპირიდონ კედიას შემადგენლობით. ნოე რამიშვილის წაუსვლელობის შემთხვევაში მის მაგივრად მისია დაეკისროს ირაკლი წერეთელს.” (283, 139).

მაღევე გადაწყდა ნოე რამიშვილის ნაცვლად ირაკლი წერეთლის წასვლა. დელეგაციის ხელმძღვანელებად დაინიშნეს კარლო ჩხეიძე და ირაკლი წერეთელი. ამ გადაწყვეტილების მიღებაში დიდი წვლილი მიუძღვის მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანიას, იგი თავის მოგონებებში წერს: “1919 წელს შეიკრიბა საზავო კონფერენცია. გამოვაწყვეთ დელეგაცია, მეთაურათ კარ. ჩხეიძე, წევრათ ირ. წერეთელი და სხ. ამ ორ პირზე შევჩერდით ორი მოსაზრებით: მათ იცნობდნენ ევროპაში პეტერბურგიდან და ვფიქრობდით

²⁷ ჯაყელსა და საქართველოს ოფიციალურ წარმომადგენელ ღამბაშიძეს შორის ცუდი ურთიერთობა დამყარდა. ისინი საერთოდ არ თანამშრომლობდნენ, რისი მიზეზიც, სავარაუდოდ, იყო ღამბაშიძის შიში, რომ მას ჯაყელით ჩაანაცვლებდნენ (383, 151-168; 46, 19). მიუხედავად არაოფიციალური სტატუსისა, კონსტანტინე ჯაყელი გაცილებით უფრო ახლო კონტაქტში იყო პარიზში საქართველოს დელეგაციასთან, ვიდრე ღამბაშიძე. მისი მოხსენებები იხ. (26; 63).

გავლენა ექნებოდა ევროპელებზე, ჩვენ შინაურ საქმეებში ისინი დიდ როლს არ თამაშობდნენ და მათი მოშორება დიდ ზიანს ვერ მოგვიტანდა. საზოგადოთ ჩვენი პარტია თავის წევრთ ყოფდა ორათ — ორგანიზაციების პრაქტიკულ მუშაობაში ჩაბმულნი სიტყვით, წერით თუ საქმით, ეს ერთი კატეგორია. მეორენია გასაგზავნი, მოლაპარაკე, დიპლომატიურ სფეროში გამოსაყენებელი, რომელთა მოშორება ადგილობრივ მუშაობას არ დაეტყობოდა. იყო ნაძალადევის ერთ კრებაზე განსაკუთრებული ლაპარაკი ირაკლიზე. ის ჩამოვიდა რუსული ფსიხოლოგიით და გაგებით, რაიცა მრავალ ძირითად საკითხებში ჩვენსას არ ეთანხმებოდა. რუსული უხერხემლო მენშევიზმი ჩვენთვის იყო მიუღებელი. დაიბადა აზრი, ირაკლი, როგორც ნიჭიერი კაცი, შესაფერ სამუშაოთი ჩავაბით და საზღვარ-გარეთ გამოვისტუმრეთ.” (323, 94-95).

კარლო ჩხეიძე და ირაკლი წერეთელი²⁸ იყვნენ იმ მოღვაწეთა თანაგუნდელები და მეგობრები, რომლებიც პარიზის საზავო კონფერენციაზე წარმოადგენდნენ, გამარჯვებულ სახელმწიფოთა მიერ მხარდაჭერილ, კოლჩაკისა და დენიკინის რუსეთს. მათთან კეთილ დამოკიდებულებაში ყოფნა ქართული საქმის წინ წაწევას ნიშნავდა. ცნობილია აგრეთვე მათი ახლო ურთიერთობა საერთაშორისო სოციალისტურ ჯგუფებთან და მათ ლიდერებთან. ამ ჯგუფებს თავიანთ ქვეყნებში, ასევე მთავრობებშიც გარკვეული გავლენა გააჩნდათ. მათი დახმარებით ხდებოდა შეხვედრები სხვადასხვა ქვეყნის დიპლომატიურ წრეებთან, შუქდებოდა საქართველოს საკითხი პრესაში და სხვ. შესაბამისად, ამ შეფასებაში უორდანია მართალია.

სიმართლეს შეესაბამება ქართულ და რუსულ მენშევიზმს შორის საკმაო სხვაობაც, რაც ჩხეიძე-წერეთლის იდეოლოგიურ დაშორებას იწვევდა მათ ქართველ თანაპარტიელებთან. ისინი, როგორც რუსული მენშევიზმის მიმდევარნი, კოსმოპოლიტურ პოზიციაზე იდგნენ და მათი საქართველოში მუშაობა შეიძლებოდა საფრთხის მატარებელიც კი ყოფილიყო ქვეყნის ეროვნული ინტერესებისათვის. საერთაშორისო არენაზე საქართველოს სახელით გასულთ სხვა გზა არ დარჩებოდათ თუ არა ქვეყნის ეროვნული ინტერესების სამსახური.

²⁸კარლო ჩხეიძის შესახებ იხ. გ. საითიძე – ათი წელი რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს სათავეში (324). ირაკლი წერეთლის შესახებ იხ. W. H. Robool – Tsereteli, a Democrat in the Russian Revolution: A Political Biography (355).

მათ კონფერენციაზე გაშვებას კიდევ ერთი მიზეზი ჰქონდა, რომელსაც ნოე ჟორდანიას არ ახსენებს. ჩხეიძე და წერეთელი იყვნენ რუსული სოციალ-დემოკრატიის ლიდერები, რომლის ნაწილიც იყო ქართული მენშევიზმი ნოე ჟორდანიას ჩათვლით. თებერვლის რევოლუციის შემდეგ კარლო ჩხეიძე სათავეში ედგა პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატთა საბჭოს, ირაკლი წერეთელს კი დროებით მთავრობაში შინაგან საქმეთა და ფოსტატელეგრაფის მინისტრის პოსტები ეკავა. შეიძლება ითქვას, რომ ამ ორი კაცის ხელში იყო დიდწილად თავმოყრილი მთელი რუსეთის მართვა-გამგეობის საკითხები, შესაბამისად მათ საკმაო პოლიტიკური წონაც გააჩნდათ. ოქტომბრის ბოლშევიკური გადატრიალებისა და საერთო რუსული დემოკრატიზმის დამარცხების შემდეგ ისინი იძულებულნი გახდნენ საქართველოში დაბრუნებულიყვნენ პოლიტიკური მოღვაწეობის გასაგრძელებლად. საერთო რუსული მართვის სადავეებიდან, ქართულ პოლიტიკურ ჩარჩოებში გადმოსულებს, რა თქმა უნდა, ამბიციის ექნებოდათ თავიანთი პოლიტიკა გაეტარებინათ ამ ქვეყანაში. ამ ნიადაგზე არ გამოირიცხებოდა ინტერესთა კონფლიქტი მათსა და ადგილობრივ მენშევიკებს შორის, რომლებიც, ჩხეიძე-წერეთლისაგან განსხვავებით, წლების მანძილზე მართავდნენ პოლიტიკურ მოვლენებს საქართველოსა და მთლიანად სამხრეთ კავკასიაში. შესაბამისად ადგილობრივმა სოციალ-დემოკრატებმა, ნოე ჟორდანიას მეთაურობით, დააკომპლექტეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა. პარლამენტში კი რუსულმა მენშევიზმმა იძალა — თავმჯდომარე გახლდათ კარლო ჩხეიძე, ხოლო მმართველი სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის ხელმძღვანელი ირაკლი წერეთელი, ანუ პარლამენტი მათი ფაქტობრივი გაკლენის ქვეშ იყო. კანონმდებლობით პარლამენტი აკონტროლებდა მთავრობას და სწორედ ის განსაზღვრავდა ძირითად პოლიტიკურ მიმართულებებს. ნოე ჟორდანიას განცხადება იმის თაობაზე, რომ “ჩვენ შინაურ საქმეებში ისინი დიდ როლს არ თამაშობდნენ და მათი მოშორება დიდ ზიანს ვერ მოგვიტანდა”-ო, რბილად რომ ვთქვათ, არ შეესაბამება სიმართლეს. მათი მოშორებით სოციალ-დემოკრატიის ადგილობრივი მესვეურნი ამყარებდნენ კონტროლს პარლამენტის მუშაობაზე.

თუმცა მათი ყოფილი მეგობრები, რუსული “სოვეშანიეს” წევრები სიხარულით არ შეხვედრიან ჩხეიძისა და წერეთლის პარიზში გამოჩენას. ტერმინ “შოვინისტის” გამოკლებით, სამართლიანად კითხულობდა დენიკინის

მიმდევართა გაზეთი “სევერნოე უტრო”: “როდის იყვნენ ისინი მოლაღატენი, მაშინ როდესაც რუსეთის დემოკრატიისთვის იბრძოდნენ თუ ახლა, როდესაც ქართველ შოვინისტებად გადაიქცნენ?” (53, 5)

პარიზში ყოფნის პირველ ეტაპზე ჩხეიძეს და წერეთელს გაუჭირდათ საკუთარი თავის, როგორც დამოუკიდებელი საქართველოს წარმომადგენელთა პოვნა. Le Petit Parisien-თვის 1919 წლის 8 მარტს მიცემულ ინტერვიუში ისინი არ გამორიცხავდნენ სამომავლოდ, დემოკრატიულ რუსეთთან საქართველოს ურთიერთობის გადახედვას და მასთან ფედერაციული ფორმით დაკავშირებას (355, 199).²⁹ ფრანგ სოციალისტთა გაზეთმა La France Libre-მ 13 მარტის ნომერში გამოაქვეყნა წერეთლის სიტყვები, რომ საქართველო ჩამოშორდა რუსეთს, იმიტომ რომ რუსეთმა მიატოვა საქართველო. იქვე წერეთელმა დაამატა საკუთარი აზრი, რომელიც პატარა ქვეყნის წარმომადგენლის საზრუნავი არ უნდა ყოფილიყო, რომ ის ეწინააღმდეგებოდა გამარჯვებულ სახელმწიფოთა ინტერვენციას რუსეთში (355, 199).

ამასთან დაკავშირებით, თანაპარტიელმა – აკაკი ჩხენკელმა გაცხარებული პირადი წერილი მისწერა წერეთელს: “მთავარი რაც შენ დაგვიწყებია კაკი არის ერის უფლება იყოს თავისუფალი. შენ კი დგახარ და თავის მართლებას მოჰყოლიხარ, თითქოს სამსჯავროს წინაშე იდგე... შენ დაგნანებია ერთი აბზაცი მაინც დაგეთმო იმ ჩაგვრა-გაწბილებისთვის, რომელსაც ქართველი ერი განიცდიდა რუსეთში, როგორც ასეთი. ასეთი გულმავიწყობა აიხსნება იმით, რომ შენ ჯერაც ვერ განთავისუფლდი ყოფილისაგან, აწმყო და მომავალი საქართველოსა, მისი სოციალისტური პარტიისა ჯერ კიდევ სფინქსია შენთვის. შენთვის საქართველოს ისტორია იწყება რუსეთთან შეერთებიდან, მთავარი კი ისაა, რომ შენ არ აფასებ ეროვნულ თავისუფლებას, როგორც ასეთს, ამიტომ თავში არ მოგდის ჩამოთვალო რუსეთის ბატონობის ცოდვები: მისი სასკოლო, საეკლესიო, საკოლონიზაციო პოლიტიკა, რომ ამით ნათლად გაიგონ ევროპელმა ამხანაგებმა თუ რას მოასწავებს ჩვენთვის თავისუფლება”, დაასკვნიდა ჩხენკელი (6, 1-3).

²⁹ ქართული დელეგაციის 13 ივნისის სხდომაზე ავალიშვილმა შეახსენა ჩხეიძეს აღნიშნული განცხადება, მაგრამ ამ უკანასკნელმა თავი იმართლა – ჩვენ ეს არასოდეს გვითქვამს, გაზეთებმა დაამახინჯეს ჩვენი სიტყვები (285, 178).

კონფერენციის მსვლელობისას ჩხეიძემ და წერეთელმა, ნაწილობრივ მაინც, მოახერხეს გამოსულიყვნენ რუს მოღვაწეთა ფსიქოლოგიური ჩარჩოებიდან. უკვე 20 მაისს წერეთელი შეხვდა რუსეთის მთავრობაში თავის ყოფილ პრემიერ მინისტრ – ალექსანდრ კერენსკის, რომელმაც სთხოვა ქართულ დელეგაციას განცხადება გაეკეთებინა, რომ საქართველო მომავალში შესაძლოა გაერთიანებულიყო რუსეთთან თუ იქ დემოკრატიული წესრიგი დამყარდებოდა, რაზეც წერეთელმა უპასუხა: “ასეთი განცხადება შეუძლებელი არის სახელმწიფოსათვის, რომელსაც სურს საერთაშორისო ოჯახში შევიდეს როგორც დამოუკიდებელი და რომელსაც უნდა ეს დამოუკიდებლობა განიმტკიცოს.” (284, 132; 31, 7).

ჩხეიძე-წერეთლის ნაციონალისტური პოზიციებისკენ შემობრუნების დადასტურებაა 1919 წლის 14 მარტს, ქართული დელეგაციის მიერ კონფერენციისათვის მემორანდუმის წარდგენა, რაზეც აღფრთოვანებას ვერ მალავდა ჩხენკელი: “დრომ მოგვიტანა, რომ წერეთელი და ჩხეიძე ნაციონალ-დემოკრატების პროგრამას აყენენ!” (13, 35).

კიდევ ერთი დელიკატური საკითხი იყო ქართველ სოციალ-დემოკრატთა მჭიდრო კონტაქტები და აფილირება საერთაშორისო სოციალისტურ წრეებთან, კერძოდ მეორე ინტერნაციონალთან. ამ რესურსის საქართველოს ეროვნული ინტერესებისათვის გამოყენება ხდებოდა როგორც სასიკეთოდ, ასევე საზიანოდ.

პოზიტივი იყო ის, რომ მაგალითად 1919 წლის თებერვალში ბერნში გასამართ კონფერენციაზე მიმავალ სომხეთის სოციალისტთა დელეგაციის მეთაურს – ჰამაზასკ ოჰანჯანიანს, პარიზის სომხური დელეგაციის წევრმა – მიქელ ვარანდიანმა ურჩია, რომ კონფერენციის მსვლელობისას არ შესულიყო კონფრონტაციაში ქართველებთან, რადგან ირაკლი წერეთელი სოციალისტურ წრეებში მაღალი ავტორიტეტით სარგებლობდა (345, 350). ქართველ სოციალ-დემოკრატებს არაერთგზის დაეხმარნენ იდეოლოგიური მეგობრები მნიშვნელოვან შეხვედრათა ორგანიზებაში. საერთაშორისო სოციალისტური მოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა – ალბერტ თომასმა 20 მარტს წერილი მისწერა საგარეო საქმეთა მინისტრ ბალფურს და მას ქართულ დელეგაციასთან შეხვედრა სთხოვა (21, 55-56).³⁰ ბრიტანელმა ლეიბორისტმა ჰენდერსონმა, ლონდონში ყოფნისას,

³⁰ თუმცა ბალფურმა უპასუხა, რომ მას თავისუფალი ერთი საათიც არ ჰქონია და ქართველებთან შესახვედრად ბრიტანეთის სამშვიდობო დელეგაციის წევრი – სერ ლუის მალეტი გაუშვა (225).

ირაკლი წერეთელს გააცნო თემთა პალატის თავმჯდომარე, კონსერვატიული პარტიის ლიდერი და მომავალი პრემიერ-მინისტრი ბონარ ლოუ, რომელსაც ქართველმა პოლიტიკოსმა გენერალ დენიკინის ანტიქართულ მოქმედებათა შესახებ მოხსენება გადასცა (26, 82). საერთაშორისო სოციალიზმის ერთ-ერთმა მთავარმა იდეოლოგმა და თეორეტიკოსმა – პროფესორმა ოლარმა გაზეთ Le Pays-ს 1919 წლის 13 ივნისის ნომერში საქართველოს მხარდამჭერი ვრცელი სტატია გამოაქვეყნა, სადაც გააკრიტიკა დენიკინი და საფრანგეთს საქართველოს დახმარებისაკენ მოუწოდა (25, 65). მემარცხენე პარლამენტარები საფრანგეთსა და ბრიტანეთში კითხვებს უსვამდნენ საქართველოს შესახებ საკუთარ მთავრობებს. ამ მხრივ გამოირჩეოდნენ ფრანგი პარლამენტარი – ანატოლი დე მონზი და ბრიტანელი ჯოზეფ ქენვორსი. ეს უკანასკნელი საქართველოს თაობაზე შეკითხვებს აძლევდა არა მარტო თავისი ქვეყნის სამხედრო მინისტრსა და საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს (216; 168), არამედ იგი ანგლო-საბჭოური მოლაპარაკებების დროს, 1920 წლის თებერვალში, ჩავიდა კოპენჰაგენში და საბჭოთა დელეგატ ლიტვინოვს ლიბერალების სახელით ჰკითხა თუ აპირებდნენ ბოლშევიკები საქართველოს აღიარებას. ამ დროს ლიტვინოვთან მოლაპარაკებებს, ბრიტანეთის მთავრობის სახელით, ლეიბორისტი ო'გრეიდი აწარმოებდა. ბოლშევიკთათვის მემარცხენე ბრიტანელ პოლიტიკოსთა პაციფისტური, რუსეთში ინტერვენციის საწინააღმდეგო მიდგომა მხარდაჭერის ტოლფასი იყო და მათ მოსაზრებასაც, ბუნებრივია, ითვალისწინებდნენ, რადგან ხელს არ აძლევდათ უნებლიე მოკავშირეებისაგან გაუცხოება. ლიტვინოვმა უპასუხა, რომ თუ ხალხის უმრავლესობა მხარს დაუჭერს საქართველოს დამოუკიდებლობას, ჩვენ დაუყოვნებლივ ვცნობთ მათ (49, 53-55). არა გადამწყვეტი, მაგრამ მცირე როლი ამანაც ითამაშა 1920 წლის 7 მაისს საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს აღიარების საქმეში.

მეორე მხრივ, სოციალ-დემოკრატ პოლიტიკურ ლიდერებს ანტიიმპერიალისტური, წარსული პოლიტიკური მოღვაწეობიდან გამოყოფილი, რევოლუციური ენთუზიაზმით აღსავსე კლიშეები ხელს უშლიდა ნამდვილ სახელმწიფო მოღვაწეებად ჩამოყალიბებაში. მაშინ, როდესაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა მუდმივად ელოდა ჩრდილოეთიდან მომავალ საფრთხეს, რომელიც ისტორიულ პერსპექტივაში სულ უფრო გაიზრდებოდა და ამ დროს ქვეყანას გადაუდებელ ამოცანად ედგა მფარველი სახელმწიფოს პოვნა, როგორც ეს 1918 წლის მაისში მოხდა, აკაკი ჩხენკელმა 1919 წლის თებერვალში,

ბერნის სოციალისტური ინტერნაციონალის კონფერენციას მიმართა: “თქვენ იცით გაზეთებიდან, რომ დიდ სახელმწიფოებს განზრახული აქვთ ოპეკუნები გაუჩინონ პატარა სახელმწიფოებს. ჩემი პარტიისა და ქართველი მშრომელი ერის სახელით კატეგორიულ პროტესტს ვაცხადებ ასეთი განზრახვის წინააღმდეგ. თუ ჩვენ შეგვწევდა ძალა გვებრძოლა ცარიზმთან, ჩვენ შეგებრძოლებით აგრეთვე მთელ მსოფლიოს, იმპერიალიზმს, მხოლოდ საერთაშორისო სოციალისტური კონფერენციისა და საერთაშორისო პროლეტარიატის დახმარებით!” (11, 6; 385) ჩხენკელის ეს გამოსვლა არც ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს გამორჩენია მხედველობიდან (91).

იმავე წლის აპრილში, ამსტერდამში გამართულმა ინტერნაციონალის მუდმივმოქმედი კომისიის სხდომამ, ირაკლი წერეთლის მოთხოვნით, მიიღო საქართველოს აღიარების მხარდამჭერი რეზოლუცია, რომელიც ამავედროულად ითხოვდა, რომ ქვეყნისათვის მანდატორი სახელმწიფო არ დაენიშნათ (25, 1).

ბრძოლა “იმპერიალიზმთან”, თუნდაც ვერბალურ დონეზე, რომლისგანაც ქვეყანა სულ ცოტა აღიარებას მოითხოვდა, არ შედიოდა საქართველოს ეროვნულ ინტერესებში. ეს კიდევ ნაკლები ცოდვა იქნებოდა, ჩხენკელის სიტყვები ოფიციალურ სახელისუფლებო გაზეთში რომ არ დაბეჭდილიყო. თუმცა, საქართველოსავე საბედნიეროდ, მის წარმომადგენელთა მსგავსი განცხადებები არასოდეს ქცეულა დიდ სახელმწიფოთა მესვეურების სერიოზული გარჩევის საგნად.

ჩხენკელმა და ჩხეიძემ თავიანთი ანტიიმპერიალისტური იდეოლოგიის მცირედი მოდიფიკაცია 1919 წლის ზაფხულში მოახდინეს, მაგრამ ამ შემთხვევაშიც ისინი მზად იყვნენ საქართველოზე დიდი სახელმწიფოს მანდატი მიეღოთ არა როგორც სასურველი, არამედ როგორც კომპრომისი, ძალდატანებული, არჩევანი რუსეთში დაბრუნებასა და ევროპული სახელმწიფოს მხრიდან დროებით მფარველობას შორის (2, 26; 284, 141-142; 31, 28; 318, 253-257).

დიდი ხნის ლოდინის შემდეგ, 1920 წლის იანვარში, როდესაც მოკავშირეთა უმაღლესი საბჭოს სხდომაზე საქართველოს საკითხის განხილვა დადგა დღის წესრიგში, ლორდმა კერზონმა ირაკლი წერეთელს საიდუმლოდ ურჩია, მიანიშნა, რომ მას საბჭოსაგან ბაქო-ბათუმის სარკინიგზო ხაზის

დაკავება მოეთხოვა, მაგრამ წერეთელმა აქაც, კეთილის მსურველის მაგივრად, კერზონში იმპერიალისტი დაინახა და შეთავაზებაზე უარი განაცხადა.

დასავლეთის სახელმწიფოთა სოციალისტები საკუთარ მთავრობებზე ზეწოლას ახორციელებდნენ რუსეთში ინტერვენციის წინააღმდეგ. ქართველი სოციალ-დემოკრატები მათ ამ მისწრაფებას უერთდებოდნენ და ამავე დროს საქართველოს მხარდაჭერას სთხოვდნენ. ქართველ მენშევიკებს გაუჭირდათ იმის გაანალიზება, რომ თუ გამარჯვებულ სახელმწიფოთა მთავრობები რუსეთში აქტიური პოლიტიკის გატარებას შეწყვეტდნენ, შემდეგ არც საქართველო-რუსეთის ურთიერთობაში ჩარევით დაინტერესდებოდნენ და კიდევ რომ დაინტერესებულებოდნენ, მათ არ ექნებოდათ რუსეთზე ზემოქმედების ბერკეტი. კონსტანტინე გვარჯალაძემ ლეიბორისტული და ლიბერალური პარტიების წარმომადგენლებს 1920 წლის იანვარში უთხრა: “თქვენ რამდენიმე თვის განმავლობაში ევროპის საზოგადოებრივი აზრი ამზადეთ, რომ ევროპა რუსეთის საქმეებში არ ჩარეულიყო”, და სთხოვა – “ესლა შეკქმენით მეორე აზრი, რომ რუსეთი არ ჩაერიოს სხვის საქმეებში.” (49, 17-18). გვარჯალაძეს აღარ განუმარტავს, ასეთის შექმნის შემთხვევაში, რამდენად მნიშვნელოვანი იქნებოდა ევროპული საზოგადოებრივი აზრი საბჭოთა მთავრობისათვის. ზურაბ ავალიშვილმა ქართული დელეგაციის 1919 წლის 27 ივნისის სხდომაზე დააყენა წინადადება, რომ ქართველი სოციალისტები გასაუბრებოდნენ ინგლისელ მეგობრებს, რათა ამ უკანასკნელთ ნაწილობრივ შეეწყვიტათ ინტერვენციის წინააღმდეგ მიმართული კამპანია, რადგან საქართველოში ბრიტანული ჯარები დემოკრატიული სახელმწიფოს არსებობას იცავდნენ, მაგრამ დელეგაციამ ეს წინადადება არც განიხილა (31, 33).

იტალიის პარლამენტმა, მემარცხენე დეპუტატთა ინიციატივით, 1919 წლის 13 დეკემბერს მიიღო რეზოლუცია, რომელიც მთავრობას რუსეთის შიდა საქმეებში ჩარევას და დაპირისპირებული მხარეებისათვის იარაღის მიწოდებას უკრძალავდა. იქვე აღნიშნული იყო ხელისუფლებისადმი მოწოდება, რომ ეკონომიკური ურთიერთობები დაემყარებინა ამ ტერიტორიაზე არსებულ ყველა დე ფაქტო მთავრობასთან. საქართველოს იტალიასთან ისედაც ჰქონდა ეკონომიკური კავშირები. თუმცა რეზოლუციამ, 1920 წლის 19 იანვარს, მოკავშირეთა უმაღლეს საბჭოში საკითხის განხილვისას, პრემიერ-მინისტრ ფრანჩესკო ნიტის ათქმევინა, რომ იტალიის მთავრობა ვერ მიაწოდებდა

საქართველოსა და აზერბაიჯანს იარაღს, რადგან ეს ქმედება პარლამენტის მიერ ჰქონდა აკრძალული (307, 900-901; 117, 321). რეზოლუციის მიღების დროს რომში მყოფმა ქართულმა, აზერბაიჯანულმა, ლიტვურმა და უკრაინულმა მისიებმა ერთობლივი სამადლობელი წერილი გაუგზავნეს იტალიის პარლამენტს, რადგან ამ უკანასკნელმა ფორმალურად გამოთქვა რუსეთის ყოფილ ნაწილებთან ურთიერთობების დამყარების სურვილი (40, 8-9; 38, 39).

გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ქართველ მისიონერთა პრობლემა, ხშირ შემთხვევაში იყო სათანადო ინფორმაციის უქონლობა, მათ არ იცოდნენ თუ რა ხდებოდა დიდ სახელმწიფოთა პოლიტიკურ კულისებში და შესაბამისად არც შეცდომებისაგან იყვნენ დაზღვეულნი. ამასთანავე, ჩხეიძესა და წერეთლისადმი მიმართული ზურაბ ავალიშვილის კრიტიკაც უსამართლოა იმის თაობაზე, რომ ეს მოღვაწეები უმოქმედობის, ბედის მორჩილების გზას დაადგნენ და ინტერესს არ იჩენდნენ კავკასიის საკითხებისადმი (318, 219). საარქივო დოკუმენტთა ყველა ჩვენებით ისინი, შესაძლებლობებისა და უნარის ფარგლებში, 1919 წლის მარტის შუა რიცხვებიდან მოყოლებული, სათანადო მონდომებით მოქმედებდნენ ევროპაში, როგორც თავიანთი ქვეყნის პატრიოტები.

კონფერენციაზე გამგზავრებამდე დელეგაციის შემადგენლობა არაერთხელ გადაიხედა და შეიცვალა. სპირიდონ კედიამ პოლიტიკური მოსაზრებით უარი თქვა დელეგაციის შემადგენლობაში ყოფნაზე. პირადი პრობლემების გამო ყოყმანობდა ნიკო ნიკოლაძეც, თუმცა ეს უკანასკნელი აცხადებდა რომ არასოციალისტი დელეგატების წაყვანა აუცილებელი იყო, რადგანაც ევროპულ წრეებში ამ მიმართულებას უფრო დიდი გავლენა აქვსო. მის მოსაზრებას ცალსახად დაეთანხმა ირაკლი წერეთელიც (283, 167).

გარდა პარტიულისა, დელეგაცია დაკომპლექტებული იყო პროფესიული ნიშნითაც. ამ პროფესიონალებს მოთათბირეთა სტატუსი გააჩნდათ. მათ შორის იყო ივანე ჯავახიშვილი, რომელსაც ისტორიულ-ეთნოგრაფიულად უნდა დაესაბუთებინა საქართველოს საზღვრები. დელეგაცია მას ავალებდა სომხებისა და აზერბაიჯანელების ტერიტორიული პრეტენზიების წინააღმდეგ არგუმენტთა ჩამოყალიბებას. ივანე ჯავახიშვილი ახალშექმნილი უნივერსიტეტის საქმეებით იყო დაკავებული და თავს იკავებდა ხანგრძლივი ვადით საზღვარგარეთ წასვლისაგან, მაგრამ მის დელეგაციაში მუშაობას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა და ის გამგზავრებაზე დაიყოლიეს.

დელეგაციის შემადგენლობაში შედიოდა გენერალი ილია ოდიშელიძე. მას უნდა აღეწერა რუსეთის დროშის ქვეშ, პირველ მსოფლიო ომში ანტანტის მხარეზე მებრძოლ ქართველ ჯარისკაცთა წვლილი მოკავშირეთა გამარჯვებაში; აგრეთვე რუსეთის მიერ ქვეყანაში დატოვებული სამხედრო ქონება და ქართული ჯარის მდგომარეობა.

მოთათბირის სტატუსით, მაგრამ ფაქტობრივად დელეგაციის საქმეთა მმართველად დანიშნულ იქნა უკვე ევროპაში მყოფი ქართველი დიპლომატის — დავით ღამბაშიძის ძმა ვახტანგ ღამბაშიძე.

კანცელარიის გამგეობა ჩააბარეს ივანე ზურაბიშვილს.

საინფორმაციო ნაწილის გამგეობად დასახელებული იქნენ გრიგოლ რობაქიძე და ილია ნაკაშიძე. მათ მოვალეობას შეადგენდა უცხოურ პრესასთან და სხვადასხვა ჯგუფებთან საინფორმაციო მუშაობა. ორივეს მიეცათ გაფრთხილება, რომ ყოველ ნაბიჯზე ეხელმძღვანელათ დელეგაციის თავმჯდომარის მითითებით და თავი შეეკავებინათ ყოველგვარი პირადი მოსაზრებების დაფიქსირებისაგან.

დელეგაციის სამდივნოს ქართული ნაწილის გამგეობა დაევალა ი. გოგოლაშვილს. საქმეთა სიმრავლისა და ენების უცოდინარობის გამო მას დამხმარედ დაუნიშნეს ირაკლი წერეთლის და — ეთერ წერეთელი, აგრეთვე ანდრია დეკანოზიშვილი. შეთავაზების მიუხედავად, საფრანგეთში გამგზავრებაზე უარი განაცხადა იმ დროისათვის ინგლისური ენის საუკეთესო სპეციალისტმა, გაზეთ “Georgian Messenger“-ის რედაქტორმა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორმა მარიამ ორბელიანმა. თავმჯდომარემ პირად მდივნად დაასახელა დავით შარაშიძე.

დელეგაციის შემადგენლობაში შედიოდა საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომელი ნაზარაშვილი, რომელსაც შიკრიკის ფუნქცია უნდა შეესრულებინა და ყოველ 2 კვირაში ევლო თბილისსა და პარიზს შორის, ინფორმაციის გაცვლისათვის. კომუნიკაციის საშუალებებისათვის აგრეთვე წაყვანილ იქნა რადიოს სპეციალისტი წვერავა.

დელეგაციის გამგზავრებისა და თავდაპირველი ხარჯებისათვის გამოყოფილ იქნა ნახევარი მილიონი რუსული მანეთი. 50 ათასი ფრანკი

გადაიდო დელეგაციის წევრთათვის შესაბამისი ტანისამოსის შესაძენად. დღიურ გასამრჯელოდ თითოეულ წევრს მიეცა 50 ფრანკი. მთავრობამ ივალდებულა ეზრუნა დელეგაციის წევრთა თბილისში დარჩენილ ოჯახებზე.

მთავრობის ყველა უწყებებს დაევაღათ შესაბამისი ინფორმაციითა და სტატისტიკური მასალით მოემარაგებინათ დელეგაცია. ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს უნდა შეეგროვებინა მასალები: საქართველოს რესპუბლიკის პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადების; დაახლოებითი ხარჯთაღრიცხვის; ხე-ტყის, ბუნებრივ-მინერალური სიმდიდრეების, მდინარეების, როგორც ელექტრო ენერჯის რესურსისა და სხვათა შესახებ.

განათლების სამინისტროს დაევაღა განათლების სტატისტიკის შეგროვება. შინაგან საქმეთა სამინისტრომ წარმოადგინა მასალები თუ რა რაოდენობის პროფკავშირებია ქვეყანაში, კოოპერატივებში; სახელმწიფო კონტროლიორ ფილიპე გოგიჩაიშვილს უნდა წარმოედგინა სტატისტიკა, რამდენად იყო საქართველო ეკონომიკურად დამოკიდებული რუსეთზე, რა ხარჯი და შემოსავალი მოსდიოდა მას საქართველოში; ექვთიმე თაყაიშვილს დაევაღა საქართველოს მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის აღწერა; გენერალ ოდიშელიძესა და პავლე ინგოროყვას უნდა შეედგინათ ისტორიული, ეთნიკური და სამხედრო-სტრატეგიული რუკები; პრესასთან მუშაობა ევალებოდა ვლადიმერ ვოიტინსკის. ფრანგი ეროვნების ბიქტორ ბაბეს ტექნიკური პერსონალის მოვალეობა უნდა შეესრულებინა (283, 167-173).

დელეგაცია, მისი შემადგენლობის, ფუნქციათა დანაწილებისა და ინფორმაციული ბაზისის კუთხით კარგად იყო მომზადებული კონფერენციაზე სამუშაოდ.

დელეგაცია ბათუმში ჩავიდა 1919 წლის 10 იანვარს, საიდანაც გაემგზავრა 18 იანვარს და კონსტანტინოპოლში იყო უკვე 20 იანვარს. ქართული, აზერბაიჯანული, ჩრდილო კავკასიური და რუსეთის ყოფილი იმპერიის ტერიტორიაზე აღმოცენებულ სხვა სახელმწიფოთა დელეგაციები ფრანგებისაგან ელოდნენ პარიზში გამგზავრების ნებართვას. ისინი მოკავშირეებს შესჩიოდნენ, რომ სომხური დელეგაცია უკვე პარიზში იყო, ხოლო მათ არ ეძლეოდათ საფრანგეთში შესვლის უფლება (33).

ქართული და აზერბაიჯანული დელეგაციების მეთაურები საკუთარ მთავრობებს წერდნენ, რომ სომხებმა კონსტანტინოპოლში, მათ ხელში მყოფი გაზეთების მეშვეობით, ქართველთა და აზერბაიჯანელთა წინააღმდეგ პროპაგანდა გააჩადეს. ჩხეიძისა და თოფჩიბაშევის გადმოცემით, განსაკუთრებით აქტიურობდნენ გაზეთები “Renaissance”-ი და “Stamboul”-ი, რომლებიც აზერბაიჯანელებს მოკავშირეთა წინააღმდეგ მიმართულ თურქეთის აგენტებად მოიხსენიებდნენ. ქართველთა წინააღმდეგ ისინი წერდნენ “როგორც რუსეთის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატთა საბჭოების წარმომადგენლები — ჩხეიძე და წერეთელი პარიზში მიდიან, რათა ახლა უკვე იქ განავითარონ თავიანთი სოციალიზმი, ბოლშევიზმის სახით.” (33; 372, 38)

პარიზისკენ გამგზავრების პროცედურა ასეთი იყო: ბათუმში ჩასულ დელეგაციას კონსტანტინოპოლამდე მგზავრობის ნებართვა უნდა მიეღო ბრიტანელი გენერალ-გუბერნატორისაგან, ხოლო კონსტანტინოპოლიდან პარიზში შესვლის უფლებას ფრანგული სარდლობა გასცემდა. ამისათვის საჭირო იყო თითოეულ მსურველზე კეთილსაიმედოობის მოწმობის ე. წ. “Bona Fides” ქონა. ეს უკანასკნელი გაცემული უნდა ყოფილიყო ფრანგი ოფიციალური პირის ან ინსტიტუციის მიერ (33). 1918 წლის 30 დეკემბერს, ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ბალფურის სახელით, სერ ლუის მალეტის მიერ ქართველთათვის გაგზავნილი ნოტა იტყობინებოდა, რომ ბრიტანეთი დაეხმარებოდა ქართველ დელეგატებს პარიზისაკენ გამგზავრებაში (229).

ქართველებისა და აზერბაიჯანელების წინააღმდეგ მიმართული პროპაგანდა კარგად იყო გამიზნული, რადგან “Bona Fides”-ს ასაღებად მთავარი ხელის შემშლელი ფაქტორი სწორედ ბოლშევიკობა ან თურქეთის აგენტობა შეიძლებოდა ყოფილიყო. მოკავშირეთა გენერლები ყველაზე სენსიტიურად ამ საკითხებს უდგებოდნენ. ბრიტანელ სამხედროებს ამ შემთხვევაშიც გაუჭირდათ პოლიტიკურ ინტრიგებში გარკვევა. კონსტანტინოპოლში დიდი ბრიტანეთის უმაღლესმა კომისარმა – ადმირალმა კალთორპმა 22 იანვარს საგარეო საქმეთა სამინისტროსაგან მოითხოვა, რომ ქართველებისათვის კონსტანტინოპოლისკენ მიმოსვლაც შეეზღუდათ, რადგან, მისი მტკიცებით, ქვეყანაში ბოლშევიკური ტენდენციები არსებობდა. პარიზში ბრიტანული დელეგაციის წევრმა ერიკ ფორბს ადამსმა ამ დოკუმენტს მიაწერა, რომ არავითარი მტკიცებულება არ

არსებობდა ქართველთა ბოლშევიკობის დასადასტურებლად, ხოლო ჩხეიძე და წერეთელი მენშევიკები იყვნენ (242).

23 იანვარს, მორიგ ტელეგრამაში კალთორპი იტყობინებოდა, რომ ჩხეიძე და წერეთელი თუ ბოლშევიკები არა, რადიკალი სოციალისტები იყვნენ, ხოლო რაც შეეხება აზერბაიჯანის დელეგაციას, მის ხასიათს განაპირობებდა აჰმედ ალაევი, რომელიც, უმაღლესი კომისრის მტკიცებით, თურქეთის “ერთობისა და პროგრესის კომიტეტის” წევრი იყო. კალთორპს საუბარი ჰქონია ასევე საფრანგეთის სარდლობის წარმომადგენელ დუპარკთან, რომელმაც განუცხადა, რომ აღნიშნულ დელეგაციათა პარიზისაკენ გატარების ალბათობა მცირე იყო (224).

საქმე იქამდეც მივიდა, რომ ალაევი დააკავეს და მალტაში, პოლიტიკურ პატიმრობაში გაასახლეს (336, 341-342).

ბრიტანელი უმაღლესი კომისრის ტელეგრამათა განხილვისას, საგარეო საქმეთა სამინისტროს აღმოსავლეთის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა კიდსტონმა 24 იანვარს წააწერა, რომ ჩხეიძე და წერეთელი გაწონასწორებული პიროვნებები, კერენსკის რეჟიმიდან მოყოლებული ცნობილი ფიგურები იყვნენ. პროფესორმა სიმპსონმა დაუმატა, რომ ისინი მისაღები პოლიტიკოსები იყვნენ და ვერ ხედავდა მიზეზს რატომ უნდა ეთქვა მათ გამგზავრებაზე უარი ბრიტანეთს (128).

29 იანვარს ბალფურმა პარიზიდან ლონდონში მისწერა კერზონს: “ჩხეიძე და წერეთელი არ არიან ბოლშევიკები, მათ წამყვანი როლი ითამაშეს პეტროგრადში 1917 წლის მარტიდან ბოლშევიკთა მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდებაამდე. ისინი გარკვეული ხანია საქართველოს ხელისუფლებაში მოვიდნენ და მხარს უჭერენ საქართველოს დამოუკიდებლობას. ისინი ებრძოდნენ ბოლშევიკებს და გამოაძევეს საკუთარი ქვეყნიდან. გთხოვთ კონსულტაცია გაიაროთ პროფესორ სიმპსონთან და ინფორმაცია მიაწოდოთ ადმირალ კალთორპს.” (243). 1 თებერვალს კერზონმა უპასუხა ბალფურს, რომ მისი ტელეგრამა გადაგზავნილია კონსტანტინოპოლში(244).

30 იანვარს სამხედრო დაზვერვის დირექტორმა გენერალმა თვითიმ საგარეო საქმეთა სამინისტროს აცნობა, რომ მან შეისწავლა ქართველ დელეგატთა საკითხი. რამდენიმე წყაროს დასტურით, მიუხედავად წერეთლისა

და ჩხეიძის სოციალისტობისა, მათ ბოლშევიკებისადმი სიმპათიები არ გააჩნიათ, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს საქართველოს დამოუკიდებლობასო. ალავეის შემთხვევაში თვაითმა დაადასტურა კალთორპის ინფორმაცია (245).

ქართული დელეგაციის მიღების საკითხი საფრანგეთის ხელისუფლების გადასაწყვეტი იყო. ფრანგი სამხედროების მიერ კონსტანტინოპოლიდან პარიზში გაგზავნილი რეპორტებიც იმავე შინაარსის იყო, როგორც ბრიტანული. ქართველები, კერძოდ ჩხეიძე და წერეთელი დადანაშაულებულები იყვნენ ბოლშევიზმსა და ახალგაზრდა თურქებთან თანამშრომლობაში, ხოლო აზერბაიჯანელებს აიგივებდნენ თურქულ პროგრესისა და ერთობის კომიტეტთან (271, 165-166; 274, 230). კონსტანტინოპოლში საფრანგეთის უმაღლესი კომისარი ბრიტანელებს ეუბნებოდა, რომ ბოლშევიკური ტენდენციების გამო, ქართველების პარიზისაკენ გატარება არ სურდა (129). აღნიშნულ მოსაზრებათა გასაქარწყლებლად პარიზში მყოფი ქართველები – ზურაბ ავალიშვილის, დავით ღამბაშიძისა და კონსტანტინე გვარჯალაძის შემადგენლობით, საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკურ განყოფილებაში მივიდნენ, აუხსნეს ქართული დელეგაციის შემადგენლობა, მიზნები და მიიღეს პირობა, რომ სამინისტრო კონსტანტინოპოლს აცნობებდა, ჩხეიძე და წერეთელი კონფერენციაზე დასასწრებად გაეტარებინათ (318, 210-211). ამის შემდეგ 1919 წლის 8 თებერვალს საგარეო საქმეთა მინისტრმა პიშონმა წერილი მისწერა კონსტანტინოპოლის ფრანგულ უმაღლეს სარდლობას, სადაც სთხოვდა, რომ ჩხეიძისა და წერეთლისათვის პარიზისაკენ გამგზავრების ნებართვა მიეცათ, ხოლო აზერბაიჯანელებსა და ჩრდილო კავკასიელების შესახებ მინისტრი ხაზს უსვამდა, რომ რუსეთის ყოფილი იმპერიის აღნიშნული ტერიტორიები ვერ იქნებოდნენ განხილული დამოუკიდებელ ერთეულებად და მათი ორ-ორი წარმომადგენლი მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა გაეშვათ პარიზში თუ პრინციპოზე გასამართი საერთო რუსული კონფერენცია არ შედგებოდა (274, 267).

ჩხეიძე და წერეთელი თებერვლის ბოლოს უკვე პარიზში იყვნენ, მათთან ერთად წავიდნენ ეთერ წერეთელი და ბიქტორ ბაბე. ამ უკანასკნელთ, როგორც საფრანგეთის მოქალაქეებს, მგზავრობაში ხელი არ შეშლიათ (57, 1; 33, 48-62; 246).

ბრიტანელი სამხედროები მაინც არ ცხრებოდნენ. 17 და 23 თებერვალს ლონდონში გაგზავნილ ტელეგრამებში ისინი აპროტესტებდნენ ჩხეიძესა და წერეთლის, როგორც რადიკალი სოციალისტებისა და ბრიტანეთისადმი არამეგობრულად განწყობილი პირებისადმი პრეფერენციულ მოპყრობას, მაშინ, როდესაც დანარჩენი დელეგაციები კიდევ კონსტანტინოპოლში რჩებოდნენ (246; 247; 126). პარიზში ბრიტანული სამშვიდობო დელეგაციის წევრმა – არნოლდ ტონბიმ აღნიშნულ მოსაზრებას წააწერა: “სავარაუდოდ ფრანგებმა ჩხეიძესა და წერეთელს უპირატესობა მიანიჭეს არა როგორც “რადიკალ სოციალისტებს”, არამედ როგორც ანტიბოლშევიკებს!” (246).

კონსტანტინოპოლში დარჩენილი დელეგაციის სათავეში ჩხეიძემ გრიგოლ რცხილაძე დატოვა. მოგვიანებით ის მოკავშირეთა უმადლეს სარდლობებთან და ოსმალეთის მთავრობასთან მუდმივ წარმომადგენლად დაინიშნა. მისი მდივნები გახდნენ – სოსო გოგოლაშვილი და ანდრო დეკანოზიშვილი. მათ ჩხეიძისაგან მიიღეს დავალება, რომ დასწრებოდნენ აზერბაიჯანელებთან, ჩრდილო კავკასიელებთან და ყუბანელებთან ერთად გამართულ კრებებს, მაგრამ გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობა არ მიეღოთ (33, 48-62).

რცხილაძემ საფრანგეთის წარმომადგენელ დუპარკს ჰკითხა თუ რატომ არ ეძლეოდა დელეგაციის დარჩენილ ნაწილს პარიზში გამგზავრების უფლება. ფრანგმა დიპლომატმა უპასუხა, რომ საქართველო საკმარისად არის კონფერენციაზე წარმოდგენილი, თუმცა დაამატა, თუ დელეგაციის დარჩენილ წევრებს ვინმე ფრანგი უშუამდგომლებს, მათ გავატარებთ, როგორც კერძო პირებსო (60, 3-4). ასეთი უშუამდგომლობით ისარგებლა სოციალისტ-რევოლუციონერმა იოსებ გობეჩიამ, რომელსაც საფრანგეთის მისიაში მომუშავე პოლიტიკურმა ოფიცერმა ფულონმა უთხრა, რადგან გობეჩიას საფრანგეთში ჰქონდა მიღებული განათლება, ომის დროსაც იქ იმყოფებოდა, მეგობრები ჰყოლია, ვერ ხედავდა მის გამგზავრებაში დაბრკოლებას (33, 48-62). შესაბამისად, 14 აპრილს გობეჩია პარიზისაკენ გაემგზავრა. დელეგაციის დარჩენილი წევრები, ვოიტინსკის გამოკლებით, 30 მარტს უკან დაბრუნდნენ ბათუმში (60, 3-4).

საქართველოს დელეგაცია პარიზში დაბინავდა პერუზის ქუჩა ნომერ 37-ში, რომელიც 1919-1920 წლების მანძილზე რჩებოდა საფრანგეთსა და ევროპის ქვეყნებში საქართველოს წარმომადგენლობის ოფიციალურ მისამართად.

პარიზში ჩასვლის შემდეგ, 1919 წლის 28 მარტს კარლო ჩხეიძემ ოფიციალურად მიმართა საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს, რომ თუ სრული შემადგენლობა არა, ქართული დელეგაციისათვის ყველაზე საჭირო პირები მაინც დაემატებინათ. ესენი იყვნენ: ნიკო ნიკოლაძე, გრიგოლ რცხილაძე, იოსებ გობეჩია, გენერალი ოდიშელიძე, ივანე ჯავახიშვილი, ვახტანგ ღამბაშიძე და ცოლ-ქმარი ვოიტინსკები. ჩხეიძეს ამ თხოვნაზე პასუხი არ მისვლია (21, 61; 272, 221).

შექმნილი რეალობიდან გამომდინარე, დელეგაციის შემადგენლობა გადაიხედა. მის წევრებად შეყვანილნი იქნენ ევროპაში მყოფი დიპლომატები – ზურაბ ავალიშვილი, კონსტანტინე გვარჯალაძე და დავით ღამბაშიძე. ამ უკანასკნელს პარიზში მუშაობის იდეა არ სიბლავდა და არც ერთხელ დასწრებია მის სხდომებს, ის ლონდონში დიპლომატიურ საქმიანობას განაგრძობდა (31, 1-5; 284, 129; 51, 12).³¹ ტექნიკური პერსონალის შესავსებად დაიქირავეს პარიზში მცხოვრები რამდენიმე ქართველი და ფრანგები მოქალაქე (30; 50).

2. “ერთიანი რუსეთის” ჩრდილქვეშ

სანამ საქართველოს მთავრობის მიერ წარგზავნილი დელეგაცია საფრანგეთის დედაქალაქში ჩაადგებოდა, 1918 წლის დეკემბრიდან 1919 წლის თებერვლის ბოლომდე, ლონდონსა და პარიზში, ევროპაში მყოფი დიპლომატები – ზურაბ ავალიშვილი, დავით ღამბაშიძე და კონსტანტინე გვარჯალაძე ცდილობდნენ სამშვიდობო კონფერენციაზე, ახალი რესპუბლიკის დელეგაციის მუშაობისათვის ნიადაგი შეემზადებინათ.

ავალიშვილი ბერლინიდან ქრისტიანიაში 1918 წლის 21 ნოემბერს დაბრუნდა. მან 24 ნოემბერს კიდევ ერთი მემორანდუმი გადასცა საფრანგეთის ელჩ ბაპსტს (271, 48-52), ამასთანავე მონახულა ბრიტანეთის საელჩოს

³¹“პარიზში მყოფ საქართველოს დელეგაციის მოქმედება: მასალა მოხსენებისათვის. პარიზი, 1920 წლის 1 აგვისტო” (51). აღნიშნულ მოხსენებაში მთლიანად არის აღწერილი საქართველოს დელეგაციის ისტორია, ბევრი რამ მეორდება ზ. ავალიშვილის დასახელებული წიგნიდან, თუმცა ის უფრო ნაკლებად ტენდენციურია, რადგან არა ცალკეული პირის, არამედ მთელი დელეგაციის სახელით არის შედგენილი.

წარმომადგენლები და მათ სამხრეთ კავკასიაში შექმნილი ვითარება გააცნო. საქართველოს ძველი მეგობრის, ბერგენში მისი უდიდებულესობის გენერალური კონსულის – ოლივერ უორდროპისა და დავით ღამბაშიძის დახმარებით მიიღო ბრიტანეთში შესასვლელი დიპლომატიური ვიზა (318, 189-191).³² 20 დეკემბერს მან, ღამბაშიძესთან ერთად, შეხვედრა გამართა საგარეო საქმეთა სამინისტროში, სადაც ორივემ განაცხადეს, რომ საქართველოს არ ესაჭიროებოდა საგარეო დახმარება და ისინი რესპუბლიკის მხოლოდ აღიარებას მოითხოვდნენ (107).³³ აღნიშნული მოთხოვნის ნაწილობრივ დამაკმაყოფილებელი პასუხი ქართულმა ტანდემმა იმავე წლის 30 დეკემბერს მიიღო ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსაგან.

იანვრის პირველ რიცხვებში ისინი სამუშაოდ გადავიდნენ პარიზში, სადაც მათ კონსტანტინე გვარჯალაძე შეუერთდათ. ტრიო შეუდგა გამარჯვებულ სახელმწიფოთა სამშვიდობო დელეგაციების, კონფერენციის სამდივნოს მემორანდუმებით “დაბომბვას”. 1918 წლის ბოლოსათვის უკვე აღარ იდგა ბრიტანული პოლიტიკური ელიტის ინფორმირებულობის პრობლემა. შემდეგი ამოცანა იყო საფრანგეთის მთავრობასთან მუშაობის გაძლიერება, რომლის წარმომადგენლები ხშირად მეგობრული თვალით არ უყურებდნენ ქართველებს. 21 იანვრის წერილით ქართულმა სამეულმა საფრანგეთის დელეგაციას ამცნო, რომ იმყოფებოდნენ პარიზში და უფლებამოსილნი იყვნენ აღიარების საკითხზე მოლაპარაკება გაემართათ საქართველოს მთავრობის სახელით (19, 1; 271, 142). უკვე მეორე დღეს მათ მემორანდუმი გაუგზავნეს საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრს, სადაც აღუწერეს 1918 წლის გაზაფხულ-ზაფხულის მოვლენები საქართველოში და აუხსნეს, რომ გერმანიასთან კავშირი სრულიად იძულებითი სახის იყო. ქართველი დელეგატები მინისტრისაგან ქვეყნის დე ფაქტო აღიარებას მოითხოვდნენ (19, 2-8; 271, 143). 30 იანვარს კიდევ ერთი მემორანდუმი

³² ავალიშვილისადმი დახმარების თხოვნით, ბერლინიდან ბერგენში 18 ნოემბერს მიმართა ოლივერ უორდროპს აკაკი ჩხენკელმა (4, 3; 266). ომის დასრულებიდან სულ ერთი კვირის თავზე დახმარების პირობით, ბერლინში საპასუხო წერილის გაგზავნა არანორმალური მოვლენა იქნებოდა. უორდროპს არ უპასუხია, თუმცა სათანადო დახმარება გაუწია ქართველებს.

³³ ლონდონში ავალიშვილი სოციალ-დემოკრატთა ზედამხედველობის გარეშე მუშაობდა, მან საკუთარი ინიციატივით უთხრა ბრიტანელებს, რომ საქართველოს არ სჭირდებოდა საგარეო დახმარება და ამიტომ ბოლომდე სამართლიანი არ არის, მანდატის უარყოფასთან დაკავშირებით, მისი მხრიდან მენშევიკ ლიდერთა კრიტიკა (318, 256). თუმცა 1919 წლის ზაფხულიდან ის მანდატის იდეის ძლიერი მომხრეა, მაგრამ ამ დროისათვის სოციალ-დემოკრატებმაც მოახდინეს, მეტად თუ ნაკლებათ, საკუთარ შეხედულებათა მოდიფიკაცია.

გადასცეს მინისტრს, სადაც მეზობლებთან საქართველოს კარგი დამოკიდებულების დასაბუთებას შეეცადნენ, ისინი ხაზს უსვამდნენ რესპუბლიკის ანტიბოლშევიკურ ხასიათს და კიდევ ერთხელ სთხოვდნენ დე ფაქტო აღიარებას (19, 10-16; 271, 167-173). 14 თებერვალს მემორანდუმთან ერთად, სხვადასხვა მნიშვნელოვან დოკუმენტთა ასლები გაეგზავნა სამშვიდობო კონფერენციის თავმჯდომარეს, საფრანგეთის პრემიერ-მინისტრ ჟორჟ კლემანსოს. ქართველი დელეგატები მას განუმარტავდნენ შუა აღმოსავლეთში გასასვლელად საქართველოზე გამავალი სატრანზიტო გზის მნიშვნელობას (20, 21-22; 271, 198-208).

გამარჯვებულ სახელმწიფოთა დელეგაციებისათვის 8 თებერვალს მიწერილ წერილში სამეული მოკავშირეებს უსაყვედურებდა წინა მიმართვებზე პასუხგაუცემლობას და მიუთითებდა, რომ საქართველოს პოლონეთზე, ფინეთზე და ბესარაბიაზე მეტი საერთაშორისო სამართლებრივი უფლება ჰქონდა ყოფილიყო დამოუკიდებელი, რადგან ის არ ყოფილა რუსეთის მიერ დაპყრობილი, არამედ ხელშეკრულების პირობებით იყო მასთან დაკავშირებული. ტერიტორიები, რომლებსაც ქვეყანა მოითხოვდა, დელეგატთა თქმით, იმ დროიდან ეკუთვნოდა ქართველ ხალხს, როდესაც ევროპის წამყვანი სახელმწიფოები საერთოდ არ არსებობდნენ. ისინი აგრეთვე შეახსენებდნენ ათასობით ქართველი ჯარისკაცისა და ოფიცრის დეაწლს, რომლებმაც მოკავშირეთა გამარჯვებისათვის სისხლი დაღვარეს რიგიდან მესოპოტამიამდე. საქართველოს საკითხი უნდა დასმულიყო რუსეთის საკითხისაგან განცალკევებით, უნდა მომხდარიყო ქვეყნის დამოუკიდებლობის ცნობა და ამისათვის კონფერენციას უნდა შეექმნა განსაკუთრებული კომისია (20, 16-19; 315, 47-49; 271, 186-189; 240). ქართველმა დიპლომატებმა მიმართვა, ოდნავ შეცვლილი ფორმით, გაიმეორეს 19 თებერვალს (241).

ბოლო ორი დოკუმენტის განხილვისას, ბრიტანეთის სამშვიდობო დელეგაციის წევრმა არნოლდ ტონბიმ მათზე წააწერა, რომ ქართველთა მოთხოვნები სრულიად ლოგიკური იყო და მათი უგულვებელყოფა ქართულ-ბრიტანულ ურთიერთობებში გაუცხოებას გამოიწვევდა, მას არ ესმოდა, რატომ არ უნდა მოესმინა კონფერენციას ქართველებისათვის, სომხებთან ერთად (240; 241), ამ დროს კონფერენციას საქართველოსათვის არ ეცალა, რადგან ის რუსეთის ყოფილი იმპერიის ყველა წარმომადგენლის საერთო კონფერენციაზე

შეხვედრის ორგანიზებას გეგმავდა. ევროპის წამყვანი ქვეყნები ძალიან მარტივად უყურებდნენ რუსეთის საკითხის სირთულესა და კომპლექსურობას. ისინი მოქმედებდნენ არა რეალისტური, არამედ სასურველი სცენარის მიხედვით.

1918 წლის 30 დეკემბერს ბრიტანეთის იმპერიის საომარი კაბინეტის სხდომაზე კანადის პრემიერ-მინისტრმა სერ რობერტ ბორდენმა წამოაყენა იდეა, რომ რუსეთის ყოფილი იმპერიის ტერიტორიაზე აღმოცენებული ყველა მთავრობა ერთად შეეკრიბათ და დიდ სახელმწიფოთა წარმომადგენლების თანდასწრებით გადაეწყვიტათ რუსეთის საკითხი (83).

ეს იდეა 1919 წლის იანვარში, პარიზში სამშვიდობო კონფერენციის მსვლელობისას აიტაცა პრეზიდენტმა უილსონმა. ბრიტანულ-ამერიკული ალიანსი საფრანგეთის მძლავრ წინააღმდეგობას წააწყდა. კლემანსოს არ სურდა ბოლშევიკთათვის გარკვეული ლეგიტიმაცია დაეშვა, მათი პარიზში მოწვევითა და მოლაპარაკებათა პროცესში ჩართვით (301, 647-653).

გადაწყდა, რომ კონფერენცია დაწყებულიყო 1919 წლის 15 თებერვალს მარმარილოს ზღვაში მდებარე პრინციპოს კუნძულებზე. 22 იანვარს უმაღლესმა საბჭომ დაადგინა პრეზიდენტ უილსონის მიერ წარმოდგენილი მიმართვის ტექსტი, რომელიც ყველა დაინტერესებულ მხარემდე უნდა მისულიყო (301, 676-677). კონკრეტული მოსაწვევი ბარათი არავისთვის გაუგზავნიათ. ყველა მხარემ თანაბრად, პრესისა და რადიოგრამების მეშვეობით მიიღო წინადადება. თანმდევნი რეაქცია იყო საკმაოდ უარყოფითი. ბოლშევიკები, მათი ლეგიტიმაციის გაზრდის მიზნით, ითხოვდნენ უშუალო მიწვევას, მაგრამ მოგვიანებით კონფერენციაში მონაწილეობისა და ხელშესახები დათმობებისათვის მზადყოფნა გამოთქვეს, რაც “მეორე ბრესტის” ტოლფასი იყო.

რუსული “სოვემანიე” შოკირებული შეხვდა აღნიშნულ წინადადებას, რადგან კოლჩაკის ხელისუფლების საერთაშორისო აღიარებისა და ანტიბოლშევიკური ჯვაროსნული ლაშქრობის ნაცვლად, მათ საბჭოებთან გათანაბრებული, კონფლიქტის მონაწილე ერთ-ერთი მხარის სამართლებრივი მდგომარეობა მიიღეს.

ყოფილი იმპერიის ეროვნულმა უმცირესობებმა ესტონელთა გამოკლებით, უარი თქვეს კონფერენციაში მონაწილეობის მიღებაზე, რადგან მათ საერთო რუსულ პლატფორმაზე საუბარი არ სურდათ. მოკავშირეთა შორისაც არ

იწვევდა ერთსულოვნებას პრინციპოს პროექტი. საფრანგეთი და იტალია მის წინააღმდეგ იყვნენ განწყობილნი. ჩერჩილიც არ ეთანხმებოდა ბოლშევიკებთან მოლაპარაკების იდეას და, თეთრი გენერლებისათვის გაწეული დახმარებით, ანტიბოლშევიკური ომის ბოლომდე მიყვანის პოზიციაზე იდგა (359, 82-130; 361, 99-135).

1919 წლის 27 იანვრის ათთა საბჭოს სხდომაზე ბალფურმა დასვა კითხვა – მოწვეულ უნდა ყოფილიყვნენ თუ არა პრინციპოზე ძველი რუსეთის ის ელემენტები, რომელთა დამოუკიდებლობის ფორმირების იმედი მოკავშირეებს ჰქონდათ. მათ შორის ესტონეთი, საქართველო, რუსეთის სომხეთი და შესაძლოა დაღესტანიც. გადაწყდა ყველას მიწვევა (301, 734).

მეორე დღესვე, 28 იანვარს, ქართულმა დელეგაციამ, გვარჯალაძის, ავალიშვილისა და ღამბაშიძის შემადგენლობით, ნოტა გაუგზავნა სამშვიდობო კონფერენციას იმის თაობაზე, რომ საქართველო ვერ მიიღებდა მონაწილეობას აღნიშნულ ღონისძიებაში, რადგან ის უკვე აღარ შეადგენდა რუსეთის ნაწილს, ქვეყანამ საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების დაცვით გამოაცხადა დამოუკიდებლობა, ხოლო ქართველი ხალხი არ წარმოადგენდა რუს ხალხს და ა.შ. (273, 142; 19, 9; 394)³⁴

პრინციპოს კონფერენცია ჩავარდა. მხარეთა პოზიციები იმდენად განსხვავებული, ურთიერთსაპირისპორო იყო, რომ ისინი შეხვედრაზეც ვერ შეთანხმდნენ. შექმნილ ვითარებაში იმედის ქონა, რომ შეხვედრის შემთხვევაში შეთანხმება, მოწინააღმდეგე ბანაკთა შერიგება, რუსეთში ომის შეწყვეტა, ამასთანავე როგორც ეროვნული უმცირესობების, ასევე ყოფილი მეტროპოლიის დაკმაყოფილება მოხერხდებოდა, ზედმეტი იდეალიზმი ან საკითხისადმი ზედაპირული მიდგომა იყო.

აღნიშნული დასკვნა კიდევ ერთხელ დაადასტურა იმავე წლის მაის-ივნისში ერთი მხრივ კოლჩაკსა და უმაღლეს საბჭოს შორის გამართულმა მიმოწერამ, ხოლო მეორე მხრივ მოკავშირეებსა და რუსეთის ყოფილი იმპერიის მცირე ეროვნებათა წარმომადგენლებს შორის წარმოებულმა მოლაპარაკებებმა.

³⁴ ქართული დელეგაციის გადაწყვეტილებას არ ეთანხმებოდა აკაკი ჩხენკელი, რომელიც საქართველოს მთავრობას წერდა, რომ საქართველოსნაირმა პატარა ქვეყანამ ყველა ტრიბუნა უნდა გამოიყენოს, რათა სხვებს გააცნოს საკუთარი საკითხიო (5, 5-6).

ეს პროცესი, მოკავშირეთა შუამავლობით, ერთიანი რუსეთის იდეასა და მცირე ეროვნებათა თავისუფალი არსებობის უფლებას შორის კომპრომისის მოძებნას, მათ ერთიან ჩარჩოებში მოქცევას ისახავდა მიზნად.

1919 წლის აპრილისა და მაისისათვის კოლჩაკმა ხელშესახებ წარმატებას მიაღწია ბოლშევიკებთან ბრძოლაში. პარიზიდან მისი საბოლოო გამარჯვება იმედის მომცემად მოჩანდა. მართალია, თეთრმა ადმირალმა ჯერ კიდევ 1918 წლის 27 ნოემბერს აიღო რუსეთის ყველა საშინაო და საგარეო ვალის გასტუმრების ვალდებულება, მაგრამ მოკავშირეები შიშობდნენ, რომ მას შემდეგ, რაც კოლჩაკი მოსკოვს აიღებდა, ის აღადგენდა ძველ რეჟიმს. უმაღლეს საბჭოში გადაწყვიტეს მისთვის დახმარების გაგრძელების პირობად დემოკრატიული რეფორმების გატარება მოეთხოვათ, რომლებიც კოლჩაკს უნდა განეხორციელებინა მას შემდეგ რაც ბოლშევიკებს ჩამოაშორებდა ხელისუფლებას (113, 125-127; 304, 14-20; 359, 277-308).

კოლჩაკისათვის წაყენებულმა მოთხოვნებმა შვიდპუნქტიანი დოკუმენტის სახე მიიღო. მეხუთე და საქართველოსათვის ყველაზე მნიშვნელოვანი პუნქტის ფორმულირება შემდეგნაირად მოხდა: “თუ ესტონეთთან, ლატვიასთან, ლიტვასთან, კავკასიისა და კასპიისპირეთის ტერიტორიებთან ურთიერთობათა განსაზღვრა და შეთანხმების მიღწევა სწრაფად ვერ მოხერხდა, მაშინ საკითხის დარეგულირება უნდა მოხდეს ერთა ლიგასთან კონსულტაციისა და თანამშრომლობის შედეგად. შეთანხმების მიღწევამდე რუსეთი თანხმობას აცხადებს აღნიშნულ ტერიტორიათა ავტონომიური არსებობის აღიარებაზე და ეთანხმება იმ ურთიერთობათა არსებობას, რომელიც შეიძლება წარმართოს აღნიშნულ დე ფაქტო მთავრობებსა და მოკავშირე სახელმწიფოების მთავრობებს შორის”. (113, 142-143; 304, 34-36). დოკუმენტმა, მხარეთა მაქსიმალისტური მიდგომის გამო, ვერც ერთიანი რუსეთის დამცველებსა და ვერც მცირე ეროვნებათა წარმომადგენლებს შორის მოწონება ვერ დაიმსახურა.

უკმაყოფილოები იყვნენ მცირე ეროვნებათა, მათ შორის საქართველოს წარმომადგენლები. ბალტიისპირეთის ქვეყნებისაგან გასხვაგვებით, წერილში საერთოდ არ იყო ნახსენები საქართველო, არამედ “კავკასიის ტერიტორია”, ყოველგვარი ადმინისტრაციული ტერმინის გამოუყენებლად, რაც აკნინებდა ახალი რესპუბლიკის არა მარტო დამოუკიდებლობის, არამედ ავტონომიურობის სტატუსსაც. ამასთანავე, წერილიდან აპრიორი გამომდინარეობდა დასკვნა, რომ,

პოლონეთისა და ფინეთისაგან გასხვავებით, “კავკასიის ტერიტორია” უნდა გამხდარიყო აღდგენილი რუსეთის ნაწილი, ავტონომიის ამა თუ იმ ფორმით.

საქართველოში რუსეთისადმი შიშსა და უნდობლობას აძლიერებდა სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკებისადმი გენერალ დენიკინის აგრესიული დამოკიდებულება. მიმდინარე მოვლენებმა გამოიწვია არა მარტო სამხრეთ კავკასიის ქვეყნების, არამედ რუსეთის ყოფილი იმპერიიდან გამოყოფილი ფაქტობრივად ყველა სახელმწიფო წარმონაქმნის, თვითგადარჩენის მიზნით, მჭიდრო დაახლოვება. 1919 წლის მაისის ბოლოს პარიზში დაარსდა აზერბაიჯანული, მთიელთა რესპუბლიკისა და ქართული დელეგაციების ერთიანი კომისია, რომელიც რეგიონალური თანამშრომლობის, საერთო საფრთხეების, ერთიანი დეკლარაციების შემუშავების საკითხებს განიხილავდა. სომხური დელეგაცია თავს იკავებდა კომისიის მუშაობაში მონაწილეობისაგან იმ მიზეზით, რომ ის არ წარმოადგენდა მხოლოდ კავკასიის სომხეთს (284, 135; 31, 9).

იმავე წლის 16 ივნისს საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის თბილისში ხელი მოეწერა თავდაცვის პაქტი. მხარეები, სამი წლის ვადით, ვაღდეულებას დებულობდნენ, რომ რომელიმე მათგანის მიმართ მესამე მხარის მიერ განხორციელებული აგრესიის შემთხვევაში მთელი თავიანთი შეიარაღებული ძალებით გამოვიდოდნენ ერთმანეთის დასაცავად. დელეგაციებმა უმაღლეს საბჭოს გაუგზავნეს პაქტის ტექსტი, ხაზი გაუსვეს, რომ შეთანხმება ცალსახად თავდაცვითი ხასიათის იყო და მიუთითეს, რომ მისი მოქმედებაში მოყვანა საჭირო არ გახდებოდა თუ მოკავშირეები გააკონტროლებდნენ გენერალ დენიკინის მიერ წარმოებულ სამხედრო ოპერაციებს.

ურთიერთკოორდინაციის პარალელურად, რესპუბლიკები ხშირად იძულებულნი იყვნენ კონფერენციისადმი საპროტესტო ნოტებიც ეგზავნათ. 1919 წლის 14 ივნისის ნოტით საქართველოს დელეგაცია მიუთითებდა მოკავშირეებს, რომ მათ მიერ შეიარაღებული დენიკინი, ბოლშევიკებთან ბრძოლის ნაცვლად აფხაზეთის ტერიტორიაზე მოქმედებდა საქართველოს წინააღმდეგ და მიზნად ისახავდა, ტერიტორიების ოკუპაციით, კონფერენციის მომხდარი ფაქტის წინაშე დაყენებას (231; 271, 261-262; 20, 35-36).

მოკავშირეთა მხრიდან კოლჩაკისათვის გაგზავნილ წერილს 17 ივნისს ერთობლივი დეკლარაციით გამოეხმაურნენ საქართველოს, აზერბაიჯანის, ჩრდილო კავკასიის, ესტონეთის, ლატვიის, ბელორუსისა და უკრაინის დელეგაციები. ახალშექმნილ რესპუბლიკათა წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ მათ გამოაცხადეს დამოუკიდებლობა, ხელმომწერ ქვეყნებს მართავენ ხალხის მიერ არჩეული მთავრობები და მოკავშირეებს სთხოვდნენ დაუყოვნებლივ აღიარებას (23, 58; 273, 205).

ქართველთა მიერ ატეხილი განგაშის მოხსნის მიზნით, საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა კრამერერმა კონსტანტინე გვარჯალაძეს 18 ივნისს განუცხადა, ფედერაციულ რუსეთში იმდენად ფართო უფლებები გექნებათ, რომ ძალიან მცირე განსხვავება იქნება სრული დამოუკიდებლობისგან. დელეგაცია ამ განცხადებამ ვერ დაამშვიდა. ეგზისტენციალური საფრთხის წინაშე მყოფ ქართველებს უსაბუთო დაპირებისა არ სჯეროდათ და ამასთანავე არ ეთმობოდათ სრული დამოუკიდებლობის იდეა.³⁵ შესაბამისად, მათ განაგრძეს აღებული კურსით მუშაობა.

საქართველოს, აზერბაიჯანისა და მთიელთა დელეგაციები 20 ივნისს წარდგენილი ნოტით აპროტესტებდნენ კოლჩაკისადმი გაგზავნილ წერილში რესპუბლიკების “კავკასიის ტერიტორიად” მოხსენიებას, მათი მომავლის რუსეთთან დაკავშირებას, რაც, მათივე მტკიცებით, ერთა ლიგის პრინციპებს ეწინააღმდეგებოდა. ისინი ხაზს უსვამდნენ, რომ არასოდეს დაბრუნდებოდნენ რუსეთის შემადგენლობაში (220; 136; 20, 37-39).

26 ივნისის დეკლარაციამ საკითხთა უფრო ფართო სპექტრი მოიცვა, მასზე ხელს აწერდნენ ესტონეთის, ლატვიის, ლიტვის, პოლონეთის, საქართველოს, აზერბაიჯანის და ჩრდილო კავკასიის დელეგაციები. ისინი პროტესტს გამოხატავდნენ დენიკინის მიერ ჩრდილო კავკასიის ოკუპაციის, საქართველოსა და აზერბაიჯანისათვის შექმნილი საფრთხის გამო. ისინი კონფერენციას შეახსენებდნენ, რომ რუსეთის საკითხი უნდა მოგვარებულიყო ეროვნული თვითგამორკვევის პრინციპის გათვალისწინებით. ამის

³⁵ იმავე საუბრის დროს კრამერერი გვარჯალაძეს დაჰპირდა, რომ საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო კონსტანტინოპოლში წერილს გაგზავნიდა, რათა დელეგაციისათვის საჭირო ქართველი ექსპერტები პარიზისკენ გაეტარებინათ. მან ეს დაპირება არ შეასრულა (285, 183-184; 31, 20).

საწინააღმდეგოდ, მოკავშირეთა მიერ შეიარაღებული დენიკინი ცდილობდა ფაქტის წინაშე დაეყენებინა კონფერენცია და გაენადგურებინა ახალწარმოქმნილი რესპუბლიკები (315, 766-768; 273, 220; 21, 98-102; 138).

28 ივნისს ჩხეიძე წერდა დიდ სახელმწიფოთა დელეგაციების ხელმძღვანელებს: კოლჩაკისათვის წაყენებული პირობების მიხედვით, ამ უკანასკნელს თითქოს რუსეთის ყოფილი იმპერიის ტერიტორიაზე წარმოქმნილ ქვეყნებთან ურთიერთობა მოლაპარაკებებისა და ერთა ლიგის შუამავლობით უნდა მოეგვარებინა, მაგრამ ეს მითითება წინააღმდეგობაში მოდიოდა დენიკინის მხრიდან კავკასიის რესპუბლიკების მიმართ განხორციელებულ აგრესიულ პოლიტიკასთან. 10 ივლისს გაცემულ პასუხში ბრიტანეთის დელეგაცია იტყობინებოდა, რომ შავი ზღვის სანაპირო ზოლში ქართულ და დენიკინის ჯარებს შორის არსებული სირთულეების მოსაგვარებლად ბრიტანელმა სამხედროებმა ყველა ღონე იხმარეს. მისი უდიდებულესობის მთავრობას არ ჰქონდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ მოხალისეთა არმია სამხრეთ კავკასიის დაპყრობას გეგმავდა, უფრო მეტიც, არსებობდა მიზეზი, რათა ერწმუნათ, რომ რუსი გენერალი მთელს თავის ძალისხმევას ბოლშევიკთა წინააღმდეგ მიმართავდა (235; 271, 269-270; 20, 42-43; 25, 95).

მცირე ეროვნებათა საერთო ანტირუსული აღტყინებისა და დენიკინის საფრთხის ზრდის ფონზე ბრიტანული დელეგაციის პასუხი ქართული მხარისათვის, რასაკვირველია, დამაკმაყოფილებელი ვერ იქნებოდა. მისი უდიდებულესობის მთავრობის პოლიტიკა, ისტორიის მოცემულ ეტაპზე, გარკვეულწილად დაშორდა ახალ რესპუბლიკათა ეროვნულ ინტერესებს.

მას შემდეგ რაც შუა აღმოსავლეთის საკითხებში დეპარტამენტთაშორისმა კონფერენციამ კავკასიიდან ჯარების გამოყვანის გადაწყვეტილება მიიღო, ხოლო მოკავშირეთა უმაღლესმა საბჭომ ბოლოს და ბოლოს მიაღწია საერთო, კომპრომისულ პოზიციას რუსეთის საკითხთან დაკავშირებით, საქართველოს დამოუკიდებლობის ყველაზე ძლიერმა მხარდამჭერებმა – ლორდმა კერზონმა და პროფესორმა სიმპსონმა ყველაზე რეალისტურ გამოსავლად მცირე ეროვნებათათვის ფართო ავტონომიური უფლებების მოპოვებაში დაინახეს.

1919 წლის მაისის ბოლოს და ივნისის დასაწყისში პროფესორი სიმპსონი ორჯერ შეხვდა ქართულ დელეგაციას. ის საკითხის გადაწყვეტის ერთადერთ

შესაძლო ვერსიას სთავაზობდა ქართველ დიპლომატებს – საქართველო უნდა ჩამოყალიბებულიყო ავტონომიის რა ფორმით შეუერთდებოდა რუსეთს. სიმპსონის აზრით, ეს გაერთიანება შესაძლოა 30 წლის შემდეგ მომხდარიყო, მაგრამ ქართველებს ახლავე უნდა მიეცათ ამის პირობა. ირაკლი წერეთლის არგუმენტები იმის თაობაზე, რომ ქართველმა ხალხმა დელეგაცია დამოუკიდებლობის დასაცავად გამოუშვა, ხოლო რუსეთთან გაერთიანებაზე საუბრის დაწყება დენიკინის მიერ გამოყენებული იქნებოდა საქართველოს გასანადგურებლად, სიმპსონმა, ფაქტობრივად, არ მოისმინა (31, 21-25).

ლონდონიდან პარიზში მიწერილ 1 ივლისის წერილში კერზონი სთავაზობდა ბალფურს, რომ სანამ კოლჩაკი მოსკოვს აიღებდა და შეეცდებოდა 1914 წელს არსებული წყობილება დაებრუნებინა, საჭირო იყო ახლავე, მისთვის წაყენებული პირობების ფარგლებში, დიდ სახელმწიფოებს მოლაპარაკებები დაეწყოთ რუსებსა და მცირე ეროვნებათა წარმომადგენლებს შორის შეთანხმების მისაღწევად. კერზონის აზრით, “სოვემანიე” უარს ვერ იტყოდა მოკავშირეთა შუამავლობაზე, ხოლო მცირე ეროვნებათა ნაწილი უძლური იყო მარტო ეარსება და ისინი ნებით შეუერთდებოდნენ აღდგენილ რუსეთს. რაც შეეხება ესტონეთს, ლატვიასა და საქართველოს, რომელთაც მისი უდიდებულესობის მთავრობისაგან მხარდამჭერი განცხადებები ჰქონდათ მიღებული, ბრიტანეთს არ აუღია მათი დამოუკიდებლობის აღიარების ვალდებულება, პირიქით – რესპუბლიკებს განეცხადათ, რომ სამომავლოდ კონფერენცია განსაზღვრავდა ამ ქვეყნების მომავალს. მოკავშირეების მიერ კოლჩაკთან მოლაპარაკებებში მათი ჩაბმა სწორედ ამ პოლიტიკის გაგრძელება არისო, დაასკენიდა საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი (290, 409-411).

2 ივლისს ჩხეიძე, გვარჯალაძესთან ერთად, შეხვდა საფრანგეთის საზავო დელეგაციის წევრ ვივიანს და პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის წევრს ბრიანს, რომელთაც დენიკინის უკანასკნელი მოქმედებები გააცნეს. ფრანგებმა პასუხისმგებლობა თავიდან აიცილეს, ეს საკითხები ჩვენს კომპეტენციაში არ შედისო და ზოგადი დაპირება მისცეს ქართველებს – “ყურადღებას მაინც მივაქცევთო” (31, 39).

ქართული დელეგაცია რთულ ვითარებაში აღმოჩნდა. თუ აქამდე პრობლემას მოკავშირეთა მიერ რუსეთის მცირე ეროვნებათა საკითხის

გადაუწყვეტლობა წარმოადგენდა, მოცემულ მომენტში ასეთი გადაწყვეტილება სახეზე იყო და, რაც მთავარია, ის არ იძლეოდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებისათვის იმედს.

ქართულმა დელეგაციამ 1919 წლის 19-20 ივნისის სხდომებზე განიხილა შექმნილი მდგომარეობა და გადაწყვიტა უფრო მოქნილი პოზიცია დაეჭირა. საბოლოო დადგენილებით, როგორც რუსეთისაგან, ასევე მოკავშირეებისაგან უნდა მოეთხოვათ ჯერ აღიარება და შემდეგ დამოუკიდებელ საქართველოს შესაძლოა მოლაპარაკება გაემართა რუსეთთან ფედერაციული გაერთიანების თაობაზე, თუ ამ უკანასკნელში სიმშვიდე, ნამდვილი დემოკრატიული წყობილება დამყარდებოდა (31, 26-27).

24 ივნისს წერეთელი შეხვდა “სოვეშანიეს” ერთ-ერთ ხელმძღვანელს და რუსეთის დროებითი მთავრობის ყოფილ თავმჯდომარეს თავად გიორგი ლვოვს. მას, ისევე როგორც ყველა რუს ნაციონალისტს, საქართველოს დამოუკიდებლობის გაგონებაც არ სურდა, უფრო მეტიც – ავტონომიაც დროებითი სალაპარაკო თემაა მათთვისო – ასკენიდა ქართველი დელეგატი. წერეთელმა უარი განუცხადა “სოვეშანიეში” ოფიციალურად მოსალაპარაკებლად მისვლაზე და უთხრა, რომ ნებით საქართველოში დენიკინს არავინ შემოუშვებდა, ხოლო თუ ძალით შემოვიდოდა, ეს გამოიწვევდა სისხლისღვრას და რუსეთისადმი სიძულვილს. თავის მხრივ ლვოვმა განაცხადა, რომ ქართველებისადმი სიძულვილს გამოიწვევდა რუსეთის გაჭირვებაში მიტოვება. წერეთელმა კამათი დაასრულა მისთვის შეხსენებით, რომ საქართველო რუსეთს ხელშეკრულების პირობით დაუკავშირდა, რომლის მიხედვით, ამ უკანასკნელმა მტრებისაგან მისი დაცვის პასუხისმგებლობა აიღო, მაგრამ ოსმალეთთან ბრძოლაში რუსეთმა ეს მოვალეობა ვერ შეასრულა და, შესაბამისად, საქართველო თავისუფალი იყო ყოველგვარი ვალდებულებისაგან (31, 28).

წერეთელი იმავე დღეს შეხვდა ყუბანის დელეგაციის ხელმძღვანელ ბიჩს. ქართველმა დიპლომატმა მას სთხოვა, შეეკრიბა რუსეთის შიდა რეგიონების – ყუბანელების, დონელების, ბელორუსების წარმომადგენლები და მოკავშირეთათვის განეცხადებინათ, რომ კოლჩაკი არ წარმოადგენდა რუსეთს, მასთან ყოფნა არათუ მცირე ეროვნებებს, არამედ ჩამოთვლილ პროვინციებსაც არ სურდათ. ბიჩი დათანხმდა. წერეთლის გათვლით, “სოვეშანიეს”

პარალელურად, მეორე რუსული ცენტრის დაარსება ხელს შეუშლიდა მოკავშირეთა მხრიდან კოლჩაკის აღიარებას, შესაბამისად, მცირე ეროვნებებზე ზეწოლაც შეწყდებოდა (31, 29-30).

მოკავშირეთა 26 მაისის წერილს აღმირაღმა კოლჩაკმა ომსკიდან 4 ივნისს უპასუხა. ის ყველა პირობის შესრულებაზე თანხმობას აცხადებდა, გარდა ფინეთის დამოუკიდებლობის აღიარებისა, რომელიც დამფუძნებელ კრებას უნდა განესაზღვრა, და 1917 წელს არჩეული კრების მოწვევისა, რადგან ამ უკანასკნელში წევრთა ნაწილი დამნაშავე ბოლშევიკები იყვნენ.

ესტონეთის, ლატვიის, ლიტვის, კავკასიისა და კასპიისპირეთის ქვეყნების შესახებ კოლჩაკი მზადყოფნას გამოთქვამდა, მიეღო ერთა ლიგის შეამავლობა. ავტონომიის ფორმები და პირობები თითოეულ შემთხვევაში ცალ-ცალკე უნდა განსაზღვრულიყო (304, 321-323). გამოდიოდა რა მოსაზრებიდან, რომ კოლჩაკი პირობას იძლეოდა ძველი რეჟიმი არ აღედგინა, უმაღლესმა საბჭომ მისი პასუხი მთლიანობაში დამაკმაყოფილებლად ჩათვალა და საპასუხო წერილში კმაყოფილება გამოხატა (304, 356).

11 ივლისს ქართულმა დელეგაციამ კიდევ ერთხელ განიხილა საკითხი, რა პოლიტიკურ ხაზს უნდა დასდგომოდნენ შექმნილ რეალობაში. ავალიშვილის აზრით, დაუყოვნებლივ უნდა დაეწყოთ “სოვეშანიესთან” მოლაპარაკება, რადგან თუ ეს ძალა რუსეთის ხელისუფლებაში მოვიდოდა, მერე უფრო გაჭირდებოდა მათთან საუბარი, ხოლო თუ არ მოვიდოდა – ამ მოლაპარაკებებით საქართველო არაფერს კარგავდა. ვარლამ ჩერქეზიშვილი კატონისებური დაჟინებით იმეორებდა, რომ 1783 წლის ტრაქტატის პირობებიდან გამომდინარე, საქართველო იურიდიულად უკვე დამოუკიდებელი სახელმწიფო იყო და მას არ სჭირდებოდა “სოვეშანიესგან” ამ უფლების გამოთხოვა. მოკავშირეების მიერ აღიარებაზე უნდა ვიმუშაოთ, ასკვნიდა ჩერქეზიშვილი. ჩხეიძე და წერეთელი იმ აზრზე იყვნენ, რომ ინიციატივის გამოჩენა, როდესაც უმაღლეს საბჭოს საქართველოსაგან არ მოუთხოვია რუსეთთან მოლაპარაკების დაწყება, კოლჩაკის ლეგიტიმაციას აამაღლებდა, საქართველოს კი ვერაფერს შესძენდა. დელეგაციის ხელმძღვანელთა განმარტებით, “სოვეშანიე” არც პარიზში და არც შემდეგ არ წავიდოდა კომპრომისზე საქართველოსთან. დელეგატებმა შეთანხმებას ვერ მიაღწიეს და დისკუსია დაიხურა (31, 47-48).

როგორც შემდგომმა მოვლენებმა აჩვენეს, მოკავშირეთა ენთუზიაზმი და ქართველების, ისევე როგორც რუსეთის ყოფილი იმპერიის სხვა მცირე ეროვნებების, შიში დიდხანს არ გაგრძელებულა. 1919 წლის გაზაფხულზე მიღწეული სამხედრო წარმატება კოლჩაკისათვის ბოლო აღმოჩნდა. ზაფხულიდან მოყოლებული, ბოლშევიკები კონტრშეტევაზე გადავიდნენ, ციმბირში დისლოცირებულ თეთრ არმიებს ჯერ უკანდახევა აიძულეს, ხოლო 1920 წლის დასაწყისისათვის მთლიანად გაანადგურეს. შესაბამისად, მალევე დაკარგა ღირებულება მოკავშირეთა მიერ კოლჩაკისთვის გაგზავნილმა 26 მაისის წერილმაც. მიუხედავად ამისა, სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკების პარიზული პოლიტიკა მანამდე რჩებოდა “ერთიანი რუსეთის” ჩრდილქვეშ, სანამ დენიკინის მოხალისეთა არმია ბრძოლისუნარიან ძაღას წარმოადგენდა.

თავი III

საქართველო და მოკავშირეები

1. იტალიური მანდატი და შემდეგ

ლოიდ ჯორჯი არ უცდიდა კონფერენციის მიერ რუსეთის საკითხის გადაწყვეტას, რომელიც შეიძლებოდა გაურკვეველი დროით გადადებულიყო. მას მალევე სურდა კავკასიიდან ჯარების გაყვანა.

ბრიტანეთის პრემიერმა კონფერენციის საწყის ეტაპზევე, 1919 წლის 28 იანვარს დააყენა ათთა საბჭოს სხდომაზე აღნიშნული საკითხი. მისი სიტყვებით, იმპერიას 170000 ჯარისკაცი ჰყავდა სირიაში, კავკასიაში, აღმოსავლეთ აფრიკაში და სხვა დაშორებულ ადგილებში. ეს ჯარები ადრე თუ გვიან უნდა გამოსულიყვნენ ჩამოთვლილი ტერიტორიებიდან, რადგან ბრიტანეთი იქ დარჩენას არ აპირებდა იმ შემთხვევაშიც კი თუ ერთა ლიგა ასეთი თხოვნით მიმართავდა. ლოიდ ჯორჯი კერზონის, საგარეო საქმეთა სამინისტროს პოზიციასაც გამოხატავდა და ამატებდა, რომ ჯარებს ვერ გამოიყვანდნენ, სანამ აღნიშნულ რეგიონებში ბრიტანელების მაგიერ სხვა მოკავშირე ქვეყნების ჯარები არ შევიდოდნენ. კონფერენციას სასწრაფოდ უნდა გადაეწყვიტა ეს საკითხი, ასკვნიდა პრემიერ-მინისტრი (301, 770). მან 30 იანვრის სხდომაზეც გაიმეორა, ბრიტანეთის დაუინტერესებლობა ზემოთ ჩამოთვლილ რეგიონებზე

მანდატის აღებით. პრემიერ-მინისტრი კონფერენციისაგან სასწრაფოდ ითხოვდა მანდატორი სახელმწიფოს განსაზღვრას, რადგან მალე პარლამენტისათვის მოუწევდა პასუხის გაცემა, რატომ არ გამოდიოდა ბრიტანეთი აღნიშნული ტერიტორიებიდან (301, 806-807). 11 თებერვლის სხდომაზე ბრიტანეთის დელეგაციის წევრმა, კოლონიათა მინისტრმა ლორდმა მილნერმა დააყენა სამხედრო საკითხებში მოკავშირეთა შორის პასუხისმგებლობების გადანაწილების საკითხი და მაგალითად ახსენა იტალიის მიერ კავკასიაზე მანდატის აღება (301, 955-956).

ამასობაში, 6 მარტს, შუა აღმოსავლეთის საკითხებში დეპარტამენტთაშორისმა კონფერენციამ მიიღო კავკასიიდან ჯარების ევაკუაციის გადაწყვეტილება, რამაც ლოიდ ჯორჯს ფორსირებული მოქმედებებისაკენ უბიძგა. მას სასწრაფოდ უნდა გამოეყვანა ჯარები, თავიდან მოეშორებინა, მისი თვალთახედვით, ბრიტანეთისათვის სრულიად ზედმეტი სამხედრო ვალდებულება. პრემიერს ამასთანავე უნდა დაეძლია ევაკუაციის მოწინააღმდეგე ოპოზიცია ქვეყნის შიგნით – კერზონისა და საგარეო საქმეთა სამინისტროს, ხოლო ქვეყნის გარეთ პრეზიდენტ უილსონის სახით. ყველაფერთან ერთად, ბრიტანელთა კავკასიიდან გამოსვლა უნდა ყოფილიყო ღირსეული, ის არ უნდა დამსგავსებოდა გამოქცევას, რომელსაც შემდგომ ადგილობრივი მოსახლეობის ურთიერთხოცვა-ჟღეტვა ან რუსეთის მიერ რეგიონის ოკუპაცია მოჰყვებოდა. ასეთ შემთხვევაში, მორალური პასუხისმგებლობა ბრიტანეთს დაეკისრებოდა.

შექმნილი ვითარებიდან საუკეთესო გამოსავალი, რომელიმე მოკავშირის მიერ ბრიტანული ჯარების ჩანაცვლება იქნებოდა, რაზეც უკვე იანვრის თვიდან მოყოლებული, მუშაობდა ლოიდ ჯორჯი. პრეზიდენტ უილსონს, სურვილის შემთხვევაშიც, არ შეეძლო კავკასიაში ჯარების გაგზავნა. მას კონგრესის თანხმობა სჭირდებოდა. საფრანგეთი არ იჩენდა რეგიონისადმი ინტერესს. ბოლო იმედად იტალია რჩებოდა.

1919 წლის მარტსა და აპრილში, იტალიის პრემიერ-მინისტრი ვიტორიო ემანუელ ორლანდო უშედეგოდ იბრძოდა მოკავშირეთა უმაღლესი საბჭოსაგან მიეღო მანდატები ადრიატიკისა და ხმელთაშუა ზღვისპირეთში. ის მოკავშირეთა წინააღმდეგობას აწყდებოდა, განსაკუთრებით ძლიერს – პრეზიდენტ

უილსონისაგან.³⁶ იტალია განწირული იყო კონფერენციიდან გამოსულიყო “გამარჯვებულთა შორის დამარცხებულის” სტატუსით. კონსტანტინოპოლში იტალიის უმაღლესი კომისრის – კარლო სფორცას მოგონებით, 15 მარტს, როდესაც ორლანდო უკმაყოფილებას გამოთქვამდა, იტალიის მიერ არც ერთი მანდატის მიუღებლობის გამო, ლოიდ ჯორჯმა მას უთხრა: “თქვენ ათასჯერ მართალი ხართ. ამაში დამნაშავენი არიან... (მან დაასახელა რამდენიმე გვარი, მხოლოდ საკუთარის დასახელება “დაავიწყდა”), მაგრამ მე შემიძლია თქვენ დაგეხმაროთ და თქვენ ყველა ჩვენთაგანზე მდიდარი იქნებით. დაიკავეთ საქართველო, ის მდიდარია ნავთობით და თქვენ ძლიერ გულთბილად მიგიღებენ.” (357, 85; 330, 48). ორლანდო შიშს გამოხატავდა, რომ იტალიას პრობლემები შეექმნებოდა კავკასიაში შესვლით: ქართველებს და აზერბაიჯანელებს დამოუკიდებლობა უნდოდათ, ხოლო დენიკინს კავკასიაზე კონტროლის დამყარება სურდა. ამასთანავე, ის საკუთარ ქვეყანაში შეეჯახებოდა სოციალისტური ოპოზიციის წინააღმდეგობას. ლოიდ ჯორჯმა იტალიის პრემიერი დაარწმუნა, რომ მოხალისეთა არმიას მითითება ჰქონდა მიღებული, არ გადაელახა სამხრეთ კავკასიის ქვეყნების საზღვრები, წინააღმდეგ შემთხვევაში დენიკინი მოკავშირეთა მხარდაჭერას დაკარგავდა. საქართველოსთან და აზერბაიჯანთან მიმართებით, ბრიტანეთის პრემიერი თავის იტალიელ კოლეგას ურჩევდა, მოქნილი მანდატი გამოეყენებინა, რომელიც ადგილობრივი მთავრობებისათვის ფართო ავტონომიას ითვალისწინებდა. ორლანდომ მოსაფიქრებლად დრო ითხოვა (203).

ორლანდოსა და საგარეო საქმეთა მინისტრ სიდნეი სონინოს მთავრობა შედარებით ხისტ საგარეო პოლიტიკას ატარებდა. მათ მხარს უჭერდნენ გენერალიტეტი და მსხვილი ფინანსური ჯგუფები. იტალია, როგორც ბუნებრივი რესურსებით ღარიბი ქვეყანა, განსაკუთრებით საჭიროებდა ქვანახშირსა და ნავთობს, რომლის უზრუნველყოფა ტყვარჩელისა და ბაქოს საბადოებს შეეძლო. ამით მოიხსნებოდა კარდიფის ბრიტანულ ქვანახშირზე ქვეყნის დამოკიდებულება. ამასთანავე, მოქმედი კაბინეტი საფრთხის წინაშე იდგა, რომ კონფერენციიდან ხელცარიელი დაბრუნდებოდა და მას ქვეყნის ინტერესების

³⁶ უფრო დეტალურად პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე იტალიის საკითხის შესახებ იხ. Albrecht-Carrie – Italy At The Paris Peace Conference (331).

დაუცველობაში დაადანაშაულებდნენ. შესაბამისად, ორლანდო სამხრეთ კავკასიაზე იტალიის მანდატის ძლიერი მომხრე გახდა.

16-დან 24 მარტამდე მიმოწერა, პოლემიკა გაიმართა პრემიერ-მინისტრსა და იტალიის მეფე ვიტორიო-ემანუელ III შორის. ორლანდო კმაყოფილებით მოახსენებდა მეფეს, ბრიტანელების შეთავაზების შესახებ. საუბარი შეეხებოდა “აღთქმულ მიწას”, რომელიც მდიდარი იყო ქვანახშირით, ნავთობით, მანგანუმით, ოქროთი და ა.შ. მეფე მხარს არ უჭერდა წამოწყებას, მას რუსეთთან შეტაკების ეშინოდა და სკეპტიკურად სვამდა ლოგიკურ კითხვას: “რატომ ტოვებენ ინგლისელები ქვეყანას? ცნობილია, რომ ჩვეულებრივ დიდი ბრიტანეთი არ ტოვებს რეგიონს თუ ის რაიმედ ღირს.” (354, 85-87).

მეფესთან ერთად წამოწყებას ეწინააღმდეგებოდნენ კოლონიათა მინისტრი გასპარე კოლოსიმო და კარლო სფორცა. ეს უკანასკნელი კავკასიური ექსპედიციის იდეისადმი მხარდაჭერას, ომის შემდეგ უსაქმოდ დარჩენილ გენერალიტეტს და შეკვეთების გარეშე დარჩენილ სამხედრო საწარმოებს მიაწერდა. სფორცა, ისევე როგორც ბრიტანელთა შეთავაზების სხვა მოწინააღმდეგენი, რუსეთთან დაპირისპირებას უფრთხოდნენ (357, 85-86).

თუმცა ორლანდომ ბავშვური სულსწრაფობა გამოავლინა და საკითხის წინასწარი შესწავლის, განხილვის, მეფისაგან თანხმობის მიღების გარეშე, 22 მარტს აცნობა ლოიდ ჯორჯს, რომ თანახმა იყო კავკასიაზე მანდატი აეღო, ოღონდ იმ პირობით, რომ ეს გავლენას არ მოახდენდა მცირე აზიაში მანდატების გადანაწილების დროს იტალიის მიერ მისაღებ “წილზე” (203).

24 მარტს იტალიის გენერალური შტაბის უფროსი – გენერალი დიასი ტეჩნიკურ დეტალებზე მოსალაპარაკებლად შეხვდა ბრიტანეთის საიმპერიო ჯარების გენერალური შტაბის უფროს – სერ ჰენრი უილსონს. ბრიტანელმა ფელდმარშალმა მუქ ფერებში დაუხატა იტალიელ კოლეგას კავკასიაში შექმნილი ვითარება, აუწყა კასპიის საზღვაო კონტროლის აუცილებლობა და ა.შ. უილსონმა ფაქტობრივად ეჭვქვეშ დააყენა ექსპედიციის მიზანშეწონილობა, თუმცა იქვე დაჰპირდა, რომ იტალიის ჯარებს იმავე გემებით ჩაიყვანდნენ კავკასიაში, რომელთაც ბრიტანული ჯარების ევაკუაცია უნდა მოეხდინათ (354, 40-41).

გარიგების პროცესში საკუთარი ქვეყნის პოლიტიკური ელიტისაგან მალულად მოქმედებდა არა მარტო ორლანდო, არამედ ლოიდ ჯორჯიც. ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის მიზანი იყო ფაქტის წინაშე დაყენებინა საგარეო საქმეთა სამინისტრო და ლორდი კერზონი. მეტიც, ის პარიზულ სამშვიდობო დელეგაციასაც არ აყენებდა საქმის კურსში. 22 მარტს ორ პრემიერს შორის მიღწეული შეთანხმება, აპრილის დასაწყისში სამინისტროს მიაწოდეს, როგორც “უმაღლესი საომარი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება.”³⁷ ლოიდ ჯორჯს არც ამის შემდეგ გაუმჟღავნებია ორლანდოსთან მისი მოლაპარაკებების დეტალები და საქმეს ასაღებდა თითქოს იტალიელებმა თავად გამოიჩინეს კავკასიაში წასვლის ინიციატივა. თუმცა, სამხედრო სამინისტრო, რომელიც თავად იყო ჯარების ევაკუაციის ინიციატორი, 25 მარტიდან მოყოლებული თანმიმდევრულად ეცნობოდა მიმდინარე მოვლენებს (346, 25-26).

ლორდმა კერზონმა სრულ სიგიჟედ შეაფასა აღნიშნული წამოწყება, ანარქია, სისხლისღვრა და უწესრიგობა იწინასწარმეტყველა. მას ვერ გაეგო როგორ შეიძლებოდა გასაქანი ჰქონოდა იტალიელთა მოთხოვნებს ხმელთაშუა ზღვიდან შავ ზღვამდე. “პრემიერ-მინისტრსა და სამხედრო სამინისტროს სურთ ჩვენ გამოვბრუნდეთ კავკასიიდან, მცირე აზიიდან, კონსტანტინოპოლიდან, ბალკანეთიდან, ცენტრალური ევროპიდან, მეგობრულად განწყობილი ხალხი დავეტოვოთ, რათა მათ გადარჩენისთვის იბრძოლონ, მაშინ, როდესაც ბრიტანეთი კარგად დაფუძნდება ეგვიპტეში, პალესტინაში, სირიაში, მესოპოტამიაში, სპარსეთში და სამხედრო უსაფრთხოების შედარებით დაცული სიმაღლიდან ვუყუროთ ჩვენს ქვევით ატეხილ შტორმსა და ხომალდების მსხვერველს.” (346, 27).

ევაკუაციის მოწინააღმდეგე და კავკასიის რესპუბლიკათა დამოუკიდებლობის კიდევ ერთი მომხრე – პროფესორი სიმპსონი 9 მაისს მემორანდუმით გამოეხმაურა დაგეგმილ ცვლილებებს. მისი აზრით, იტალიის სურვილი იყო მოსახლეობას ემიგრაცია გაეგრძელებინა არა შორეულ ამერიკაში, არამედ უფრო ახლოს მდებარე კავკასიაში, რომელიც კლიმატური პირობებით ჰგავდა იტალიას. სიმპსონის მიიჩნევდა, რომ რეგიონში შესვლის

³⁷ უმაღლესი საომარი საბჭო – მოქმედებდა 1917-1919 წლებში. მასში თითოეული მოკავშირის მხრიდან შედიოდა ორი უმაღლესი სამხედრო ჩინის მქონე წარმომადგენელი. საბჭოს სათათბირო ფუნქცია ჰქონდა, იგი მოკავშირე სახელმწიფოთა მეთაურებს დახმარებას უწევდა სამხედრო საკითხების გადაწყვეტაში.

შემდეგ ისინი შეუკავშირდებოდნენ გერმანელებს და თურქებს, რაც საფრთხეს შეუქმნიდა ბრიტანეთს. მიმდინარე ეტაპზე იტალიის მიზანი ეგოისტური, ექსპლოატატორული პოლიტიკის განხორციელება იყო, რათა ქვანახშირი მოეპოვებინა და ბრიტანეთისათვის მის შესყიდვაში ფული აღარ გადაეხადა. გარდა ამისა, ბრიტანელთა გასვლა ეთნიკური შუღლის გაღვივებას გამოიწვევდა ადგილობრივ მოსახლეობაში, ხოლო იტალია მათ მორალურ მაგალითს ვერ მისცემდა, ასკენიდა სიმპსონი (218).

ბათუმში ბრიტანეთის კონსული – პატრიკ სტივენსი განგაშით შეხვდა მიღებულ ცნობას. მისი აზრით, იტალიურ ჯარებში, რეგიონში ჩამოსვლის შემდეგ, ბოლშევიკური ტენდენციები იმძლავრებდა, თვეების მანძილზე ბრიტანელთა შრომით მიღწეული შედეგები დაიკარგებოდა და ა.შ. “...გარდა რამდენიმე არამდგრადი ქართველისა, ყველა გმობს იტალიელთა შემოსვლას, რადგან ისინი უცხო ხალხში ავტორიტეტით არ სარგებლობენ”, წერდა სტივენსი (217; 133).

სპარსეთში ბრიტანეთის ელჩი – პერსი კოქსი ახსნა-განმარტებას თხოულობდა, რით იყო გამოწვეული იტალიელთა მიერ ბრიტანული ჯარების ჩანაცვლება. იგი შიშობდა, რომ გეგმის განხორციელების შემთხვევაში სპარსეთში ბრიტანეთის პოზიციები შესუსტდებოდა (215).

გენერალ დენიკინს ბრიტანელმა სამხედროებმა 4 ივნისს შეატყობინეს დაგეგმილი ცვლილება. მან სინანულითა და გაკვირვებით მიიღო ცნობა, რადგან მისი წარმატება ესოდენ ხელშესახები ადრე არასოდეს ყოფილა. წარმატებას წარმატება მოსდევდა, ერთ კვირაში, ბრიტანული ფლოტისა და ავიაციის დახმარებით, იგი ასტრახანზე გეგმავდა შეტევას. რუს გენერალს სურდა ბრიტანელთაგან თავად გადაებარებინა კასპიის ზღვის ფლოტი, მაგრამ ამას 4 თვეზე ადრე ვერ შეძლებდა. მისი აზრით, თუ ფლოტი იტალიელებს გადაეცემოდათ, კასპიის ზღვის კონტროლი ბოლშევიკთა ხელში აღმოჩნდებოდა. დენიკინმა ითხოვა 15 ივნისისათვის დაგეგმილი ევაკუაცია გადაედოთ 15 ივლისამდე მაინც, რათა მას ასტრახანის აღებისა და ბოლშევიკთათვის კასპიის ზღვაზე გასასვლელის ჩაკეტვის შესაძლებლობა მისცემოდა (257).

ბრიტანეთის სამხედრო სამინისტრო ევაკუაციას იმდენად ჩქარობდა, რომ დამოუკიდებლად იმისა, შემოვიდოდნენ იტალიელები თუ არა, 15 ივნისისათვის

გეგმავდა პროცესის დაწყებას, მაგრამ “დენიკინის საჭიროებანი” საკმარისად ძლიერი არგუმენტი აღმოჩნდა, იმისათვის, რომ ევაკუაცია ჯერ 15 ივლისისათვის, შემდეგ 15 აგვისტოსათვის გადაედოთ (259). ამასთანავე, გაიცა ინსტრუქცია, რომ, ევაკუაციის შემდეგ, სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკებისათვის არ დაეტოვებინათ შეიარაღება, რომელიც შესაძლოა გამოყენებული ყოფილიყო მათ მეზობლებთან და ბრიტანეთის მეგობრებთან საბრძოლველად, ხოლო არასაბრძოლო საქონლის მიყიდვის შემთხვევაში, პირველი არჩევანის უფლება დენიკინს უნდა მინიჭებოდა (258).

უფრო მეტიც, ჩერჩილის მიერ ლოიდ ჯორჯისათვის 2 მარტს მიწერილი წერილიდან ირკვევა, რომ სამხედრო მინისტრი თავიდანვე საქმის კურსში იყო პრემიერის გეგმის თაობაზე – სულ მალე იტალიელთათვის კავკასიის ოკუპაცია შეეთავაზებინა: “ეჭვი არ მეპარება, რომ კავკასია რაც შეიძლება მალე უნდა დაეტოვოთ. უკვე იმდენ ხანს ვართ იქ, რომ შესაძლოა პარიზში ქართველთა ბელის გადაწყვეტამდეც მოგვიწიოს დარჩენა. ასევე მნიშვნელოვანია ჩვენი გეგმები კასპიის ზღვაში, ნებისმიერ შემთხვევაში, დარჩნენ მანამდე, სანამ დენიკინი ასტრახანს არ აიღებს და მდინარე ვოლგის შესართავს არ გააკონტროლებს. თუმცა, როცა ის იქ იქნება, მე ვერ ვხედავ მიზეზს რატომ არ უნდა გამოვიდეთ, ეს იმ შემთხვევაშიც თუ იტალიელები არ ისურვებენ ჩვენი ადგილის დაკავებას. თუმცა, მე უკვე მხარი დავუჭირე, გამოსვლის შემთხვევაში, დენიკინისათვის ოფიცერთა და სერჟანტთა ძლიერი მისიის გაგზავნას.” (293, 560-561).

კავკასიაში იტალიელთა შემოსვლა ქართული მხრიდან პირველმა ბრიტანეთში საქართველოს დიპლომატიურმა წარმომადგენელმა – დავით დამბაშიძემ – აპრილის ბოლოს გაიგო. ის დამოუკიდებელი მოთამაშე იყო და ფაქტობრივად არ თანამშრომლობდა ქართულ დელეგაციასთან, ამასთანავე იყო ძლიერი ანგლოფილი, თავისი კონტაქტები ჰქონდა ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში. როგორც პოლიტიკური მრწამსის, ასევე პირადი ინტერესების გათვალისწინებით, მას არ აწყობდა ბრიტანელთა კავკასიიდან გასვლა. დამბაშიძემ, როგორც, სიდნეი სონინოსთანაც მოახერხა შეხვედრა, მაგრამ მიმდინარე მოვლენების შესახებ არაფერი უცნობებია ქართული დელეგაციისათვის. სამაგიეროდ, დაიწყო საკუთარი პოლიტიკის გატარება. ის ესაუბრა პარიზში ბრიტანული დელეგაციის წარმომადგენლებს – ჯერ ვიცე-პოლკოვნიკ გრიბონსს, შემდეგ სერ ლუის მალეტს. ქართველ დიპლომატს

სონინოსთვის უთქვამს, რომ მისმა ხალხმა ბრიტანელებს სთხოვა დარჩენა და, ტრიპოლში, ისევე როგორც აბისინიაში, იტალიელთა კოლონიური წარუმატებლობის შესვენებით, ეჭვქვეშ დააყენა მათი უნარი წამოეწყოთ ახალი ექსპანსია. სონინომ მას უპასუხა, რომ იტალია არ აპირებდა ჯარების დემობილიზაციას და მათი საზღვარგარეთ დასაქმება სურდა. მინისტრს ბრიტანულ ქვანახშირზე დამოკიდებულებისაგან იტალიის გათავისუფლებაც უნდოდა. დამბაშიძემ გრიბონს განუცხადა, რომ ის ყველა დანარჩენს – ბრიტანულ მანდატს ამჯობინებდა საქართველოზე, შემდეგ ამერიკულს, ხოლო იტალიელებს ფრანგების შემოსვლაც კი ერჩია (214). მალეტთან საუბრისას დამბაშიძემ აღნიშნა, რომ ბრიტანელთა გასვლის შემთხვევაში, ამ უკანასკნელთა მიერ შეიარაღებული დენიკინი კავკასიას გადაუვლიდა და ქართველებს, აზერბაიჯანელებთან ერთად, სხვა გზა არ დარჩებოდათ თუ არა ბოლშევიკებთან შეერთება. ჩხეიძე და წერეთელიც კი, რომლებიც “კერენსკისტ” ანტიბოლშევიკები იყვნენ, ქართველი დიპლომატის მტკიცებით, ლენინს უფრო შეუერთდებოდნენ, ვიდრე დენიკინს დაანებებდნენ საქართველოს (213). იგივე ანტიიტალიური პოზიცია დააფიქსირა დამბაშიძემ საგარეო საქმეთა მინისტრის თანაშემწე – ჯონ ტილისთან საუბარშიც (130).

ქართული დელეგაციის პოზიცია 9 ივნისის სხდომაზე გამოხატა ირაკლი წერეთელმა: “ჩვენთვის სასურველი იყო ინგლისთან კავშირი, მაგრამ, როგორც ვხედავთ, პატარა ერების საკითხში ის რეაქციონერულ რუსეთთან არის სოლიდარული. მერეც, რასაკვირველია, ძალიან სასურველია, მაგრამ მას ახლავე არ შეუძლია ჩვენ პრაქტიკული დახმარება, ამიტომ ჩვენ ძალაუწებურად იტალიისკენ უნდა მივბრუნდეთ. მართალია, მოკავშირეებში ის ყველაზე უარესია ძლიერებისა და გავლენის მხრით, ამას გარდა ის არის იმპერიალისტური ქვეყანა, რომელიც ნაკლებ თავისუფლებას აძლევს თავის კოლონიებს, მაგრამ ეს ერთადერთი სახელმწიფოა, რომელსაც ინტერესი იზიდავს ჩვენ ქვეყანაში, რომელიც თვითონ დგამს პირველ ნაბიჯებს ჩვენსკენ და რადგანაც ჩვენ არჩევანი არა გვაქვს, რადგანაც საქართველო ასეთ განსაცდელშია, მათთან უნდა ვიქონიოთ მოლაპარაკება.” (284, 141; 31, 14). ლუის მალეტმა, წერეთელსა და ავალიშვილს შეხვედრაზე უთხრა, რომ იტალიელთა კავკასიაში შესვლით საქართველოსთვის არაფერი არ იცვლებოდა, რადგან ისინი იმავე ფუნქციას შეასრულებდნენ, რასაც ბრიტანელები (234; 31, 35-38).

5 მაისს, შეთანხმებიდან თვენახევრის შემდეგ, ოთხთა საბჭოს სხდომაზე პირველად გაიჟღერა იტალიელთა მიერ კავკასიაში შესვლის საკითხმა. ლოიდ ჯორჯი საუბრობდა, ჯერ კიდევ 5 თებერვალს, უმაღლესი საომარი საბჭოს მიერ გაცემულ რეკომენდაციაზე, რომლის მიხედვით მოკავშირეებს შუა აღმოსავლეთში უნდა გადაენაწილებინათ სამხედრო პასუხისმგებლობები. საფრანგეთს უნდა მოეხდინა სირიისა და კილიკიის ოკუპაცია, ბრიტანეთი უნდა შესულიყო მესოპოტამიაში, ხოლო იტალიას რჩებოდა კონია მცირე აზიაში და სამხრეთ კავკასია (111). ბრიტანეთის პრემიერს აღნიშნული რეკომენდაციების სისრულეში მოყვანა სურდა, მაგრამ ამ შემთხვევაშიც არ ახსენებდა ორლანდოსთან მის ფარულ მოლაპარაკებას. ჰენრი უილსონმა განუცხადა დამსწრეებს, რომ, ბრიტანეთთან მიღწეული შეთანხმების თანახმად, იტალიელები შედიოდნენ სამხრეთ კავკასიაში. იმ დროს, პრეზიდენტ უილსონთან მომხდარი განხეთქილების შემდეგ, ორლანდო ბოიკოტის ნიშნად არ ესწრებოდა ოთხთა საბჭოს სხდომებს. ჰენრი უილსონის მიერ გამჟღავნებული უხერხულობა იმის თაობაზე, რომ ლოიდ ჯორჯი მოკავშირეთა გვერდის ავლით შეუთანხმდა იტალიელებს, ბრიტანეთის პრემიერმა, იტალიელი კოლეგის არყოფნის პირობებში, იოლად “შეაღამაზა”: “მე რაც ვთქვი სულ ის იყო, რომ მინდოდა ბრიტანელები კავკასიიდან გამოსულიყვნენ და იტალიელებმა თქვეს, რომ უნდოდათ შესულიყვნენ, რადგან იქ ნავთობია.” რასაკვირველია, ის პრეზიდენტ უილსონს ვერ მოუყვებოდა თუ ზურგსუკან როგორ არწმუნებდა ორლანდოს პროექტის სარგებლიანობაში. უილსონმა გააპროტესტა, რომ მას თანხმობა არ მიუცია აღნიშნული გადაწყვეტილებისათვის. მას კლემანსო დაეთანხმა, რომ საფრანგეთსაც არავინ შეთანხმებია. ამ დროს უილსონმა გაიხსენა უმაღლესი საომარი საბჭოს მიერ შემუშავებული რეკომენდაცია, რომლის მიხედვით იტალიას უნდა დაეკავებინა კავკასია და დასძინა, რომ ასეა თუ ისე ბრიტანეთი ნებისმიერ შემთხვევაში აპირებდა რეგიონიდან გამოსვლას. ამერიკის პრეზიდენტი იმდენად წინააღმდეგი იყო ყოველგვარი იტალიური წამოწყებისა, რომ მან დასვა კითხვა – საერთოდ რატომ უნდა შესულიყო ვინმე კავკასიაში ბრიტანელთა მაგივრად? მას “ბიძაშვილმა”³⁸ უპასუხა, რომ თუ იქ რომელიმე ცივილიზებული სახელმწიფო არ დაამყარებდა წესრიგს, ატყდებოდა საშინელი ხოცვა-ჟლეტვა.

³⁸“ბიძაშვილი”, ირონიულად ასე უწოდებს თავის დღიურებში ბრიტანეთის გენერალური შტაბის უფროსი – ჰენრი უილსონი, შეერთებული შტატების პრეზიდენტ – ვუდრო უილსონს.

დებატები გრძელდებოდა. ლოიდ ჯორჯის განმარტებით, მათ ვერ შესძლეს დენიკინისთვის გადაეფიქრებინათ საქართველოს დაპყრობა. პასუხის მოსმენის შემდეგ, ამერიკის პრეზიდენტი შეეცადა დაერწმუნებინა ლოიდ ჯორჯი, რომ მსგავს ამოცანებს ყველაზე კარგად ბრიტანელი სამხედროები ასრულებდნენ და სწორედ ისინი უნდა დარჩენილიყვნენ ადგილზე. ბრიტანეთის პრემიერმა, პრეზიდენტი უილსონის საამებლად გამოხატა თავისი შიში, რომ იტალიელთა კავკასიაში შესვლით შესაძლო იყო ცუდი შედეგები მიეღოთ. ჰენრი უილსონი ყოველგვარი ქვეტექსტების გარეშე ამბობდა, რომ პრობლემა იყო ძალიან მარტივი – ბრიტანელები უნდა გამოსულიყვნენ, მაგრამ ლოიდ ჯორჯი ისევ ვუდრო უილსონის საამებლად ამატებდა, რომ ეს ჯარები წავიდოდნენ კონსტანტინოპოლში, სადაც ამერიკელებს შეეშველებოდნენ და იქიდან გააკონტროლებდნენ კავკასიაში იტალიელთა მოქმედებას. ვუდრო უილსონი მაინც უკმაყოფილო იყო და შიშობდა, რომ იტალიელთა კავკასიაში შესვლით მსოფლიო მშვიდობას საფრთხე დაემუქრებოდა (303, 466-468). პრეზიდენტი ვერც ალტერნატივას სთავაზობდა საბჭოს წევრებს, ბრიტანელები გამოდიოდნენ კავკასიიდან, ამერიკას იქ შესვლა არ შეეძლო, საფრანგეთს არ სურდა და ამიტომ მან ლოიდ ჯორჯსა და ორლანდოს შორის მომხდარ შეთანხმებას ვეღარ გაუწია წინააღმდეგობა. პრეზიდენტის უმწეო მდგომარეობის მომსწრე ჰენრი უილსონმა თავის დღიურში ირონიულად შენიშნა “ჩემი ბიძაშვილი ასეთი გამოუსადეგარი და უიმედო არასოდეს ყოფილა.” (334, 188).

იტალიური პოლიტიკური ელიტის შიგნით მდელვარებამ გამოიწვია ის, რომ საკითხის საბოლოოდ გადასაწყვეტად, კავკასიური ექსპედიციის მოსამზადებლად, რეგიონის შესასწავლად, გენერალმა დიასმა კავკასიაში გასაგზავნი მისიის ხელმძღვანელად დანიშნა 45 წლის პოლკოვნიკი მელკიადე გაბა. მას ერთთრიის საოკუპაციო ძალებში მაღალ თანამდებობებზე მუშაობის გამოცდილება ჰქონდა. მისია შედგებოდა 18 კაცისგან, მათ შორის სავოიის სამეფო ოჯახის წარმომადგენელი აოსტას პრინცი ემონი, მისიის შტაბის უფროსი ვიცე-პოლკოვნიკი კარლო მიკელი, კაპიტანი გრანაფეი, მაიორი კარპანეტო, საკონსულო საქმეთა მმართველი ლორენცო ვალერი, გეოლოგიის პროფესორი ნავარეზე, ინდუსტრიული, სავაჭრო ჯგუფების წარმომადგენლები და ა.შ. (354, 43-44).

მისიას თავისი დაკვირვება უნდა ეწარმოებინა იტალიის მთავრობის მიერ დადგენილი ხუთპუნქტიანი პოლიტიკური გეგმის გათვალისწინებით: 1. სამხედრო ოკუპაციის მეშვეობით, სამხრეთ კავკასიაში გაბატონებული პოზიციის დაკავება. ამასთან, მათი დამოუკიდებლობის ჩარჩოებში, ორ რესპუბლიკაში შინაგანი წესრიგის დაცვა; 2. ადგილობრივ მთავრობათა ფუნქციებში ჩაურევლად, სამოქალაქო ცხოვრებისა და წესრიგის აღდგენა; 3. სახელმწიფოს დახმარებითა და კერძო ინიციატივის წახალისებით, მინერალური რესურსების – ნავთობის, ქვანახშირის, მანგანუმის, სპილენძის და სხვათა ექსპლუატაცია; 4. როგორც ადგილობრივი მოსახლეობის, ისე იტალიის ეროვნული ინტერესების უზრუნველსაყოფად დაუყოვნებლივი აქტივობების დაწყება მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და ვაჭრობის დარგებში; 5. კავკასიის სიშორის მიუხედავად, მისი ხელსაყრელი კლიმატური პირობების გათვალისწინებით, იტალიიდან მოსახლეობის მიგრაციის წახალისება (354, 42; 330, 97-98).

მისია 1919 წლის 27 აპრილს გაემგზავრა ტარანტოდან ბათუმის მიმართულებით. მან გზაში მოახერხა გარკვეული ინფორმაციების შეგროვება: ესაუბრა სამხრეთ კავკასიაში ბრიტანეთის ჯარების სარდალ – გენერალ კორის, კონსტანტინოპოლში შეხვდა გენერალ მილნს, ასევე ამ ქალაქში საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლებს და იტალიის უმაღლეს კომისარ – კარლო სფორცას. მისიას, მუშაობის გაადვილების მიზნით, საქართველოსკენ გამოჰყვინენ ბრიტანეთის მესოპოტამიის ჯარების ოფიცერი – პოლკოვნიკი სტოქსი და კონსტანტინოპოლში საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობის მდივანი – ანდრია დეკანოზიშვილი. იტალიელები ბათუმში 10 მაისს ჩამოვიდნენ და შემდეგ მატარებლით გზა განაგრძეს თბილისისკენ. მათთვის მოწყობილი სახეიმო დახვედრის შემდეგ, გაბა მუშაობას შეუდგა. იტალიის მისიის საქართველოში მუშაობის პერიპეტეებს აღარ შეეკვებით

უკვე აღინიშნა, 1919 წლის მაისის დასაწყისში ბრიტანელებმა ქართველებს დიპლომატიური კურიერების გაგზავნა აუკრძალეს, შესაბამისად, მთავრობისაგან იზოლირებულ მდგომარეობაში აღმოჩნდა ქართული დელეგაცია. გაბას მისიამ, თბილისიდან პარიზში დაბრუნებისას, მთავრობის კორესპონდენცია, პრესა და სხვა საჭირო დოკუმენტაცია წაუღო პარიზში ქართულ დელეგაციას (16, 11-31).

საგარეო საქმეთა სამინისტროს კანცელარიის დირექტორი ლორთქიფანიძე ივნიშის დასაწყისში წერდა ჩხეიძეს, რომ იტალიელთა მიერ ინგლისელთა

ჩანაცვლების ცნობა საქართველოში სიხარულით მიიღეს. იტალიელები საქართველოს მთავრობას დაჰპირებიან, რომ დენიკინთან სამხრეთ კავკასიის გართულებულ ურთიერთობას პრესაშიც წამოსწევდნენ და, როგორც პირველი შთაბეჭდილებიდან ჩანდა, მათთან კარგი ურთიერთობა დამყარდებოდა (27, 11-12).

13 და 17 ივნისს იტალიის დელეგაციის წევრი – მარკიზი დელა ტორეტო სტუმრობდა ქართულ დელეგაციას. მან დაადასტურა იტალიის კავკასიაში შემოსვლის სურვილი, მაგრამ გადაწყვეტილი პასუხი არ უთქვამს და საკითხის გადადება იმას დააბრალა თითქოს ბრიტანელები ევაკუაციას აჭიანურებდნენ. დელა ტორეტოს კითხვაზე – შეძლებდა თუ არა საქართველო თავისი ფულით იტალიელთა ჯარის შენახვას, წერეთელმა უპასუხა, რომ საქართველოს დიდი რაოდენობით ჯარები არ ესაჭიროებოდა, საკმარისი იქნებოდა სიმბოლური რაოდენობა. დენიკინს უნდა სცოდნოდა რომ სამხრეთ კავკასიაზე თავდასხმა, იტალიაზე თავდასხმას ნიშნავდა. ქართველ დელეგატთა მთავარი საზრუნავი იყო დაედგინა, რა ხედვა ჰქონდა იტალიას რუსეთ-საქართველოს სამომავლო ურთიერთობასთან დაკავშირებით. იმის გათვალისწინებით, რომ მოკავშირეებმა ივნისის პირველ ნახევარში მიაღწიეს შეთანხმებას კოლჩაკთან, დელა ტორეტომ უპასუხა, რომ საქართველოს ძალიან ფართო ავტონომია ექნებოდა რუსეთის შემადგენლობაში (31, 16-18). იტალიელებთან დამოკიდებულება მოგვიანებით განიხილა ქართველთა, აზერბაიჯანელთა და მთიელთა გაერთიანებულმა კომისიამ. ჩრდილო კავკასიელებს დასაკარგი არაფერი ჰქონდათ, მათი ქვეყანა უკვე ოკუპირებული იყო დენიკინის მიერ და, ბრიტანელთაგან იმედგაცრუებულნი, ისინი ძლიერ ემხრობოდნენ იტალიელთა კავკასიაში შემოსვლას. აზერბაიჯანის დელეგაციის ხელმძღვანელი ვერ ხედავდა იტალიელთა მიერ კავკასიის ოკუპაციის აუცილებლობას, რადგან თუ ისინიც რუსეთში დაბრუნებას უპირებდნენ რეგიონს, ასეთი დაბრუნება მათ გარეშე, თავადაც შეეძლოთ რესპუბლიკებს (31, 44).

ივნისის დასაწყისში პოლკოვნიკი გაბა პარიზში დაბრუნდა და პოლიტიკურ ხელმძღვანელობას წარუდგინა ვრცელი რეპორტი. მისი შინაარსი კავკასიიდან გაგზავნილი მოხსენებების მსგავსი იყო. ამასთან, გაბა საქართველოს მთავრობას კორუმპირებულად თვლიდა, აღწერდა რეგიონში არასტაბილურ ვითარებას, თუმცა ცალსახად უჭერდა მხარს იტალიელთა მიერ ამიერკავკასიის ოკუპაციის გეგმას. მისიის მიერ მოპოვებული სტატისტიკური

მონაცემები, გაბას აზრით, წამოწყების მომგებიანობაზე მიუთითებდნენ. ის, ამოცანათა წარმატებით შესასრულებლად, 40000 ათას ჯარისკაცს ითხოვდა. იტალიელ პოლკოვნიკს წარმატების აუცილებელ პირობად ბრიტანელთა ბათუმიდან გასვლა და პროვინციაში იტალიის ჰეგემონიის დამყარება მიაჩნდა (354, 58-66).

მისიის მიერ დადებითი რეკომენდაციის გაცემის შემდეგ, ორლანდო და სონინო კიდევ უფრო მეტად აღივსნენ ენთუზიაზმით. იტალიის მეფე, 6, 7, 9 ივნისის წერილებში, თანმიმდევრულად შეასხენებდა პრემიერ-მინისტრს, რუსეთთან და ქვეყნის შიგნით ოპოზიციასთან ვითარების გართულების საფრთხეს (354, 87-89), მაგრამ ორლანდოს გადაწყვეტილება უკვე ვეღარ შეიცვლებოდა. მან სამხედრო მინისტრ ენრიკო კავილიასა და გაბას უბრძანა რომში სასწრაფოდ წასვლა, ტარანტოში ჯარების თავმოყრა და 20 ივნისს მათი კავკასიაში გაგზავნა. ბრიტანელებმა მიცემული პირობა დაარღვიეს და 11 ივნისს განაცხადეს, რომ იტალიური ჯარების კავკასიაში ტრანსპორტირებას ვერ უზრუნველყოფდნენ. არც ამან დაახვეინა უკან სონინოს. მან ტრანსპორტის სამინისტროს მოსთხოვა გადაეხედათ არსებული პრიორიტეტებისათვის და ჯარებისათვის გემები გამოეყოს (354, 67-75; 249).

ორლანდოსა და სონინოს შრომა ფუჭი აღმოჩნდა, რადგან, ხანგრძლივი ეკონომიკური კრიზისის, წარუმატებელი საგარეო პოლიტიკის, სოციალისტური და დემოკრატიული პოლიტიკური ჯგუფების იგნორირების გამო, 19 ივნისს იტალიის პარლამენტმა იმპიჩმენტი გამოუცხადა ორლანდოს მთავრობას. ახალ პრემიერად არჩეულ იქნა ფრანჩესკო ნიტი, საგარეო საქმეთა მინისტრად ტომაზო ტიტონი. მათ შეცვალეს წინა მთავრობის მიერ აღებული იმპერიალისტური საგარეო პოლიტიკური კურსი. კავკასიისაკენ მიმავალი ექსპედიცია მზად იყო ტარანტოდან გასამგზავრებლად, ამიტომ, როგორც ნიტი იგონებს, მისი პირველი გადაწყვეტილება აღნიშნული წამოწყების გაუქმებას შეეხებოდა: “მე გამაოცა იმან, რომ არათუ მთავრობა, არამედ მთელი რიგი ჭკვიანი ფინანსისტები და საერთოდ პროგრესულად მოაზროვნე ადამიანები ამ ექსპედიციის მტკიცე მომხრენი იყვნენ. მე კი გადავწყვიტე, მიუხედავად მძლავრი წინააღმდეგობისა, მაშინვე, ერთხელ და სამუდამოდ, უარი მეთქვა ამ ღონისძიებაზე, მაგრამ ამასთან ერთად მხარი დავუჭირე წმინდა კომერციულ ინიციატივას.” (371, 123-124). კარლო სფორცა აღფრთოვანებული იყო ნიტის პატიოსნებით, გამბედაობით,

რომელიც არ მოერიდა მსხვილ საბანკო, საფინანსო ჯგუფებთან დაპირისპირებას და გააუქმა საქართველოში ჯარების გაგზავნის გადაწყვეტილება (357, 86).

არმიის საბჭოს 27 ივნისის სხდომაზე, რომელსაც ახალარჩეული პრემიერიც ესწრებოდა, ტიტონიმ გამოაცხადა, რომ სამხედროს ნაცვლად, ღრმა ეკონომიკური ინტერვენცია განხორციელდებოდა კავკასიაში (354, 76-77).

სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკები იტალიელთა რეგიონში შესვლას ელოდნენ, ასევე ელოდა ბრიტანეთი კავკასიის მათთვის გადაბარებას. განსაკუთრებით პრობლემური საკითხი იყო კასპიის ფლოტი, რომელიც ჰაერში ვერ დარჩებოდა. იმის გამო, რომ აღებულ ვალდებულებათაგან გაქცეულის შთაბეჭდილება არ მოეხდინა, ნიტის მთავრობამ მყისიერად არ გამოაცხადა მიღებული გადაწყვეტილება, ის დროის გაწელების ტაქტიკას დაადგა.

იტალიელთა მხრიდან დუმილმა, უმოქმედობამ ბრიტანელთა დაბნეულობა და ნერვიულობა გამოიწვია. ბოლოს, 4 ივლისის არაფორმალურ შეხვედრაზე ბალფურმა ჰკითხა ტიტონის – აპირებდა თუ არა კავკასიაში ჯარების გაგზავნას, რაზეც იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრმა უპასუხა “არამგონია”. იგივე ინფორმაციას უდასტურებდნენ ბრიტანელ კოლეგებს იტალიელი სამხედროები (186; 290, 419), თუმცა, აღნიშნულ საკითხზე ოფიციალურ პასუხს არავინ იძლეოდა.

4 ივლისს მარკიზმა დელა ტორეტომ მიანიშნა ქართულ დელეგაციას, რომ ორლანდო უფრო ხალისიანად უყურებდა საქართველოში ჯარების გაგზავნას, ახალ კაბინეტს დემოკრატიული კურსი ჰქონდა აღებული და დემობილიზაციას ახდენდა, მაგრამ საბოლოო უარი არ უთქვამს ქართველებისათვის და იქვე დაამატა, რომ შესაძლო იყო მცირე ძალები, მაქსიმუმ 20000 ჯარისკაცი გაეგზავნათ მორალური ეფექტის მოსახდენად, ქვეყნის გარეშე აგრესიისგან დასაცავად (31, 42). დეტალური განმარტება იმის თაობაზე, რომ, მთავრობის ცვლილების გამო, იტალიური ჯარები არ გაიგზავნებოდნენ კავკასიაში და ურთიერთობა ეკონომიკურ ჭრილში გადავიდოდა, დელა ტორეტომ საქართველოს დელეგაციას 22 ივლისს მისცა. ამასთანავე, ვალერი და დელა ტორეტო უმაღლესი საბჭოს წინაშე საქართველოს დე ფაქტო აღიარების საკითხის წამოწევას პირობას იძლეოდნენ (31, 52-53).

იტალიელთაგან ოფიციალური პასუხი ბრიტანელებმა ქართველებზე გვიან მიიღეს. გაურკვეველობით დაღლილი სამხედრო დაზვერვის დირექტორი – გენერალი თვაითი კითხულობდა, შეეძლო თუ არა ვინმეს იტალიელთაგან ეთქვა კი ან არა? (221): შესაბამისი კითხვით ლორდმა კერზონმა, ლონდონში იტალიის ელჩს მარკიზ იმპერიალის 23 ივლისს მიმართა. იმპერიალიმ უპასუხა, რომ მისი შთაბეჭდილების თანახმად, იტალიელები აღარ აპირებდნენ კავკასიაში წასვლას, ამასთანავე, ოფიციალური პასუხის რომიდან გამოთხოვას დაპირდა. საბოლოო პასუხი მხოლოდ 1 აგვისტოს ჩაბარდა დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს (290, 452-453; 223).

იმავე 1 აგვისტოს, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა ნოე რამიშვილმა მთავრობის წევრებს გააცნო იტალიის მთავრობისაგან მოსული შეტყობინება, რომ მათი ჯარები საქართველოში არ გამოიგზავნებოდნენ (9, 51).

პარიზში უმაღლესი საბჭოს 11 აგვისტოს სხდომაზე ტიტონიმ შედარებით უფრო ვრცლად განმარტა, რომ საქართველო თანახმა იყო მიეღო იტალიის მანდატი საკუთარი დამოუკიდებლობის დაცვის პირობით, ამავე დროს ადმირალ კოლჩაკი წინააღმდეგი გამოდიოდა საქართველოსთვის ავტონომიაზე მეტი მიეცა. შესაბამისად, თუ იტალია ქართველთა პირობას დათანხმდებოდა, მას ამ ქვეყნის დამოუკიდებლობაც უნდა დაეცვა, რაც იტალიას არ შეეძლო. გარდა ზემოთქმულისა, ამატებდა საგარეო საქმეთა მინისტრი, ექსპედიცია მოითხოვდა 40000 ჯარისკაცს, საწყის ეტაპზე 75 მილიონ, ხოლო შემდეგ, ყოველწლიურად 1 მილიარდ ლირას. ტიტონის არც ბრიტანელთა დადანაშაულება დავიწყებია, რომლებმაც პირობა დაარღვიეს და არ გადაიყვანეს იტალიური ჯარები კავკასიაში. ყველაფერი ზემოთქმულის გათვალისწინებით, იტალია იძულებული იყო უარი ეთქვა მძიმე ვალდებულების აღებაზე, ასკენიდა ტიტონი (305, 648-649).

სამხედრო ჩარევის გამორიცხვის შემდეგ, გააქტიურდა ეკონომიკურ თანამშრომლობაზე მუშაობა. 1919 წლის სექტემბერსა და ოქტომბერში პოლკოვნიკმა გაბამ ჯერ სამხედრო სამინისტროდან საგარეო საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში გადასვლა ითხოვა, რათა დარჩენილიყო კავკასიაში იტალიის წარმომადგენლობის ხელმძღვანელად, ხოლო შემდეგ წარმომადგენლობის მუშაობის გეგმა, მიზნები და ამოცანები შესთავაზა საგარეო საქმეთა სამინისტროს. მისი აზრით, რეგიონში იტალიური გავლენის გასაზრდელად საჭირო იყო სამშვიდობო კონფერენციაზე საქართველოსა და

აზერბაიჯანის დე ფაქტო აღიარების მიღწევა; ბათუმის საქართველოსათვის დაბრუნება ან ინტერნაციონალიზაცია, რის შემდეგაც იტალია მოახერხებდა ბათუმისა და ფოთის პორტებზე კონტროლის დამყარებას; სამხრეთ კავკასიის რკინიგზების ხელში აღება; გენერალ დენიკინისათვის სამხრეთ საზღვრის მკაცრად განსაზღვრა; დენიკინის მიერ ჩაგრული სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკების სამართლიან მოთხოვნათა გათვალისწინება და ა. შ. (66, 30-33-63-66).

გაბას პროექტი, ასეთი ტერმინის გამოუყენებლად, ფაქტობრივად მანდატს ითხოვდა. სამხედრო ოკუპაციის გარეშე ამ ამბიციური გეგმის განხორციელება ძნელად წარმოსადგენი იყო. გაბას მიერ დანახული სასურველი მასშტაბებით არა, მაგრამ იტალიის საგარეო პოლიტიკურმა ისტებლიშმენტმა სერიოზულად მოჰკიდა ხელი საქართველოსთან ეკონომიკური კავშირების დამყარებას.

პარიზში იტალიელი დელეგატები – დე მარტინო და პირელი 22 ოქტომბერს შეხვდნენ ცარისტული რუსეთის ყოფილ საგარეო საქმეთა მინისტრს, იმუამად კი “სოვეშანიეს” წამყვან ფიგურას – სერგეი საზონოვს. “სოვეშანიეს” წარმომადგენელმა მათ პირდაპირ უთხრა, რომ მოსკოვის აღების შემდეგ დენიკინი სამხრეთ კავკასიას დაიკავებდა და გააფრთხილა, რომ იტალიელთა მხრიდან კავკასიის რესპუბლიკებისადმი ნებისმიერი დახმარების მცდელობა, დენიკინისადმი მტრულ მოქმედებად აღიქმებოდა. აღნიშნული ფაქტის გათვალისწინებით, ტიტონი, მინისტრის მოადგილედ დანიშნულ, კარლო სფორცას წერდა, რომ საჭირო იყო ქართველ დელეგატებთან ურთიერთობის გაგრძელება, მაგრამ სერიოზული გადაწყვეტილებების მიღება არ შეიძლებოდა ბრიტანელთა და რუსების თანხმობის გარეშე (66, 48-49). კონსტანტინე საბახტარაშვილთან შეხვედრაზე იგივე პოზიცია დააფიქსირა ფრანჩესკო ნიტომ. პრემიერ-მინისტრი ტაქტიკურ სიმპათიას გამოხატავდა ქართული დელეგაციისადმი, მაგრამ საქართველოს აღიარების საკითხს მოკავშირეთა საერთო პოლიტიკის განსაზღვრას უკავშირებდა. მან, მოლაპარაკებების გასაგრძელებლად, ქართულ დელეგაციას ტიტონისკენ მიუთითა (290, 625-626; 154; 51, 35).

იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ამ მიმართულებით ნაბიჯების გადადგმა მალევე დაიწყო. 25 ოქტომბერს, უმაღლესი საბჭოს სხდომაზე, მან უკრაინისა და საქართველოს მიმართ დენიკინის აგრესიულ მოქმედებებზე

გაამახვილა ყურადღება (306, 766-767). იტალიას, საქართველოსთან ერთად, ქვანახშირით მდიდარი უკრაინის დამოუკიდებლობაც აინტერესებდა.

22 ოქტომბერს ტიტონი შეხვდა ჩხეიძეს. საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელმა მას გააქტიურებული ქართულ-იტალიური ურთიერთობების ოფიციალურად ასახვა – დე ფაქტო აღიარება, ხოლო სამომავლოდ დე იურე აღიარების მოპოვებაში დახმარება სთხოვა. მხარეები შეთანხმდნენ, რომ ჩხეიძე ოფიციალურ მიმართვას გაუგზავნიდა იტალიელებს (31, 114). ქართველთა ნოტა პირველ ნოემბერს მიიღო ტიტონიმ (20, 58-61).

ქართველთა თხოვნის საფუძველზე, ლონდონში იტალიის ელჩმა 3 ნოემბერს მიმართა ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს. იტალიას სურდა ეკონომიკური აქტივობები გაეფართოვებინა კავკასიაში, ამასთანავე მისი განზრახვა იყო მოკავშირეებთან თანხმობით ემოქმედა რეგიონში. მარკიზი იმპერიული სთავაზობდა ბრიტანეთს – თუ მისი უდიდებულესობის მთავრობა დათანხმდებოდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებას, მაშინ იტალია ოფიციალურად დააყენებდა ამ საკითხს სამშვიდობო კონფერენციაზე (290, 624; 153).

ეს ის პერიოდია, როდესაც დენიკინი წარმატების ზენიტში იყო. ის მიუახლოვდა მოსკოვს და გამარჯვებაც, ფაქტობრივად, გარდაუვალი ჩანდა. ასეთ გამოურკვეველ ვითარებაში ბრიტანეთი გადაწყვეტილებას ვერ მიიღებდა. კერზონმა ელჩს 14 ნოემბერს უპასუხა, რომ საქართველო დაკავშირებული იყო სამხრეთ კავკასიის სხვა რესპუბლიკების საკითხთან, აგრეთვე, რუსეთისა და თურქეთის პრობლემათა მოგვარებასთან. მოცემულ ეტაპზე ბრიტანეთი, გარდა ქართველებისადმი ზოგადი სიმპათიის გამოხატვისა, ვერაფერს მოიმოქმედებდა (290, 647; 153).

შექმნილი რეალობაში, პრემიერს, სამხედრო და ვაჭრობის მინისტრებს კარლო სფორცა საქართველოსთან გასატარებელ აქტიურ ეკონომიკურ პოლიტიკაზე იტალიას უარის თქმას სთავაზობდა, ამასთანავე, მათ ქართველებისათვის არ უნდა მიეწოდებინათ საბრძოლო მასალები და შემოფარგლულიყვნენ მხოლოდ არასაბრძოლო დანიშნულების სამხედრო საქონელის მიყიდვით. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ ქართველები წაგებულები

გამოვიდოდნენ, იტალია ყველა მხარესთან უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა (66, 46-47).

იარაღის მიწოდების შესახებ პირობა პოლკოვნიკმა გაბამ მაისში მისცა საქართველოს მთავრობას, მაშინ, როდესაც ორლანდოს მთავრობა იყო ხელისუფლებაში. მხარეები შეთანხმდნენ, რომ მონაცემებს იარაღის სახეობისა და რაოდენობის შესახებ, კონკრეტული შეკვეთის მისაცემად, იტალიაში ჩასული ქართული მისია ჩაიტანდა. აღნიშნული დელეგაცია, კონსტანტინე საბახტარაშვილის მეთაურობით, 1919 წლის ოქტომბერში ჩავიდა რომში და მოითხოვა დანაპირების შესრულება (59, 1-10).

კარლო სფორცა 17 სექტემბერს აცნობებდა ფრანჩესკო ნიტის პოლკოვნიკ გაბას მიერ 7 სექტემბერს თბილისიდან გამოგზავნილი რეპორტის შესახებ. ქართველებმა და აზერბაიჯანელებმა რომში წასვლამდე გააცნეს მას ინფორმაცია. სამხრეთ კავკასიის მთავრობები ითხოვდნენ: 149 მილიმეტრიან ჰაუბიცას, 14 ერთეული; 105 მილიმეტრიან საარტილერიო დანადგარებს, 18 ერთეული; სამთო არტილერიის ქვემეხებს, 32 ერთეული; საველე არტილერიის ქვემეხებს, 60 ერთეული; 4400 რევოლვერს; 450 ტყვიამფრქვევს; 8000 კარაბინის ტიპის შაშხანას; 40000 "ვინტოვკა". თავად პოლკოვნიკი სრულ მხარდაჭერას უცხადებდა აღნიშნულ მოთხოვნას, რადგან, მისი აზრით, საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მთავრობას მშვიდობიანი განზრახვები ჰქონდა. მას ესაჭიროებოდა მხოლოდ საკუთარი საზღვრების დაცვა. გაბას შუამდგომლობას სფორცაც ემხრობოდა. მისი აზრით, საქართველოს მთავრობის სოციალისტური ხასიათისა და დენიკინის წინააღმდეგ მისი ბრძოლის გამო, იარაღის მიწოდება პროტესტს არ გამოიწვევდა იტალიურ ოპოზიციაში. ეს იარაღი, მინისტრის მოადგილის აზრით, სამომავლოდ მოხმარდებოდა საქართველოში დაბანდებული იტალიური კაპიტალის დაცვას რუსული ექსპანსიისაგან (66, 70-71).

ეს იყო სექტემბერში, ხოლო ოქტომბერში, როდესაც ქართული დელეგაცია რომში ჩავიდა, საზონოვისა და ბრიტანელთა პოზიციების გამო, როგორც სფორცას, ასევე იტალიის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას საქართველოსთან იარაღით ვაჭრობის საწინააღმდეგოდ ჰქონდათ გადაწყვეტილება მიღებული.

რომში მყოფ ქართულ მისიას ჯერ განუცხადეს, რომ იტალიის ხელისუფლება არ იყო წინა მთავრობის მიერ გაცემული დაპირების საქმის

კურსში და პოლკოვნიკ გაბას არ ჰქონდა უფლებამოსილება იარაღით ვაჭრობაზე მოლაპარაკება ეწარმოებინა საქართველოსთან, ხოლო მოგვიანებით ბრიტანელთა პოზიცია დასახელდა შეთანხმების შეუსრულებლობის მიზეზად, რომელიც, იტალიელთა განმარტებით, წინააღმდეგი იყო საქართველოსთვის იარაღის მიწოდებისა და კონსტანტინოპოლიდან კავკასიისაკენ არ გაატარებდა სამხედრო ტვირთს (59, 1-10).

ბრიტანელებმა მართლაც დაიწყეს ეჭვიანობა ქართულ-იტალიური ურთიერთობების თაობაზე. 22 ოქტომბერს ადმირალი დე რობეკი, რომელმაც კალთორპის ადგილი დაიკავა ბრიტანეთის ხმელთაშუა ზღვის ძალების სარდლის პოსტზე, ლონდონს ატყობინებდა, რომ კავკასიაში იტალიელთა ეკონომიკური აქტივობების უკან შესაძლოა გერმანელთა ინტერესები მდგარიყო (290, 610). იტალიელთა უკან გერმანელებს ხედავდა სამხრეთ კავკასიაში ბრიტანეთის უმაღლესი კომისარი – ოლივერ უორდროპიც. 14 ოქტომბერს საგარეო საქმეთა სამინისტროსათვის გაგზავნილ ტელეგრამაში ის აღნიშნავდა, რომ ქართველები ქვანახშირის, ტყეებისა და პიდრო რესურსების, ხოლო აზერბაიჯანელები რკინიგზების კონცესიათა გადაცემას აპირებდნენ იტალიისათვის. სანაცვლოდ იტალიისაგან მათ აღიარებასა და სამშვიდობო კონფერენციაზე მხარდაჭერას ითხოვდნენ (149). დენიკინისათვის ზურგში პრობლემების შესაძლო შექმნით შეშფოთებული ბრიტანეთის სამხედრო და ინდოეთის საქმეთა სამინისტროები 5 ნოემბერს წერდნენ საგარეო საქმეთა სამინისტროს, რომ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად იტალია საქართველოსა და აზერბაიჯანისათვის იარაღის მიყიდვას აპირებდა, რაც, მათი მტკიცებით, წინააღმდეგობაში მოდიოდა იარაღის მოძრაობის კონვენციასთან, რომლის ხელმომწერი იტალიაც იყო. კონვენციის თანახმად, არაღიარებული სახელმწიფოსათვის იარაღის მიყიდვა არ შეიძლებოდა (141; 152). კონსტანტინოპოლის ბრიტანული სარდლობა სამხედრო სამინისტროს ატყობინებდა, რომ აზერბაიჯანის მთავრობა არ მაღავდა იტალიის მიერ მათთვის მიცემულ პირობას იარაღის მიწოდების თაობაზე, ხოლო გენერალ ყაზბეგის მიერ ხელმოწერილი, იტალიელთათვის წარდგენილი ქართველთა მოთხოვნა, იარაღის ჩამონთვლით, ბრიტანეთის დაზვერვას ჩაუვარდა ხელში (158; 159).

იტალიაში ბრიტანეთის ელჩმა – ბუჩანანმა, 8 ნოემბერს, საბახტარაშივითან შეხვედრაზე წამოსწია იარაღით ვაჭრობისა და იტალიელთათვის კონცესიების გადაცემის საკითხები. ქართველი დიპლომატი ელჩის მოტყუებას შეეცადა და უთხრა, რომ საქართველოს საკმაო შეიარაღება ჰქონდა, ის არ საჭიროებდა იტალიისაგან დამატებით შესყიდვას. კონცესიების შესახებ საბახტარაშივითან განმარტა, რომ საქართველო ეკონომიკურ პრივილეგიებს ნებისმიერ დიდ სახელმწიფოს მისცემდა, პოლიტიკური დახმარების სანაცვლოდ. იმავე დღეს ბუჩანანი კარლო სფორცასაც ესაუბრა. იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ უარყო ქართველთათვის იარაღის მიყიდვის შესაძლებლობა (290, 637-638; 156). რამდენიმე დღის შემდეგ იტალიელებმა ქართველებს განუცხადეს, რომ ბრიტანეთის საელჩოსაგან მიუვიდათ წერილი, რომელიც საქართველოსათვის იარაღის შესაძლო მიყიდვას აპროტესტებდა (59, 7-8).

შექმნილ ვითარებაში, 1919 წელს, ქართულ-იტალიური ურთიერთობები, საქართველოს აღიარების, იარაღით ვაჭრობის, ქართულ ეკონომიკაში იტალიური ინვესტიციების მოზიდვის კუთხით, წინ ვერ წავიდა. თუმცა, 1920 წლის დასაწყისიდან, როდესაც მოხალისეთა ბრძოლა რუსეთის აღსადგენად ჩავარდა, მოკავშირეთა უმაღლესმა საბჭომ საქართველოს დამოუკიდებლობის დე ფაქტო აღიარება მოახდინა, იტალიამ დიდი სავაჭრო-სამრეწველო მისია გამოგზავნა საქართველოში, შეიარაღების საკითხებში მინისტრის ყოფილი მოადგილის – სინიორ კონტის მეთაურობით. გაფორმდა ხელშეკრულება ტყვარჩელის ქვანახშირის საბადოების იტალიელთათვის გადაცემის შესახებ; იტალიელებმა დაამონტაჟეს ევროპასთან დამაკავშირებელი პირველი რადიოსადგური თბილისში; საქართველომ იტალიისაგან შეიძინა საბრძოლო თვითმფრინავები; მოკავშირეთა უმაღლესი ეკონომიკური საბჭოს გადაწყვეტილების ფარგლებში, იტალიელებმა საქართველოში 500 ტონა ხორბალი შემოიტანეს; მოხდა ქართული ეკონომიკის სხვადასხვა დარგებში იტალიური ინვესტიციების შემოდინება და ა.შ. ამასთანავე, მოკავშირეთა შორის, იტალია იყო ერთადერთი სახელმწიფო, რომელმაც 1920 წლის ნოემბერში, ერთა ლიგის სესიაზე მხარი დაუჭირა საქართველოს ამ ორგანიზაციაში გაწევრიანებას; ის ასევე ერთადერთი იყო, რომელმაც, 1921 წლის 26 იანვარს, მოკავშირეთა მიერ საქართველოს დე იურე

ადიარების შემდეგ, ბოლშევიკურ ოკუპაციამდე ერთი თვით ადრე, თბილისში საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დანიშვნა მოასწრო.³⁹

2. სამხრეთ კავკასიიდან დიდი ბრიტანეთის სამხედრო სამინისტროს გასვლა, საგარეო საქმეთა სამინისტროს შემოსვლა და თანმდევი შედეგები

ა) ბრიტანული ჯარების ევაკუაცია

სამხრეთ კავკასიის ოკუპაციაზე იტალიელთა უარმა ბრიტანული ჯარების ევაკუაცია ვერ შეაჩერა. რეგიონში ყოფნის პერიოდში მათი მოქმედებით კმაყოფილი, ფაქტობრივად, არავინ ყოფილა. ქართველები და აზერბაიჯანელები ბრიტანელი სამხედრო მეთაურების არამეგობრულ დამოკიდებულებაზე, დენიკინისადმი მხარდაჭერაზე, ლონდონისა თუ სამშვიდობო კონფერენციისათვის არასწორი ინფორმაციების მიწოდებაზე მიუთითებდნენ.

ლორდ კერზონის სიტყვებით, საწყისი უკმაყოფილებების მიუხედავად, “როდესაც ევაკუაციის თაობაზე ჩვენი განზრახვა ცნობილი გახდა, სწრაფად და დაუყოვნებლივ იქნა გაანალიზებული ჩვენი ოკუპაციის სიკეთენი – მგზნებარედ მოგვმართავდნენ ყველა კუთხიდან, რათა დავრჩენილიყავით.” (188).

ევაკუაციამ მსოფლიო მასშტაბით გამოიწვია არმენოფილური სენტიმენტების გაძლიერება. ისახებოდა სომეხთა განმეორებითი ხოცვა-ჟლეტვის შესაძლო სურათები. სამშვიდობო კონფერენციის უმაღლესი საბჭოს მიერ სომხეთში უმაღლეს კომისრად დანიშნულმა ამერიკელმა პოლკოვნიკმა ჰასკელმა, რომელიც მეთვალყურეობას უწევდა სომხეთისათვის მიწოდებულ ჰუმანიტარულ დახმარებას, კონფერენციას 5 აგვისტოს მისწერა, რომ ჯარების ევაკუაცია მილიონობით დოლარის ღირებულების ტვირთს დაუცველს დატოვებდა, შეწყდებოდა დახმარების პროგრამა, ამის გამო ათასობით სომეხი ლტოლვილი შიმშილით დაიხოცებოდა. სომხები, მისი განცხადებით, გარშემორტყმულნი იყვნენ მტრებით; მათ თავის დასაცავად არც იარაღი და არც ძალა არ ჰქონდათ; ის კავკასიაში ანარქიის გამეფებას წინასწარმეტყველებდა. ამ ყველაფრის შეჩერება მხოლოდ ლონდონიდან გაცემულ ბრძანებას შეეძლო;

³⁹უფრო ვრცლად იხ. დ. ჯოჯუა (330, 119-252).

“ორი მილიონი ადამიანის სიცოცხლეს ემუქრება საშიშროება ბრიტანელთა გასვლის შემდეგ; ანარქია გამეფდება კავკასიაში, სადაც ყველას სიცოცხლე და ქონება საფრთხის ქვეშაა...”, დასძინდა ჰასკელი (305, 647-648).

წერილს, 11 აგვისტოს, უმაღლესი საბჭოს მიერ საკითხის განხილვა მოჰყვა. ბალფურმა მოთათბირებებს შეახსენა, რომ ლოიდ ჯორჯმა ჯერ კიდევ მარტსა და აპრილში განუცხადა კონფერენციას, რომ ბრიტანეთი ჯარების გაყვანას აპირებდა, შესაბამისად ადრევე იყო ცნობილი მათი გადაწყვეტილება, რომ ოკუპაცია ვერ გაგრძელდებოდა. კლემანსომ ამერიკული დელეგაციის ხელმძღვანელ ფრენკ პოლკს ჰკითხა თუ შეეძლო შეერთებულ შტატებს შექმნილ ვითარებაში რაიმე ელონა. ამ უკანასკნელმა უპასუხა, რომ სანამ კონგრესის თანხმობა არ იქნებოდა, ამერიკა ვერაფერს გაკეთებდა, ის ვერ გაგზავნიდა ჯარებს ქვეყანაში, რომლისთვისაც ომი არ ჰქონდა გამოცხადებული, ხოლო სომხეთზე მანდატის აღების საკითხს პრეზიდენტი კონგრესის წინაშე დააყენებდა. დისკუსია კლემანსომ შეაჯამა: “საფრანგეთს არაფრის გაკეთება შეუძლია, იტალიას არაფრის გაკეთება შეუძლია, ბრიტანეთს არაფრის გაკეთება შეუძლია, მოცემული მომენტისათვის არც ამერიკას შეუძლია რაიმის გაკეთება. ისდა დაგვრჩენია დაველოდოთ, ყოველივე ამის შემდეგ, თუ დარჩებიან სომხები ცოცხლები.” (305, 648-649; 288, 389-390).

თავის ხმრივ აქტიურობდნენ სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკებიც, მათ შორის პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე საქართველოს დელეგაცია. 1919 წლის აგვისტოს დასაწყისში, კონსტანტინოპოლის ბრიტანული სარდლობის მეშვეობით, საქართველოს მთავრობამ ინსტრუქცია გაუგზავნა დელეგაციას, რათა ქართველ დელეგატებს ჯარების სამხრეთ კავკასიაში დატოვების თხოვნით მიემართათ სამშვიდობო კონფერენციისათვის (209). ქართულმა დელეგაციამ აზერბაიჯანელ, სომეხ და ჩრდილო კავკასიელ კოლეგებთან ერთად დაიწყო მიმართვის საერთო ტექსტზე მუშაობა. ეს იყო კონფერენციაზე ოთხი დელეგაციის თანამშრომლობის პირველი სერიოზული მცდელობა, რაც გამოწვეული იყო საერთო საფრთხით.

ჩრდილო კავკასიელებმა, რომელთა ტერიტორია ბრიტანელთა რეგიონში ყოფნის პირობებში იქნა ოკუპირებული დენიკინის მიერ და მისი უდიდებულესობის მთავრობა უკვე ოფიციალურად განიხილა და დადესტანს დენიკინის გავლენის სფეროდ, თავიდანვე უარი თქვეს საერთო მიმართვაში

მონაწილეობაზე. მათი აზრით, ბრიტანელები დანარჩენ რესპუბლიკებსაც ისევე მოატყუებდნენ, როგორც ჩრდილო კავკასიელებს.

პარალელურად, განიხილებოდა მეორე ნოტის საკითხი, სადაც რესპუბლიკებს სამშვიდობო კონფერენციისაგან კავკასიისათვის ცალკე კომისიის დაარსება უნდა მოეთხოვათ. ამ მიმართულებით მუშაობა მას შემდეგ გახდა უფრო აქტიური, რაც 1919 წლის 16 აპრილს კონფერენციამ ბალტიისპირეთის რესპუბლიკებისათვის კომისიის შექმნის გადაწყვეტილება მიიღო. ბუნებრივია, სამხრეთ კავკასიელ დელეგატებს არ სურდათ დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვის თვალსაზრისით მათი რეგიონის სტატუსი ბალტიისპირეთისას ჩამორჩენოდა, მაგრამ ძლიერი და არგუმენტირებული მოთხოვნისათვის სამი დელეგაციის ერთაზროვნება იყო საჭირო.

დოკუმენტთა შემუშავების დროს უთანხმოებამ იჩინა თავი. სომხები ითხოვდნენ საქართველოს, აზერბაიჯანის და, თურქეთის სომხეთის ექვსი ვილაიეთის ჩათვლით, ერთიანი სომხეთისათვის კომისიის დაარსებას. იმის მომიჯნავეებით, რომ კომისიის შექმნას მოითხოვდნენ კავკასიის სამი რესპუბლიკის საკითხების გამოსარკვევად, აზერბაიჯანი ხელს არ აწერდა ისეთ დოკუმენტს, რომელიც ოსმალეთის იმპერიის დაშლისაკენ იქნებოდა მიმართული. შემდეგ ეტაპზე სომხებმა შეიტანეს წინადადება, რომ მოთხოვნილი ყოფილიყო ორი კომისიის დაარსება – ცალკე სამხრეთ კავკასიისათვის და ცალკე ერთიანი სომხეთისათვის.

ქართული დელეგაცია დიღემის წინაშე იდგა, გამოსარკვევი იყო როგორ უნდა ემოქმედათ ორ მეზობელს შორის არსებული უთანხმოების პირობებში. ერთი მხრივ საქართველოს ეროვნულ ინტერესებში შედიოდა სომხეთის თურქეთის მიმართულებით გაფართოება. დელეგაციის მიერ თბილისიდან წაღებული ინსტრუქციის მიხედვით, ამ შემთხვევაში, სომხეთი “საქართველოს აღარ მოაწევბოდა”. თუმცა ფაქტი იყო, რომ კონფერენციის მსვლელობისას ქართულმა დელეგაციამ აზერბაიჯანელებთან ტანდემში ჰარმონიულად მუშაობა შეძლო, ხოლო სომხებს მათგან თავი შორს ეჭირათ. იოსებ გობეჩიას მოსაზრებით, თუ სომხებს მხარს დაუჭერდნენ, მათ მაინც ვერ მოიმაღლიერებდნენ, აზერბაიჯანთან კი გააფუჭებდნენ ურთიერთობას. მეორე მხრივ, ირაკლი წერეთელი შეახსენებდა დელეგატებს, რომ სომხეთის გარეშე საქართველოს საკითხი ვერ გადაწყდებოდა. ზურაბ ავალიშვილი ამატებდა, რომ

სომხეთის თურქეთის მიმართულებით გაფართოება საქართველოს ინტერესებში იყო, მაგრამ ექვსი ვილაიეთის მათთვის მიკუთვნება მეტისმეტად ეჩვენებოდა; მისივე სიტყვებით, საკითხის გადასაწყვეტად თუ ეთნოგრაფიულ პრინციპს შესთავაზებდნენ სომხებს, მაშინ ამავე პრინციპს ისინი ქართველთა წინააღმდეგ გამოიყენებდნენ ახალქალაქსა და ლორეში. ჩხეიძეც დაეთანხმა აგალიშვილს და აღნიშნა, რომ სომხებს სწინდათ ეთნიკური პრინციპის ხსენება თურქეთის სომხეთთან მიმართებაში, რადგან მათი მოსახლეობა იქნა ამოხოცილი ამ ტერიტორიაზე.

ამასობაში, აგვისტოს ბოლო დღეებში დელეგაციას მთავრობისაგან მოუვიდა შეტყობინება, რომ ერევნისა და ყარსის ოლქებში დაიწყო სომხებისა და აზერბაიჯანელებს შორის შეტაკება, რაც საერთო არეულობას, ანარქიას გამოიწვევდა კავკასიაში; კონფერენციის, მოკავშირეთა თვალში შეილახებოდა ყველა რესპუბლიკის სახელი. მთავრობა მიმართავდა კავკასიაში მყოფ უცხოურ მისიებს ჩარეულიყვნენ კონფლიქტის მოგვარებაში და კავკასიის რესპუბლიკებს, შესათანხმებლად, კონფერენციაზე შეკრებისაკენ მოუწოდებდა ქართულ დელეგაციას ერთდოულად რამდენიმე ამოცანა ჰქონდა გადასაწყვეტი: პირველი, კომისიის შექმნის მოთხოვნით კონფერენციისათვის ერთიანი ტექსტით მიმართვა და ამ საქმეში სომხეთ-აზერბაიჯანს შორის შუამავლის როლის შესრულება; მეორე, ბრიტანელთა ჯარების დატოვებასთან დაკავშირებული ერთიანი ნოტის მომზადება; მესამე, სომხეთ-აზერბაიჯანის შეტაკების თაობაზე კონფერენციის საქმის კურსში ჩაყენება, ისე რომ მეზობელ რესპუბლიკათა არც ერთი დელეგაცია არ დარჩენილიყო ნაწყენი.

იმ მოსაზრებით, რომ კავკასიისა და სომხეთისათვის ცალ-ცალკე კომისიების მოთხოვნის შემთხვევაში მოკავშირეები ყურადღების სიმძიმეს ამ უკანასკნელის მიმართულებით გადაიტანდნენ, საქართველოს კი პრობლემის მოგვარება სომხეთის საკითხთან ერთად სურდა, დელეგაციამ გადაწყვიტა უარი ეთქვა სომხებისათვის. თუმცა, უარის თქმა არც გახდა საჭირო, რადგან პაპაჯანიანმა თავად უარყო ორი კომისიის იდეა, იმ მიზეზით, რომ თურქეთის სომხეთის წარმომადგენლებთან მიმართებაში ეს უხერხული ნაბიჯი იქნებოდა.

ბრიტანეთის ჯარების დატოვების მოთხოვნით გასაგზავნი ნოტის შინაარსზე ვერ თანხმდებოდნენ დელეგაციები. ქართველებს და აზერბაიჯანელებს უნდოდათ მოტივაციის დაფიქსირება, რომ მათ უცხო ძალა

სჭირდებოდათ “ჩრდილოეთიდან მომავალი საფრთხისაგან” ან “გარედან მომავალი საფრთხისაგან” თავის დასაცავად. თუ ამ ფორმულირებას დათანხმდებოდნენ სომხები, ეს მოასწავებდა მათ შეერთებას დენიკინის წინააღმდეგ შექმნილ ქართულ-აზერბაიჯანული ლიგასთან. ამის სურვილი მათ, რასაკვირველია, არ გააჩნდათ. პირიქით, ისინი მოითხოვდნენ “შიდა საფრთხეებისგან დასაცავად” ფორმულირების ჩაწერას, რაც იმას ნიშნავდა, რომ მათ საფრთხე ქართველებისა და აზერბაიჯანელებისაგან ელოდათ. შესაბამის ფორმულირებას ჩხეიძისა და თოფჩიბაშევის დელეგაციები მხარს ვერ დაუჭერდნენ.⁴⁰

ამ საკითხების გარკვევაში დიდი დრო დაიკარგა. სანამ დელეგაციები მიმართვის ტერმინოლოგიას ათანხმებდნენ ბრიტანელებმა 15 აგვისტოს დაიწყეს ევაკუაცია, ხოლო ნოტა მხოლოდ 28 აგვისტოს გაიგზავნა, ისიც მოტივაციის დაუსაბუთებლად – თხოვნა ზოგადი ფორმულირებით ბრიტანული ჯარების დარჩენის თაობაზე, რესპუბლიკათა დამოუკიდებლობის საკითხის გადაწყვეტამდე. ევაკუაციის დაწყების და ნოტის გაგზავნის თარიღებს შორის საკმაოდ დამორების გამო, გასაკვირი არ იყო, რომ ის უპასუხოდ დარჩა (20, 47; 208).

1 სექტემბერს ჩხეიძემ ქართული დელეგაციის სახელით მიმართა კონფერენციას. მან სომხებსა და აზერბაიჯანელებს შორის მიმდინარე შეტაკებების შესახებ ამცნო მოკავშირე სახელმწიფოებს, რა დროსაც ქართველებმა კონფერენციის მოწვევისაკენ მოუწოდეს სამხრეთ კავკასიის სამ რესპუბლიკას. ამას ემატებოდა ჩრდილოეთიდან მომავალი საფრთხე და საბოლოო ჯამში, სადაო საკითხების გადაწყვეტამდე, ჩხეიძე ბრიტანული ჯარების რეგიონში დატოვებას ითხოვდა (20, 48-50; 210).

ქართველებზე სწრაფად სომხები მოქმედებდნენ – მათ, ჯერ კიდევ სამ დელეგაციას შორის მიმდინარე მოლაპარაკებების დროს, თოფჩიბაშევისა და ჩხეიძისგან მალულად, 23 აგვისტოს მიმართეს ბალფურს. მათ ბრიტანული ჯარების რეგიონში დატოვების შუამდგომლობა დააყენეს, ხოლო ამ

⁴⁰სამი რესპუბლიკის დელეგაციებს შორის მიმდინარე მოლაპარაკებების შესახებ იხ. 14-30 აგვისტოს ქართული დელეგაციის სხდომის ოქმები (31, 57-76); კარლო ჩხეიძის 20 სექტემბრის წერილი ნოე უორდანიას (54, 1-2); თოფჩიბაშევის 22 სექტემბრის წერილი აზერბაიჯანის მთავრობას (372, 64-68).

უკანასკნელი სურვილის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, ისინი სომხეთის თავდაცვისუნარიანი არმიის ჩამოყალიბებას, მის გაწვრთნას, აღჭურვას მოითხოვდნენ. სომხური მხარე ერთი მხრივ თურქებისა და აზერბაიჯანელების ქვეყანაში შეჭრას უფრთხოდა, ხოლო მეორე მხრივ ბრიტანელებს უმტკიცებდა, რომ ქართველებს საკმარისი შეიარაღება დარჩათ გერმანელებისგან, ამიტომ ახლა სომხეთი მისი უდიდებულესობის მთავრობას უნდა აღეჭურვა (121; 120).

დაკარგეს რა კონსენსუსის მიღწევის იმედი, 17 სექტემბერს, ქართულმა და აზერბაიჯანულმა დელეგაციებმა სომხების გარეშე მიმართეს კონფერენციას მათ საკითხზე ცალკე კომისიის დაარსების თხოვნით (20, 54-57; 211). ბალტიისპირეთის რესპუბლიკებისათვის მსგავსი ორგანოს შექმნამ დადებითი შედეგი ვერ გამოიღო და რეგიონთან მიმართებაში პოლიტიკის განსაზღვრა ისევ მოკავშირეთა რუსული პოლიტიკის ჩამოყალიბებასა თუ ჩამოყალიბებლობაზე იყო დამოკიდებული, რამაც ბალტიური კომისია უმოქმედო, ფიქტიურ ორგანოდ აქცია (359, 336-341). შესაბამისად, სამხრეთ კავკასიულ დელეგატთა ეს უკანასკნელი და სხვა მოთხოვნებიც მოკავშირეთა პასუხის გარეშე დარჩა.

ქართველთა და აზერბაიჯანელების სათქმელი, ბრიტანეთის საომარი კაბინეტის 29 ივლისის სხდომაზე, ლორდმა კერზონმა თქვა. ის შეეცადა ევაკუაციის გადაწყვეტილება შეეცვალა: “ჯარების გამოყვანის დაწყებას 15 აგვისტოს ვაპირებთ; ამის შემდეგ რეგიონი ანარქიის მდგომარეობაში აღმოჩნდება. გენერალი დენიკინი ძველ რუსულ პარტიას ეკუთვნის და შეეცდება იმ პატარა რესპუბლიკათა დანგრევას, რომლებსაც ჩვენ მხარს ვუჭერდით. ჩვენ შევეცადეთ გენერალ დენიკინის ჯარებისათვის სადემარკაციო ხაზები გაგვევლო, რომელიც მათ არ უნდა გადაელახათ, მაგრამ როდესაც ჩვენ გავქრებით ის თავისი სურვილისამებრ დაიძვრება ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ თუ დასავლეთისკენ და ყველა ის კარგი საქმე, რომელიც პატარა რესპუბლიკებთან მიმართებაში გავწიეთ, დაიკარგება. მე ვამჯობინებდი კავკასიის შეზღუდული სახის ოკუპაციას განსაზღვრული დროით. ორ დივიზიაზე გაცილებით ნაკლები ძალა იქნება საკმარისი და იმისათვის, რომ მოვლენათა სტაბილიზაცია მოხდეს, გთავაზობთ ჩვენს იქ დარჩენას სავარაუდოდ კიდევ ერთი წლით.” მან ეს შეთავაზება მემორანდუმის სახით ჩამოაყალიბა (92) და 21 აგვისტოს ბალფურს გადაუგზავნა, რათა ამ უკანასკნელს უმაღლესი საბჭოსათვის გაეცნო (290, 519-526). სავარაუდო საქმეთა

მინისტრი პესიმისტურად უყურებდა ამ შეთავაზებას, ის არ ფიქრობდა, რომ მოკავშირეებს რაიმე ძალისხმევის სურვილი ჰქონდათ (290, 519-526). იგივე მოსაზრება დააფიქსირეს მინისტრთა კაბინეტის 12 აგვისტოს სხდომაზე ბონარ ლოუმ და პრემიერ-მინისტრმა. ლოდ ჯორჯის აზრით, კლემანსოს საერთოდ ამოშლილი ჰქონდა რუსეთი თავისი დღის წესრიგიდან (69). მოკავშირეებს მართლაც არ გამოუჩენიათ ინტერესი კერზონის შეთავაზებისადმი. რაც შეეხება მის მეორე წინადადებას კავკასიაში კიდევ ერთი წლით დარჩენის თაობაზე, ეს საკითხი იმდენად მყარად იყო გადაწყვეტილი, რომ კაბინეტს არც განუხილავს.

ევაკუაციას ეწინააღმდეგებოდნენ არა მხოლოდ კავკასიის პოლიტიკური სუბიექტები და ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები, არამედ კონსტანტინოპოლის სარდლობა. სამხედრო სამინისტროს პოზიცია, რომელსაც მხარს უჭერდა პრემიერ-მინისტრი, შეუვალი იყო. ჩერჩილი აღიარებდა ბაქო-ბათუმის ხაზის მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე დიდ სტრატეგიულ მნიშვნელობას და რომ ოკუპაციის მანძილზე ბრიტანულ ჯარებს დანაკარგი არ ჰქონიათ, მაგრამ ამასთანავე აღნიშნავდა მთავრობის მიერ გამოურკვეველ მიზანს თუ რას ემსახურებოდა ოკუპაცია, რომლის ერთი წლის მანძილზე განხორციელება დადლილ ბრიტანეთს გაუჭირდებოდა (335, 2332-2341). ამ საკითხთან დაკავშირებით უილსონმა თავის დღიურში ჩაინიშნა: “ჩვენთვის შეუძლებელია დარჩენა. ერთი თეთრი და სამი უცხოური ბატალიონისგან შემდგარი ერთი ბრიგადის შენახვის ღირებულება წელიწადში 12 მილიონ ფუნტს აღწევს. ორი დივიზიის ხარჯი 50-60 მილიონი ფუნტი იქნება. იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენი საკუთარი იმპერია გვაქვს დასაცავი, ადამიანურ რესურსებსაც ვერ მოვძებნით.” (334, 208).⁴¹

მართალია, ბრიტანული ეკონომიკა ომის შემდეგ არ იყო საუკეთესო ფორმაში, მაგრამ კავკასიიდან ევაკუაცია უფრო მეტად გამოწვეული იყო იმით, რომ, გადაწყვეტილების მიმღებთა უფრო ძლიერი ნაწილის გადმოსახედიდან, რეგიონი არ შედიოდა იმპერიის პრიორიტეტების სფეროში; ისინი ვერც პატარა ერების გადარჩენის მორალურ ვალდებულებას გრძნობდნენ, რომელზეც ხშირად მიუთითებდნენ ხოლმე ლორდი კერზონი და პროფესორი სიმპსონი; არც იმ ვალდებულებას, რომელიც ომის მსვლელობისას, განსაკუთრებით სომხებთან

⁴¹ უილსონის დღიურში 2 მილიონის ნაცვლად 12 მილიონის მითითება ან მექანიკური შეცდომა ან გადაჭარბება.

მიმართებაში აიღო მოკავშირეთა და მათ შორის ბრიტანულმა პოლიტიკურმა ელიტამ. როდესაც კავკასიის ოკუპაციის გადაწყვეტილება იქნა მიღებული და განხორციელებული, უინსტონ ჩერჩილი არ ყოფილა სამხედრო მინისტრი. ამის შესახებ ის თავის მემუარებში აღნიშნავდა: “მე არ მიმიღია რუსეთთან დაკავშირებულ საქმეებში მონაწილეობა და არც არანაირ ვალდებულებების აღებაზე ვყოფილვარ პასუხისმგებელი.” (335, 2371-2380).

ბ) ახალი რეალობა: მისი უდიდებულესობის მთავრობის უმაღლესი კომისრები

ყველა აღიარებდა იმ საფრთხეებს, რომლებიც შეიძლებოდა მოჰყოლოდა სამხრეთ კავკასიიდან ბრიტანული ჯარების გაყვანას. ნეგატიურ შედეგთა შესამცირებლად, რეგიონის საერთაშორისო კონტროლის ვაკუუმის თავიდან აცილების, რესპუბლიკებსა და დენიკინს შორის კონფლიქტის არდაშვების, სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შორის თანამშრომლობის გაუმჯობესების მიზნით დაიწყო მუდმივი ბრიტანული დიპლომატიური მისიის გაგზავნის განხილვა.

ამისათვის კარგი მიზეზი გამოიძებნა: საერთაშორისო ანარქისტული მოძრაობის ერთ-ერთმა გამოჩენილმა მოღვაწემ, ამავე დროს ქართველმა ნაციონალისტმა და პარიზის ქართული დელეგაციის არაოფიციალურმა წევრმა – თავადმა ვარლამ ჩერქეზიშვილმა⁴² 1919 წლის 26 მაისს პირადი წერილი მისწერა მის ძველ და ახლო მეგობარს, იმჟამად საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური დახვეწვის დეპარტამენტში მომუშავე – ჯონ ოლივერ უორდროპს. ჩერქეზიშვილი, როგორც ანგლოფილი, რომელიც მრავალი წლის მანძილზე ცხოვრობდა ინგლისში, იმედგაცრუებას და მწუხარებას გამოთქვამდა საქართველოში ბრიტანელ გენერალთა ქცევის გამო, რომელზეც მას დავით დამბაშიძემ აუწყა. ის უკმაყოფილებას გამოხატავდა საკუთარი მთავრობის, ასევე პარიზში ქართული დელეგაციის პოლიტიკითაც. მისი აზრით, სოციალისტური იდეოლოგიის მატარებელი ქართველი დელეგატები სათანადოდ არ იყენებდნენ რუსეთ-საქართველოს 1783 წლის ტრაქტატით ქვეყნისათვის მინიჭებულ საერთაშორისო სამართლებრივ უფლებებს. ჩერქეზიშვილი გამორიცხავდა საქართველოს რუსეთის შემადგენლობაში დაბრუნებას, უარყოფითად უყურებდა იტალიელთა კავკასიაში შესაძლო შემოსვლას და, ერთა ლიგაში ქვეყნის

⁴²მის შესახებ იხ. დ. შველიძე – აი ვინ იყო ქართველნი, ვარლამ ჩერქეზიშვილი! (328)

ვერგაწვერიანების შემთხვევაში, ბრიტანეთის ან შეერთებული შტატების მანდატს მოითხოვდა. “...თუ ინგლისი წარმომადგენლად გამოაგზავნის თქვენაირ კაცს, რომელიც იცნობს საქართველოს, მის კარგ და ცუდ მხარეებს, ყველა გაუგებრობა გაქრება და ჩვენი გულკეთილი, მაგრამ ფიცხი ხალხი საკუთარ თავს მიუძღვნის ინგლისს ან შეერთებულ შტატებს”, დასძენდა ჩერქეზიშვილი (132; 230).

უორდროპმა, როგორც პოლიტიკური დაზვერვის დეპარტამენტის თანამშრომელმა, საჩივარნარევი წერილი, როგორც საგარეო საქმეთა სამინისტროს, ასევე სამხედრო სამინისტროს სამხედრო დაზვერვის დეპარტამენტს გადაუგზავნა. ლორდი კერზონისთვის შესანიშნავი შანსი იყო მისი თანამოაზრე, რესპუბლიკათა დამოუკიდებლობის ძლიერი მხარდამჭერი გაეგზავნა სამხრეთ კავკასიაში, რომელიც მიღწისა თუ სხვა გენერლების რეპორტების ტონს შეცვლიდა და მას ლონდონში ბევრად უფრო გაუადვილდებოდა თავისი პოზიციების დაცვა. კერზონმა 20 ივნისს შესთავაზა ბრიტანეთის სამხედრო საბჭოს, უორდროპის დანიშვნა. მისი ხედვით, სამხრეთ კავკასიაში მისი უდიდებულესობის უმაღლესი კომისარი უშუალოდ საგარეო საქმეთა სამინისტროს დაექვემდებარებოდა და მოახდენდა დენიკინსა და რესპუბლიკებს შორის შეტაკების პრევენციას. “ბატონ უორდროპს აქვს საქართველოსა და ქართველების საკითხში პირადი დიდი გამოცდილება, ამასთანავე რუსეთში მისი ხანგრძლივი საკონსულო ნამსახურეობა ამ მისიის განსახორციელებლად საჭირო განსაკუთრებულ უნარზე მეტყველებს”, ასკვნიდა კერზონი (132; 232).

ოლივერ უორდროპი ახალგაზრდული ასაკიდან ოცნებობდა საქართველოში დიპლომატიური სამსახურის შოვნასა და ცხოვრებაზე.⁴³

⁴³ლოგიკურია, რომ კავკასიაში დიპლომატიური მისიის მეთაურად უორდროპის გამოსაგზავნად თვითონ უორდროპი, ჩერქეზიშვილი და ღამბაშიძე შეთანხმებულად მოქმედებდნენ. ღამბაშიძეს, მიუხედავად მისი ოფიციალური სტატუსისა, პარიზში ქართული დელეგაციისგან დამოუკიდებლად ეჭირა თავი, ასევე იყო ვარლამ ჩერქეზიშვილი. ისინი არც ერთი არ ეკუთვნოდნენ მმართველ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას. შესაბამისად, დელეგაციამ და საქართველოს მთავრობამ არაფერი იცოდნენ ჩერქეზიშვილის წერილისა და მისი თანდმევი მოვლენების შესახებ. სამაგიეროდ იცოდა დავით ღამბაშიძემ, რომელიც 30 მაისს კონსტანტინოპოლიდან თხოვნით მიმართავდა პროფესორ სიმპსონს, რომ ის უორდროპის საქართველოში გაგზავნაში დახმარებოდა (222). ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომაც სწორედ ამ დღეს მიიღო ჩერქეზიშვილის წერილი, მაგრამ უორდროპის დანიშვნის განხილვა არ იყო დაწყებული. ეს მიუთითებს იმაზე, რომ ჩერქეზიშვილი, როდესაც წერილს წერდა და

მიღწეული შედეგით ყველაზე ბედნიერი ალბათ თავად იყო. მან დამოუკიდებელ საქართველოსა და სამხრეთ კავკასიაში მისი უდიდებულესობის უმაღლესი კომისრის თანამდებობა მოიპოვა. 1919 წლის ბოლოს ის მეუღლეს წერდა, რომ მას ცხოვრებაში მოსაველის აღების დრო დაუდგა და მაქსიმალურად უნდა გამოეყენებინა ეს შესაძლებლობა (268, 79).

27 ივნისს პარიზში ბრიტანეთის სამშვიდობო დელეგაციამ კერზონს გაუგზავნა პროფესორ სიმპსონის მოსაზრება იმის შესახებ, რომ მისია არ უნდა შემოფარგლულიყო მხოლოდ საქართველოთი და უმაღლეს კომისარს თავისი უფლებამოსილება უნდა გაეფართოვებინა აზერბაიჯანზე, სომხეთზე, დაღესტანზე. 9 ივლისის საპასუხო წერილში სამინისტრომ სრული თანხმობა განაცხადა (232; 134). მოგვიანებით, იმის გამო, რომ გენერალმა დენიკინმა ივნისის დასაწყისში დაღესტნის ოკუპაცია მოახდინა, ჩრდილო კავკასია ამოღებულ იქნა უორდროპის საპასუხისმგებლო არეალიდან.

უორდროპის საქართველოში გამწესებას განიზრახავდა, დამბაშიძემ იცოდა ამის თაობაზე. სავარაუდოდ უორდროპიც საქმის კურსში იყო. უფრო მეტიც, ისინი ალბათ შეთანხმებით მოქმედებდნენ, რომ ჩერქეზიშვილის გაგზავნილ წერილს უორდროპი შესაბამის უწყებებს გადასცემდა და მისი დანიშნის საკითხი დაიძვრებოდა. ამის პირდაპირი სამტკიცო დოკუმენტი არ არსებობს, რადგან შეთანხმება სიტყვიერად მოხდებოდა, მაგრამ გასათვალისწინებელია 1880-იანი წლებიდან ჩერქეზიშვილისა და უორდროპის პირადი და ოჯახური ურთიერთობები. ოქსფორდის ბოლდენის ბიბლიოთეკაში, უორდროპების არქივში დაცულია მათი ოჯახური ფოტოები (266). იმავე არქივში დაცულია ჩერქეზიშვილის არაერთი პირადი წერილი, რომელთა რაოდენობა სჭარბობს სხვა ქართული წერილების რიცხვს. მათ შორის არის სტატია “ვარლამ ჩერქეზიშვილის შენიშვნები ბოლშევიკთა ბატონობის ქვეშ მყოფ საქართველოში შექმნილი მდგომარეობის შესახებ. 1921 წლის ივლისის დასასრული”, რომელიც ჩერქეზიშვილმა, საქართველოს საბჭოთა ოკუპაციის შემდეგ დაწერა, გაუგზავნა უორდროპს და ამ უკანასკნელმა მისი რედაქტირება მოახდინა (265). ჩერქეზიშვილი უორდროპის უახლოესი ქართველი მეგობარი იყო. 1907 წელს, როდესაც მან შეადგინა და ჰაავის საერთაშორისო კონფერენციას გადასცა “ქართველი ხალხის პეტიცია”, რომელიც რუსეთის კოლონიალურ პოლიტიკას, ქართველი ხალხის ჩაგვრას, 1783 წლის ტრაქტატის დარღვევას აპროტესტებდა და საქართველოს დამოუკიდებლობის ამ უფლებრივ საწყისებზე აღდგენას მოითხოვდა, მას ამ საქმეში ოლივერ უორდროპი, როგორც ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომელი, ესმარებოდა. ეს საკითხი, სავარაუდოდ უორდროპის ოფიციალური სტატუსის გამო, მაშინ საქართველოში არ გახმაურებულა, თუმცა მისი არქივი სრულ კორესპონდენციას ინახავს ჰაავის კონფერენციაზე ქართული პეტიციის წარდგენასთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ბრიტანელმა მეგობარმა საგარეო საქმეთა სამინისტროს, ჩერქეზიშვილის 26 მაისის წერილთან ერთად, 1907 წლის პეტიციაც გადაუგზავნა (230). ხოლო პროფესორ სიმპსონს სთხოვა, რომ ქართველ დელეგატს პირადად შეხვედროდა და მოესმინა მისი მოსაზრებები (230). უორდროპმა ამის შემდეგაც გაუგზავნა სამინისტროს ჩერქეზიშვილის წერილი, სადაც ქართველი ნაციონალისტი ბათუმში ბრიტანელ სამხედროთა მოქმედებას აპროტესტებდა (238). 1919 წლის 25 ნოემბრის სხდომაზე, პარიზში საქართველოს დელეგაციამ მიიღო გადაწყვეტილება, რადგან დამბაშიძე საქართველოდან ლონდონში ბრუნდებოდა, თბილისში ბრიტანელებთან სამუშაოდ, ვარლამ ჩერქეზიშვილი გაეგზავნათ, როგორც უორდროპთან ყველაზე დაახლოებული პიროვნება (31, 134).

2 ივლისს არმიის საბჭომ თანხმობა განაცხადა სამხრეთ კავკასიაში დიპლომატიური მისიის გაგზავნაზე, მაგრამ ადგილზე საგარეო და სამხედრო სამინისტროთა წარმომადგენლებს შორის სუბორდინაციის განსაზღვრა მოითხოვა (135). 24 ივლისს საბჭომ საგარეო საქმეთა სამინისტროს მიმართა, რომ სანამ ბრიტანეთის ჯარები რეგიონში რჩებოდნენ, უორდროპი პოლიტიკური მრჩევლის რანგში დაქვემდებარებოდა მილნს. ახალდანიშნული კომისრის კავკასიაში ჩასვლის დროისათვის ევაკუაცია უკვე დაწყებული იქნებოდა, ამის გამო ღორდი კერზონი თანახმა იყო მიეღო არმიის საბჭოს წინადადება (140). 22 ივლისს საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა ბრიტანეთის დელეგაციას დაავალა, რომ პარიზში საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის წარმომადგენლები საქმის კურსში ჩაეყენებინათ. 25 ივლისს წერილები დაეგზავნათ შესაბამის დელეგაციებს, სადაც ხაზგასმული იყო, რომ მისიის გაგზავნა არ ნიშნავდა რესპუბლიკათა აღიარებას (236). 22 ივლისს კერზონმა შეატყობინა უორდროპს მისი დანიშვნისა და მოვალეობების შესახებ: ბრიტანეთის უმაღლეს კომისარს უნდა მოეხდინა დენიკინსა და რესპუბლიკებს შორის განხეთქილების პრევენცია; ხელი შეეწყო რეგიონში ბრიტანეთის სავაჭრო ინტერესებისათვის; შექმნილ ვითარებაზე შეეგროვებინა ინფორმაცია და პირდაპირ საგარეო საქმეთა სამინისტროსათვის ეცნობებინა ყოველივე (137; 290, 551-552).

5 აგვისტოს, კერზონის დავალებით, უორდროპმა დაწერა სამხრეთ კავკასიაში ბრიტანეთის სასურველი მოქმედების გეგმა. ის ტერმინ “მანდატს” არ იყენებდა, ფაქტობრივად კი ბრიტანულ მანდატს, ფართო ჩართულობას, რეგიონის დამოუკიდებლობასა და ეკონომიკურ, კულტურულ, საგანმანათლებლო განვითარებას მოითხოვდა. გეგმა გამოკვეთილად იყო ხელსაყრელი საქართველოს რესპუბლიკისათვის: ჯარების ევაკუაციის გადაწყვეტილების გადასინჯვა, ამის შეუძლებლობის შემთხვევაში მათი რაც შეიძლება ნელა გაყვანა; დენიკინთან სამოქალაქო, პოლიტიკური მისიის მიმაგრება, რაც სამხედროებს ჩამოაშორებდა პოლიტიკას და რუსი გენერლისათვის, მიწოდებული დახმარების სანაცვლოდ, სამხრეთ კავკასიის საქმეებში ჩაურევლობის პირობის დადება; სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკათა დამოუკიდებლობის აღიარება; ბათუმის იმ რესპუბლიკისათვის გადაცემა, რომლის მოსახლეობა იქ უმრავლესობას შეადგენდა. სხვა სიტყვებით, უორდროპი ბათუმის საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნებას მოითხოვდა;

მისი უდიდებულესობის მთავრობის გაგენის გამოყენება, რათა სხვა მოკავშირეებსაც ელიარებიანთ რესპუბლიკების დამოუკიდებლობა და მიეღოთ ისინი ერთა ლიგაში; რეგიონის ქვეყნებთან ვაჭრობის წახალისება; მათი უზრუნველყოფა ტექნიკური ექსპერტებით, რომლებიც წარმოების, ადმინისტრაციული მმართველობის და ფინანსების ორგანიზებაში დაეხმარებოდნენ ახალშექმნილ სახელმწიფოებს; ინგლისურენოვანი სკოლის დაარსება და წარჩინებულ მოსწავლეთა ბრიტანეთში გაგზავნა; ადგილობრივ ტრეიდ იუნიონების წარმომადგენელთა და “ბრიტანეთის ჭეშმარიტ ლეიბორისტულ პარტიას” შორის კონტაქტების დამყარება; ბრიტანული პრესის მუდმივად მიწოდება ადგილობრივი მოსახლეობისათვის, რათა მათ გაეგოთ თუ როგორ წყდებოდა სოციალური, საწარმოო, პოლიტიკური პრობლემები (239).

30 აგვისტოს უორდროპი თბილისში ჩავიდა. საქართველოსთვის, ბრიტანელი გენერლების ნაცვლად, მისი ძველი მეგობრის წარმომადგენლად გამწესება შვების მომტანი იყო. მით უმეტეს, როდესაც ოქტომბრის ბოლოდან, ქართველებისადმი არცთუ მეგობრულად განწყობილი, ფრანგი პოლკოვნიკი შარდინიც ჩამოაშორეს მისიის ხელმძღვანელობას, ხოლო იტალიური მისიის მეთაური პოლკოვნიკი გაბა კეთილისმყოფელ რეპორტებს უგზავნიდა თავის მთავრობას.

ქართველებმა სიხარული უორდროპისათვის მოწყობილ დახვედრაში გამოხატეს. ის საგარეო საქმეთა სამინისტროს აცნობებდა: “დამხვდნენ პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი გეგეჰკორი და მთავრობის წევრები... ყველა ჩემი მოძრაობა გადაღებულ იქნა კინემატოგრაფების მიერ და მე ვიყავი ფოტოგრაფთა სამიზნე. რკინიგზის სადგურზე ანსამბლებმა შეასრულეს ბრიტანეთის ეროვნული ჰიმნი... ჩემს გზაზე, დაახლოებით ორი მილის მანძილზე დეკორაციები, დროშები, აღმოსავლური ხალიჩები იყო მოფენილი და ორივე მხრიდან ხალხი იყო ჩამწკრივებული. საზოგადოებრივი შენობები სადამოსათვის გაანათეს. დღემ ჩაიარა, როგორც დღესასწაულმა. არაჩვეულებრივი დახვედრა ჩემს საპატივცემულოდ მოეწყო იმიტომ, რომ ქართველებმა იციან თუ რას ვგრძნობ მათ მიმართ ბოლო 32 წლის განმავლობაში. ამ თანამდებობაზე ჩემი დანიშვნა მათ მიიღეს იმის ნიშნად, რომ მისი უდიდებულესობის მთავრობა ყველაზე მეგობრული გრძნობებით არის გამსჭვალული მათი ქვეყნისადმი და რომ საქართველოსათვის დაიწყო ახალი ერა.” (142; 290, 535-536).

ამ შეტყობინებას ლორდმა კერზონმა წააწერა “ძალიან კარგი დასაწყისია” (290, 535-536). საპირისპირო რეაქცია ჰქონდა ჩერჩილს. მან 10 სექტემბერს კერზონს მისწერა: “სპირსისგან⁴⁴ მივიღე წერილი შენი ქართველი და აზერბაიჯანელი მეგობრების განზრახვათა შესახებ. ვხედავ შენ მათ ბატონი უორდროპი გაუგზავნე, რომელიც საკუთარ თავს ბოლო 27 წლის მანძილზე ქართველებისადმი ემოციებით აღვსილად ახასიათებს. იმის გათვალისწინებით, რომ ქართველები გაბოლშევიკებას აპირებენ, უნდათ დენიკინს შეუტონ და სავარაუდოდ მონაწილეობა მიიღონ სომეხთა წინააღმდეგ შეტევაში, არსებობს დიდი საფრთხე, რომ, ყველა დანარჩენ მოსაზრებათა მიუხედავად, უორდროპი მათ ხაზს გაატარებს დენიკინისადმი პირდაპირი შეტევის საქმეში. ჩვენ კი მისდამი მრავალმხრივი დახმარების გადაწყვეტილება გვაქვს მიღებული. თუ სიფრთხილეს არ გამოვიჩინოთ, იმ შეტაკებათა მოწმენი გავხდებით, სადაც ორივე მხარეს იქნებიან წარმოდგენილი ბრიტანელი ოფიცრები და თითოეული მათგანი თავის მხარეს შეაგულიანებს საბრძოლველად.” (293, 848-849).

უორდროპის სამხრეთ კავკასიაში გამწესებით სამხედრო და საგარეო საქმეთა სამინისტროების წარმომადგენლებს შორის ურთიერთობა კიდევ უფრო გამწვავდა.

დენიკინის წარმატებისა და სამხედრო სამინისტროს ძლიერი პოზიციების პირობებში, ვერც კერზონი რისკავდა ხელშესახები გადაწყვეტილებების მიღებას სამხრეთ კავკასიასთან მიმართებით. სექტემბერ-ოქტომბერში ტელეგრამების ურთიერთგაცვლა, დებატები გაიმართა უორდროპსა და მინისტრის მოვალეობის შემსრულებელს შორის. 19 სექტემბერს გაგზავნილ შეტყობინებაში უმაღლესი კომისარი მოითხოვდა რესპუბლიკების წახალისებას, რადგან, მისი ინფორმაციით, გერმანელების ეკონომიკური აქტიურობა შეინიშნებოდა საქართველოში და თუ ადგილობრივი მთავრობა უიმედო მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა, იძულებული გახდებოდა მათკენ გადახრილიყო. აღტერნატივა, უორდროპის აზრით, იყო დე ფაქტო აღიარება, რაც ძლიერ ბრიტანულ ორიენტაციას კიდევ უფრო გააძლიერებდა, დაიწყებოდა კაპიტალის შემოდინება და ბრიტანული ფირმები დიდი მოგების მიღებას შესძლებდნენ (290, 560-562; 212). კერზონმა 4 ოქტომბერს უპასუხა, რომ უმაღლესი კომისრის მიერ აღიარების სასარგებლოდ მოწოდებულ არგუმენტა დიდი ნაწილი საქართველოს ეხებოდა,

⁴⁴სამხედრო სამინისტროს წარმომადგენელი

მაგრამ პროცესი სხვა რესპუბლიკებისგან იზოლირებულად ვერ წარიმართებოდა; ამასთანავე, ბრიტანეთი მარტო ვერ იმოქმედებდა, ამ შემთხვევაში პასუხისმგებლობის აღებაც მას მოუწევდა. იგი ხაზს უსვამდა რეგიონში არამდგრად ვითარებას და იმას, რომ, ბალტიისპირეთის სახელმწიფოებისგან განსხვავებით, კავკასიის რესპუბლიკები ურთიერთთანხმობით ვერ მოქმედებდნენ. “რესპუბლიკებთან დენიკინის ურთიერთობა ყველაფერ დანარჩენს ჩრდილავს”, აგრძელებდა ის და უმატებდა, რომ სანამ მხარეებს შორის მტრობა გრძელდებოდა, ძნელი იყო გადაწყვეტილებების მიღება (290, 577-578; 143). უმაღლესმა კომისარმა, უკვე ოფიციალურად დანიშნულ მინისტრს, ის არგუმენტები მოუყვანა, რაშიც თავად კერზონი არწმუნებდა 1918 წლის დეკემბერში აღმოსავლეთის კომიტეტს: პოლიტიკურად, ეკონომიკურად და სამართლებრივად საქართველოს დამოუკიდებლობის უფრო მეტი საფუძველი ჰქონდა, მაგრამ უნდა ეღიარებინათ სომხეთიც, აზერბაიჯანიც, მოგვიანებით დაღესტნიც; ეს ტერიტორია არ შეიძლებოდა მოწინააღმდეგე სახელმწიფოს ჩავარდნოდა ხელში და იქვე უმატებდა, რომ გამარჯვების შემთხვევაში დენიკინი არანაკლებ პროგრესულად იქნებოდა განწყობილი, ვიდრე ბოლშევიკები. მისი დაკვირვებით, რესპუბლიკებს შორის თანამშრომლობა უფრო და უფრო ღრმავდებოდა, შესაბამისად დაძაბულობა იკლებდა (290, 601-603; 150).

რესპუბლიკებმა გაანალიზეს, რომ მათი დამოუკიდებლობის აღიარება ცალ-ცალკე ვერ მოხდებოდა. უორდროპისა და სომხეთში მოკავშირეთა უმაღლესი კომისრის მოვალეობის შემსრულებლის – პოლკოვნიკ რეას შუამავლობით ნოემბერში, ჯერ საქართველოსა და სომხეთს, შემდეგ სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის დაიდო ხელშეკრულებები. მხარეები აუქმებდნენ ურთიერთშორის საბაჟო, სატრანზიტო გადასახადებს, რაც რეგიონს ერთიან ეკონომიკურ სივრცედ აქცევდა, და თანხმდებოდნენ დავების მოლაპარაკების ან არბიტრაჟის წესით გადაწყვეტაზე.

უმაღლესი კომისარი შეუდგა რესპუბლიკათა პოლიტიკური ხელისუფლებების, მათ შორის საქართველოს მთავრობის იმიჯის გამოსწორებას, რომელიც შელახული იყო გენერალი მილნისა და სხვა სამხედროების რეპორტებით. ის მისი უდიდებულესობის მთავრობას აუწყებდა საქართველოს ხელისუფლების მოზომილ სოციალისტობას, რომელიც დინამიკაში სულ უფრო მარჯვნივ იხრებოდა. კომისარი კეთილისმყოფელად ხატავდა ნოე ჟორდანიას,

ევგენი გეგეჭკორის და პროგრესული იმიჯის მქონე აკაკი ჩხენკელის პოლიტიკურ პორტრეტებს. ამ უკანასკნელზე ამბობდა, რომ ჩხენკელის გერმანული ორიენტაცია ქვეყნის გადარჩენის სურვილით იყო გამოწვეული და, ნოე ჟორდანიას მუდმივი ავადმყოფობის გამო, შეიძლებოდა ის პრემიერ-მინისტრიც გამხდარიყო. რესპუბლიკების ხელისუფალთა მიერ დაყენებული სერიოზული წუხილები, შეშფოთებები, განსაკუთრებით დენიკინთან ურთიერთობის კუთხით, დაუყოვნებლივ იგზავნებოდა ლონდონში სტატუსით “სასწრაფო” ან “ძალიან სასწრაფო”. შესაბამისად, ლონდონი უკვე უშუალოდ გავიდა რეგიონის მთავრობებთან კონტაქტზე; სამხედრო და საგარეო საქმეთა სამინისტროებს შორის გაუგებრობის ზრდის ფონზე, ბრიტანეთის სახელმწიფოებრივი ურთიერთობები გაუმჯობესდა ადგილობრივ მთავრობებთან.

აღნიშნულმა მუშაობამ გამოიწვია ის, რომ ლორდი კერზონის მიერ 1919 წლის 24 დეკემბერს სამხრეთ კავკასიაზე დაწერილ მემორანდუმში ხელახლა გაჩნდა ის ტექსტები, რაც ერთი წლით ადრე ბრიტანულ დოკუმენტებში იყო: ბათუმის ოლქი საქართველოს ისტორიულ ნაწილად განიხილებოდა; აღნიშნული იყო 1801 წელს რუსეთის მიერ სახელმწიფოებრივი ხელშეკრულების დარღვევა და საქართველოს ანექსია; მოყვანილი იყო საქართველოს შესახებ ისტორიული ექსკურსი, რომ ქვეყანა დამოუკიდებლად არსებობდა პრეკრისტიანული ხანიდან, მონაწილეობდა ჯვაროსნულ ლაშქრობებში, როგორც დასავლური ცივილიზაციის ნაწილი; კერზონს არც 1907 წელს ჰააგის საერთაშორისო კონფერენციისათვის ქართველი ხალხის პეტიციის წარდგენა დაავიწყდა, რომლის შემუშავებაში თავისი წვლილი უორდროპსაც ჰქონდა; მიმდინარე ვითარებაზე საუბრისას საგარეო საქმეთა მინისტრი აღნიშნავდა, რომ საქართველოს ჰყავდა რეგიონში ყველაზე გამოცდილი მთავრობა, რომ ისინი იყვნენ თავიანთ მეზობლებზე უფრო ცივილიზებულნი, მათ ჩააქრეს ბოლშევიკთა აჯანყებები, გაუმკლავდნენ ბათუმში ბრიტანული ადმინისტრაციის საფარქვეშ მოქმედ დენიკინელთა პროპაგანდას და ა.შ. (95).

საქართველოს ხელისუფლება არ იცნობდა უორდროპის მუშაობის დეტალებს, მის მიმართულებებს. მისი უდიდებულესობის უმაღლეს კომისარს საქართველოს მთავრობასთან მოლაპარაკებების დროს თავი ფორმალურად ეჭირა. როდესაც მას ეკითხებოდნენ თუ როდის მოხდებოდა დამოუკიდებლობის აღიარება, ბრიტანელი დიპლომატი მშრალად პასუხობდა, რომ არ იცოდა და

ამის თაობაზე საკუთარ მთავრობას დაეკითხებოდა. შესაბამისად, საქართველოს მთავრობა თავის დიპლომატიურ წარმომადგენლობებს ცნობად უგზავნიდა, რომ უორდროპი იყო კარგი პიროვნება, მაგრამ იყო სუსტი და ვერ ახდენდა გავლენას საკუთარ მთავრობაზე (31, 121; 36, 121). ბრიტანელ დიპლომატებსაც უფრო უადვილდებოდათ ქართულ დელეგაციასთან კავშირი. საზავო დელეგაციისა და საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები ამშვიდებდნენ ქართველ წარგზავნილებს, რომ ბრიტანეთს ახლა საქართველოში უორდროპი ჰყავდა, რომელსაც გრანდიოზული გეგმები ჰქონდა რეგიონთან მიმართებაში და კეთილისმყოფელ ცნობებს გზავნიდა იქიდან (31, 93; 36, 104-105).

მართალია, უმაღლესი კომისარი საქართველოსადმი მხარდამჭერ დიპლომატიურ ხაზს ატარებდა, მაგრამ ის პირველ რიგში მისი უდიდებულესობის მთავრობის წარმომადგენელი და, მისივე სიტყვებით, “შავ და კასპიის ზღვებს შორის ყველაზე დიდი ძალაუფლების მქონე” პიროვნება იყო (268, 70), შესაბამისად მისი მთავარი მიზანიც ბრიტანეთის ეროვნული ინტერესების დაცვა გახლდათ. ის ყურადღებით ადევნებდა თვალყურს მიმდინარე მოვლენებს, რომ საქართველოს მთავრობას საკუთარ ტერიტორიაზე არ დაეშვა იმპერიისათვის არასასურველი პირების – გერმანელების, ბოლშევიკების ყოფნა; იძლეოდა რეკომენდაციებს, რომ ბათუმსა და კონსტანტინოპოლში დისლოცირებულ ბრიტანელ სამხედროებს კავკასიიდან დასავლეთისაკენ არ გაეტარებინათ საეჭვო რეპუტაციის მქონე პიროვნებები; ქვეყანაში არ შემოსულიყო გერმანული ან მის საფარ ქვეშ მოქმედი იტალიური კაპიტალი და ა.შ. (145; 146; 148; 144; 151; 155; 180; 195; 290, 595-596).

ბრიტანეთის საომარი კაბინეტის 25 და 29 ივლისის სხდომებზე განიხილებოდა გენერალ დენიკინთან, სამხედროებისაგან დამოუკიდებელი, პოლიტიკური მისიის გაგზავნის საკითხი, რომელიც საგარეო საქმეთა სამინისტროს დაექვემდებარებოდა. პრემიერ-მინისტრი შიშობდა, რომ მოსკოვის აღების შემდეგ, რუსი გენერალი ცარიზმს აღადგენდა, რაც აღმოსავლეთში საფრთხეს შეუქმნიდა ბრიტანეთის იმპერიას. მასთან წარგზავნილ პოლიტიკურ ოფიცერს ზომიერების ფარგლებში უნდა მოექცია დენიკინის ქმედებები. ლოიდ ჯორჯის აზრით, პოლიტიკური მისიის სათავეში უნდა ყოფილიყო სამოქალაქო პირი, რადგან რანგით უფრო დაბალი სამხედრო ვერ მოიპოვებდა დენიკინზე სათანადო გავლენას. ლორდი კერზონი დაეთანხმა პრემიერ-მინისტრს და

დასძინა, რომ პოლიტიკურ ოფიცერს ოლივერ უორდროპთან ურთიერთშეთანხმებით უნდა ემოქმედა. მათ არ უნდა დაეშვათ მოხალისეთა არმიის მხრიდან სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკებზე თავდასხმა. ჩერჩილმა სამხედრო სამინისტროს პოზიციების დაცვა სცადა. მან ხაზი გაუსვა გენერალ ჰოლმანის კომპეტენტურობას, რომელიც კარგად აკონტროლებდა დენიკინისათვის მიწოდებული დახმარების ეფექტურ გამოყენებას და იმ შემთხვევაში თუ სამხრეთ რუსეთში პოლიტიკური მისიის გაგზავნის გადაწყვეტილება იქნებოდა მიღებული, მასში გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო სამხედრო კომპონენტი, რომლის თაობაზე ანგარიშები უშუალოდ სამხედრო სამინისტროს უნდა წარდგენოდა. კაბინეტმა მიიღო გადაწყვეტილება და პოლიტიკური ოფიცრის შესაბამისი კანდიდატურის მოძიება კერზონს დაევალა (67).

სხვადასხვა მიზეზთა გამო, საკითხის ადგილიდან დაძვრა გადაიდო ოქტომბრის ბოლომდე, ანუ ლორდი კერზონის საგარეო საქმეთა მინისტრად ოფიციალურად დანიშვნამდე. მინისტრმა სამხრეთ რუსეთში მისი უდიდებულესობის უმაღლესი კომისრის თანამდებობაზე წარადგინა თემთა პალატის წევრი, ცნობილი გეოგრაფი, ოქსფორდის გეოგრაფიის სკოლის დამაარსებელი – სერ ჰალფორდ მაკინდერი. მან 1904 და 1919 წლებში დაწერა ნაშრომები “ისტორიის გეოგრაფიული შტრიხი” და “დემოკრატიული იდეალები და რეალობა”. ის იმპერიალისტურ მოსაზრებებს ანვითარებდა: ვინც ფლობდა ევრაზიული კონტინენტის ბირთვის, ანუ აღმოსავლეთ და სამხრეთ ევროპას, ის აკონტროლებდა კონტინენტსაც. ევრაზიაზე დომინირება, მისი აზრით, მსოფლიო დომინირებას ნიშნავდა. ამ მხრივ, მაკინდერის თეორიის თანახმად, ბრიტანეთის იმპერიას ყველაზე დიდი საფრთხე პირველ რიგში გერმანიისგან და შემდეგ რუსეთისგან ემუქრებოდა. “დემოკრატიულ იდეალები და რეალობა”-ში წარმოდგენილი სქემის მიხედვით ბალტიის სახელმწიფოები და უკრაინა უნდა გამოყოფოდნენ რუსეთს (378, 229-231).

კერზონი, როგორც სამეფო გეოგრაფიული საზოგადოების თავმჯდომარე, ეჭვი არაა, რომ იცნობდა მაკინდერის გეოსტრატეგიულ შეხედულებებს და მისი კანდიდატურაც შესაბამისი მოსაზრებებით შეარჩია. ფაქტია, რომ მინისტრმა სამხრეთ კავკასიაში უმაღლეს კომისრად მიაგვლინა რესპუბლიკების დამოუკიდებლობის ძლიერი მომხრე ოლივერ უორდროპი, ხოლო სამხრეთ

რუსეთსა და ჩრდილო კავკასიაში მაკინდერი, რომელსაც რუსეთის დაშლის ხედვები ჰქონდა. მათი რეპორტები კაბინეტის წინაშე საკუთარი პოლიტიკის გატარებას გაუადვილებდა კერზონს.

4 ნოემბერს მინისტრთა კაბინეტმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ დენიკინისათვის სამხედრო დახმარება 1920 წლის 31 მარტის შემდეგ აღარ გაეგრძელებინათ. მაკინდერს მოხალისეთათვის უნდა ეცნობებინა, რომ აღნიშნულ დახმარებას მისი უდიდებულესობის მთავრობა არ გასცემდა თუ ისინი სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკების მისამართით აგრესიას განახორციელებდნენ (71).

შესამაბისი ტონით შედგა უმაღლესი კომისრისათვის ლორდი კერზონის მიერ გაცემული ინსტრუქციები. მას ევალებოდა ვითარების დეტალურად შესწავლა და მთავრობის საქმის კურსში ჩაყენება. სამხრეთ კავკასიის შესახებ ინსტრუქციაში ნათქვამი იყო, რომ მაკინდერს მჭიდროდ უნდა ეთანამშრომლა უორდროპთან; რეგიონის პოლიტიკურ მომავალს სამშვიდობო კონფერენცია ან ერთა ლიგა გამოარკვევდა, მაგრამ მიმდინარე ეტაპზე დენიკინს არ უნდა ჩარეულიყო მის საქმეებში, წინააღმდეგ შემთხვევაში დახმარება შეუწყდებოდა. იგივე ხაზი იყო გატარებული ბალტიისპირეთის სახელმწიფოებთან მიმართებაში. ბოლოს, დასკვნის სახით, კერზონი აჯამებდა: “როგორც ამ ნარკვევიდან ხედავთ, მოცემულ ეტაპზე, მისი უდიდებულესობის მთავრობას არ შეუძლია ყოფილი რუსეთის შემადგენლობაში მყოფ სახელმწიფოებზე განსაზღვრული პოლიტიკის ფორმულირება, მაგრამ მოსურნეა, იმ ჩარჩოებში, რის საშუალებასაც თითოეული სახელმწიფოს ან ჯგუფის მდგომარეობა იძლევა, მაქსიმალურად დაუჭიროს მხარი მათ ცალკე ეროვნულ არსებობას.” (94; 290, 672-678).

მაკინდერი მხოლოდ 1920 წლის იანვრის დასაწყისში ჩავიდა დენიკინთან. ამ დროისათვის მოხალისეთა მარცხს შეუქცევადი ხასიათი ჰქონდა მიღებული და ისინი ფაქტობრივად აღარ წარმოადგენდნენ ხელშესახებ ძალას. სასოწარკვეთილ მდგომარეობაში მყოფმა დენიკინმა, საკითხის საბოლოო გადაწყვეტამდე, სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკათა დე ფაქტო აღიარებაზეც განუცხადა თანხმობა მაკინდერს (99; 290, 768-798). ამ ნაბიჯების თავის დროზე გადადგმის შემთხვევაში, ისინი რაღაც გავლენას იქონიებდნენ მიმდინარე მოვლენებზე, მაგრამ 1920 წელს კომპრომისები დაგვიანებული აღმოჩნდა.

მაკინდერი, მოსხენების გასაკეთებლად, ბრიტანეთში დაბრუნდა და 29 იანვარს წარსდგა მინისტრთა კაბინეტის წინაშე. მისი აზრით, კავკასიის რესპუბლიკებისათვის იზოლირებული დახმარება შედეგს ვერ მოიტანდა. მან უფრო მასშტაბური პროექტი წარადგინა, რომელიც ბრიტანეთის მხრიდან შემდეგ ქმედებებს მოითხოვდა: ადმინისტრაციის, რკინიგზის, ფინანსების ორგანიზების, მიწოდებული დახმარების ეფექტური გამოყენების მენეჯმენტის მიზნით დენიკინისათვის კვალიფიციური კადრების მიწოდება; ადრინდელზე უფრო შეზღუდული სახით მოხალისეთა შეიარაღების გაგრძელება; ფინეთიდან კავკასიაში ყველა ანტიბოლშევიკური ელემენტის მორალური და მატერიალური დახმარება; საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ მათი მოქმედებების კოორდინაცია; ბაქო-ბათუმის სარკინიგზო ხაზის ხელახალი ოკუპაცია; კასპიის ფლოტის ბრიტანელთა ხელში გადასვლა. უმაღლესი კომისარი ბოლშევიკთა საბოლოო დამარცხების მიზანს არ სახავდა. აღნიშნულ მოქმედებათა შედეგად მიიღწეოდა ისეთი ზავი, რომლიდანაც ბოლშევიკები ტრიუმფატორები ვერ გამოვიდოდნენ. ბრიტანეთს უნდა განეხორციელებინა მთელი პროექტი ან საერთოდ არაფერი გაეკეთებინა, რადგან, მაკინდერის შეხედულებით, საშუალებდო მოქმედებები შედეგს ვერ მოიტანდა (75).

მას “რუსეთის დაშლა” პირდაპირ არ უხსენებია, არ მოუხდენია ასეთი ფორმულირება, მაგრამ უმაღლესი კომისრის გეგმის მიხედვით, დენიკინი თავის პოზიციას შეინარჩუნებდა სამხრეთ რუსეთში, დამოუკიდებლობა დარჩებოდნენ ფინეთი, ბალტიისპირეთის ქვეყნები, ბელორუსი, უკრაინა და კავკასიის რესპუბლიკები. ზავი დაიდებოდა ბოლშევიკებთან, რომლებსაც სახელმწიფო რუსეთის ნარჩენებზე ექნებოდათ (378, 233-236).

ამ დროისათვის პარიზის სამშვიდობო კონფერენცია უკვე დასრულებული გახლდათ, ხოლო ბრიტანული ჯარები დემობილიზებულნი და სამხრეთ კავკასიიდან ევაკუირებულნი იყვნენ, დენიკინისთვის სამხედრო დახმარების შეწყვეტის გადაწყვეტილება მიღებული ჰქონდა მინისტრთა კაბინეტს. აღნიშნულ მოვლენათა უკან დაბრუნება, რომელთა ცხოვრებაში გატარებას დიდი დრო და კაბინეტის შიგნით ურთიერთჭიდილი დასჭირდა, შეუძლებელი იყო. შესაბამისად, გეგმამ მხარდაჭერა ვერ ჰპოვა და მაკინდერს ეთხოვა, მოვლენათა მსვლელობის გამორკვევამდე, არ დაბრუნებულიყო სამხრეთ რუსეთში (75). უარის მიღების

შემდეგ, მან უმაღლესი კომისრის პოზიციაზე მუშაობის აზრი ვეღარ დაინახა და 13 თებერვალს გადადგომის შესახებ განცხადება დაწერა (290, 822).

3. კლემანსო და პიშონი

უკვე ითქვა, რომ, სხვა მოკავშირე სახელმწიფოებთან შედარებით, საფრანგეთს ყველაზე ნაკლები პოლიტიკური ინტერესები ჰქონდა კავკასიაში. პოლკოვნიკ შარდინის კორუმპირებულ მისიას მოვლენათა მსვლელობებზე პასიური დაკვირვება და პარიზისთვის ცნობების გზავნა ევალეობდა. ბაქოს ნავთობის თაობაზე არსებობდა ბრიტანელებისადმი ფრანგთა შურიანი დამოკიდებულება, მაგრამ არ არსებობდა კლემანსოსა და პიშონის გეოპოლიტიკური მიზნები რეგიონში – ისინი კავკასიას რუსული პოლიტიკის ჩარჩოებში განიხილავდნენ. მათ აინტერესებდათ კილიკია, რომელიც 1916 წლის საიქს-პიკოს შეთანხმებით საფრანგეთის გავლენის სფეროდ ითვლებოდა, მაგრამ აქ ფრანგული მიზნები მოკავშირეთა მიერ მხარდაჭერილ სომხური სახელმწიფოს უფლებებთან მოდიოდა წინააღმდეგობაში. საქართველო და აზერბაიჯანი ფრანგული დიპლომატიის ინტერესებს მიღმა რჩებოდნენ, მაგრამ საფრანგეთი, როგორც კონფერენციის მასპინძელი და გამარჯვებულ სახელმწიფოთა შორის ერთ-ერთი მთავარი ძალა, ვალდებული იყო მეტად თუ ნაკლებად მონაწილეობა მიეღო კავკასიის საკითხის განხილვაში და ახალ რესპუბლიკათა დელეგაციების პარიზში ყოფნისათვის გაეწია ანგარიში.

საფრანგეთის დედაქალაქში ჩასვლიდან მოკლე ხანში ჩხეიძე შეხვდა საგარეო საქმეთა მინისტრ პიშონს. ფრანგმა დიპლომატმა ის დაამშვიდა და განუცხადა, რომ საქართველოს საკითხი ნათელი იყო, მისი დადებითად გადაწყვეტა ეჭვს არ ბადებდა, თუმცა ისინი ჯერ რუსული პრობლემის გადაჭრას უნდა დალოდებოდნენ (57, 3-4; 22, 67). ამაზე აზერბაიჯანული დელეგაციის მეთაური თოფჩიბაშევი შენიშნავდა, რომ პიშონი გულუხვი მხოლოდ დაპირებებში იყო (372, 60-61), ხოლო ჩხეიძე იმედგაცრუებული წერდა საქართველოს მთავრობის თავმჯდომარეს “საერთოდ პატივისცემას, თანაგრძნობას, ნდობას და სიმპათიას რაიმე გასაგავლი რომ ჰქონდეს ჩვენი საქმე გაცილებით უკეთ იქნებოდა ვინემ არის”. (54, 5).

12 ივლისს რუსეთის ყოფილი იმპერიის ტერიტორიაზე ჩამოყალიბებულ ახალ რესპუბლიკათა წარმომადგენლებმა, გარდა სომხებისა და უკრაინელებისა, საერთაშორისო სოციალისტური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერის – ალბერტო მას ხელით საპროტესტო ნოტა გადასცეს პიშონს, სადაც დენიკინის ქმედებებს აპროტესტებდნენ. საგარეო საქმეთა მინისტრმა უპასუხა, რომ ცალკე აღებულ საფრანგეთს არაფერი შეეძლო და დაჰპირდა მოკავშირეებთან შეხვედრებზე წამოაყენებდა ამ საკითხს (31, 49). თუმცა საფრანგეთს აღნიშნული საკითხი არასოდეს წამოუწვია მოკავშირეებთან მოლაპარაკებებში. ცოტა უფრო ადრე, ჩხეიძე და გვარჯალაძე შეხვდნენ საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს დიპლომატიურ და სავაჭრო დეპარტამენტის გენერალურ მდივან – ფილიპ ბერტელოს. ქართველმა დიპლომატებმა მას საქართველოს ბლოკადიდან გამოყვანა და დამოუკიდებლობის აღიარების წამოწვევა სთხოვეს. ბერტელომ ზოგადი დაპირება მისცა, რომ ბლოკადის საკითხს გაარკვევდა და დაიცავდა პატარა ეროვნებათა უფლებებს (22, 68-69; 31, 18; 285, 182-183).

ერთი იყო დამამშვიდებელი კულუარული დაპირება, ხოლო მეორე რეალ-პოლიტიკა და საჯარო განცხადებები. 1919 წლის სექტემბრის დასაწყისში საფრანგეთის პარლამენტის სოციალისტმა დეპუტატმა – ანატოლი დე მონზიმ რამდენიმე კითხვა დაუსვა პიშონს: ცნობილნი იყვნენ თუ არა საქართველო და აზერბაიჯანი დე ფაქტო ან დე იურე; როგორი იყო რეგიონში საფრანგეთის წარმომადგენლობის მდგომარეობა; და რა განზრახვები არსებობდა სავაჭრო-ეკონომიკური კუთხით ამ რესპუბლიკებთან მიმართებაში. დე-მონზი ფრანგულ-კავკასიური კომიტეტის საპატიო თავმჯდომარე და ქართველ სოციალისტთა თანამოაზრე იყო, ამასთანავე ის იმედგაცრუებული იყო იმით, რომ საფრანგეთი ვერ სარგებლობდა ომში გამარჯვებით და მსოფლიო სავაჭრო ჰეგემონიას ბრიტანეთი იკავებდა. საგარეო საქმეთა მინისტრმა მას იმედი გაუცრუა და პასუხში, რომელიც საჯარო განცხადების სახით გამოქვეყნდა Journal Officiel-ში, შეცვალა იმავე წლის აპრილში, ჩხეიძესთან პირად საუბარში გამოხატული, საკუთარი მოსაზრება. პიშონი პასუხობდა, რომ “სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკაში” არასტაბილური ვითარება იყო, ქართველები ებრძოდნენ სომხებს, შესაბამისად საფრანგეთს არც დე ფაქტო და არც დე იურე ცნობა არ მოუხდენია (25, 116; 31, 81). მინისტრის პასუხიდან ჩანდა, რომ საქართველოს საკითხი არც ისე “ნათელი და მარტივი” იყო, როგორც ის ჩხეიძეს ჰპირდებოდა.

ქართულმა დელეგაციამ გამოსავლად სომხებთან ერთად მიმართვის ტექსტის შედგენა დაიწყო, სადაც ორივე მხარეს უნდა აღენიშნა, რომ მათ ქვეყნებს შორის მოცემულ მომენტში ძალიან კარგი განწყობილება სუფევდა, მთავრობები და ხალხი ერთობლივად ცდილობდნენ სადავო საკითხები მშვიდობიანად მოეგვარებინათ. სომხური დელეგაცია შეეცადა ესარგებლა შექმნილი ვითარებით და საკვანძო საკითხების განხილვა თბილისიდან პარიზში გადმოეტანა, სადაც მას მოკავშირეთა არმენოფილური სენტიმენტების ეიმედებოდა. აპრონინმა უპასუხა, რომ მართალია ქართველები, აზერბაიჯანელთა მსგავსად, სომხების ამოწყვეტას არ ესწრაფვოდნენ, მაგრამ ტყუილი იქნებოდა იმის თქმა თითქოს ქართველები მათ არ ებრძოდნენ და იქვე შესთავაზა სადავო საკითხებზე შეთანხმება, რის შემდეგაც შესაძლებელი გახდებოდა საერთო მიმართვა. იმ მოტივით, რომ რესპუბლიკების მთავრობები თბილისში, სამხრეთ კავკასიის კონფერენციის ფარგლებში, შეთანხმების მისაღწევად უკვე მუშაობდნენ, მთავრობებს უფრო მეტი ლეგიტიმაცია და ადგილზე ვითარების უკეთესი ხედვა ჰქონდათ პრობლემური საკითხების გადასაწყვეტად, ქართულმა მხარემ შეთავაზებაზე უარი განაცხადა (31, 81-84; 54, 2).

საერთო მიმართვაზე შეთანხმება არ შედგა. დელეგაციის გადაწყვეტილებით, ზურაბ ავალიშვილმა შეადგინა პიშონისთვის გადასაცემი განმარტებითი ნოტა, მანვე მიაწოდა მინისტრის მოსახრებათა კონტრარგუმენტები ანატოლი დე მონზის. ქართველი დელეგატი აღნიშნავდა, რომ პიშონს რეგიონის შესახებ ფრანგული საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაში წვლილი არ შეჰქონდა, როდესაც ის განსხვავებას არ ახდენდა ჩრდილო და სამხრეთ კავკასიას შორის. პირველ მათგანში ადგილი ჰქონდა დენიკინის სამხედრო ოკუპაციას და ომს, ხოლო მეორეში სტაბილური ვითარება იყო. ავალიშვილი პიშონს საყვედურობდა “სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკის” ფორმულირების გამო, რომელიც ბუნებაში არ არსებობდა და აზრს ვერ ხედავდა აღნიშნული ტერმინის დამკვიდრებაში. ქართული ნოტა “სომხეთთან ბრძოლაზეც” ამახვილებდა ყურადღებას და განმარტავდა, რომ მრავალი ათასი ლტოლვილი შეეფარა საქართველოს ტერიტორიას, ერევნის რესპუბლიკა საქართველოს გავლით ახერხებდა ევროპასთან კონტაქტების დამყარებას, თბილისში მუშაობდა სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკათა კონფერენცია, რომელსაც სადავო საკითხები უნდა გადაეწყვიტა და ა.შ. (23, 54-57; 20, 51-52).

თემა დახურულად ჩაითვალა, ქართულ დელეგაციას აღნიშნულ ნოტაზე Quai d'Orsay-დან⁴⁵ პასუხი არ მიუღია.

1919 წლის აპრილიდან, როდესაც პიშონმა პირად საუბარში საქართველოს საკითხი “ნათლად და მარტივად” წარმოაჩინა, იმავე წლის სექტემბრამდე, როდესაც “სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკის” არაღიარების მთავარ მიზეზად სომხეთ-საქართველოს შორის არსებული ბრძოლა დაასახელა, რეგიონის ორ ქვეყანას შორის სამხედრო შეტაკებებს ადგილი არ ჰქონია, უფრო მეტიც, ამ პერიოდის განმავლობაში მათ შორის ურთიერთობა არ გაუარესებულა. “სომხეთისადმი მზრუნველობა” საგარეო საქმეთა მინისტრმა სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკების არაღიარების გამამართლებელ საბუთად გამოიყენა, მაგრამ ეს არ ყოფილა ერთადერთი შემთხვევა, როდესაც “სომხეთისადმი მზრუნველობა” საკუთარი მიზნების მისაღწევად იქნა გამოყენებული ფრანგული პოლიტიკური ელიტის მიერ.

მოკავშირეთა უმაღლესი საბჭოს 11 აგვისტოს სხდომაზე, სადაც სომხეთის საკითხს განიხილავდნენ, კლემანსომ დაასკვნა: “საფრანგეთს არაფრის გაკეთება შეუძლია, იტალიას არაფრის გაკეთება შეუძლია, ბრიტანეთს არაფრის გაკეთება შეუძლია, მოცემული მომენტისათვის არც ამერიკას შეუძლია რაიმეს გაკეთება. ისღა დაგვრჩენია დაველოდოთ, ყოველივე ამის შემდეგ, თუ დარჩებიან სომხები ცოცხლები.” სულ რაღაც ორ კვირაში, უმაღლესი საბჭოს 25 აგვისტოს სხდომაზე, საფრანგეთის პრემიერ-მინისტრმა დაიჩივლა, რომ არ იცოდა რა უნდა გაეკეთებინათ სომხების გადასარჩენად, რადგან ამერიკელებს არ ჰყავდათ ჯარები, იტალიელებმა უარი თქვეს კავკასიის დაკავებაზე, ბრიტანელები თავიანთ ჯარებს სხვაგან ასაქმებდნენ და ამავე დროს არ აძლევდნენ ფრანგებს უფლებას ჩართულიყვნენ მცირე აზიის საქმეებში. ბალფურმა დაიჭირა კლემანსოს ნათქვამი და იქვე ჩაეკითხა – ბრიტანელთა წინააღმდეგობა რომ არა, გაგზავნიდა ჯარებს სომეხთა დასაცავად? საფრანგეთის პრემიერმა განაცხადა, რომ ის ამ საკითხს განიხილავდა და კიდევ ერთხელ შესჩივლა, რომ ფრანგებს მოქმედების თავისუფლება არ ეძლეოდათ. ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი გახარებული იყო იმით, რომ გამოჩნდა შესაძლებლობა ფრანგებს ჩაენაცვლებინათ ბრიტანული ჯარები, რაც მისი უდიდებულესობის მთავრობას

⁴⁵Quai d'Orsay –საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს შენობა

სომეხთა შესაძლო ხოცვა-ჟლეტვაზე პასუხისმგებლობას აარიდებდა. ბალფურმა კლემანსოს სთხოვა ფრანგი სამხედროებისათვის ამ ოპერაციის განხორციელების შესაძლებლობის თაობაზე ეკითხა. ამ უკანასკნელმა თავი მოიკატუნა, რომ ასეთი განზრახვით არ ყოფილა მისული უმაღლესი საბჭოს სხდომაზე, მაგრამ რადგან “უბიძგებდნენ” ასეც მოიქცეოდა (305, 839-840; 288, 508-509).

ამასობაში კლემანსომ პოლკოვნიკ ჰასკელისგან მიიღო საგანგაშო შეტყობინება, რომ მოსალოდნელი იყო სომეხთა ხოცვა-ჟლეტვა, ჰუმანიტარული დახმარების მიწოდების შეჩერება, ხალხის შიმშილით სიკვდილი და ა.შ. ჰასკელი ითხოვდა თუნდაც ერთი გაძლიერებული ბრიგადის გაგზავნას, რომელსაც შეეძლო მრავალი სიცოცხლის გადარჩენა (306, 10; 288, 574). პრემიერ-მინისტრმა გამოიყენა ამერიკელი ოფიცრის მიერ მისთვის მიწოდებული ინფორმაცია და განაცხადა, რომ საფრანგეთი სომხების დასახმარებლად, კილიკიის გავლით, 12000 ჯარისკაცს გაგზავნიდა. გაკვირვებულმა პოლკმა იკითხა უმჯობესი ხომ არ იქნებოდა აღნიშნული ჯარები შავი ზღვის გავლით გაგზავნათ? რაზეც ბერტელომ უპასუხა, რომ ალექსანდრეტადან ჯარების მომარაგება, გზების კარგი მდგომარეობის გამო, თავისუფლად იყო შესაძლებელი. ეს ოპერაცია, სამხედრო თვალსაზრისით, იმდენად წარმოუდგენლად აღერდა, რომ ბალფურმა იკითხა, შესწავლილი ჰქონდა თუ არა საფრანგეთის გენერალურ შტაბს აღნიშნული საკითხი. კლემანსომ ამ კითხვაზე დადებითი პასუხი გასცა (306, 5; 288, 569).

ფრანგებს სომხების დაცვა არც უფიქრიათ, მათ შესაბამისი მომენტი გამოძებნეს, რათა საიქს-პიკოს შეთანხმებით საფრანგეთისთვის მიკუთვნებული კილიკიის ტერიტორიის ოკუპაცია განხორციელებინათ და პოზიციები გაეძლიერებინათ სირიაში. არც ბრიტანელებს და არც ამერიკელებს არ გასჭირვებიათ მათი განზრახვების მყისიერი გაანალიზება, მაგრამ იმ პირობებში, როდესაც პირველი მათგანი ჯარების გაყვანას ეშურებოდა, ხოლო მეორეს ჩანაცვლება არ შეეძლო, ძნელი იყო მხოლოდ ეჭვის ნიადაგზე უარი ეთქვათ სომეხთა დაცვის წინადადებაზე.

30 აგვისტოს ამერიკული დელეგაციის ხელმძღვანელმა – პოლკმა მისწერა სახელმწიფო მდივანს, რომ ფრანგების შემოთავაზება მცირე აზიის ნაწილზე ფეხის მოკიდებას უფრო ემსახურებოდა, ვიდრე სომხების დაცვის იდეას. მან

ჰკითხა ბალფურს თუ რატომ აძლევდნენ ამის უფლებას, რაზეც ბრიტანეთის საგარეო მინისტრმა უპასუხა, რომ იმ პირობებში, როდესაც მათ ჯარები გამოჰყავდათ, ის ვერ ხედავდა როგორ უნდა შეწინააღმდეგებოდნენ ფრანგებს (300, 838). შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა, საპასუხო ტელეგრამაში, სომხების დაცვის იდეისადმი კმაყოფილება გამოხატა, მაგრამ იქვე დასძინა, რომ გაცილებით უფრო პრაქტიკული იქნებოდა თუ ჯარებს ბათუმის მხრიდან შეიყვანდნენ (300, 838-839).

31 აგვისტოს ბალფურმა კერზონს მისწერა, რომ მას ესმოდა კლემანსოს შეთავაზებას არაფერი ჰქონდა საერთო სომხების დაცვის იდეასთან; ასეთის სურვილის შემთხვევაში ბათუმიდან და ტრაპიზონიდან შეღწევა გაცილებით უფრო მოხერხებული იქნებოდა; ფრანგები ცდილობდნენ კილიკიასა და სირიაში ბრიტანული პოზიციებისთვის შეექმნათ პრობლემები, მაგრამ, განაგრძობდა საგარეო საქმეთა მინისტრი, ეს შედარებით მცირე პრობლემები გვერდზე უნდა გადაედოთ, რადგან მათთვის ფორმალური დაბრკოლებების შექმნის შემთხვევაში ფრანგები მაშინვე ბრიტანელებს დაადანაშაულებდნენ, რომ ამ უკანასკნელებმა არ მისცეს სომხების დაცვის საშუალება (291, 745-746).

2 სექტემბერს ჩატარდა ბრიტანეთის საომარი კაბინეტის სხდომა, სადაც მხარი არ დაუჭირეს ფრანგულ ექსპედიციას. მოწინააღმდეგეთა შორის ყველაზე აქტიურნი ჰენრი უილსონი და ლორდი კერზონი იყვნენ (70; 334, 211; 293, 836). კაბინეტის მოსაზრებები, ბალფურისათვის გაგზავნილ ტელეგრამაში, კერზონმა შეაჯამა: არავის ჰქონდა სურვილი სომხეთისათვის დახმარებაში წინააღმდეგობა გაეწია ფრანგებისათვის, მაგრამ ალექსანდრეტაში დაწყებული ოპერაცია ვერავითარ გავლენას ვერ იქონიებდა ყარსსა და ერევანზე, რადგან მანძილი 500 მილი, ხოლო გზები უვარგისი იყო. უფრო მეტიც, სომხეთის დახმარების ნაცვლად, ეს ქმედება თურქების პროვოცირებას გამოიწვევდა. კაბინეტი აღნიშნული წინადადებას ფანტასტიკის სფეროდან მოტანილად მიიჩნევდა. მისი უდიდებულესობის მთავრობა ხვდებოდა, რომ სომხების დაცვა საიქს-პიკოს შეთანხმების შესრულების, ნიზიბინისა და მოსულისკენ ფრანგების გაჭრის ნიღბად გამოიყენებოდა. შესაბამისად, ასეთი წამოწყების მხარდაჭერა მას მიზანშეწონილად არ მიაჩნდა. იმ შემთხვევაში თუ ოკუპაცია ბათუმისა და ტრაპიზონის პორტების გავლით მოხდებოდა, ბრიტანეთი თანახმა იყო ყველა შესაძლო დახმარება გაეწია მოკავშირისათვის (187).

ბაღფური პასუხობდა, რომ ის სრულად ეთანხმებოდა კაბინეტის კრიტიკას, თუმცა იქ საკითხის სამხედრო ასპექტი განიხილებოდა, ხოლო მას უმაღლეს საბჭოში პოლიტიკური ასპექტზე უნდა ესაუბრა. მიუხედავად იმისა, რომ მათ იცოდნენ ფრანგების ჭეშმარიტი განზრახვა, მაღლიერებით უნდა მიეღოთ შემოთავაზება (291, 748).

ფრანგებმა მოახდინეს კილიკიის ოკუპაცია, მაგრამ როგორც მოსალოდნელი იყო, ჩრდილოეთის მიმართულებით სომხეთის დასახმარებლად წასვლა არ უცდიათ. კლემანსომ არათუ დაივიწყა ომის მსვლელობის დროს ბოლოს ნუბარ ფაშასათვის მიცემული პირობა, რომ საფრანგეთი “გამუდმებით აყენებს სომეხ ერს იმ ხალხს შორის, რომელთა ბედის გადაწყვეტას მოკავშირეები ჰუმანურობისა და სამართლიანობის უმაღლესი კანონებით გეგმავენ”, არამედ სამართლიანობისა და ჰუმანურობის ყველა კანონის საწინააღმდეგოდ, პატარა ერის უბედურება საფრანგეთის სასარგებლოდ გამოიყენა. სულ მოკლე ხანში, 1919 წლის დეკემბერში ის ლოიდ ჯორჯსა და ლორდ კერზონს ეუბნებოდა: “სომხებთან საქმის დაჭერა სახიფათოა. ისინი ბევრ ფულს ითხოვენ და სამაგიეროდ ძალიან ცოტას იძლევიან. თანახმა ვარ მათ რესპუბლიკა ან რაც უნდათ ის ჰქონდეთ, მაგრამ საფრანგეთს არ სურს რაიმე ფული დახარჯოს სომხეთში.” (115; 289, 734).

კლემანსოს პოლიტიკამ, რომელსაც მორალთან ძალიან ცოტა საერთო ჰქონდა, შეწყვიტა ახალი სომხური სახელმწიფოსათვის კილიკიის შეერთების საერთაშორისო მხარდაჭერა და მათ დელეგაციასაც, ფაქტობრივად, ხელი ააღებინა აღნიშნულ მოთხოვნაზე. ანგლო-ფრანგულ კონფერენციაზე ბერტელო და კერზონი შეთანხმდნენ, რომ კილიკია ნომინალურად თურქეთის შემადგენლობაში დარჩებოდა, მაგრამ პრაქტიკულად იქნებოდა საფრანგეთის კონტროლქვეშ და მათ მიერ დაცულნი იქნებოდნენ ის სომხები, რომლებიც რეგიონში დარჩენას გადაწყვეტდნენ (291, 961-962).

კლემანსომ კავკასიაში ვითარების შესასწავლად თავისი ძველი მეგობარი, წარმოშობით სომეხი, საფრანგეთის მოქალაქე – დოქტორი ლორის-მელიქოვი გააგზავნა. ის სომხებისადმი დამოკიდებულების შეცვლის შესახებ წერდა, რომ, როდესაც კონფერენცია გაიხსნა მათდამი ყველას გულითადი სიმპათია ჰქონდა, ამავდროულად ქართველები ცივად იყვნენ მიღებულნი, მაგრამ მალე ქართველებმა მოახერხეს ევროპელების მოხიბვლა და მათთვის თავის მოწონება.

სომხებმა კი პირიქით, დაკარგეს მხარდაჭერა. განუზომელმა მოთხოვნებმა და ტონმა, რომლითაც ისინი ამ მოთხოვნებს აყენებდნენ, ადამიანების უმეტესობა სომხებისადმი ანტიპათიამდე მიიყვანა (353, 157-159; 349, 257-258).

ლორის-მელიქოვის სიტყვებში არის სიმართლის მარცვალი, მაგრამ თვითონ საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი არაერთგზის ავლენდა კავკასიის საკითხისადმი დაუინტერესებლობას, გულმაგიწეობასა და უცოდინრობას. 1919 წლის 11 დეკემბერს, მხოლოდ 3-4 თვის შემდეგ, რაც ბრიტანული ჯარების ევაკუაცია დაიწყო და დასრულდა, რასაც საკმაო საერთაშორისო რეზონანსი, მათ შორის მოკავშირეთა უმაღლეს საბჭოს სხდომებზე არაერთიგზის განხილვა მოჰყვა, ანგლო-ფრანგული კონფერენციის მსვლელობისას ლორდმა კერზონმა კლემანსოს ჰკითხა რას ფიქრობდა კავკასიის აწმყოსა და მომავალზე. ამ უკანასკნელმა უპასუხა, რომ მისი ინფორმაციით კვლავინდებურად ბრიტანელებს ეჭირათ ბაქო-ბათუმის ხაზი და მართავდნენ ვითარებას (115; 289, 735).

საფრანგეთის პრემიერ-მინისტრის სპეციალურ მისიას ხელშესახები შედეგები არ მოჰყოლია. 1920 წლის 14 იანვარს უორდროპი წერდა, რომ ლორის-მელიქოვის ვიზიტს კავკასიაში სერიოზულად არავინ აღიქვამდა, თვით საფრანგეთის სამხედრო მისიის მეთაურმაც კი, რომლის შემადგენლობაში სულ ორი ოფიცერი შედიოდა, მას უთხრა, რომ დოქტორ მელიქოვს ძალიან თავდაჭერილად ეკიდებოდა (182), ხოლო ბრიტანეთის ხმელთაშუა ზღვის ძალების სარდალმა – ადმირალმა ჯონ დე რობეკმა მას “არამკითხე მოამბე” უწოდა, რომელსაც არც სარგებლის და არც ზიანის მოტანა არ შეეძლო (167).

მართალია, კავკასიის საკითხი საფრანგეთისთვის არასასურველი პოლიტიკური ტვირთი იყო, რომლის აღება მას არ სურდა; ასევე ფაქტია, რომ კლემანსოს მთავრობა დაინტერესებული იყო კილიკიასა და სირიაში პოზიციების გამაგრებით, მაგრამ მან პოლიტიკური დღის წესრიგის თავის სასარგებლოდ წასამართად მოქმედების ისეთი ფორმა შეარჩია, რომელიც ვერ უზრუნველყოფდა საფრანგეთის მთავრობის მორალური სახის შენარჩუნებას.

4. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და შეერთებული შტატები

სამხრეთ კავკასიასთან და კონკრეტულად საქართველოსთან მიმართებაში ამერიკის პოლიტიკას განაპირობებდა ორი ფაქტორი: შეერთებული შტატების მხარდაჭერა “ერთიანი და განუყოფელი რუსეთისადმი” და არმენოფილური ტენდენციები. საქართველოსთვის ეს უკანასკნელი მნიშვნელოვანი იყო იმდენად, რამდენადაც მიმდინარეობდა სომხეთზე ამერიკული მანდატის აღების მძლავრი კამპანია, რომელსაც აუცილებლად უნდა ჰქონოდა თავისი გავლენა მთელი რეგიონის მომავლის განსაზღვრასა და მათ შორის საქართველოს სახელმწიფო საზღვრების დადგენაზე. აღნიშნული სენტიმენტებისადმი გულგრილი, სხვა მადალი თანამდებობის პირებთან ერთად, არც პრეზიდენტი უილსონი ყოფილა.

ამასთანავე, ამერიკული ორგანიზაციები, მისიონერები, ოფიციალური პირები, სახელმწიფო პოლიტიკის დონეზე ახორციელებდნენ სომეხ ლტოლვილთა ჰუმანიტარული დახმარებისა და ხსნის ღონისძიებებს.

სამხრეთ კავკასიის სამ რესპუბლიკათაგან, როგორც პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური თვალსაზრისით, თითოეულს ჰქონდა თავისი უპირატესობა, საარსებო თუ თავდაცვის ბერკეტი. აზერბაიჯანისთვის ეს იყო ბაქოს ნავთობი; სომხეთისათვის ძლიერი საერთაშორისო მხარდაჭერა გამარჯვებულ სახელმწიფოთა, განსაკუთრებით შეერთებული შტატების, ასევე დენიკინის რუსეთის მხრიდან. საქართველოს არც ერთი ზემოაღნიშნული უპირატესობანი არ გააჩნდა, მაგრამ მას ჰქონდა გეოგრაფიული მდებარეობა, რომელიც მას მეზობლებზე ზეგავლენის მოხდენის გარკვეულ ბერკეტს აძლევდა. დასავლეთში ექსპორტზე გასატანად, საქართველოზე გადიოდა ბაქოს ნავთობი, შესაბამისად აზერბაიჯანის ხელისუფლებას ამ ფაქტისათვის ანგარიში უნდა გაეწია და მეზობელი რესპუბლიკისათვის ტრანზიტით მიეწოდებინა ნავთობმარაგი. თუმცა, ორ ქვეყანას შორის ჩამოყალიბებული მჭიდრო პოლიტიკური კავშირიდან გამომდინარე, მათ შორის ესკალაციამდე საქმე არ მისულა.

საქართველოსავე გავლით, მისი რკინიგზებით მიედინებოდა დიდი რაოდენობით ჰუმანიტარული დახმარება სომხეთის მიმართულებით. ამერიკელი მუშაკები, რომლებიც ამ დახმარებას ახორციელებდნენ, ფოკუსირებულნი იყვნენ სომხეთზე და უგულვებელყოფდნენ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საჭიროებებს. ეს მაშინ, როდესაც საქართველოს ტერიტორიაზე ათასობით

სომეხი ლტოლვილი სახლობდა და მათი კვება დემოკრატიული რესპუბლიკის საზრუნავი იყო. ქართული სახელმწიფოს მდგომარეობა არ ყოფილა ისეთივე მძიმე, როგორც დანგრეულ და ლტოლვილებით სავსე სომხეთისა, მაგრამ ის საარსებო მინიმუმს იყო მოკლებული და ამ მიმართულებით მხოლოდ უკუსვლის ტენდენცია შეინიშნებოდა. დენიკინს ჩრდილოეთიდან ბლოკადა ჰქონდა გამოცხადებული, საიდანაც ქვეყანა ტრადიციულად იღებდა პურის მარაგს; ვერ ხერხდებოდა საგარეო ვალის აღება, რადგან რესპუბლიკა არ იყო აღიარებული და შესაბამისად მას სესხს არავინ მისცემდა; ეკონომიკურმა იზოლაციამ და აგრარულმა რეფორმამ, რომელმაც მსხვილ მესაკუთრეებს გლეხების სასარგებლოდ დაათმობინა მიწები, მსხვილი წარმოების მოშლა გამოიწვია, ორ ქვეყანას შორის დაძაბული ურთიერთობის გამო სომეხ კაპიტალისტთა დიდმა ნაწილმა, რომლებიც ქვეყანაში მწარმოებელთა უმრავლესობას შეადგენდნენ, თავისი ქონება ან გაიტანეს ან მათი ნაციონალიზაცია სახელმწიფომ მოახდინა.

პარიზში ქართულმა დელეგაციამ 1919 წლის შემოდგომაზე კონტრაქტი გააფორმა ამერიკელ ფინანსურ აგენტ – მაქს რაბინოვთან. ეს უკანასკნელი მთავრობას კრედიტის აღებაში უნდა დახმარებოდა, სამაგიეროდ მიღებული სესხის სამ პროცენტს თვითონ დაიტოვებდა, მაგრამ ქვეყნის გაურკვეველი სტატუსის გამო ვერც მან გააწყო ვერაფერი (22, 118-119). პარიზული დელეგაციის ერთ-ერთი საზრუნავი სწორედ ხორბლის შოვნა, მისი მანგანუმზე გადაცვლა იყო.

ასეთ ვითარებაში ქვეყნის მთავრობა საცდურის წინაშე იდგა, რომ, მის ხელთ არსებული ბერკეტების გამოყენებით, სომხეთისათვის განკუთვნილი ამერიკული დახმარების ნაწილი, სატრანზიტო ფასად, საქართველოში დაეტოვებინა. ბრიტანელი პოლკოვნიკი პირსი, რომელიც კავკასიაში ჰუმანიტარული დახმარების ღონისძიებების შესასწავლად იყო გაგზავნილი, 18 ივნისს იტყობინებოდა: “საქართველოში საკვების ნაკლებობაა, მნიშვნელოვანია მას შევეშველოთ 3500 ტონა საკვები პროდუქტის გაგზავნით. თუ საქართველოს მთავრობის კეთილი ნების მოპოვება გვსურს, ეს დახმარება აუცილებელია, რათა რკინიგზის გავლით, რომლის ერთადერთი გზა საქართველოზე გადის, სომხეთისკენ საკვების გატარება მოხერხდეს. თუ საქართველოში საკვების ნაკლებობას არ შევეშველებით, ტრანსპორტირების პრობლემა, ბრიტანული საექსპედიციო ძალების გასვლის შემდეგ, უფრო მეტი სიცხადით დადგება.” (219). აღნიშნულ მოსაზრებათა საწინააღმდეგოდ, ამერიკის მომავალმა პრეზიდენტმა –

ჰერბერტ ჰუვერმა, რომელიც მაშინ ახლო აღმოსავლეთში ამერიკული ხსნის კომიტეტის საქმიანობას ხელმძღვანელობდა, პარიზში მოკავშირეთა უმაღლეს საბჭოს 1919 წლის 16 ივლისს მისწერა, რომ “საქართველოში არ არის საკვები პროდუქტების გამოკვეთილი პრობლემა”, მაგრამ “საქართველოს ეგრეთწოდებული მთავრობა” მათ აშანტაჟებდა და მოითხოვდა ტრანზიტის სანაცვლოდ საკვები პროდუქტების ნაწილის დატოვებას (305, 231-232). ორი დღის შემდეგ ის თავად დაესწრო უმაღლესი საბჭოს სხდომას, სადაც გაიმეორა, რომ საქართველოს მთავრობა “ახლა უკვე მომარაგების ნახევარს ითხოვს. ეს მოთხოვნა არ არის აუცილებლობით გამოწვეული, რადგან მათ საკვები არ აკლიათ, არამედ მხოლოდ სპეკულაციის მიზნით მიმართავენ შანტაჟს. საბჭოს ეთხოვა, რომ საქართველოს მთავრობას გაუგზავნოს მუქარის შემცველი ტელეგრამა, რაც გააუმჯობესებს მომარაგების ტრანზიტს მომავალი ორი-სამი თვის განმავლობაში. საქართველოს მომავალი ბედი კონფერენციაზე დამოკიდებული და ყველანაირი იმედია, რომ ისინი დაემორჩილებიან ჩვენს სურვილებს.” აღნიშნული მოთხოვნა კონფერენციის თავმჯდომარის – კლემანსოს სახელით გაიგზავნა, სადაც ეწერა, რომ თუ საქართველოს მთავრობა მისაღებ ფასად ტვირთების მოძრაობას არ უზრუნველყოფდა, კონფერენცია მის საკითხს შესაბამისად განსაზღვრავდა (305, 210-211).

პირველად მოხდა, რომ მოკავშირეთა უმაღლესმა საბჭომ საქართველოს საკითხი განიხილა, მაგრამ იქ საუბარი არ ყოფილა მის აღიარებაზე ან დახმარების მიწოდებაზე, არამედ პირველივე ჯერზე ქვეყანამ მიიღო საყვედური და მუქარა მათგან, ვისგანაც დაცვას ელოდებოდა. ქართული პოლიტიკური ელიტის იმედგაცრუება აშკარა იყო. პარიზში საქართველოს დელეგაციას არ ჰქონდა ტვირთბრუნვის სტატისტიკური მონაცემები და ამიტომ უფრო ზოგადი პასუხი გასცა უმაღლეს საბჭოს, სადაც სომხებისადმი ქართველების დამოკიდებულებაზე იყო საუბარი. ჩხეიძის მიერ ხელმოწერილ დოკუმენტში ეწერა, რომ საუკუნეების მანძილზე სომხები ქართველთა სტუმართმოყვარეობით სარგებლობდნენ. მოცემულ მომენტში საქართველოს აფარებდა თავს ათასობით სომეხი ლტოლვილი და დაასკვნინდა რომ პრობლემა შექმნილი იყო ცალკეული ინდივიდების მიერ (20, 46).

6 აგვისტოს მთავრობის ოფიციალურ გაზეთ “საქართველოს რესპუბლიკაში” გამოქვეყნდა საგარეო საქმეთა მინისტრ ევგენი გეგეჭორის

წერილი, სადაც ის სინანულს გამოთქვამდა, რომ სომხებისადმი სტუმართმოყვარეობის სანაცვლოდ საქართველოს პარიზში სილა გააწნეს. მან მოიყვანა სტატისტიკური მონაცემები, რომლის მიხედვით თებერვლიდან ივლისამდე 3500 მატარებელი იქნა გატარებული ბათუმიდან სომხეთის მიმართულებით და ეს ხდებოდა არა ხელის შეშლის, არამედ საქართველოს საჭიროებათა მსხვერპლთშეწირვის ხარჯზე, რადგან ქვეყანას ბრიტანული ჯარების სარკინიგზო საჭიროებებიც უნდა დაეკმაყოფილებინა (386).

სომხეთის მთავრობა მომხდართან კავშირს უარყოფდა. უფრო მეტიც, მან პარიზიდან გამოგზავნილ შეტყობინებას “დიდი უსამართლობა” უწოდა, თუმცა მმართველი დაშნაკცუტიუნის პარტიის ოფიციალური გაზეთი “ნორ აშხატავორი” საქართველოს მთავრობას მოშიმშილე მოსახლეობისათვის საკვების შეფერხებაში აღანაშაულებდა. გეგეჭკორის სტატისტიკურ მონაცემებს ფაქტებთან შეუსაბამობაში და უზუსტობაში დასდო ბრალი საქართველოს “ძველმა მეგობარმა” პოლკოვნიკმა შარდინიმ, რომელსაც ამერიკელი ჰუმანიტარული მუშაკი გრინიც ეთანხმებოდა (346, 146-147).

1919 წლის მაის-ივნისში ქართულის გარდა, ყველა დანარჩენი კავკასიური დელეგაციები იქნენ მიღებულნი პრეზიდენტ უილსონთან აუდიენციაზე. საქართველოსთან მიმართებით განსაკუთრებული ამერიკული ინტერესი არ არსებობდა, ამიტომ ქართულ დელეგაციას პრეზიდენტის ნაცვლად პოლკოვნიკი ჰაუზი შეხვდა. შეხვედრამდე ამერიკელმა დელეგატმა ლორდმა ავალიშვილი დაამშვიდა, რომ “პოლკოვნიკ ჰაუზის თანაგრძნობა, უილსონის თანაგრძნობას ნიშნავდა”. ეს შეხვედრა ჰუვერის გააქტიურებამდე ერთი თვით ადრე, 11 ივნისს შედგა. ქართველმა დიპლომატებმა მიიღეს გადაწყვეტილება ჰაუზისათვის ამერიკის მანდატი არ ეთხოვათ, არამედ დაეყენებინათ დენიკინისგან მომავალი საფრთხის, ბლოკადის და ეკონომიკური დახმარების საკითხები. პოლკოვნიკი მათ დახმარებას დაჰპირდა, თუმცა როდესაც ირაკლი წერეთელმა ჰკითხა შეეძლოთ თუ არა მათ ჰაუზის დაპირება საჯაროდ გაეხმაურებინათ, ამ უკანასკნელმა თავშეკავებისკენ მოუწოდა, რადგან საკითხი არა მხოლოდ ამერიკას, არამედ მთლიანად მოკავშირეების პოლიტიკას ეხებოდა. მომდევნო თვეში განვითარებულმა მოვლენებმა აჩვენეს, რომ ეს დაპირება მხოლოდ მორიგი დაპირება იყო (31, 11-12).

27 ივნისის წერილში ჰერბერტ ჰუვერმა პრეზიდენტ უილსონს სომხეთში მოკავშირეთა უმაღლესი კომისრის დანიშვნა შესთავაზა, რომელიც შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის და იტალიის სახელით იმოქმედებდა. მის პასუხისმგებლობაში შევიდოდა თურქეთისა და რუსეთის სომხეთში ადმინისტრაციების ზედამხედველობა, ლტოლვილთა რეპატრაცია და ჰუმანიტარული დახმარების ღონისძიებების გაძღოლა. იგივე პიროვნება უნდა ყოფილიყო სომხეთში ამერიკის ხსნის ადმინისტრაციისა და ახლო აღმოსავლეთის ხსნის ამერიკული კომიტეტის უმაღლესი წარმომადგენელი. უმაღლესი კომისრის თანამდებობაზე, ოსმალეთის იმპერიაში ამერიკის ყოფილი ელჩის – ჰენრი მორგენტაუს მოთხოვნით წარდგენილ იქნა ევროპაში შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების შტაბის უფროსი, ძლიერი და დამოუკიდებელი პიროვნება – გენერალი ჯეიმს ჰარბორდი (304, 443-444). უმაღლესმა საბჭომ, რომელიც “ოთხთა საბჭოს” ფორმატში გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ თავის ბოლო სამუშაო დღეს ატარებდა, ფართო განხილვის გარეშე, პრინციპულად მოიწონა წინადადება (304, 741). ჰუვერი ამერიკული მანდატის წინააღმდეგი იყო, რადგან თვლიდა, რომ სომხეთი “ევროპის უპატრონოთა სახლი” იყო და შეერთებულ შტატებს 50 ან 100 ათასი ჯარისკაცის გამოყოფა, ამასთანავე მინიმუმ 100 მილიონი დოლარის დახარჯვა დასჭირდებოდა (309, 261). მან მოახერხა საწყისი შეთავაზებიდან ლტოლვილთა რეპატრაციისა და ადმინისტრაციის ზედამხედველობის პუნქტების ამოღება, უმაღლესი კომისრის მოვალეობაში მან დატოვა მხოლოდ ლტოლვილთა დახმარების ღონისძიებების გაძღოლა. 5 ივლისს უმაღლესმა საბჭომ, რომელიც “დელეგაციის მეთაურთა საბჭოს” ფორმატში აგრძელებდა მუშაობას, ამ უკანასკნელი ფორმით განსაზღვრა უმაღლესი კომისრის უფლებამოსილებანი. უფრო მეტიც, გენერალ ჰარბორდის ნაცვლად თანამდებობაზე დაინიშნა უფრო ნაკლებად გამოცდილი და სუსტი ოფიცერი, რუმინეთში ჰუვერის წარმომადგენელი – პოლკოვნიკი ჰასკელი (305, 28-30). “მოკავშირეთა უმაღლესი კომისრის” სახელი საკმაოდ უდერდა, მაგრამ ჰუვერმა ის იმდენად გაძარცვა პოლიტიკურ უფლებამოსილებათაგან, რომ ეს თანამდებობა ფაქტობრივად ახლო აღმოსავლეთში ამერიკული ხსნის კომიტეტისა და ამერიკული ხსნის ადმინისტრაციის წარმომადგენლის კომპეტენციებს ბევრად ვერ სცილდებოდა. თუმცა, ჰქონდა ის უპირატესობა, რომ მოკავშირეთა სახელით ემოქმედა და საჭიროების შემთხვევაში პირდაპირ მიემართა სამშვიდობო კონფერენციისათვის.

ჰუეერმა, რომელიც ამერიკულ ხსნის ადმინისტრაციას თავად ხელმძღვანელობდა, საკუთარი კადრის დანიშვნითა და მისთვის პოლიტიკურ უფლებამოსილებათა შემცირებით, უმაღლეს კომისარზე გარკვეული გავლენა მოიპოვა.

14 ნოემბერს ჰასკელი პარიზში ჩავიდა და უმაღლესი საბჭოს წინაშე მოხსენება გააკეთა. შეხვედრის ბოლოს, უმაღლესი კომისრის სახელით, შეერთებული შტატების დელეგაციის მეთაურმა პოლკმა მოითხოვა, ღონისძიებათა ეფექტურად განხორციელების მიზნით, ამერიკელ ოფიცერს უფლებამოსილება საქართველოსა და აზერბაიჯანზეც გაეგრძელებინა (307, 168). მომდევნო დღის სხდომაზე პოლკმა კიდევ ერთხელ ითხოვა 5 ივლისს მიღებულ გადაწყვეტილების ტექსტში, სომხეთთან ერთად, საქართველო და აზერბაიჯანიც ჩამატებინათ ჰასკელის საპასუხისმგებლო ზონაში. იმის გამო, რომ ბრიტანეთს უკვე ჰყავდა რეგიონში უმაღლესი კომისარი, მათი დელეგაციის მეთაურმა – სერ ეირ ქროუმ განაცხადა: მისი უდიდებულესობის მთავრობას არაფერი ჰქონდა საწინააღმდეგო თუ ჰუმანიტარული დახმარების კუთხით ჰასკელის კომპეტენცია სამხრეთ კავკასიის სხვა ქვეყნებზეც გაეგრძელებოდა, მაგრამ ის თავს იკავებდა ამერიკელი ოფიცრისათვის მთელს რეგიონზე “მოკავშირეთა უმაღლესი კომისრის” სახელწოდების მინიჭებისგან. გადაწყდა ეირ ქროუს მოემზადებინა და საბჭოსთვის დასამტკიცებლად წარედგინა რეზოლუციის ტექსტი, რომელიც სამხრეთ კავკასიაზე პოლკოვნიკ ჰასკელის უფლებამოსილებებს განსაზღვრავდა (307, 179-180).

ქროუმ მომდევნო დღესვე აცნობა ლონდონს უმაღლესი საბჭოს სხდომაზე განვითარებული მოვლენები და საგარეო საქმეთა სამინისტროს მის მიერ მოსამზადებელი რეზოლუციის პროექტიც წარუდგინა, რომლის მიხედვით ამერიკელ პოლკოვნიკს საქართველოსა და აზერბაიჯანთან მიმართებაში მხოლოდ ჰუმანიტარულ, სატრანზიტო, სარკინიგზო საკითხებში ჩარევის უფლება ეძლეოდა. ბრიტანელმა დიპლომატმა ასევე დასძინა, რომ თუ მისი უდიდებულესობის მთავრობის ნება იქნებოდა, ის ამერიკელთა მოთხოვნას მთლიანად დაბლოკავდა (191). სამინისტროში ქროუს არც ერთი შეთავაზება არ იქნა გაზიარებული – კერზონის უწყებამ საკითხის მივიწყება გადაწყვიტა, რათა ერთი მხრივ პირდაპირი უარისთვის, ხოლო მეორე მხრივ სამხრეთ კავკასიაში შეერთებული შტატების გავლენის გაზრდისათვის აერიდებინა თავი.

რეზოლიციის ტექსტი ბრიტანელებს არასოდეს წარუდგენიათ საბჭოსათვის. გამართულ დისკუსიას საკმაოდ მწვავე რეაქცია მოჰყვა ბრიტანეთში. მაიორი მაკდონელი კავკასიიდან იტყობინებოდა, რომ ამერიკელმა პოლკოვნიკმა ვერ დაამყარა კარგი ურთიერთობა ვერც მოკავშირეთა ოფიცრებთან და ვერც ადგილობრივ მოსახლეობასთან. მის მოქმედებას ერთდროულად დომინირება და მერყეობა ახასიათებდა. ამის საპირისპიროდ მაკდონელს უორდროპის გავლენა და ამ უკანასკნელისადმი ადგილობრივი საზოგადოების სიმპათია მოჰყავდა (157).

ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს აღმოსავლეთის დეპარტამენტის ხელმძღვანელი ჯორჯ კიდსტონი 28 ნოემბერს სერ ეირ ქროუს წერდა: “შემოთავაზებამ, რომ პოლკოვნიკ ჰასკელს უფლება მიეცემა მოკავშირეთა სახელით რესპუბლიკათა შორის ურთიერთობები აკონტროლოს, აქ ყველა მღელვარებით აღიქვამს. მე კავკასიიდან ჩამოსული რამდენიმე კაცი ვინახულე. ყველა ერთში თანხმდება, რომ ჰასკელი უკანასკნელია, რომელსაც შეიძლება ასეთი დელიკატური და რთული ამოცანა მიენდოს. მას აღანაშაულებენ, რომ ზედიზედ ორი წუთი ვერ მიჰყვება საკუთარ აზრს, არის შფოთიანი, ჯიუტი, სრულად არის თარჯიმნებზე დამოკიდებული და მთლიანად გამოუსადეგარია აღმოსავლეთის ხალხთან საურთიერთოდ... მეორე მხრივ უორდროპს, რა შეცდომებიც არ უნდა ჰქონდეს მას, ამ ხალხის მართვის საოცარი უნარი აქვს და თუ მას, ერთი მხრივ სამხედროები დენიკინის სახით, ხოლო მეორე მხრივ ამერიკელები, თავს დაანებებენ, ის ამ ქაოსში რაღაც სახის წესრიგს დაამყარებს. მან კავკასია ცხოვრებისეული შესწავლის საგნად აქცია, საუბრობს, სულ მცირე, რამდენიმე ადგილობრივ ენაზე და ალბათ სარგებლობს უფრო მეტი პრესტიჟით, ვიდრე ნებისმიერი იქ მაცხოვრებელი ევროპელი.” (291, 908).

მომდევნო დღეს ქროუმ უპასუხა: “შესაძლებლობა არ მქონია აზრი ჩამომეყალიბებინა ჰასკელსა და მის მიერ გაწეულ სამუშაოზე, მაგრამ მზად ვარ მივიღო თქვენი შეხედულება, ადგილობრივ ვითარებასთან გამკლავების თვალსაზრისით, მასსა და უორდროპს შორის განსხვავებული უნარის ქონის შესახებ. სხვათაშორის, მისი ბოლო ტელეგრამის თანახმად, ზანგეზურთან დაკავშირებით, უორდროპს კიდევ ერთი წარმატებული შეთანხმებისთვის მიუღწევია სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის. სირთულე იმაში მდგომარეობს, რომ ჰასკელი ამერიკელია და ის მთელს კონფერენციას წარმოადგენს, მაშინ

როდესაც უორდროპი მხოლოდ ჩვენ წარმოგვადგენს. ჩვენ არასოდეს შეგვითავაზებია ჰასკელისათვის უფლებამოსილების განვრცობა, გარდა ჰუმანიტარული საკითხებისა (ამ საკითხებში საზღვრების გავლება, რასაკვირველია, რთულია) და ალბათ მოვასერხებთ, თუ ეს სასურველი იქნება, განუსაზღვრელად გადავდოთ ამერიკელთა შემოთავაზებაზე გადაწყვეტილების მიღება.” (291, 912).

იმავ 29 ნოემბერს ქროუმ კერზონს აცნობა, რომ შეერთებული შტატები ზანგეზურის პრობლემის მოგვარებას ჰასკელისათვის უფლებამოსილებათა გაფართოებას უკავშირებდა, თუმცა ის, საგარეო საქმეთა მინისტრის დავალებით, ამერიკელი პოლკოვნიკის კომპეტენციის გაზრდის საკითხის დაყენებისგან თავს იკავებდა (160). თავად უორდროპი კერზონს წერდა, რომ მას პრეფერენციული დამოკიდებულება არ ჰქონია და საკითხის გადაწყვეტას მინისტრს ანდობდა (192).

1920 წლის 14 იანვარს საგარეო საქმეთა სამინისტრომ, ინსტრუქცია გაუგზავნა ბრიტანეთის პარიზულ დელეგაციას, სადაც ტონი უფრო გამკაცრებული იყო. დენიკინის მარცხის, არაპროგნოზირებადი ვითარებისა და გართულებების თავიდან აცილების მიზნით, კერზონის უწყება ითხოვდა კონფერენციას არ დაეშვა ჰასკელისათვის საქართველოსა და აზერბაიჯანზე მანდატის გავრცელება (193). პარიზში მიღებულ ტელეგრამას ბრიტანელმა დელეგატმა – ერიკ ფორბს ადამსმა წააწერა: “ჰუმანიტარულ საკითხებში საქართველოსა და აზერბაიჯანზე პოლკოვნიკ ჰასკელისათვის უფლებამოსილების გავრცელების საკითხი, რომელზეც ამერიკელებმა შეთავაზება წინა წლის ნოემბერში გააკეთეს, არასოდეს ყოფილა ბოლომდე მიყვანილი და გადაწყვეტილებაც არ მიღებულა.” ამ მოსაზრებას თავისი ხელმოწერა პარიზში მყოფმა საგარეო საქმეთა მინისტრმაც დაუსვა (254).

ამასობაში სომხეთზე ამერიკული მანდატის საკითხმა ევოლუცია განიცადა. 1919 წლის მარტში, პრეზიდენტ უილსონის ინიციატივით, უმაღლესმა საბჭომ ოსმალეთის ყოფილი იმპერიის არათურქულ მხარეებში შემსწავლელი კომისიის გაგზავნის გადაწყვეტილება მიიღო. თავიდან ჩაფიქრებული იყო, რომ კომისიაში თავისი დელეგატები ბრიტანელებს, ფრანგებს და იტალიელებსაც უნდა მიეწველინათ, მაგრამ მათ საკითხისადმი დაინტერესება არ გამოიჩინეს. ასე შედგა ამერიკული კომისია ჰენრი კინგისა და ჩარლზ კრეინის მეთაურობით,

რომელიც კინგ-კრეინის კომისიის სახელით არის ცნობილი. მათ ევალებოდათ პალესტინის, სირიის, მესოპოტამიის, კილიკიის, სომხეთის საკითხების ადგილზე შესწავლა და რეკომენდაციების მომზადება. იმავე წლის ზაფხულში კომისიამ ნაყოფიერად იმუშავა, მოიარა მისთვის საინტერესო რეგიონები და პრეზიდენტს წარუდგინა რეკომენდაციები. დადებული დასკვნა მხარს უჭერდა დამოუკიდებელი სომხური სახელმწიფოს შექმნას, თუმცა მას მოიაზრებდა ანატოლიასთან ერთად ერთიანი საერთაშორისო მანდატის ქვეშ. სომხური პოლიტიკური ელიტის მისწრაფებას ამერიკული კომისია “იმპერიალისტურ მოთხოვნად” აფასებდა, რადგან მათი მოსახლეობა ხოცვა-ჟლეტვამდეც არ ყოფილა კილიკიასა და აღმოსავლეთის ვილაიეთებში 25%-ზე მეტი და სომხურ სახელმწიფოს ფაქტობრივად არასოდეს სჭერია ეს ტერიტორიები. შესაბამისად, კინგისა და კრეინის აზრით, სომხური სახელმწიფო უნდა შემოსახლვრულიყო რუსეთის სომხეთით და თურქეთის სომხეთის იმ ნაწილებით, რომლებიც 1917 წლის მდგომარეობით ეჭირა რუსეთის იმპერიას. “მცირე სომხეთის” ამ ტერიტორიაზეც კი საჭირო გახდებოდა მიგრაციული პროცესების წახალისება, რათა ეთნიკურ სომხებს მოსახლეობის ნახევარი მაინც შეედგინათ (310, 745-863). კომისიისთვის საინტერესო არეალში საქართველო არ შედიოდა, თუმცა რესპუბლიკის დიპლომატიური წარმომადგენელი კონსტანტინოპოლში – გრიგოლ რცხილაძე შეხვდა ჰენრი კინგს. ქართველმა დიპლომატმა ლაზისტანის საქართველოსთან შეერთება ითხოვა. კინგმა გააკვირვება გამოხატა, რომ ამის თაობაზე ლაზებისგან არაფერი სმენია, რაზეც რცხილაძემ უპასუხა, რომ ისინი დაშინებულები იყვნენ და ხმამაღლა ვერ ბედავდნენ საუბარს. მაშინ საქართველოს წარმომადგენელს ეთხოვა ჩუმად მოემზადებინა ლაზების პეტიცია და გადაეცა კომისიისათვის, თავის მხრივ ეს უკანასკნელი კონფიდენციალურობის დაცვის გარანტიას იძლეოდა. თუმცა, რცხილაძის აღიარებით, ის ვერაფერს გახდა, მან ვერ მოახერხა ლაზების პოვნა, რომლებიც პეტიციას შეადგენდნენ (60, 13-14).

14 მაისის მოკავშირეთა უმაღლესი საბჭოს სხდომაზე პრეზიდენტმა უილსონმა პრინციპულად მიიღო ლოიდ ჯორჯის შეთავაზება, რათა შეერთებულ შტატებს მანდატი აელო სომხეთზე, კონსტანტინოპოლსა და სრუტეებზე. თუმცა, ამაზე პირველ რიგში ამერიკის კონგრესს უნდა განეცხადებინა თანხმობა (303, 614-616; 113, 41-42).

კონგრესში შექმნილი იყო მძლავრი ანტიუილსონური ოპოზიცია, რომელსაც ერთ-ერთი არმენოფილი, სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე – ჰენრი კაბოტ ლოჯი ედგა სათავეში, თუმცა მასში, ისევე როგორც მთელს ოპოზიციურ ფლანგში, უილსონის საწინააღმდეგო სენტიმენტები სჭარბობდა არმენოფილურ სიმპათიებს და პრეზიდენტის ყოველგვარი წამოწყება წინააღმდეგობას აწყდებოდა. უილსონისათვის მთავარი პრიორიტეტი კონგრესის მიერ გერმანიასთან ზავის პირობების დამტკიცება იყო, რომელიც ერთა ლიგის წესდების მიღებასთან იყო გადაჯაჭვული. მხოლოდ ამის შემდეგ დადგებოდა სომხეთის მანდატის საკითხი. უინსტონ ჩერჩილი უილსონის შესახებ შენიშნავდა, რომ საერთაშორისო ასპარეზზე ის ცდილობდა მსოფლიო დემოკრატიის სიმბოლო გამხდარიყო, როდესაც თავის ქვეყანაში მხოლოდ დემოკრატიული პარტიის ლიდერად რჩებოდა. მან ჩააგდო თანამშრომლობა ამერიკელი ხალხის უმრავლესობის მიერ არჩეულ რესპუბლიკურ პარტიასთან: “მშვიდობა და ყველა ერს შორის არსებული კეთილი ნება საზღვარგარეთ, მაგრამ შეუთანხმებლობა რესპუბლიკურ პარტიასთან სახლში. ეს იყო მისი პოლიტიკური პლატფორმაც და კრახიც. ასევე კიდევ ბევრი რამის კრახი. ერთი კაცისთვის ძნელია ბრწყინვალე ქველმოქმედების, რომელიც მთელს მსოფლიოს ერთმანეთთან ჩაახუტებს, და პოპულისტური პარტიათაშორისი ურთიერბრძოლის მკაცრი ფორმების შეთავსება.” (335, 1767).

სანამ სომხეთზე მანდატს დასამტკიცებლად წარუდგენდნენ, რესპუბლიკურ უმრავლესობას სჭირდებოდა საკითხის ცოდნა, ასევე საჭირო იყო ამერიკულ საზოგადოებაში არმენოფილური სენტიმენტების პროპაგანდირება. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, თვით შეერთებული შტატების მთავრობას არ ჰქონდა ზუსტი ინფორმაციები სომხეთში შექმნილი რეალობის, საჭიროებების, მანდატის აღებისათვის აუცილებელი სახსრების, გამოსაყენებელი ჯარების რაოდენობის, სავარაუდო სამანდატო ტერიტორიის და მანდატის ხანგრძლივობის შესახებ.

ამ საკითხებთან მიმართებაში მითი და რეალობა ერთმანეთში იყო არეული და მათ შესასწავლად პრეზიდენტ უილსონის მიერ გაიგზავნა “სომხეთში ამერიკის სამხედრო მისია”, რომელსაც სომხეთში უმაღლესი კომისრობის ყოფილი კანდიდატი – გენერალი ჯეიმს ჰარბორდი მეთაურობდა. მისთვის მიცემულ ინსტრუქციებში ეწერა: “დაუყოვნებლივ გაემგზავრეთ სამთავრობო გემით კონსტანტინოპოლისკენ, ბათუმისკენ და სომხეთთან

დაკავშირებულ სხვა ადგილებში, რუსეთის სამხრეთ კავკასიაში, სირიაში, რაც თქვენთან უკვე განხილული ინსტრუქციების განხორციელების საშუალებას მოგცემთ. სასურველია გამოიძიოთ ყველაფერი, სადაც რეგიონში შესაძლო ამერიკულ ინტერესსა და პასუხისმგებლობას დაინახავთ. მოხსენებას გააკეთებთ პოლიტიკურ, სამხედრო, გეოგრაფიულ, ადმინისტრაციულ, ეკონომიკურ და სხვა საკითხებზე.” (295, 3). იმისათვის, რომ კონგრესის გაღიზიანება არ გამოეწვიათ, ინსტრუქციაში ფორმალურ დონეზე მანდატი არ ყოფილა ნახსენები. მისია სამოცამდე წევრს აერთიანებდა. მის შემადგენლობაში შედიოდნენ: პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო, ადმინისტრაციული, დემოგრაფიული, სასოფლო-სამეურნეო, გეოგრაფიული, სასარგებლო წიაღისეულის, პრესის, სატრანსპორტო ექსპერტები. თითოეულს საკუთარ სფეროში უნდა დაეწერა მოხსენება, რაც საბოლოო ჯამში ჰარბორდის ერთიან რეპორტში გაერთიანდებოდა (295, 3).

მისია გემით ჩავიდა კონსტანტინოპოლში; იქიდან, ანატოლიის რკინიგზით, გაემგზავრა კილიკიაში; შემდეგ ავტომობილებით და ცხენებით შემოიარეს თურქეთის სომხური ვილაიეთები. ჯერ პარიზსა და კონსტანტინოპოლში, შემდეგ მონახულეულ თითოეულ მხარეში, ქალაქში, მისიის წევრები შეხვდნენ მოკავშირეთა წარმომადგენლებს, ადგილობრივ თურქ ოფიცოზებს, სომეხ ლტოლვილებს, ჰუმანიტარულ დახმარებაში ჩართულ ამერიკული ორგანიზაციების მუშაკებს, ცალკეულ ეროვნებათა კერძო პირებს – ბერძნებს, ქურთებს, არაბებს, ებრაელებს, სპარსელებს, თათრებს და სხვებს. ჰარბორდმა ინახულა როგორც ოსმალეთის იმპერიის ოფიციალური ხელისუფლების ადმინისტრაციის წევრები, ასევე ნაციონალისტური მოძრაობის მომხრეები მუსტაფა ქემალ ფაშას მეთაურობით.

სომხეთში მთავრობის წევრებთან და პატრიარქთან შეხვედრას თბილისისკენ “გაურკვეველი გზებით” მგზავრობა მოჰყვა. ამერიკელებმა გადაიარეს ჩატეხილი ხიდები, ხოლო ბოლო ოცი მილი მესამე კლასის კლდოვან გზაზე, მდინარე მტკვრის ტყიან ხეობას მიჰყვებოდა. თუმცა, ერევნის შემდეგ, ჰარბორდი თბილისით, მისი ლამაზი შენობებით მოიხიბლა, რომელიც სიმდიდრისა და ფუფუნების ნიშნებს ავლენდა. მას ასევე მოეწონა ქართველთა სილამაზე, ტრადიციული ჩაცმულობა, მაგრამ გააკვირვებულ იყო იმით, რომ ძალიან ბევრი ხალხი, მათ შორის პიანისტები, გამყიდველები, მძღოლები, თერძები “პრინცის” ტიტულს ატარებდნენ, რაც მეტზე არაფერზე მიანიშნებდა

თუ არა მათ წარსულ არისტოკრატიულ წარმომავლობაზე. საქართველოსა და აზერბაიჯანში ყოფნის მანძილზე ჰარბორდს გვერდიდან არ მოშორებია ბრიტანეთში საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენელი – დავით ღამბაშიძე. მეფისნაცვლის ყოფილ სასახლეში მას შეხვდა მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი – ევგენი გეგეჭკორი, თავად ჟორდანიას ავადმყოფობის გამო აუდიენციაზე ვერ მივიდა. შეხვედრამ სამ საათს გასტანა.

თბილისიდან მისია ბაქოში გაემგზავრა. ჰარბორდი მოხიბლული იყო, მთავრობის მიერ გამოყოფილი, იმპერატორისა და ყოფილი მეფისნაცვლის მატარებლით, სადაც მან იგრძნო “ყველაზე მეტი ფუფუნება, რაც აქამდე მოგზაურობისას შეხვედრია” და ასევე “ცხელი და ცივი წყალი, ფაიფურის ნიჟარა” და ა.შ. მათ თან გაჰყვნენ თბილისში აზერბაიჯანის წარმომადგენელი და “გენერალური მენეჯერი” ღამბაშიძე, რომლებიც იმდენად ყურადღებიანები იყვნენ, რომ მისიის წევრებს საკუთარი თავისთვის დრო აღარ დარჩათ.

2 ოქტომბერს საქართველოს მთავრობის ოფიციალური გაზეთი “საქართველოს რესპუბლიკა” იტყობინებოდა, რომ ჰარბორდს თბილისში დახვდნენ საპატიო ყარაულით, ცხენოსანთა და მილიციელთა რაზმებით, რომლებიც მთელ გზაზე მიაცილებდნენ გენერალს. ასევე ხაზი ესმებოდა იმას, რომ ის პრეზიდენტ უილსონის დავალებით იყო ჩამოსული (387). მომდევნო დღეს გაზეთი საზეიმოდ წერდა: “3 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზე, გენერალ ჰარბორდის საპატივცემულოდ, ქართული კლუბის დარბაზში გაიმართა ბანკეტი. მას ესწრებოდნენ გენერალი ჰარბორდი და პოლკოვნიკი ჰასკელი, ამერიკელთა დელეგაცია, სულ 40 კაცი. ქართული მხრიდან მთლიანად მთავრობა, აღმასრულებელი ხელისუფლება და გენერალიტეტი, სულ 200 კაცი. თამადაობდა დავით ღამბაშიძე, რომელმაც პირველი ადღეგრძელა პრეზიდენტი უილსონი და აღნიშნა მისი ღვაწლი ზავის ჩამოგდებისა და მცირე ერთა დახმარების საქმეში. შემდეგ ადღეგრძელა ნოე ჟორდანიას, რესპუბლიკის თავმჯდომარე და ქართველი ხალხის ბელადი. ამას მოჰყვა გენერალ ჰარბორდის, პოლკოვნიკ ჰასკელის, მათი ამაღლის, ქართული ჯარისა და თავისუფლების მოყვარე ამერიკელი ერის სადღეგრძელო, რომელიც აუცილებლად დაეხმარება ქართველ ერს თავისუფლების გზაზე. ჰარბორდს სადღეგრძელოში უსურვეს მისიის წარმატებით დასრულება. ჰარბორდმაც ადღეგრძელა ქართველი ერი, რომელსაც

ათასი წლის ისტორია აქვს, უამრავი ვაჟკაცი და ლამაზი ქალი ჰყავს. 11:30-ზე ჰარბორდმა და ჰასკელმა, საქმეების გამო, მობოდიშებით დატოვეს ბანკეტი.” (388).

გაცილებაც პომპეზური მოუწყვეს მისიას. ისევ საპატიო ყარაული, ეროვნული ჰიმნები, რკინიგზებზე გახშირებული ყაჩაღობების გამო თბილისიდან ბაქომდე და შემდეგ ბათუმამდე მატარებლების უსაფრთხოება დაცული იყო საქართველოს მთავრობის მიერ. თავიანთი სტუმართმოყვარეობით ქართველებმა მოახერხეს ჰარბორდისათვის თავის მოწონება. ის გამგზავრების მომენტის შესახებ წერდა: “გულდია და სათნო, სიამოვნების მოყვარე ქართველები არიან მიმზიდველნი და ჩვენი მისია მათ დაემშვიდობა დიდი მწუხარებითა და კეთილი სურვილებით.” (382, 279).

ქართულმა პოლიტიკურმა ელიტამ ჩათვალა, რომ თავისი გადაჭარბებული თავგამოდებითა და სტუმრისათვის ფუფუნების შეთავაზებით, პოლიტიკური ამოცანების გადაჭრაც მოხერხდა. ამასვე ადასტურებდა ჰარბორდის მიერ, გამგზავრების შემდეგ, ნოე ჟორდანიასათვის მიწერილი წერილიც, სადაც აღნიშნული იყო, რომ საქართველოს მთავრობასთან შეხვედრამ ძალიან სასიამოვნო შთაბეჭდილება დასტოვა და სასარგებლო იყო მისიისთვის. გენერალი კიდევ ერთხელ უსვამდა ხაზს ქართველი ხალხისადმი პატივისცემას (18, 5; 389). იგივე ილუზიები შეიქმნა აზერბაიჯანშიც. ბანკეტების და მინისტრების მიერ მოწყობილი ექსკურსიების შემდეგ, არც მათ დააკლო კომპლიმენტები ამერიკელმა მისიონერმა (366, 482-485). საქართველოს მთავრობა, პარიზული დელეგაციისთვის გაგზავნილ საინფორმაციო ბიულეტენში, რწმენას გამოთქვამდა, რომ ჰარბორდი ცალსახად კეთილგანწყობილი წავიდა საქართველოდან (18, 1-4).

თუმცა, უცხოურ მისიებში გამოცდილ გენერალს, სტუმართმოყვარეობა პოლიტიკურ რეალობაში არ არეგია. მისი თავაზიანობაც დიპლომატიური ზრდილობის ფარგლებს არ სცილდებოდა. მის რეპორტსა და პირად შთაბეჭდილებებში, ზოგჯერ გადაჭარბებული, ან ფაქტებთან დაშორებული, ტენდენციურიც, მაგრამ მთლიანობაში მწარე პოლიტიკური რეალობა აღიწერა.

ისევე როგორც 1918 წლის მიწურულის ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მემორანდუმებში, ქართველთა მოყვარე ოფიცოზების დახმარებით,

გაჩნდა საქართველოს ისტორიულ და თანამედროვე რეგიონალურ ლიდერობაზე მინიშნებები, ასევე ჰარბორდის რეპორტზეც იმოქმედა მის მისიაში წარმოშობით სომეხი, ამერიკელი ოფიცრების ყოფნამ და ზოგადად შეერთებულ შტატებში გავრცელებულმა არმენოფილურმა სენტიმენტებმა.⁴⁶ მოხსენების ისტორიულ შესავალში აღნიშნული იყო, რომ ანტიკურ ხანაში სომხეთი გადაჭიმული იყო კასპიის, შავ და ხმელთაშუა ზღვებზე; სომხები ერად ჩამოყალიბდნენ ათასი წლით უფრო ადრე, ვიდრე დანარჩენი ევროპელები, საბერძნეთისა და რომის გამოკლებით; სომხეთის უკანასკნელმა მეფე ლეონ მეექვსემ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა საფრანგეთსა და ინგლისს შორის ასწლიანი ომის დასრულებაში; სომხეთში იქადაგეს ქრისტეს მოციქულებმა და ის შეიქმნა მსოფლიოში პირველ ქრისტიანულ ერად 301 წლიდან; აქ გადიოდა ქრისტიანობის უკიდურესი აღმოსავლეთი საზღვარი; ბიზანტიის გამორჩეული 16 იმპერატორი წარმოშობით სომეხი იყო; ამ ერის წარმომადგენლები გახლდნენ ცნობილი ელჩები, ვაჭრები, მსახიობები; ჰარბორდი ათასწლოვანი ქართული სამეფო დინასტიის წარმომავლობასაც სომხურ ფესვებს უკავშირებდა (295, 3).

თუმცა, სომხების დახასიათებისას მას კრიტიკული აზროვნება არ მოსდუნებია. ამერიკელი გენერალი მათ მეზობელი ხალხებისადმი უპატივცემულობაში, ქურთების, თურქების, აზერბაიჯანელების ხოცვაში ადანაშაულებდა. ის სომხებს ადარებდა რუსეთსა და პოლონეთში მაცხოვრებელ ებრაელებს, რომლებიც თავიანთ კომერციულ ნიჭს უფრო ჩამორჩენილი ხალხების წინააღმდეგ იყენებდნენ და მოჰყავდა ახლო აღმოსავლეთში გავრცელებული გამოთქმა – “სომეხი კანონის მიხედვით არასოდეს არის მტყუანი, მაგრამ მორალურად არასოდეს არის მართალი.” ჰარბორდი არ იყო დარწმუნებული მათი თვითმმართველობის უნარში, მაგრამ ცალსახად ეწინააღმდეგებოდა მუსლიმ უმრავლესობაზე სომხური უმცირესობის ხელისუფლების დამყარებას (295, 18).

რეპორტში აქცენტი გაკეთდა, ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნიდან მოყოლებული, სომეხი ხალხის ხოცვა-ჟლეტვაზე, რომელსაც დაახლოებით 800000 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. გარდა ამისა ჰარემებში გაყიდეს, გააუპატიურეს, ვენერიული ინფექციებით დაავადეს ათასობით სომეხი ქალი.

⁴⁶მისიის შემადგენლობაში შედიოდნენ ლეიტენანტი არუთინ ხაჩატურიანი, სერჟანტი არამ კოჯასარი, სერჟანტი დიკ ოპანესიანი და რიგითი დიკრან სერიჯანიანი (346, 335).

ლტოლვილთა რაოდენობა დაახლოებით ნახევარი მილიონით ფასდებოდა (295, 6-8).

ამერიკელი გენერალი მთლიანობაში შემდეგნაირად ახასიათებდა რეგიონში მაცხოვრებელ ხალხებს: “...ველური, დაძონძილი ქურთები, სათნო ქართველები, საეჭვო აზერბაიჯანელები, უნარიანი სომხები და საშიში თურქები.” (295, 9-10). ქრისტიანი ხალხისადმი მისი პრეფერენცია თურქეთიდან სომხეთში გადასვლის დროსაც გამოჟღავნდა: “გარკვეული უსაფრთხოების კომფორტული გრძნობა დაგვეუფლა ქრისტიანთა შორის, მას შემდეგ, რაც საკმაო კონტაქტის ქონა მოგვიწია თურქეთში მუსულმანურ რწმენასთან...” (382, 273).

ქრისტიანებისადმი სიმპათია სულაც არ ნიშნავდა იმას, რომ ამ ქვეყნების მთავრობებისადმი აუცილებლად კარგი განწყობა შეექმნებოდა მისიას. ჰარბორდი განსაკუთრებით ჰიპერკრიტიკული საქართველოს სოციალ-დემოკრატიული ხელისუფლებისადმი იყო. ისევე როგორც ბრიტანელ სამხედროებს, მასაც გაუჭირდა ბოლშევიკურ და მენშევიკურ წითელ დროშებს შორის სხვაობის დანახვა. ის იყო იმ ქვეყნიდან, სადაც კერძო საკუთრება ყველაზე დიდად ფასობდა და ჩავიდა ახალშექმნილ, პოსტკოლონიურ რესპუბლიკაში, სადაც მსხვილ მესაკუთრეთა მიწების გლეხებისათვის გადაცემა, სტრატეგიული საწარმოების ნაციონალიზაცია რევოლუციის მონაპოვრად ითვლებოდა.

“ბოლშევიკურ ზეგავლენას”, როგორც ის უწოდებდა, ჰარბორდი რატომღაც მიაწერდა 1917 წელს თურქეთის ფრონტიდან მოსხნილი, გაბოლშევიკებული 700000 რუსი ჯარისკაცის საქართველოზე გავლას. მან კარგად აღწერა, რომ მეცხრამეტე საუკუნის შუაწელში, იმპერატორ ალექსანდრე მეორეს მიერ მათ გათავისუფლებამდე, გლეხობა დაყმევებულ მდგომარეობაში იყო, შემდეგ ისინი იქცნენ თავისუფალ, მაგრამ უმიწო ხიზნებად. მათ მიწის გამოსყიდვის უფლება მიიღეს, მაგრამ ამას ვერ ახერხებდნენ, ხოლო დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობამ მესაკუთრეებისათვის ჩამორთმევა და გლეხებისათვის გადაცემა გადაწყვიტა. “ქონების წართმევა იმის გამო, რომ ის სხვა ვიღაცას სჭირდებოდა”, მისიის მეთაურს მიუღებლად მიაჩნდა. მთავრობის სახლზე ეროვნულ დროშასთან ერთად აღმართული რევოლუციის წითელი დროშა კიდევ ერთი საკითხი იყო, რომელმაც ჰარბორდის უკმაყოფილება

გამოიწვია. მას აუხსნეს, რომ ეს იყო რევოლუციური აღტყინებისადმი დროებითი დათმობა და დროშა მალე ჩამოიხსნებოდა, მაგრამ გენერალი შენიშნავდა “ქართველს შეუძლია აღფრთოვანდეს საკუთარი დროშით, მაგრამ ამავე დროს მიგითითოს წითელ დროშაზე, რომელიც მასზე მაღლა ჰკიდია. ეს აჩვენებს თუ რამდენად განსხვავდება მათი შეხედულება ჩვენისგან.” მაშინდელი მსოფლიოსათვის უცხო ხილი – მოკლე სამუშაო საათები, დამსაქმებელს და დასაქმებულს შორის უთანხმოების შემთხვევაში სავალდებულო არბიტრაჟი, ვერ იწვევდა გენერლის შეწყნარებას. სამხედრო-პოლიტიკურ ვითარებაზე ის შენიშნავდა, რომ საქართველო და აზერბაიჯანი დენიკინის მხრიდან მუდმივი საფრთხის ქვეშ იყვნენ, ქართულ არმიას საომარ ვითარებაში უხდებოდა არსებობდა და მისი ძალები ჩრდილოეთით იყო გადასროლილი (382, 277; 295, 13).

საქართველოსა და ქართულ არმიაზე კიდევ უფრო სკეპტიკური, წარმოდგენა ჰქონდა მისიის სამხედრო ექსპერტს, ბრიგადის გენერალს – ჯორჯ ვან ჰორნ მოსლის. ის ხაზს უსვამდა სომხეთთან, აზერბაიჯანთან და დენიკინთან არსებულ სასაზღვრო პრობლემებს. ქართულ არმიას, აფხაზეთის მიმართულებით, მორადიობაში სდებდა ბრალს. ქართული შეიარაღებული ძალების შესახებ მოხსენებაში წერდა, რომ ისინი “თათრებზე უკეთ, მაგრამ სომხებზე უარესად აზროვნებენ”. “მაგრამ”, განაგრძობდა მოსლი, “ისტორია ომში მათ არასაიმედოობაზე მეტყველებს”. ის კიდევ უფრო ირონიული იყო მთავრობის შეფასებისას: “არც საქართველოს მთავრობა და არც ქართველები სტაბილურები არ არიან. მათ არაჩვეულებრივი ბანდიტური ქცევის მანერები აქვთ. პანჩის და ჯუდის წარმოდგენა⁴⁷ გაგახსენდებათ იმის დანახვაზე თუ როგორ თამაშობენ თვითმმართველობით.” (297, 20-22).

მოსლი და ჰარბორდი, ორივე თანხმდებოდნენ, რომ ბრიტანელების გასვლის შემთხვევაში ბათუმის გარშემო დენიკინს, საქართველოსა და თურქებს შორის მოსალოდნელი იყო ბრძოლა. ისინი პატრიკ სტივენსისა და ჯორჯ მილნის მოსაზრებას იმეორებდნენ, რომ ბათუმის მუსულმანი მოსახლეობა ქართველების წინააღმდეგ იყო განწყობილი (297, 21; 382, 279).

გენერლები ასევე ხაზს უსვამდნენ რკინიგზის გაუმართავ მუშაობას, რომელიც რუსეთის იმპერიის არსებობის პირობებში ერთიან სისტემაში იყო

⁴⁷ პანჩი და ჯუდი – თოჯინების თეატრის ერთ-ერთი სპექტაკლის გმირები

მოქცეული. მოცემულ მომენტში საქართველოს ხელში იყო სატრანზიტო გზა და ვაგონშემკეთებელი საწარმოები, აზერბაიჯანის ხელში საწვავი. საქართველო ემბარგოს უცხადებდა სომხეთში იარაღის შეტანას და ამ უკანასკნელს მისი საწინააღმდეგო საპირწონე ბერკეტი არ გააჩნდა (295, 13-14).

ჰარბორდის შემაჯამებელი დასკვნები გადაჭარბებულად, მაგრამ მაინც არსებულ რთულ ვითარებას ასახავდა. სამივე მთავრობა, დასავლური თვალთახედვით, ზედმიწევნით არაეფექტურნი და კორუმპირებულნი იყვნენ, ისინი ნდობით არ სარგებლობდნენ; რასობრივი და რელიგიური განსხვავებები დიდი სირთულეების წინათგრძნობას ბადებდა; მათ შორის არ არსებობდა სატრანზიტო, საბაჟო, საფოსტო შეთანხმებები და დიდი ხალისით ბლოკავდნენ ერთმანეთს. თითოეულის მისწრაფებაზე მისიის ხელმძღვანელი წერდა: “სომხეთი ალბათ მხარს დაუჭერდა, აღდგენის შემთხვევაში, მასზე რუსეთის მიერ მანდატის აღებას; საქართველო იხსენებს მის ძველ დამოუკიდებლობას და ბოლომდე არასოდეს შეჰკუებია რუსულ მმართველობას; აზერბაიჯანელებს – თათრებს და მუსულმანებს, ორი გრძნობა აქვთ: თურქეთთან კავშირი და უნდობლობა ქრისტიანებისადმი.” ამ არეულობამ ამერიკელი გენერალი რუსული მმართველობის სიკეთეებზე აალაპარაკა: “ადმინისტრაციის კორუპციულობისა და ეროვნულ მისწრაფებათა უხეში რეპრესიების მიუხედავად, რუსეთმა სამხრეთ კავკასიას უსაფრთხოება და წესრიგი მიანიჭა. განავითარა, მოახდინა მისი ცივილიზება, რასაც კავკასიის მრავალრიცხოვანი ერები მარტონი დიდხანს ვერ მოახერხებდნენ.” რუსეთის მაგალითზე, ჰარბორდმა რეგიონის ერთ სამანდატო სივრცეში გაერთიანების აუცილებლობა დაინახა, რომელზეც, მისი რწმენით, სამივე რესპუბლიკა დათანხმდებოდა. თუმცა, ის გაფრთხილებას იძლეოდა, რომ ასეთი პასუხისმგებლობის აღება დიდი ტვირთი იქნებოდა და სამაგიეროდ ადგილობრივთაგან მიიღებდნენ უმადურ დამოკიდებულებას, ხოლო აღდგენილი რუსეთის მხრიდან დიპლომატიურ ურთიერთობათა გართულებას. ერთადერთი ჯილდო, რომელსაც მანდატორი მიიღებდა, შეიძლებოდა ყოფილიყო “ცოდნა იმისა, რომ მსოფლიო მშვიდობის დამყარებასა და ჩაგრული ხალხის აღდგენაში წვლილი იქნა შეტანილი.” (295, 14; 382, 280).

უფრო მეტიც, ჰარბორდი ამტკიცებდა, რომ კონსტანტინოპოლი, ანატოლია და სამხრეთ კავკასიას ერთ სახელმწიფოს უნდა ემართა. ამის სამტკიცად მას ეკონომიკური, პოლიტიკური, სასაზღვრო და დემოგრაფიული არგუმენტები

მოჰყავდა. “რა უნდა ვუქნათ თურქეთს? რას აპირებს რუსეთი? ამ საკითხების საბოლოო გადაწყვეტამდე, მისიას მიაჩნია, რომ სახელმწიფო, რომელიც სომხეთზე აიღებს მანდატს, მანდატორი უნდა იყოს კონსტანტინოპოლისთვის, რუმელიისთვის, ანატოლიისა და სამხრეთ კავკასიისათვის. საზღვრები თურქეთის სომხურ ვილაიეთებსა და ანატოლიას შორის, ამასთანავე სამხრეთ კავკასიის შიდა საზღვრები რუსეთის სომხეთს, საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის უნდა დარჩეს ისე, როგორც დღეს არის. ამ მანდატის სტრუქტურა ადმინისტრაციული დეტალია, რომელიც მანდატორმა სახელმწიფომ უნდა შეიმუშაოს. კარგი ადმინისტრირების მაგალითები მიგვანიშნებს, რომ დედაქალაქსა და პროვინციებს შორის შუამავალი რგოლები უნდა არსებობდეს. ბუნებრივი ადმინისტრაციული დაყოფა ალბათ შემდეგნაირი იქნება: რუმელია, ქალაქი კონსტანტინოპოლი (ფედერალური ოლქი), ანატოლია, სომხეთი, სამხრეთ კავკასია (აქ რუსეთის სომხეთი ნაკლებად იგულისხმება).” იქვე ჰარბორდი თურქეთის ყოფილი იმპერიის ეკონომიკაზე, საგარეო ურთიერთობებზე, შეიარაღებაზე სრული კონტროლის დაწესების რეკომენდაციას იძლეოდა. არა მისიის მიერ რეკომენდირებული მკაცრი, ფაქტობრივად თურქეთის სახელმწიფოებრიობის უარყოფელი, არამედ მსუბუქი ერთიანი მანდატის მომხრე იყო მუსტაფა ქემალ ფაშაც, რომელსაც ამ ფორმით ჰქონდა თურქეთის ერთიანობის შენარჩუნების იმედი (295, 16-20; 381, 184-188).

დასკვნაში ეწერა, რომ მანდატის განხორციელებისათვის, ხუთი წლის განმავლობაში საჭირო იყო 756 მილიონი დოლარი და 59 ათასი ჯარისკაცი, ეს უკანასკნელი ციფრი გარემოებათა ცვლილების პარალელურად შეიძლებოდა შეცვლილიყო. მანდატორის მიერ მოზიდული მატერიალური და ადამიანური რესურსების რაოდენობა, ადგილობრივი პოლიციური ძალების გაწვრთნასთან, ეფექტური ადმინისტრაციის ფეხზე დაყენებასთან ერთად, ყოველწლიურად მოიკლებდა და სამი წლის თავზე, პირველ წელთან შედარებით, განახევრდებოდა. სახელმწიფო, რომელიც ამ პასუხისმგებლობას აიღებდა, ამოცანის ბოლომდე მიყვანამდე უკან გამობრუნებას ვერ შეძლებდა და მას ადგილზე უნდა გაეგზავნა თავისი ქვეყნის ყველაზე გამოცდილი სპეციალისტები. რეპორტის ბოლოს ჰარბორდმა ორ მწკრივად დააჯგუფა ამერიკის მიერ მანდატის აღების მხარდამჭერი 14 და საწინააღმდეგო 13 არგუმენტი. მომხრე არგუმენტთაგან ფაქტობრივად ყველა საკითხის მორალურ მხარეზე მიუთითებდა, მაგალითად: “როგორც ერთა ლიგის ჩამოყალიბებაში

მთავარმა კონტრიბუტორმა, ამერიკამ ვალდებულებები და სამანდატო პასუხისმგებლობები უნდა აიღოს”; “ამერიკა ყველა დაინტერესებული ხალხის ერთიანი არჩევანი და იმედია”; “ინტერვენცია ჩვენი ხალხის მსოფლიო პოლიტიკაში ლიბერალურ განათლებას გამოიწვევს” და ა.შ.; ხოლო საწინააღმდეგო არგუმენტთა შორის უფრო რაციონალური, მონროს დოქტრინიდან გამოსული მოსაზრებები სჭარბობდა: “შეერთებულ შტატებს აქვს უფრო მნიშვნელოვანი და ახლო საგარეო ვალდებულებები, საკმაო საშინაო პასუხისმგებლობები, რომლებიც ომის შედეგად წარმოიშვა”; “ეს რეგიონი მილიტარიზმისა და იმპერიალიზმის საბრძოლო ასპარეზი იყო საუკუნეთა განმავლობაში. ყველა მხრივ მოსალოდნელია, რომ ამბიციური ერები მის გასაკონტროლებლად მანევრებს განახორციელებენ. ეს დაასუსტებს მონროს დოქტრინიდან გამომდინარე ჩვენს პოზიციებს და სავარაუდოდ დაპირისპირებაში შეგვიყვანს აღდგენილ რუსეთთან...”; “კაცთმოყვარეობა უნდა იწყებოდეს სახლიდან. საყოველთაოდ აღიარებულ ამერიკული ინტერესების სფეროებში საკმაო რაოდენობის სიძნელეებია, რომლებიც ჩვენგან მოქმედებას მოითხოვენ” და ა.შ. (295, 24-29).

მისიის შეერთებულ შტატებში დაბრუნება პრეზიდენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებას დაემთხვა. მას არ უნახავს ჰარბორდის რეპორტი, მაგრამ აღმასრულებელ ხელისუფლებასა და ოპოზიციურ კონგრესს შორის ურთიერთობა იმდენად დაიძაბა, რომ საკითხის განხილვისას პრაქტიკულ არგუმენტებს გადამწყვეტი მნიშვნელობა უკვე აღარ ჰქონდა. რესპუბლიკელები იდეას არა მარტო იმიტომ ეწინააღმდეგებოდნენ, რომ ის მონროს დოქტრინიდან გადახვევა და შეერთებული შტატებისთვის უმადური საქმე იყო, არამედ ის განიხილებოდა როგორც პრეზიდენტ უილსონის წამოწყება. თუმცა, მანდატის საკითხზე კონგრესში დებატები 1920 წლის ზაფხულამდე გაგრძელდა და მის მომხრეთათვის წარუმატებლად დასრულდა (346, 366-403).

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისათვის, ამერიკული საზოგადოებისა და პოლიტიკური ელიტის ცნობიერების ამაღლების თვალსაზრისით, ჰარბორდის რეპორტს არაკეთილისმყოფელი გავლენა ჰქონდა. ქართველი ხალხისადმი გენერლის პირად სიმპათიებს, მენშევიკური ხელისუფლებისადმი უარყოფითი დამოკიდებულება ჩრდილაგდა, რადგან თუ დამოუკიდებელ საქართველოს შეერთებული შტატებისგან პოლიტიკური

დახმარება სურდა, ის პირველ რიგში ქვეყნის მთავრობას უნდა მიეღო. მისიამ კიდევ უფრო გაამყარა ამერიკელთა წარმოდგენა იმაზე, რომ კავკასიაში მოწინავე დასაყრდენი ერი სომხები იყვნენ. ობიექტურ გარემოებათა გამო, როგორც ყველა ცოცხალი ორგანიზმი, არც მისია ყოფილა დაზღვეული ტენდენციურობისგან, მაგრამ მას არ ჰქონია რომელიმე მხარის დისკრედიტაციის ან დადებითათ წარმოჩენის წინასწარ განზრახული მიზანი. ის ცდილობდა ფაქტები სიზუსტით წარმოეჩინა და შეფასებებისას დაუშვა ალბათ იმაზე ნაკლები შეცდომა, ვიდრე ძალიან კომპლექსური საკითხის შესასწავლად მხოლოდ ერთ თვიან სამუშაო ვადაში იყო შესაძლებელი. მეორე საკითხია ის, რომ იმდროინდელ მსოფლიოში, ასეთ საპასუხისმგებლო ამოცანათა შესასრულებლად იგზავნებოდნენ არა მეცნიერები და სამოქალაქო პირები, რომლებიც მთელი ცხოვრება კონკრეტულ რეგიონს სწავლობდნენ, ადგილზე ჰქონდათ გატარებული ცხოვრების გარკვეული ნაწილი, არამედ სამხედროები, რომლებიც ამერიკული გადმოსახედიდან უყურებდნენ კავკასიაში შექმნილ პოსტრევოლუციურ, ტურბულენტურ ვითარებას.

თუმცა, როგორც თბილისში, ასევე პარიზში ქართულ დელეგაციას 1920 წლის აპრილამდე, რეპორტის ოფიციალურად გამოქვეყნებამდე ეგონათ, რომ შეერთებულ შტატებში დადებითი იმიჯი შეიქმნეს. ამ რწმენას აძლიერებდა, 1919 წლის ნოემბერში, ქართული დელეგაციის შეხვედრა, უმაღლესი საბჭოს წინაშე მოხსენების გასაკეთებლად ჩასულ, პოლკოვნიკ ჰასკელთან. უმაღლესმა კომისარმა ჩხეიძესა და ავალიშვილს განუცხადა, რომ საქართველოში პოლიტიკური პირობები სრულიად დამაკმაყოფილებელი იყო; ქართულ-სომხური ურთიერთობები გაუმჯობესდა; მართალია, მას პირადად უწევდა თითოეულ ვაგონზე თვალყურის დევნება, მაგრამ საქართველოს მთავრობა ძალიან მონდომებული იყო, რომ ყველანაირად დახმარებოდა სომხეთისკენ ტვირთების გატარებას; ქვეყანაში კარგი მდგომარეობა იყო და მთავრობას საქმე კარგად მიჰყავდა; მის წამოსვლამდე, თბილისში დაიწყო სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკათა კონფერენცია, რომელსაც სადავო ტერიტორიების საკითხი უნდა გამოერკვია და, ჰასკელის მტკიცებით, მოლაპარაკებები იმდენად კარგად მიდიოდა, რომ იმედი ჰქონდა პარიზიდან დაბრუნების შემდეგ აღნიშნული პრობლემები გადაწყვეტილი დახვდებოდა. დელეგაციას ჰკითხა, უმაღლეს საბჭოში გამოსვლისას, მათი აზრით რა საკითხებზე უნდა გაემახვილებინა ყურადღება. თვითონ განაცხადა, რომ მთავარ აქცენტებს დენიკინთან

ურთიერთობაზე, სოჭის მიმართულებასა და ლორეს ნეიტრალურ ზონაზე გააკეთებდა. პოლკოვნიკი ქართველ დელეგატებს არწმუნებდა, რომ მთავარი პრობლემა ადგილზე სასურსათო პროდუქტების გამანაწილებელი ორგანიზაციების არყოფნა იყო. აღნიშნული საუბრის გათვალისწინებით, დელეგაციის სხდომაზე, ქართველმა დიპლომატებმა ერთხმად განაცხადეს: “საზოგადო შთაბეჭდილება ისეთი გამოვიტანეთ, რომ სიმპათიით უყურებს საქართველოს, ძალიან თავაზიანათ და მეგობრულათ მიგვიღო...” (31, 120; 51, 36-37; 318, 267).

ჰასკელმა ყალბი ქათინაურებით აავსო აზერბაიჯანული დელეგაციაც. მასთან შეხვედრის შემდეგ თოფჩიბაშევი პარიზიდან ბაქოს აცნობებდა: “...ბატონი ჰასკელი ქება-დიდებათ საუბრობდა იმ წესრიგზე, რომელიც ჩვენთან ნახა: ძალიან კმაყოფილია ბაქოში მისთვის მოწყობილი მიღებით. ჩვენი ხალხი მას ძალიან მოეწონა და განაცხადა “ის მშვიდობიანი ერია და სულაც არ არის სომეხი ხალხის მტერი. ეს უკანასკნელიც მშვიდობიანად იცხოვრებდა პოლიტიკოსები რომ არა...” მან რწმენა გამოთქვა, რომ კავკასიელ ერებს შეეძლოთ მშვიდობიანი თანაარსებობა და იქვე ერთიანი მანდატის საჭიროებაზე მიანიშნა. რამდენიმე წელიწადში, ვითარების დარეგულირების შემდეგ, ყველა თითოეული რესპუბლიკა დამოუკიდებლად იარსებებდა “მანდატისგან პირველები თქვენ, აზერბაიჯანელები იქნებით გათავისუფლებულნი”, დაასკენიდა პოლკოვნიკი. აზერბაიჯანელთა გულის მოსაგებად მან ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ აქამდე ყველას მხოლოდ სომხები მიაჩნდა მსხვერპლად, მაგრამ მან დაინახა, რომ “არც ყველა სომეხია კარგი, ისევე როგორც ყველა თურქი ცუდი”. თოფჩიბაშევი გახარებული წერდა საკუთარი მთავრობის თავმჯდომარეს: “როგორც ჩანს, ჩვენმა ქვეყანამ მასზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა, რაც, რასაკვირველია, ძალიან სასიამოვნოა.” (372, 83-85).

თუმცა, ორივე დელეგაცია შეცდომაში იქნენ შეყვანილნი. ჰასკელი პარიზში საქართველოსა და აზერბაიჯანზე უფლებამოსილებათა გაგრძელების მოსაპოვებლად ჩავიდა. მას, უმაღლესი საბჭოს თანხმობასთან ერთად, აღნიშნულ რესპუბლიკათა კეთილგანწყობის მოპოვებაც სჭირდებოდა.

საბჭოს 14 ნოემბრის სხდომაზე ის სულ სხვა შინაარსის მოხსენებით წარსდგა. მისი თქმით “სამი რესპუბლიკა – საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი თითქმის ყველა საკითხზე დანა-სისხლად არიან ერთმანეთს

გადაკიდებულნი”; სამივე ქვეყანაში წარმოდგენილად ცუდი პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარება იყო; ამ ქვეყნებს შორის მტრობის გარდა, ცალკე დაბრკოლებას წარმოადგენდა სარკინიგზო მოძრაობა, რადგან თითოეულს შეეძლო ტრანსპორტის ბლოკირება; საქართველო სომხეთისაკენ არ უშვებდა საკვებ პროდუქტებს; მათ შორის არსებობდა, ბრიტანელთა მიერ დადგენილი, ნეიტრალური ტერიტორიები, რაც პერსპექტივაში საშიშროებას ჰქმნიდა. ის საქართველოსა და სომხეთის მთავრობებს ფაქტობრივად ანტისაკაცობრიო დანაშაულშიც ამხელდა: “...ათასობით სომეხი საქართველოს პოლიტიკური საზღვრების შიგნით აღმოჩნდა. ქართველები მათ არ გამოკვებავენ, იმიტომ რომ ისინი სომეხი ეროვნებისანი არიან, მეორე მხრივ სომხები მათ დახმარებაზე უარს აცხადებენ, რადგან ისინი საქართველოს ტერიტორიაზე ცხოვრობენ.”

პრობლემის არსსა და გამოსავალს ჰასკელი მისთვის დანარჩენ ორ რესპუბლიკაზე უფლებამოსილების გაგრძელებაში ხედავდა. ის საბჭოს უმტკიცებდა, რომ ეფექტურად ვერ განახორციელებდა თავის სამუშაოს, რადგან საქართველო და აზერბაიჯანი მისი იურისდიქციის მიღმა რჩებოდნენ, რაც ანომალური ვითარებას ქმნიდა. ათასობით ადამიანი კონტროლის გარეშე იღებდა დახმარებას ბაქოსა და თბილისში; გარდა ამისა, ერთიანი ადმინისტრაციის დაწესებით შესაძლებელი გახდებოდა ნეიტრალური ზონების გაუქმება და დროებითი საზღვრების დაწესება (307, 167-168).

ჰასკელმა კარგად იცოდა და ქართულ დელეგაციასთან შეხვედრის დროსაც აღნიშნა, რომ მისი მოადგილის – პოლკოვნიკ რეას თავმჯდომარეობით, თბილისში იმართებოდა ქართულ-სომხური და სომხურ-აზერბაიჯანული კონფერენციები, რომლებზეც ტრანზიტთან, საბაჟოების გაუქმებასთან და ნეიტრალურ ზონებთან დაკავშირებულ საკითხებს განიხილავდნენ. ქართველ დიპლომატებთან შეხვედრისას მან იმასაც გაუსვა ხაზი, რომ მოლაპარაკებები წარმატებით მიმდინარეობდა. უმაღლესი საბჭოს წინაშე მის გამოსვლამდე 11 დღით ადრე საქართველოსა და სომხეთს, ხოლო მისი გამოსვლიდან 9 დღის შემდეგ სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის, გაფორმდა ხელშეკრულებები, სადაც მხარეები საბაჟოების გაუქმებაზე, თავისუფალ მიმოსვლასა და ტერიტორიული დავების არბიტრაჟის წესით, ძალის გამოუყენებლად გადაწყვეტაზე შეთანხმდნენ

(14; 15; 17; 122; 162; 161; 289, 734; 307, 606-607).⁴⁸ ამის შემდეგ სომხეთ-საქართველოს საზღვრებზე ტრანზიტის პრობლემა აღარასოდეს წარმოქმნილა.

რთულ პოლიტიკურ ვითარებაში მიღწეული 3 ნოემბრის ქართულ-სომხური შეთანხმება, რომელზედაც 14 ნოემბრამდე ჰასკელს აუცილებლად უნდა სცოდნოდა, სამშვიდობო კონფერენციას არ მიეწოდა. პირიქით, მან რეგიონში შექმნილი აპოკალიფსური სურათი დაუხატა საბჭოს. უმაღლესმა კომისარმა მოატყუა როგორც სამხრეთ კავკასიის, ასევე მოკავშირეთა დელეგაციის მეთაურები. პირველთ საკუთარი კეთილგანწყობა, ხოლო მეორეთ რეგიონში ესკალირებული ვითარება დაანახა. არც ერთი იყო სიმართლე, არც მეორე, მაგრამ სხვაგვარად მოკავშირე დიპლომატები მისთვის უფლებამოსილებათა გაზრდის საჭიროებას ვერ დაინახავდნენ, ხოლო საქართველოსა და აზერბაიჯანის წარმომადგენლები მათ ტერიტორიაზე ჰასკელის იურისდიქციის გავრცელებას სიხარულით ვერ შეხვდებოდნენ.

საქართველოს დელეგაციას, ოქტომბერში ჰარბორდის თბილისში ვიზიტის დროს შექმნილი რწმენა, რომ თითქოს რესპუბლიკამ შეერთებული შტატების კეთილგანწყობა მოიპოვა, ნოემბერში ჰასკელთან პარიზში შეხვედრის შემდეგ კიდევ უფრო განუმტკიცდა. ამას დაემატა ამერიკელი დელეგატის – უილიამ ბაკლერის განცხადება ავალიშვილისადმი, რომ ჰარბორდმა და ჰასკელმა “ძალიან კარგი შთაბეჭდილება გამოიტანეს საქართველოსა და საქართველოს მთავრობაზეო.” (31, 132). თუმცა, მანამდე, 20 სექტემბერს კარლო ჩხეიძე მთავრობის თავმჯდომარე – ნოე ჟორდანიას წერდა: “აქამდის უნუგეშოდ იყო საქმე ამერიკაში, რომელზეც დიდად არის დამოკიდებული ჩვენი ბედის გადაწყვეტა. რა რიგ გავუსწორეთ ჩვენ ანგარიში ამ ნაკლს ნახავთ იმ პირობიდან, რომელიც დაედევით ამერიკის მოქალაქე ჩენდლერთან, რომელთანაც იგივე პირობა დადეს აზერბაიჯანელებმა და ბალტიელებმა. მისი მიზანია, რომ ბალტიის ზღვიდან შავ ზღვამდე შეიქმნას სახელმწიფოთა კავშირი, რომელიც იქნება რუსეთსა და გერმანიას შორის. ამ აზრს ბევრი მომხრე გამოუჩნდება ამერიკაში, თუ მას სათანადოთ მივაწოდებთ. ჩენდლერი ითხოვს ჩვენი

⁴⁸ ხედავდა რა შეერთებული შტატების დაინტერესებას მთლიანად სამხრეთ კავკასიით და არა მარტო ცალკე აღებული სომხეთით, 4 ნოემბერს სომხური დელეგაციის თავმჯდომარე – ავეტის აპრონინამ ავალიშვილს სთხოვა, რომ ქართულ მხარესაც ემუშავა ამერიკულ მანდატზე, რადგან, მისი აზრით, მანდატი შესაძლებელი იყო მხოლოდ მთელს რეგიონზე (31, 118).

წარმომადგენლის გაგზავნას ამერიკაში და გვპირდება, რომ ის დაეხმარება ჩვენი საკითხის დაყენებაში.” (54, 6).

უოლტერ მარიონ ჩენდლერი (1867-1935) მისისიპიში დაბადებული ნიუ იორკელი იურისტი იყო. მან განათლება მიჩიგანის, ჰაიდელბერგისა და ბერლინის უნივერსიტეტებში მიიღო. 1913-1919 წლებში სამჯერ იქნა არჩეული კონგრესის წარმომადგენელთა პალატაში, ერთხელ როგორც რესპუბლიკელი, ორჯერ რესპუბლიკელებისგან გამოყოფილი პროგრესული პარტიიდან. ამ პერიოდის განმავლობაში ის ებრაელების უფლებებს იცავდა. 1919 წელს დამარცხდა სამოცდამეექვსე კონგრესის არჩევნებში, რის შემდეგაც იმოგზაურა ბალტიის ქვეყნებში, ადგილზე შეისწავლა ვითარება და სამივე რესპუბლიკის ოფიციალურ, დაქირავებულ ლობისტად იქცა შეერთებულ შტატებში.

ბალტიის რესპუბლიკათა დამოუკიდებლობის აღიარებისათვის ზუსტად იმავე არგუმენტებით შეიძლება ბრძოლა, როგორც საქართველოსა და აზერბაიჯანის შემთხვევაში. ძირითადი დასაყრდენი, ორივე შემთხვევაში, უილსონის მიერ გამოცხადებული ერთა თვითგამორკვევის უფლება და ახალ რესპუბლიკათა ანტიბოლშევიკური ხასიათი იყო. რუსეთის საკითხის პატარა ერთა სასარგებლოდ გადაწყვეტის შემთხვევაში, როგორც მაშინდელი გადმოსახედიდან ჩანდა, ორივე რეგიონის ქვეყნები მოიპოვებდნენ თავისუფლებასა და საერთაშორისო აღიარებას. ჩენდლერი, ბალტიისპირელებზე მუშაობისას, ნებისთ თუ უნებლიეთ მაინც გააკეთებდა კავკასიის ქვეყნებისათვის სასარგებლო საქმეს, ამიტომ ის თავისი ინიციატივით მივიდა ქართულ დელეგაციასთან და კონტრაქტის გაფორმება შესთავაზა. დაიღო ორი ხელშეკრულება: პირველის მიხედვით ჩენდლერს სამი თვის განმავლობაში ევალებოდა შეერთებულ შტატებში პროპაგანდა გაეწია საქართველოს სასარგებლოთ, რის სანაცვლოდაც აიღებდა 5000 დოლარს. ვადის ამოწურვის შემდეგ მხარეები უნდა შეთანხმებულიყვნენ ხელშეკრულების გაგრძელებაზე ან პირობების ცვლილებებზე, წინააღმდეგ შემთხვევაში კავშირი ავტომატურად გაწყდებოდა; მეორე ხელშეკრულების ძალით, ამერიკის მიერ საქართველოს ცნობის შემთხვევაში ის მიიღებდა 50000 დოლარს, მაგრამ ეს უკანასკნელი კონტრაქტი საქართველოს მთავრობისაგან რატიფიკაციის მიღების გარეშე ძალაში არ შევიდოდა. დელეგაცია ვალდებული იყო რატიფიცირებული დოკუმენტი დაქირავებულისათვის გაეგზავნა (25, 144-147).

ჩენდლერმა იგივე პირობები წაუყენა აზერბაიჯანულ დელეგაციას. მისივე თქმით, ანალოგიური კონტრაქტები მას უკვე გაფორმებული ჰქონდა ბალტიის სამ სახელმწიფოსთან. თუმცა, აქ განსხვავება ის იყო, რომ ყოფილ კონგრესმენს ესტონეთში, ლატვიაში, ლიტვაში მოგზაურობისას ზედმიწევნით ჰქონდა შესწავლილი ბალტიელთა საქმე და მათდამი პირადი სიმპათიებიც ამოძრავებდა. ის არასოდეს იყო ნამყოფი კავკასიაში, რეგიონის პრობლემებს იცნობდა იმდენად, რამდენადაც ქართულმა და აზერბაიჯანულმა დელეგაციებმა სახელდახელოდ მოასწრეს პარიზში მისთვის საკითხის გაცნობა.

თოფჩიბაშევს ეჭვი შეეპარა, რომ იურისტი დიპლომატიას თავს ვერ გაართმევდა, ამასთანავე ჩენდლერი უილსონის მოწინააღმდეგე – რესპუბლიკური პარტიიდან იყო და აზერბაიჯანული დელეგაცია შესაძლებლობას უშვებდა, რომ ოპოზიციონერის პროპაგანდა შეერთებული შტატების ხელისუფლების მხრიდან ანტაგონიზმს გამოიწვევდა. ამასთანავე, ესტონელებმა გამოთქვეს შიში, რომ ყოფილმა კონგრესმენმა ბევრ საქმეს მოჰკიდა ხელი და ის ყველაფერს თავს ვერ გაართმევდა. ამის გამო ესტონელები მას დასახმარებლად საკუთარი დელეგაციიდან წარმომადგენლებს აყოლებდნენ. სამხრეთ კავკასიელ დელეგატებს ამერიკაში წარმომადგენლის გაგზავნის არც ადამიანური რესურსი და არც მატერიალური საშუალება ჰქონდათ. ჩენდლერმა ისინი დაამშვიდა, რომ იურისტების მხრიდან ლობისტობა მიღებული პრაქტიკა იყო შეერთებულ შტატებში, მას კარგი ურთიერთობა ჰქონდა დემოკრატებთან და პარტიათა სხვაობა ანტაგონიზმს არ იწვევდა ამერიკაში. საბოლოოდ ორივე დელეგაციამ მოაწერა ხელი ხელშეკრულებას, მხოლოდ იმ პირობით, რომ თითოეული 2500 დოლარს თავიდანვე მისცემდა დაქირავებულს, ხოლო დანარჩენ თანხას კონტრაქტის ბოლოს მიიღებდა ეს უკანასკნელი. ჩენდლერი მოამარაგეს დელეგაციის ხელთ არსებული ბროშურებით, გაზეთებით, სხვადასხვა წიგნებით და ამერიკაში გაისტუმრეს. წასვლის წინ მან შეერთებული შტატების დელეგაციის ხელმძღვანელ პოლკს თხოვნით მიმართა, რომ მხარი დაეჭირა კავკასიის საქმეებზე მოკავშირეთა კომისიის შექმნისათვის. გამგზავრებისას დაიბარა “მივდივარ სამოქმედოთ, როგორც თავისუფლების მეგობარი.” (31, 84-87-88-90-91-95; 372, 72-76-78; 366, 490-498).

ის საკმაოდ ხშირად წერდა დელეგაციებს ამერიკიდან. 1919 წლის ოქტომბერ-დეკემბერში იტყობინებოდა, რომ შეერთებული შტატების

ადმინისტრაცია რუსეთში სამოქალაქო ომის შედეგებს ელოდებოდა, სახელმწიფო დეპარტამენტს სურდა კოლჩაკ-დენიკინისათვის ბოლშევიკთა დამარცხების შანსი მიეცა. მან პირადად ინახულა ლანსინგი, რომელმაც განაცხადა, რომ პატარა ერთა დამოუკიდებლობის საკითხი უიმედო არ იყო, მაგრამ სახელმწიფო მდივანს შეუძლებელად მიაჩნდა ერთდროულად ერთიანი რუსეთის წარმომადგენელთა და მოსაზღვრე, ახალი რესპუბლიკებისათვის მხარის დაჭერა. ყოფილმა კონგრესმენმა მას საკითხთან მიმართებით შეერთებული შტატების პოლიტიკის ბუნდოვანებაზე მიუთითა. ლანსინგმა უპასუხა: “ის იმდენად ნათელია, რამდენადაც ამჟამად არის შესაძლებელი.” ჩენდლერი დელეგაციებს კოლჩაკ-დენიკინის ახლო მომავალში დამარცხებაში არწმუნებდა, რასაც, ბოლშევიკური საფრთხის კვალდაკვალ, აუცილებლად უნდა მოჰყოლოდა შეერთებული შტატების მიერ პატარა რესპუბლიკების აღიარება. ის თოფჩიბაშევსა და ჩხეიძეს აუწყებდა, რომ სომხებს, კერძოდ სომხეთის დამოუკიდებლობის ამერიკულ კომიტეტს, აზერბაიჯანის აღიარების საწინააღმდეგო კამპანია ჰქონდათ გაშლილი, თუმცა ამ ორგანიზაციის მუშაობის სტილი და ეფექტურობა ძალიან ხიბლავდა. შესაბამისად, თავადაც ჰქონდა განზრახული მსგავსი კომიტეტის ჩამოყალიბება. ჩენდლერის წერილებს წითელ ხაზად გასდევდა, ყველა შესაძლო შემთხვევაში, თხოვნა და მოთხოვნა სამხრეთ კავკასიური დელეგაციებისადმი, რომ მათ თავიანთი წარმომადგენლები გაეგზავნათ ამერიკაში, რომლებსაც თავად დახვდებოდა, დააბინავებდა, მოაწყობდა სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტში მოსმენებს, ხოლო აღმასრულებელ ხელისუფლებასთან შეხვედრებს. ის განმარტავდა, რომ აზერბაიჯანისა და საქართველოს მდგომარეობა, ბალტიის ქვეყნებთან, უკრაინასთან, სომხეთთან შედარებით, უფრო რთული იყო, რადგან, ამ უკანასკნელთაგან განსხვავებით, მათ არ ჰყავდათ შეერთებულ შტატებში მცხოვრები, დასაყრდენი დიასპორები. ამიტომ აუცილებელი იყო კავკასიელ დიპლომატთა ვაშინგტონში ჩასვლა. ამერიკელმა პარტნიორმა ავალიშვილისა და თოფჩიბაშევის ქვეყანაში შესვლის ნებართვა სახელმწიფო დეპარტამენტსაც სთხოვა, საიდანაც თანხმობა მიიღო, მხოლოდ იმ პირობით, რომ ეს იქნებოდა კერძო ვიზიტი და არ მოასწავებდა მათი ქვეყნების აღიარებას (28, 13-43).

შეერთებული შტატების კეთილ განწყობაში დარწმუნებული ქართული დელეგაცია დიდი გულისყურით არ ეკიდებოდა ჩენდლერის შეგონებას. ფლობდნენ რა მცდარ ინფორმაციას, ქართველ დიპლომატებს გაუჭირდათ

სწორი დასკვნების გაკეთება. ჩხეიძე პასუხებსაც იშვიათად წერდა საქართველოს ლობისტს. ნოემბრის ბოლოს გიორგი მაჩაბელი ცდილობდა რომიდან ამერიკაში წასვლას, სადაც მას ჩენდლერთან ერთად უნდა ემუშავა. დელეგაციამ ზოგადად მხარი კი დაუჭირა მაჩაბელის ინიციატივას, მაგრამ ეს უკანასკნელი მსოფლიო ომის დროს ცნობილი იყო თავისი ძლიერი პროგერმანული პოზიციებით და ამერიკელებისგან ქვეყანაში შესვლის ნებართვა ვერ მიიღო. ყოფილმა კონგრესმენმა ავალიშვილის გამგზავრებაზე მიიღო სახელმწიფო დეპარტამენტის თანხმობა, მაგრამ, იოსებ გობეჩიას ხმის წინააღმდეგ, დელეგაციამ ჩათვალა, რომ სამშვიდობო კონფერენციაზე პატარა ერების საკითხის განხილვა ახლოვდებოდა და შეუფერებელი იქნებოდა იმ მომენტისათვის ძირითადი დელეგატის საქმისგან ჩამოშორება. ნოემბერ-დეკემბერში, ჭორის დონეზე, მაგრამ დარწმუნებით განიხილავდნენ პარიზში მყოფი ქართველი დელეგატები – თითქოს მთავრობა თბილისიდან ამერიკაში წარმომადგენლად გზავნიდა დავით დამბაშიძეს. ამ უსაფუძვლო მოლოდინში იყვნენ 1920 წლის თებერვლამდე (31, 129-131-134-137-195). საბოლოო ჯამში არც აზერბაიჯანელთაგან და არც ქართველთაგან შეერთებულ შტატებში დიპლომატიური მისიით არავინ წასულა. 1919 წლის 9 თებერვალს, ჩენდლერისათვის გაცემულ იშვიათ პასუხში, ჩხეიძე და თოფჩიბაშევი წერდნენ: “თქვენს ამოცანას აადვილებს ის ფაქტი, რომ ჩვენს რესპუბლიკებში სტუმრად მყოფმა მთავრობის წარმომადგენლებმა, მათ შორის გენერალმა ჰარბორდმა და პოლკოვნიკმა ჰასკელმა, გააკეთეს მოხსენებები, რომლებიც შორს არიან მტრული დამოკიდებულებისაგან. პირიქით, პოლკოვნიკი ჰასკელისგან თავად მოვისმინეთ ჩვენი ქვეყნების შესახებ პოზიტიური განცხადებები და არის საფუძველი ვიფიქროთ – გენერალი ჰარბორდიც იმავე შეხედულებებს იზიარებს...” დელეგაციათა თავმჯდომარეებმა ზოგადად მოიწონეს საქართველოს და აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის მხარდამჭერი კომიტეტის შექმნის იდეა და ჩენდლერი დაამშვიდეს, რომ დავით დამბაშიძე თბილისიდან ჩავიდოდა მასთან სამუშაოდ (20, 72-74).

ქართველ დიპლომატთათვის გამომაფხიზლებელი ცივი შხაპი იყო, როდესაც 1920 წლის 10 იანვარს, პარიზში საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს სხდომაზე, შეერთებული შტატების გარდა ყველა მოკავშირე სახელმწიფომ მოახდინა საქართველოსა და აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის დე ფაქტო აღიარება. ეს მოხდა წინააღმდეგ იმ მოლოდინისა, რომელიც შეიქმნა ჰარბორდის ვიზიტით, ჰასკელთან და ბაკლერთან საუბრებით, ჩენდლერის

დამაჯერებელი წერილებით, რომ დენიკინის დამარცხების შემდეგ ამერიკა აუცილებლად ცნობდა რესპუბლიკათა დამოუკიდებლობას. ჩხეიძემ 10 თებერვალს საპროტესტო ნოტა გადასცა პარიზში შეერთებული შტატების ელჩს და თავი მხოლოდ შემდეგნაირად ინუგეშა: “ვიყავით თოფჩიბაშევი და მე ამერიკის ელჩთან, ვუთხარით, რომ ძალიან ფასს ვაძლევთ ამერიკის მიერ ჩვენს ცნობას, რომ ეს ჩვენ არსებით ინტერესს წარმოადგენს, რომ რაც უფრო მალე ვიქნებით ცნობილი, მით უფრო მალე აღორძინდება ჩვენში კაპიტალი და განვითარდება წარმოება, რაც თვით ამერიკისათვისაც სასარგებლო იქნება და ა.შ. დაგვირდა, რომ საჩქაროდ გადასცემს ჩვენს ნოტას თავის მთავრობას ჩვენთვის სასურველი დასკვნით. ძალიან თავაზიანათ მიგვიღო, ვიგრძენით, რომ ცნობის შემდეგ ერთი ხარისხით უფრო მალე ვართ აწეული.” (31, 193).⁴⁹

ამასობაში, 1920 წლის 4 იანვარს, ჩენდლერთან დადებულ ხელშეკრულებას ვადა გაუვიდა. დელეგაცია ძალიან იმედგაცრუებული იყო იმით, რომ მის მიერ შექმნილი მოლოდინი არ გამართლდა, გაწეული ხარჯი არაგონივრულად ჩაითვადა და კონტრაქტის გაგრძელება არ მოუთხოვია. თავის მხრივ კონტრაქტზე არ საუბრობდა არც ჩენდლერი. ის ბალტიელებზე მუშაობას აგრძელებდა და ბუნებრივად უწევდა სამხრეთ კავკასიის ლობირებას. ის ძველებურად აგრძელებდა წერილების წერას, ხშირად აყენებდა დელეგაციას საქმის კურსში, ეს უკანასკნელიც ძველებურადვე იშვიათად პასუხობდა მას.

1920 წლის 19 იანვარს, ყოფილი კონგრესმენი სიტყვით გამოვიდა წარმომადგენელთა პალატის საბიუჯეტო კომიტეტის სხდომაზე, სადაც ომის შემდგომი ევროპისათვის 150 მილიონ დოლარიანი დახმარების გამოყოფას განიხილავდნენ. სხდომას ამერიკაში ლიტვის წარმომადგენელი ვილიესისიც ესწრებოდა, მან მემორანდუმი გადასცა კომიტეტს. ჩენდლერმა, მისი გამოცდილების კვალდაკვალ, მთავარი აქცენტი ბალტიის ქვეყნებზე გააკეთა, თუმცა არც კავკასია დავიწყნია. ლობისტი, მის მიერ წარმოდგენილ ხუთ რესპუბლიკაში, რუსულ კოლონიზატორულ, მწაგვრელურ პოლიტიკას ხაზს უსვამდა, რომელიც მთელი საუკუნის მანძილზე გრძელდებოდა; ჩენდლერმა

⁴⁹1920 წლის 10 თებერვლის ნოტაშიც კი ჩანს ქართული და აზერბაიჯანული დელეგაციების რწმენა, რომ ამერიკული მისიები სამხრეთ კავკასიიდან დადებითი შთაბეჭდილებებით წავიდნენ. ისინი ელჩს შეაგონებდნენ, რომ შეერთებული შტატებიდან არაერთი წარმომადგენელი იყო რეგიონში და გაკვირვებას გამოხატავდნენ რატომ არ მოხდა აღიარება ყოველივე ამის შემდეგ (42, 30-31).

წარმოადგინა არგუმენტები თუ რატომ იმსახურებდნენ ეს ხალხები საკუთარ სახელმწიფოში ცხოვრებას – რუსებისაგან სრულიად განსხვავებული ენა, კულტურა, ტრადიციები, ეთნიკურობა, რელიგია და ა.შ. ის შენიშნა: “მართალია, ქართველი ხალხი რუსებივით ბერძნულ მართლმადიდებლობას მისდევს, მაგრამ მათი სისხლი, ენა, ისტორია და ცივილიზაცია რადიკალურად განსხვავებულია.” იგი აპელირებას ახდენდა განათლების დონეზე – თუ რუსეთში უწიგნურობა, ყველაზე ზომიერი შეფასებებით, 90 პროცენტს აღწევდა, ხოლო ახალ რესპუბლიკებში წერა-კითხვის მცოდნეთა რაოდენობა 70 პროცენტი იყო. აღნიშნულ მონაცემთა თანახმად, რომლებიც სრულიად აკმაყოფილებდნენ უილსონის მიერ გამოცხადებულ ერთა თვითგამორკვევის პრინციპებს, ის კონგრესისაგან ყოფილი იმპერიის განაპირა მხარეების დაუყოვნებლივ აღიარებას ითხოვდა. ის ბალტიისპირეთს და კავკასიას ბოლშევიკთა წინააღმდეგ აღმართულ მყარ ბურჟებს უწოდებდა, რომლებიც აგერ უკვე მესამე წელი იყო მედგრად იცავდნენ კაცობრიობას მისი გავრცელებისგან. ჩენდლერი დამსწრეებს აუწყებდა, რომ რესპუბლიკები თანახმანი იყვნენ რუსეთის ყოფილი იმპერიის ვალების საკუთარი წილი გადაეხადათ; გარდა ამისა, საქართველო და აზერბაიჯანი მზადყოფნას გამოთქვამდნენ ბაქო-ბათუმის ხაზი ერთა ლიგის თავისუფალი კონტროლისთვის დაექვემდებარებინათ და იქვე აღწერდა აღნიშნული კორიდორის სარგებლიანობას, ამ ქვეყნების ბუნებრივ სიმდიდრეებს (298, 121-131).

ლობისტი სიხარულით აუწყებდა ქართულ დელეგაციას, რომ შეერთებული შტატების ყველაზე დიდმა გაზეთმა New York Times-მა, რომელიც 1500000 ტირაჟით გამოდიოდა და რომელსაც დემოკრატიული პარტიის ნახევრად ოფიციალურ ორგანოს უწოდებდა, მისი გამოსვლის ვრცელი ნაწილი მოწინავე სტატიაში დაბეჭდა (424). ის ხუთივე რესპუბლიკის წარმომადგენლებს სთავაზობდა, რომ მისი სიტყვა გაეგრძელებინათ მილიონ ეგზემპლარად, რათა ამერიკაში მცხოვრებ ყველა ადვოკატს, ექიმს, საეკლესიო პირს, მღვდლებსა და რაბინებს, გაზეთის გამომცემლებს, მოსამართლეებს, პროფესორებს, სკოლებისა და კოლეჯების ხელმძღვანელებს, მასწავლებლებსა და მთელს ქვეყანაში საზოგადოებრივი აზრის შემქმნელ ყველა ადამიანს დარიგებოდა. დაბეჭდვა დაჯდებოდა 10 ათასი დოლარი, ხოლო ფოსტით დაგზავნა, როგორც კონგრესის ოფიციალური დოკუმენტისა, უფასო იქნებოდა. აღნიშნული საქმისთვის თითოეულ დელეგაციას ორი ათასი დოლარის გამოყოფა მოუწევდა, რაც ამ

მასშტაბის პროპაგანდისათვის ძალიან იაფი იყო, დაასკვნინდა ჩენდლერი (28, 44-61).

ქართულმა დელეგაციამ ეს შეთავაზება 1920 წლის 13 თებერვლის სხდომაზე განიხილა და ზოგადად მოიწონა. გადაწყვიტეს ასლი მთავრობისა და დავით ღამბაშიძისათვის გაეგზავნათ, რადგან კვლავინდებურად სჯეროდათ, რომ ეს უკანასკნელი შეერთებულ შტატებში აპირებდა წასვლას. თავად დელეგაციამ, საპასუხო წერილის შინაარსის აზერბაიჯანელებთან განხილვა გადაწყვიტა. თუმცა, საქმე ამის იქით არ წასულა (31, 195).

ჩენდლერი მთელი 1920 წლის მანძილზე ელოდებოდა დავით ღამბაშიძის დაპირებულ გამგზავრებას; ის გაკვირვებას გამოთქვამდა, რომ მისი დამსაქმებლები სდუმდნენ, არ აძლევდნენ ინსტრუქციებს, არ გამოთქვამდნენ საკუთარ მოსაზრებებს და ა.შ. ის კვლავინდებურად ითხოვდა საქართველოსა და აზერბაიჯანის წარმომადგენელთა შეერთებულ შტატებში ჩასვლას. ამავედროულად, რესპუბლიკათა ლობისტები განაგრძობდა მცდარი ილუზიების შექმნას, რომ კონგრესმენები ინტერესდებოდნენ მისდამი რწმუნებული ქვეყნების ისტორიით, პოლიტიკური ვითარებით, დამოუკიდებლობის აღიარებით; თანდათან იკიდებდა ფეხს რუსეთის განაპირა სახელმწიფოებისადმი მხარდაჭერა და ა.შ. ის განსაკუთრებული იმედის თვალთ უყურებდა სახელმწიფო მდივნის თანამდებობაზე მისი პირადი მეგობრის – ბეინბრიჯ კოლბის დანიშვნას, რომელსაც სახელით – “ბეინბრიჯ” – მიმართავდა და თავის მხრივ ეს უკანასკნელიც – “უოლტერ” – ასე მოიხსენიებდა მეგობარს. ჩენდლერი სამხრეთ კავკასიელ დელეგატებს არწმუნებდა, რომ კოლბი პატარა ერთა უფლებების განუხრელი დამცველი იყო, ის სიმპათიით ეკიდებოდა დამოუკიდებლობისათვის ირლანდიელთა ბრძოლას და ახალ სახელმწიფო მდივანთან ადვილი იქნებოდა ამ საკითხის დაყენება, განსხვავებით ღანსინგისგან, რომელიც არისტოკრატიული მსოფლმხედველობის, ქედმაღალ ადამიანად მიაჩნდა (28, 65-82).

ჩენდლერის მიერ გაცემული იმედები კიდევ ერთხელ ჩავარდა, როდესაც მისმა მეგობარმა კოლბიმ 1920 წლის 10 აგვისტოს, იტალიის ელჩისათვის მიწერილ ღია დიპლომატიურ ნოტაში, განაცხადა: “შეერთებული შტატები დარწმუნებულია, რომ აღდგენილი, თავისუფალი, გაერთიანებული რუსეთი კიდევ ერთხელ დაიკავებს მსოფლიოში წამყვან პოზიციებს. ...რუსეთის ინტერესები

მყარად უნდა იქნას დაცული და, შესაძლებლობის ფარგლებში, ყველა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება აქეთკენ უნდა იყოს მიმართული. განსაკუთრებით ის გადაწყვეტილებები, რომლებიც მისი ყოფილი იმპერიის ტერიტორიებზე რუსეთის სუვერენიტეტს, ამ ტერიტორიათა სტატუსის განუსაზღვრელობას შეეხება.” ის რუსეთისადმი შეერთებული შტატების მყარი მეგობრობის მაგალითად ლიტვის ეროვნული საბჭოსათვის დამოუკიდებლობის აღიარების მოთხოვნაზე უარის თქმას ასახელებდა. “ამ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებათა კვალდაკვალ, შეერთებულმა შტატებმა თავი შეიკავა პარიზში უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების მხარდაჭერისაგან, რომელიც საქართველოსა და აზერბაიჯანის ეგრეთწოდებული რესპუბლიკების აღიარებას გულისხმობდა”, დაასკნიდა სახელმწიფო მდივანი. კოლბი მხარს უჭერდა პოლონეთის, ფინეთისა და სომხეთის დამოუკიდებლობას. ამავდროულად, ამერიკის ადმინისტრაცია უარს აცხადებდა კავშირი დაემყარებინა ბოლშევიკებთან და ემხრობოდა “განუყოფელი რუსეთის” იდეას (301, 463-468), მაგრამ 1920 წლის აგვისტოსათვის ამ იდეის ყველა მხარდამჭერი – კოლჩაკი, დენიკინი, იუდენიჩი და ვრანგელი საბოლოოდ იყვნენ დამარცხებული. ბოლშევიკთა მიერ დაუმორჩილებელნი მხოლოდ განაპირა რესპუბლიკები რჩებოდნენ. გასაგები იყო პრაქტიკული მიზეზების გამო სომხეთის დამოუკიდებლობის მოთხოვნა, რომლის უკან მძლავრი არმენოფილური მოძრაობა იდგა ამერიკაში, მაგრამ გაუგებარი იყო სამართლებრივ დონეზე ქართულ და სომხურ საკითხებს შორის სხვაობა. უილსონის ადმინისტრაციის გამოსრკვევლობა განაპირობა იმან, რომ შეერთებული შტატების შემოსვლა “ძველი მსფოლიოს” პოლიტიკაში ახალი მოვლენა იყო და მისი საწყისი ნაბიჯები გაბედულებით ვერ გამოირჩეოდა; მიუხედავად 14 პუნქტში გაცხადებული ერთა თვითგამორკვევის უფლებისა, მონროს დოქტრინა ჯერ კიდევ ინარჩუნებდა ამერიკულ საზოგადოებრივ აზრზე გავლენას; აღმასრულებელი ხელისუფლება, კონგრესის წინააღმდეგობის გამო, მოკლებული იყო საერთაშორისო ასპარეზზე მოქმედების თავისუფლების უფლებას.

ქართულმა დელეგაციამ 15 აგვისტოს საპროტესტო ნოტა გადასცა მოკავშირე სახელმწიფოთა წარმომადგენლებს, სადაც კითხულობდა, რა სამართლებრივი საფუძველზე არსებობდა განსხვავებული მიდგომა ერთი მხრივ საქართველოსთან, ხოლო მეორე მხრივ პოლონეთთან, ფინეთთან, სომხეთთან მიმართებაში და დელეგაცია თავადვე ცდილობდა დაესაბუთებინა, რომ ასეთი

საფუძვლები არ არსებობდა. საგარეო საქმეთა მინისტრმა – ევგენი გეგეჭკორმა, იტალიურ გაზეთ Tribune-თან ინტერვიუში გულისწევება გამოხატა იმ სახელმწიფოს მხრიდან საქართველოს ეროვნულ უფლებათა უგულვებელყოფის გამო, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ თვითგამორკვევის მხარდამჭერად გამოდიოდა. ქართული დიპლომატია აშკარა საინფორმაციო იზოლაციაში იყო, რადგან ჰარბორდის რეპორტის ოფიციალურად გამოქვეყნებიდან ნახევარი წლის შემდეგაც, 1920 წლის სექტემბერში, გეგეჭკორს ილუზია ჰქონდა, რომ სხვადასხვა ამერიკულ მისიებს საქართველო ძალიან მოეწონათ. ის სახელმწიფო მდივანს საყვედურობდა განცხადების გაკეთებამდე რატომ არ დაეკითხა საკუთარ წარმომადგენლებს, რომლებმაც ინახულეს ქვეყანა და შეაფასეს მის მიერ მიღწეული წარმატებები (52, 1-8). ქართველებს თავიანთ პროტესტზე პასუხი არ მიუღიათ.

კოლბის ნოტის გამოქვეყნებამდე 4 დღით ადრე, ჩენდლერმა წერილი მისწერა ჩხეიძეს. ის იტყობინებოდა, რომ მათ შორის კონტრაქტი 1920 წლის იანვრის შემდეგ არ განახლებულა, მაგრამ ის მაინც აგრძელებდა საქართველოს წარმომადგენლად მუშაობას, ამ საქმისათვის მას უწევდა ვაშინგტონში ძვირადღირებული ოფისის და დაქირავებული პერსონალის შენახვა, თავისი ხარჯით გამოსცა წარმომადგენელთა პალატის საბიუჯეტო კომიტეტში წარმოთქმული სიტყვის 100000 ეგზემპლარი. ჩენდლერი 1920 წლის იანვრიდან ივლისამდე პერიოდისათვის ითხოვდა 2500 დოლარს გაწეული ხარჯების დასაფარად და კიდევ ერთ 2500 დოლარს პირადად მისი მომსახურების ასანაზღაურებლად. თუმცა, იქვე კიდევ ერთხელ თხოულობდა ქართველი წარმომადგენლის ამერიკაში გაგზავნას და თანხის გადახდის შემთხვევაში მზად იყო გაეგრძელებინა რესპუბლიკისათვის სამსახური (28, 85-86).

ჩხეიძემ უპასუხა, რომ მათ შორის კონტრაქტი 1920 წლის იანვარში დასრულდა, ის აღარ გაგრძელებულა და მხარეები თავისუფალნი იყვნენ ურთიერთვალდებულებებისგან. ასეთი პასუხი მოსალოდნელი იყო, რადგან კოლბის ნოტამ ჩენდლერს რეპუტაცია შეუღალა, ის დელეგაციის გადმოსახედიდან სანდო პირად აღარ აღიქმებოდა. 1920 წლის დასასრულს ჩენდლერი კიდევ ერთხელ აირჩიეს კონგრესის წარმომადგენელთა პალატაში. შესაბამისად, მისი ტონი უფრო მომთხოვნი და მკაცრი გახდა. იმავე წლის დეკემბერში მიწერილ წერილში კონგრესმენი იმეორებდა ძველ არგუმენტებს და

უმატებდა, რომ ქართულ დელეგაციას მის მომსახურებაზე უარი არ უთქვამს. უფრო მეტიც, მან კონტრაქტის ვადის გასვლის შემდეგ, პარიზიდან მიიღო საქართველოს საკითხთან დაკავშირებული ლიტერატურა, რაც ადასტურებდა ქართული დელეგაციის სურვილს, თანამშრომლობა გაგრძელებულიყო. თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში ის საჩივრით და მორალური ზიანის ასანაზღაურებლად 50000 დოლარის მოთხოვნით იმუქრებოდა. მეორე მხრივ, ის ჩხვიძეს განუმარტავდა ამერიკულ კანონმდებლობას, რომლის მიხედვით კონგრესმენს პოლიტიკური მომსახურებისათვის ფულის აღება ეკრძალებოდა, მაგრამ თავად გამოთქვამდა სურვილს, ძველი დავალიანების გასტუმრების შემდეგ, უფასოდ გაეგრძელებინა საქართველოს ინტერესების დასაცავად მუშაობა და ახლა უკვე კონგრესმენის რანგში მიეღო ვაშინგტონში ქვეყნის წარმომადგენელი, მოეწყო მისთვის შეხვედრები და ა.შ. თუ თანხა გადახდილი არ იქნებოდა, ის არა მარტო უარს იტყოდა საქართველოს ინტერესების დაცვაზე, არამედ ვერ შეინარჩუნებდა მეგობრული განწყობას ჩხვიძესა და მისი ქვეყნისადმი (28, 89-95).

დელეგაციის თავმჯდომარემ მას პასუხი არ გასცა. ჩენდლერმა გადაწყვიტა პირდაპირ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრისათვის მიეწერა. წერილი დაიწერა, 1921 წლის 3 იანვარს, ბოლშევიკურ ოკუპაციამდე რამდენიმე კვირით ადრე. ამჯერად მისი ტონი უფრო შერბილებული იყო: “შემიძლია საქართველოს საკითხი წარვადგინო კონგრესის, პრეზიდენტის და მთავრობის ყველა შტოს წინაშე. ყველა ეს მომსახურება უფასო იქნება. მე მსურს, მონდომებული ვარ თქვენი ქვეყნის სახელით ვიმოქმედო, მზად ვარ ენთუზიაზმითა და ენერგიულად ვიმუშაო ამერიკის შეერთებული შტატების მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის დე იურე აღიარების მოსაპოვებლად და თუ საჭირო იქნა ამ მომსახურებას გავაგრძელებ საჯარო სამსახურის ორი წლის განმავლობაში, მაგრამ როგორც უბრალო სამართლიანობის საკითხი, ჩვენს შორის წარსულ დავალიანებაზე შეთანხმება უნდა მოხერხდეს...” ის ხაზს უსვამდა, რომ ქვეყანას სათავეში ედგა პრეზიდენტი ჰარდინგი და რესპუბლიკური კონგრესი; რწმენას გამოთქვამდა ძველი “ჯიუტი პრეზიდენტისა და სახელმწიფო დეპარტამენტის” პოლიტიკა შეიცვლებოდა; მოხარული იქნებოდა ნიუ იორკში დახვედროდა საქართველოს წარმომადგენელს, რომელსაც დაეხმარებოდა ჰარდინგისთვის წარედგინა საქართველოს მოთხოვნა (28, 8-9).

არქივებში ვერ იქნა მოძიებული გეგეჭკორის პასუხი. შესაბამისად მას ან არ უპასუხია ან პასუხი არ ყოფილა ჩენდლერისათვის დამაკმაყოფილებელი. კონგრესმენმა, 1921 წლის მაისში, საბჭოთა ოკუპაციის შემდეგ, დევნილობაში მყოფ, შვეიცარიაში საქართველოდ დიპლომატიურ წარმომადგენელს – მიხეილ სუმბათაშვილს მისწერა. ის პირველ რიგში მოითხოვდა დავალიანების აღიარებას, 2500 დოლარის დაუყოვნებლივ და დანარჩენი თანხის დეოკუპაციის შემდეგ გადახდას (28, 99-100).

რთული წარმოსადგენი იყო, რომ ერთი კონგრესმენის მონდომება ოკუპირებულ საქართველოში რამენაირად მდგომარეობას შეცვლიდა ან თუნდაც შეერთებული შტატების მთავრობას აიძულებდა იმ ქვეყნის დეოკუპაციაზე ემუშავა, რომელიც აღიარებულიც არ ჰყავდა. მხარეებს შორის კორესპონდენცია გაგრძელდა და დევნილობაში მყოფმა საქართველოს მთავრობამ ბოლოსდაბოლოს გადაიხადა მოთხოვნილი თანხა (28, 101-145).

ჩენდლერის მოთხოვნიდან ორწლიანი დაგვიანებით, 1921 წლის დეკემბერში, ზურაბ ავალიშვილი მასთან სამუშაოდ ჩავიდა, უკვე როგორც ოკუპირებული ქვეყნის და დევნილი მთავრობის წარმომადგენელი. ამ ვიზიტის დროს პოლიტიკურ საკითხებზე საუბარი მიმდინარეობდა, მაგრამ, შექმნილი რეალობის გამო, საქმესთან ახლო, ხელშესახები არაფერი თქმულა. ძირითადად მოლაპარაკება ეხებოდა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოსახლეობისათვის ჰუმანიტარული დახმარების გაგზავნას და საზღვარგარეთ მყოფ ქართველ სტუდენტთა დახმარებას. ჩენდლერმა ავალიშვილი საქართველოს ძველ ნაცნობს, ამერიკული ხსნის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს – ჰერბერტ ჰუვერს შეახვედრა. მოლაპარაკება ჰუმანიტარულ დახმარებას შეეხებოდა. ამავე საკითხებზე კონგრესმენს ურთიერთობა ჰქონდა ახლო ადმოსავლეთში ამერიკული ხსნის კომიტეტთან, წითელ ჯვართან, როკფელერის ფონდთან, ახალგაზრდა მამაკაცთა ქრისტიანულ ასოციაციასთან. თუმცა, აქედანაც არაფერი გამოვიდა (64, 34-44).

რაც შეეხება საქართველოს დელეგაციასთან მის დავას: წმინდა ფორმალური თვალსაზრისით ის მართალი არ ყოფილა. კონტრაქტი დასრულდა და მას შემდეგ რაც არ უნდა გაეკეთებინა ყოფილი დამქირავებლის სასარგებლოდ, ეს უკანასკნელი ვალდებული ვერ იქნებოდა მისთვის ანაზღაურება გადაეხადა. ის არც მაშინ ყოფილა მართალი, როდესაც მცდარ

წარმოდგენებს უქმნიდა ქართველ დიპლომატებს ჯერ 1919 წლის დასასრულს, როდესაც დენიკინის მარცხს უეჭველად უკავშირებდა შეერთებული შტატების მიერ საქართველოს აღიარებას და 1920 წლის დასაწყისში, როდესაც კოლბის სახელმწიფო მდივნად დანიშნა საკითხის სასიკეთოდ გადაწყვეტის გარანტიად მიაჩნდა. ორივე შემთხვევაში მისი პროგნოზების აბსოლუტურად საპირისპირო შედეგები დადგა და, ბუნებრივია, ლოგიკური იყო ქართული დიპლომატიის იმედგაცრუება.

თუმცა, მორალურად არც ქართული დელეგაცია იყო მართალი. კონტრაქტის ვადის გასვლის შემდეგ, როდესაც ჩენდლერი კვლავინდებურად აგრძელებდა მათთვის ცნობების მიწოდებას, ჩხეიძე ვალდებული იყო ეთქვა, რომ დამქირავებელი დაქირავებულთან ურთიერთობას წყვეტდა. საღ აზრს იყო მოკლებული დელეგაციის ქცევა, როდესაც ვაშინგტონი მეორე ან მესამეხარისხოვან დიპლომატიურ საბრძოლო თეატრად მიიჩნია. საქართველო დიპლომატიურ წარმომადგენლობებს ინარჩუნებდა, იმდროინდელი ეგზისტენციალური საფრთხეებიდან გამომდინარე, ისეთ მეორეხარისხოვან ქვეყნებში, როგორც სკანდინავიის ნეიტრალური სახელმწიფოები იყვნენ, მაგრამ ვერ გამოინახა ერთი დიპლომატი, რომელიც შეერთებულ შტატებში მნიშვნელოვანი მისიის შესასრულებლად გაიგზავნებოდა. ეს არ ყოფილა შეუძლებელი მისია, არამედ ის რაც პარიზსა და თბილისში დიდად არ მოინდომეს. ჰარბორდის, ჰასკელის, ბაკლერის სიტყვებს მინდობილებმა ჩათვალეს, რომ 5000 დოლარის გადახდა და შეერთებულ შტატებში ყოფილი კონგრესმენის ლობისტად ყოლა მეტ-ნაკლებად საკმარისი ზომა იყო. ჩენდლერს უპრობლემოდ შეეძლო, მაგალითად წარმომადგენელთა პალატის საბიუჯეტო კომიტეტში გამოსვლისას, ლიტველთან ერთად საქართველოს წარმომადგენელიც ჰყოლოდა, რომელიც საკითხის უკეთესი ცოდნითა და მეტი მონდომებით წინ წასწევდა დამოუკიდებლობის აღიარების საქმეს. პარიზულ დელეგაციას, გადახდილი გასამრჯელოს სანაცვლოდ, შეეძლო ლობისტისთვის კავკასიაში გამგზავრება და საქმეების ადგილზევე შესწავლა მოეთხოვა. საბოლოო ჯამში შეცდომები ორივე მხარემ დაუშვა, რისი შედეგიც შეერთებულ შტატებში საქართველოს იმიჯის ვერგაუმჯობესება იყო.

თავი IV

კონფერენციის ბოლო ფაზა

1. საქართველოს “დე ფაქტო” აღიარება

ბოლშევიკთა სამხედრო წარმატებებმა და ლოიდ ჯორჯის პოლიტიკამ უიმედო მდგომარეობაში ჩააგდეს სამხრეთ რუსეთის მოხალისეები. ბრიტანეთის გადაწყვეტილება, რომ 1920 წლის 31 მარტამდე გაეგრძელებინა დენიკინის დახმარება, უფრო დათმობა, კომპრომისი იყო ძლევამოსილი სამხედრო მინისტრისა და ზოგადი ანტიბოლშევიკური აღტყინების მიმართ, ვიდრე რუსი გენერლისადმი გულმოწყალება. მისი ბედი გადაწყვეტილი იყო, მოკავშირეებმა ანტიბოლშევიკურ სამხედრო წამოწყებას ზურგი აქციეს.

შეიქმნა საფრთხე, რომ უკან დახეული დენიკინი რისხვას სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკებს დაატყებდა. მან დაატყვევა ქართული სანაპირო დაცვის გემი “ჭოროხი” და მასზე მყოფი 150 სამხედრო მოსამსახურე; საქართველოდან და აზერბაიჯანიდან გაიწვია დიპლომატიური წარმომადგენლები; გააძლიერა ეკონომიკური ბლოკადის ზომები; ძალების მობილიზაცია დაიწყო დადესტნის მიმართულებით, აზერბაიჯანის საზღვართან. 22 დეკემბერს, სამხედრო სამინისტროსთან შეთანხმებით, ლორდმა კერზონმა უორდროპს ინსტრუქცია გაუგზავნა, რათა მას, გენერალ ჰოლმანთან შეთანხმებით, სასწრაფოდ მიეღო ზომები შესაძლო კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად; გამოძიებისათვის დრო არ იყო, მტყუან-მართლის განურჩევლად დენიკინს უნდა გაეთავისუფლებინა დაკავებული გემი, მოეხსნა ეკონომიკური ბლოკადა, ხოლო ქართველებს მესადირიდან უკან უნდა დაეხიათ მდინარე ბზიფამდე, ნეიტრალურ ზონაში ჩადგებოდნენ ბრიტანელი ოფიცრები (290, 670-672).

სომხეთში მოკავშირეთა უმაღლესი კომისარი – პოლკოვნიკი ჰასკელი 1 დეკემბერს მოსალოდნელი საფრთხის შესახებ სამშვიდობო კონფერენციის უმაღლეს საბჭოს აფრთხილებდა. ის საბჭოსაგან დენიკინისათვის სამოქმედო არეალის განსაზღვრას მოითხოვდა. ჰასკელის მოსაზრებები სრულ თანხვედრაში მოდიოდა საქართველოსა და აზერბაიჯანის პიზიციებთან, რადგან მას მიზანშეწონილად მიაჩნდა მდინარე მესადირზე საზღვრის გაკლება, ხოლო დადესტანი უნდა ჩამოშორებოდა რუსი გენერლის სამოქმედო არეალს. სამშვიდობო კონფერენციას ამ წინადადებათა საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდა,

მაგრამ უმაღლესმა საბჭომ, ბრიტანული დელეგაციის ხელმძღვანელის – სერ ეირ ქროუს წინადადებით, შეუძლებლად მიიჩნია ასეთი ინსტრუქციის გაცემა, რადგან დენიკინი ფაქტობრივად ახორციელებდა დაღესტნის კონტროლს და მის გაძევებაზე პასუხისმგებლობას ვერავინ აიღებდა (307, 597-598-606-607; 289, 563-564-569-570).

სწრაფი უკანდახევის შედეგად გარდაუვალი შეიქმნა დონეცკის ქვანახშირის საბადოების დაკარგვა, რაც არსებით გავლენას იქონიებდა საომარი მოქმედებების მიმდინარეობაზე. დენიკინმა დეკემბრის ბოლოს უმაღლეს საბჭოს სთხოვა მოკავშირეთა ერთი ან ორი საარმიო კორპუსი გაეგზავნათ მისთვის, კატასტროფის თავიდან ასაცილებლად. ის გამარჯვებულ სახელმწიფოებს, ალტერნატივის სახით, სთავაზობდა ზეწოლა მოეხდინათ პოლონეთსა და რუმინეთზე, რათა ეს ქვეყნები ჩართულიყვნენ დასავლეთიდან ანტიბოლშევიკურ ბრძოლაში, რაც დენიკინის არმიას მდგომარეობას შეუმსუბუქებდა. რუსი გენერალი ასევე ითხოვდა ომში დამარცხებული ბულგარეთის ჯარების მისთვის გაგზავნას. 5 იანვარს უმაღლესმა საბჭომ განიხილა, მაგრამ ყველა წინადადება უარყო. ეირ ქროუმ დასვა კითხვა – რატომ უნდა ეძულეობინათ პოლონეთი მისთვის სახიფათო ოპერაციაში ჩართულიყო თუ დენიკინი არავითარ დათმობას არ განახორციელებდა? იქვე გამოითქვა მოსაზრება, რომ პოლონელებიც ვერ უშველიდნენ თეთრი არმიის უკანდახევას. ბულგარელთა, ანუ მტრის ჯარების, საომარ ოპერაციებში გამოყენება უყოყმანოდ გამოირიცხა, ხოლო მოკავშირეთა საარმიო კორპუსების გაგზავნა იმდენად არარეალური იყო, რომ ის არც განუხილავთ (307, 784-785-796-798; 289, 688-689-699-701).

დენიკინის პოზიცია ისევე სწრაფად პროგრესირებდა დათმობის მიმართულებით, როგორც მისი სამხედრო წარუმატებლობები. 1919 წლის დეკემბრის მანძილზე "სოვეშანიეს" წევრები – საზონოვი და მაკლაკოვი მას აცნობებდნენ, რომ პატარა ეროვნებებისადმი მოკავშირეთა პოლიტიკა უფრო მეგობრული ხდებოდა და თუ მას სურდა სამხედრო მხარდაჭერა შეენარჩუნებინა, ახალ რესპუბლიკებთან მოლაპარაკებებში უნდა შესულიყო. დენიკინის პასუხი მკაცრი იყო – ასეთ მოლაპარაკებებში მხოლოდ ავტონომიის ფორმებზე შეიძლებოდა საუბარი, ანუ ეს ითვლებოდა რუსეთის საშინაო საქმედ და ვერ მოხდებოდა შეთანხმება, როგორც თანაბარ უფლებიან საერთაშორისო სუბიექტებს შორის (359, 367). მან განცხადებები საქმედ აქცია და დეკემბერში

პოლიტიკა გაამკაცრა სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკების მიმართ. თუმცა, სულ ერთი თვის შემდეგ, 1920 წლის იანვარში, დენიკინმა მოკავშირეთა და ახალ რესპუბლიკათა მოთხოვნები დააკმაყოფილა: პირობა მისცა პოლონეთს, რომ მოქნილ მიდგომასა და ეთნიკურ ფაქტორს გამოიყენებდა რუსეთის დასავლეთ საზღვრის დადგენისას, მოხსნა სამხრეთ კავკასიის ბლოკადა, გაათავისუფლა “ჭოროხი”, აღიარა რესპუბლიკათა დე ფაქტო დამოუკიდებლობა. თუმცა, ყველა ეს დათმობა დაგვიანებული იყო და არ უმოქმედია მოკავშირეთა უკვე გადაწვეტილ პოლიტიკაზე.

პრესაში გამოსულ ლოიდ ჯორჯის სიტყვებს და თეთრი გენერლების წარუმატებლობას ქართული დელეგაციაც ყურადღებით აკვირდებოდა. 11 და 14 ნოემბრის სხდომებზე გაცხადდა, რომ საქართველოს წარგზავნილებმა ძირითადად სწორად დაინახეს შექმნილი ვითარება – მათი თქმით – ბრიტანეთში გაჩნდა ორი პოზიცია, ერთი ჩერჩილის, რომელიც რუსეთის აღდგენისაკენ იყო მიმართული და კოლჩაკ-დენიკინის კრახთან ერთად განიცდიდა წარუმატებლობას, ხოლო მეორე ლოიდ ჯორჯის. ეს უკანასკნელი ბოლშევიკებს მხარს არ უჭერდა, მაგრამ ასევე წინააღმდეგი იყო რეაქციული რუსეთის აღდგენისა, შესაბამისად განაპირა რესპუბლიკების დამოუკიდებლობისადმი გამოთქვამდა დაინტერესებას. ირაკლი წერეთელი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის პოლიტიკის პლატფორმაზე დადგომას სთავაზობდა დელეგაციას (31, 126-128).

აღნიშნულ მოსაზრებათა განსახორციელებლად ის, კონსტანტინე გვარჯალაძესთან ერთად, ლონდონში გაემგზავრა. ქართველი სოციალისტი მიიღო თემთა პალატის წევრმა, ლეიბორისტთა და მეორე ინტერნაციონალის ერთ-ერთმა ლიდერმა – არტურ ჰენდერსონმა, რომელმაც ის თანაპარტიელებს, ტრეიდ-უნიონებს წარუდგინა, ინტერვიუები მიაცემინა სოციალისტურ პრესაში, წაიყვანა პარლამენტში და გააცნო თემთა პალატის თავმჯდომარე – ბონარ ლოუ. ეს უკანასკნელი, ჰენდერსონთან ერთად, წერეთელს დაჰპირდა, რომ ლოიდ ჯორჯს შეახვედრებდა, თუმცა ეს შეხვედრა არ შედგა.

სხვადასხვა პარლამენტარებთან ერთად წერეთელმა ინახულა მემარცხენე ლიბერალი ჯოზეფ ქენგორსი. ამ უკანასკნელმა დეკემბრის დასაწყისში პარლამენტის ტრიბუნიდან ლოიდ ჯორჯს ბათუმის ოლქში დენიკინის აგენტთა მოქმედების შესახებ ჰკითხა და მოუწოდა სამშვიდობო კონფერენციის

ფარგლებში მოეხდინა პროვინციის საქართველოსათვის მიკუთვნება, ამასთანავე ბრიტანეთისათვის ბათუმის სტრატეგიული მნიშვნელობა შეასენა. პრემიერ-მინისტრმა, როგორც მას უხერხულ კითხვებზე სჩვეოდა ხოლმე, ზოგადი პასუხი გასცა და არ გაამჟღავნა კავკასიასთან მიმართებით საკუთარი პოლიტიკური გეგმები. ლოდ ჯორჯმა განაცხადა, რომ რეგიონში ორივე – რუსეთთან შეერთებისა და გამოყოფის მიმართულებით წარმოებდა პროპაგანდა, ხოლო ბათუმის სტატუსი ვერ დადგინდებოდა კავკასიის მომავლის განსაზღვრის გარეშე (163).

ქენვორსიმ წერეთელს შესთავაზა, რომ თემთა პალატის სხდომაზე საქართველოს შესახებ შეკითხვას საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილესაც დაუსვამდა. იმის გათვალისწინებით თუ რა უარყოფითი შედეგი მოჰყვა საფრანგეთის პარლამენტში ანატოლი დე მონზის აქტიურობას, წერეთელმა ბრიტანელ პარლამენტარს სიფრთხილისკენ მოუწოდა და სთხოვა, რომ კითხვის ფორმულირება მასთან ერთად მოეხდინა. თუმცა, ქენვორსიმ მასთან შეუთანხმებლად დაუსვა კითხვები მინისტრის მოადგილე ჰარმსვორსის. ის ინტერესდებოდა ცნობილი იყო თუ არა საქართველოს რესპუბლიკა და რა იყო მიზეზი განსხვავებული მიდგომებისა ერთი მხრივ საქართველოსთან, ხოლო მეორე მხრივ ლატვია-ესტონეთთან მიმართებაში. მინისტრის მოადგილემ უპასუხა, რომ არც ბალტიის რესპუბლიკები და არც საქართველო დე იურე ცნობილები არ იყვნენ, განსხვავება მხოლოდ მთავრობათა დე ფაქტო ცნობაში გამოიხატებოდა, რადგან ბალტიის ქვეყნები განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე იდგნენ, ვიდრე კავკასიის სახელმწიფოები და ეს განაპირობებდა განსხვავებულ მიდგომებს. ქენვორსი არ მოეშვა და ფაქტებს მოუხმო. მისი თქმით საქართველოში მოქმედებდა საყოველთაო არჩევნების გზით არჩეული დამფუძნებელი კრება და მთავრობა; მან კიდევ ერთხელ გაიმეორა შეკითხვა – რატომ არ იყო საქართველო აღიარებული და რატომ იფარგლებოდნენ პარიზისა თუ ლონდონში მისდამი მხოლოდ სიმპათიის გამოხატვით. პარლამენტში გამოჩენილი ყურადღება საქართველოსათვის სასარგებლო იყო, მაგრამ ეს არ ყოფილა ადგილი, სადაც დელიკატურ საერთაშორისო პრობლემებზე დაწვრილებით საუბარი შეიძლებოდა, ამიტომ მინისტრის მოადგილემ განაცხადა, რომ ის უკვე ნათქვამს მეტს ვერაფერს დაამატებდა (31, 149; 168).

ეს საკითხები, უფრო ინტიმურ გარემოში, ქართველმა დელეგატმა ჯერ საგარეო საქმეთა სამინისტროს აღმოსავლეთის დეპარტამენტის დირექტორ – ჯორჯ კიდსტონთან, შემდეგ მინისტრ კერზონთან შეხვედრებზე წამოსწია.⁵⁰

საუბრის დასაწყისშივე კარგი ტონის შესაქმნელად, როგორც ამას არაერთი ბრიტანელი დიპლომატი აკეთებდა, კიდსტონმა წერეთელს უთხრა: “ჩინებული ცნობები მოდის უორდროპისაგან თქვენს შინაურ ცხოვრებაზე. უორდროპზე უკეთესი დამცველი თქვენ არ გყავთ. უორდროპს რომ გზავნიდა სამინისტრო, იცოდა მას როგორი სიმპათია ჰქონდა ქართველების მიმართ.” შემდეგ მათ ისაუბრეს ჰარმსვორსის მიერ გაკეთებულ განმარტებებზე. წერეთელმა უკმაყოფილება გამოხატა, რომ მინისტრის მოადგილის შეხედულებებიდან საქართველოს აღიარების საწინააღმდეგო დამოკიდებულების დანახვა შეიძლებოდა, რაც ქართველი ხალხის იმედგაცრუებას და მტრების გამხნევებას გამოიწვევდა. კიდსტონმა პასუხისგან თავი შეიკავა, რადგან ამ თემაზე მოგვიანებით კერზონს უნდა ესაუბრა წერეთელთან. ორივე შეხვედრა 22 დეკემბერს შედგა, სწორედ იმ დღეს, როდესაც საგარეო საქმეთა მინისტრმა უორდროპს დაავალა დენიკინსა და საქართველოს შორის ურთიერთობა დაერეგულირებინა, შესაბამისად კიდსტონთან საუბარიც ძირითადად შეეხო “ჯუროსის” დაკავებას და ქართველთა გაჯიუტებას, რომლებიც მდინარე მესადირიდან უკან არ იხევდნენ. წერეთელმა განმარტა, რომ სამხედრო თვალსაზრისით მესადირი სტრატეგიული მნიშვნელობის ადგილი იყო და ეს პოზიცია ფართომასშტაბიანი თავდასხმისაგან ქვეყნის დაცვის შესაძლებლობას იძლეოდა; საქართველო არ ენდობოდა დენიკინს და მხოლოდ იმ შემთხვევაში დაიხვედა უკან ბზიფის მიმართულებით თუ დაპირისპირებულ მხარეებს შორის ბრიტანელი ოფიცრები ჩადგებოდნენ (31, 149; 168). დენიკინის წარუმატებლობის გამო ამ საკითხმა მალე დაკარგა მნიშვნელობა. წერეთელს არც ერთ

⁵⁰ კერზონთან შეხვედრის ორგანიზება კიდსტონმა და წერეთელმა სხვადასხვანაირად აღწერეს: აღმოსავლეთის დეპარტამენტის დირექტორი წერდა, რომ წერეთელი “პირობას დებს 5 წუთზე მეტი არ წაართვას მინისტრს და თავის მოთხოვნებს წერილობით გადასცემს.” (168). ხოლო ქართველი დიპლომატი დელეგაციას აუწყებდა, რომ მას პარიზში ეჩქარებოდა და კიდსტონმა სთხოვა დარჩენილიყო, ორჯერ დაურეკა კერზონთან შეხვედრის შესათანხმებლად, რის გამოც წერეთელმა პარიზში დაბრუნება რამდენიმე დღით გადადო (31, 150). ფაქტია, რომ საგარეო საქმეთა მინისტრთან შეხვედრა არა ხუთწუთიანი, არამედ საკმაოდ ვრცელი გამოვიდა. შეხვედრის თაობაზე ჩანაწერი მხოლოდ წერეთელმა გააკეთა და თხრობა მის მონაყოლს ემყარება, თუმცა კიდსტონთან საუბრის ჩანაწერი ორივე მხარემ აწარმოა და მათი ჩვენებები ძირითადად ერთმანეთს ემთხვევა.

შეხვედრაზე არ გაუმახვილებია განსაკუთრებული ყურადღება ქვეყანასთან მოახლოებულ ბოლშევიკურ საფრთხეზე, რომლისაგან კავკასიის დასაცავი მოკავშირეთა პოლიტიკა მზადების პროცესში იყო. მოგვიანებით აკაკი ჩხენკელი ამის თაობაზე საყვედურობდა დელეგაციას: “კაკი საშობაოთ, ლონდონში მყოფობის დროს, კიდევ დენიკინის საშიშროებაზე ჩივის, მაშინ როდესაც უნევაში ვიცოდი მე, რომ დენიკინის ფრონტი დაშლის და გახრწნის პროცესში იმყოფებოდა, რაღაც პატარა გემის გატაცებას შავ ზღვაზე გზა-კვალი არ უნდა აებნია ჩვენთვის.” (62, 3).

მინისტრთან აუდიენცია შემდეგნაირად დაახასიათა წერეთელმა: “კერზონთან შეხვედრას არ ჰქონდა ხასიათი იმ ოფიციალური შეხვედრების, სადაც საქმე ორიოდ უმნიშვნელო ფრაზით მთავრდება. მან მეც საშუალება მომცა ამეწერა ჩვენი ქვეყნის მდგომარეობა და თითონაც არსებითათ შეეხო საკითხს.” ქართველმა წარგზავნილმა მინისტრს უსაყვედურა ბრიტანეთის გამოურკვეველი პოზიციის გამო, რომელიც საქართველოს ხალხის იმედგაცრუებას იწვევდა და ხელს უწყობდა როგორც ბოლშევიკთა, ასევე დენიკინის ინტრიგებს. ამ უკანასკნელზე დასძინა “დენიკინის საფრთხე თავზე გვაწევს”-ო. ბოლოს მან ჰარმსვორსის გამოსვლით გამოწვეულ თავის უკმაყოფილებაზე ისაუბრა და სთხოვა მისთვის განემარტათ ბრიტანეთის კავკასიური, კერძოდ ქართული პოლიტიკა.

უორდროპის შესახებ კერზონმა კიდსტონის განცხადება გაიმეორა და დაამატა, რომ მისი კავკასიაში გაგზავნით მკაფიოდ გამოჩნდა ქართველებისადმი მისი უდიდებულესობის მთავრობის კარგი დამოკიდებულება. მინისტრი თავის პასუხებში საკმაოდ გულახდილი იყო, ის ვრცლად შეეხო იმ საკითხებს, რომლებზედაც საჯაროდ პასუხის გაცემას ჰარმსვორსიმ თავი აარიდა. მან საქართველოს მთავრობას მოუწონა ქვეყნის შიგნით დამყარებული წესრიგი; მისი ინფორმაციით, ქვეყნის ხელისუფლებას ჰქონდა უნარი საკუთარ საქმეებს გაძღოლოდა, მაგრამ აღიარებისათვის საჭირო იყო არა მხოლოდ საშინაო, არამედ საერთაშორისო ფაქტორების თანხვედრა. კერზონი დადებითად აფასებდა საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის არსებულ ახლო ურთიერთობას, ის ასევე მიესალმებოდა ბოლო დროს სომხეთთან მიღწეულ შეთანხმებებს, მაგრამ დასძენდა – “დღეს ვცდილობთ მოვაწყოთ თქვენი დამოკიდებულება თქვენს მესამე მეზობელთან, დენიკინთან” და წერეთელს უორდროპისათვის იმავე დღეს

გასაგზავნი ინსტრუქციების შინაარსი გააცნო; შემდეგ განაგრძო – “ამ საქმის ლიკვიდაცია უნდა მოხდეს ახლა, ორივე მხარემ ცოტა უნდა დათმოს...” და ბოლოს დაასკვნა “ამ საქმის დამთავრებას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგანაც თუ ეს გადაწყდა, მერე ყველა მეზობელთან კარგი განწყობილება გექნებათ და თქვენი ცნობის საკითხი გაადვილდება.” მინისტრმა ქართველი დელეგატი დააიძუა, რომ ყველაფერს გააკეთებდა, რათა დენიკინის საქართველოში შეჭრა არ დაეშვა, რადგან ეს დიდ უბედურებას გამოიწვევდა. კერზონი არადიპლომატიურად პირდაპირი იყო საქართველოს საკითხის საბოლოო შეფასებისას: “სულ დიდი ამ ექვსი თვის განმავლობაში გამოირკვევა დენიკინის საქმე, შეუძლია რუსეთში გამაგრდეს თუ არა. მოვიცდით კიდევ ექვს თვეს და მივიღებთ მერე რუსეთის შესახებ რამე გადაწყვეტილებას და თქვენი საკითხიც საბოლოოდ მაშინ გადაიჭრება.” წერეთელმა თქვა, რომ საფრანგეთი საქართველოს ყურადღებას არ აქცევდა, ძირითადი კონტაქტები მაინც ბრიტანეთთან არსებობდა და ამიტომ ჰკითხა – ხომ არ აჯობებდა დელეგაციის ან მისი ნაწილის სამუშაოდ ლონდონში გადასვლა. კერზონი საქართველოს აღიარების საკითხს მოკავშირეთა საერთო გადაწყვეტილებას უკავშირებდა, ამიტომ ურჩია დიდი სახელმწიფოების გაღიზიანებისათვის თავი აერიდებინათ და პარიზში დარჩენილიყვნენ. იქვე მიუთითა, რომ იანვარში შედგებოდა საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრა პარიზში და მას სურდა ქართული დელეგაცია აუცილებლად ადგილზე ყოფილიყო.

კერზონი იყო პირველი და უკანასკნელი მოკავშირე მაღალი რანგის დიპლომატი, რომელმაც, პარიზის სამშვიდობო კონფერენციის მსვლელობისას, საქართველოს წარმომადგენელს საერთაშორისო პოლიტიკის მიმდინარე დეტალები საკმაოდ დაწვრილებით და პირუთვნელად გააცნო.⁵¹ წერეთელი მიღებული პასუხებით კმაყოფილი დარჩა, მაგრამ მოითხოვა, რომ კერზონის განცხადებები ოფიციალურად გამოქვეყნებულიყო, რადგან, მისი აზრით, კერძო საუბარში ნათქვამი სიტყვები არანაირად არ გამოდგებოდა პარლამენტის ტრიბუნლიდან გაკეთებული განცხადების საპირწონედ. მინისტრმა საერთაშორისო ურთიერთობებში მიმდინარე სენსიტიური თემების გასაჯაროება შეუძლებლად მიიჩნია. თუმცა წერეთელი შეხვედრიდან მაინც კმაყოფილი გამოვიდა:

⁵¹ ალბათ სწორედ ეს იყო მიზეზი იმისა, რომ წერეთელთან შეხვედრის თაობაზე კერზონს არანაირი დოკუმენტი არ გამოუშვია საგარეო საქმეთა სამინისტროსათვის მიმოქცევაში.

“განსაკუთრებული თავაზიანობით ლაპარაკობდა საქართველოზე. მაგალითად, სიტყვა ასე დაასრულა – “მე დიდი ყურადღებითა და პატივისცემით მოვისმინე საქართველოს წარმომადგენლის სიტყვები”-ო და სხვ.” (31, 150-151).

ამ შეხვედრიდან ორ დღეში, 1919 წლის 24 დეკემბერს, კერზონმა კაბინეტისათვის მიმოქცევაში გამოუშვა, საქართველოსთვის კეთილისმყოფელი, ცხრაგვერდიანი მემორანდუმი – “სამხეთ კავკასია”, რომელიც უორდროპის ტელეგრაფების და მინისტრის პირადი სენტიმენტების საგრძნობ გავლენას განიცდიდა. მემორანდუმში აღნიშნული იყო: “მიუხედავად იმისა, რომ ეს რესპუბლიკები ფორმალურად არ არიან ცნობილნი მისი უდიდებულესობის მთავრობის მიერ, გარკვეული დე ფაქტო აღიარება მინიჭებულ იქნა წინა ზაფხულში თბილისში სამხრეთ კავკასიის უმაღლეს კომისრად ოლივერ უორდროპის გაგზავნით.” კერზონის აზრით, რესპუბლიკებს სამი რამ აერთიანებდათ: 1. დამოუკიდებლობისადმი სწრაფვა; 2. ბოლშევიზმის წინააღმდეგ ბრძოლა; 3. შიში დენიკინისა და ერთიანი რუსეთის იდეისადმი. ის იქვე განმარტავდა, რომ საქართველოს მთავრობის სოციალიზმი განსხვავდებოდა ბოლშევიკურისაგან, ხოლო სამხეთი უფრო ლოიალურად იყო განწყობილი დენიკინისადმი. კერზონი მინისტრთა კაბინეტსაც უდასტურებდა, წერეთლისათვის ნათქვამ, საქართველოს მთავრობისადმი არსებულ სიმპათიებს: “...იმ დღიდან მოყოლებული (1918 წლის მაის-ივნისი) საქართველოს მთავრობის მთელი ენერჯია, უორდანიასა და გეგეჭკორის მეთაურობით, კონცენტრირებულია სოციალ-დემოკრატიული პრინციპების აღდგენისა და ბოლშევიკთა გაძევებისაკენ. ქაოსიდან აღმოცენდა ცივილიზებული მთავრობა; კერძო მესაკუთრეობა დაშვებულია გარკვეულ ზღვრამდე, წესრიგი დაცულია და სამ რესპუბლიკას შორის საქართველო არის ყველაზე წარმატებული. მთავრობა და ხალხის მასა არის ძლიერ ანტიკომუნისტური...” მინისტრი არ გამორიცხავდა საქართველოსა და აზერბაიჯანის ავტონომიური სახით რუსეთში დაბრუნებას, მაგრამ იქვე იმეორებდა ერთი წლის წინ გაუქმებულ საკუთარ მოსაზრებას: “ბრიტანეთი, როგორც აღმოსავლური იმპერია, დაუინტერესებლობას ვერ გამოიჩენს სამხრეთ კავკასიის საკითხის გადაწყვეტისადმი” და იქვე აღნიშნავდა სპარსეთისაკენ მიმავალი სარკინიგზო ხაზების მნიშვნელობას, ბოლოს ასკვნიდა “არსებითი საკითხია, რომ ის ქვეყნები, რომლებზედაც დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის არსებული ეს ძირითადი საკომუნიკაციო არტერიები

გადის, უნდა იყვნენ აყვავებულნი და კარგად განწყობილნი ბრიტანეთისა და ბრიტანული პოლიტიკისადმი.”

მინისტრი ვრცლად შეეხო სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკათა აღიარების საკითხს. ის, 1918 წლის დეკემბერში, აღმოსავლეთის კომიტეტის სხდომაზე წარმოთქმულ მოსაზრებებს იმეორებდა: საქართველოსა და აზერბაიჯანის საკითხი სომხეთისაგან ცალკე იდგა, რადგან ეს უკანასკნელი თურქეთის პრობლემის მოგვარებასთან იყო დაკავშირებული. მას უფრო მეტად ბაქო-ბათუმის ხაზი აინტერესებდა, ამიტომ საქართველოსა და აზერბაიჯანზე უფრო მეტი განმარტება გააკეთა: პირველ მათგანს, ისტორიისა და თვითმმართველობის უნარის გათვალისწინებით, დამოუკიდებლობის მეტი უფლება ჰქონდა ვიდრე მეორეს; აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის უფლებას ის სპარსული პროვინციების – გილანისა და აზერბაიჯანის უფლებებზე მაღლა არ აყენებდა; თუმცა, ორი რესპუბლიკის საკითხს ერთმანეთისაგან ვერ გამოყოფდნენ, რადგან თუ რუსეთი აზერბაიჯანის ოკუპაციასა და ბაქო-ბათუმის ერთი ნაწილის დაკავებას მოახერხებდა, მაშინ შეუძლებელი გახდებოდა საქართველოს თავისუფლების დაცვა. შესაბამისად, წარმოიშვებოდა ორი კითხვა: “ა) რამდენად მზად ვართ წინ აღვუდგეთ დენიკინსა და ერთიანი რუსეთის პარტიას; ბ) რამხელა მნიშვნელობას ვანიჭებთ სპარსეთსა და მომავალში აღდგენილ რუსეთს შორის ბუფერული სახელმწიფოების შექმნას.” კერზონი არასოდეს ყოფილა “ერთიან რუსეთთან” პირდაპირი კონფრონტაციის მომხრე, მეტადრე ეს საკითხი მხარდაჭერას ვერ მოიპოვებდა ბრიტანეთის მინისტრთა კაბინეტში, ამიტომ მან სამი კომპრომისული წინადადება წამოაყენა: 1. რესპუბლიკების დაუყოვნებლივ აღიარება; სამხრეთ კავკასიის ფედერაციის ფორმირება სამივე რესპუბლიკის მონაწილეობით; მასზე ბრიტანეთის ან შეერთებული შტატების მანდატის დაწესება; მოგვიანებით ამ ფედერაციაში დონის, ყუბანის, თერგის ოლქის და უკრაინის შეყვანა; მოგვიანებით ფედერაციის მთელი რუსეთის ტერიტორიაზე გავრცელება, სადაც ბოლშევიზმისათვის ადგილი აღარ დარჩებოდა. ამ შემთხვევაში მანდატორი სახელმწიფო პირდაპირ დაპირისპირებაში არ მოვიდოდა გენერალ დენიკინთან; 2. დენიკინის მდგომარეობის გამორკვევამდე საქართველოსა და აზერბაიჯანის აღიარებისაგან თავის შეკავება. ამავე დროს დენიკინზე ზეწოლის მოხდენა, რათა მას რესპუბლიკებისათვის არ შეეცია. 3. საქართველოსა და აზერბაიჯანის დაუყოვნებლივ აღიარება და, ერთა ლიგის

გადაწყვეტილების შედეგად, ხუთ წელიწადში მათი ფედერალურ რუსეთში რეინკორპორაცია (95).⁵²

სამივე წინადადებიდან შემდეგი მოსაზრებები გამომდინარეობდა: კერზონს სურდა მოკავშირეებს, უპირველეს ყოვლისა ბრიტანეთს, სამხრეთ კავკასიის კონტროლის ბერკეტები შეენარჩუნებინათ; ბრიტანული მანდატი მისი პროგრამა მაქსიმუმი იყო; მას არ უნდოდა აღდგენილ რუსეთთან დაპირისპირება, მაგრამ სხვადასხვა მანიპულაციის გზით ცდილობდა სამხრეთ კავკასიისათვის რუსეთისაგან რაც შეიძლება მეტი თავისუფლების ხარისხი მოეპოვებინა მშვიდობიანი მეთოდებით და ამ მორიგებაში არბიტრის როლი მანდატორ სახელმწიფოს ან ერთა ლიგას უნდა ეთამაშა; ერთიანი რუსეთის ნიღბით, ფართო ავტონომიურ უფლებებზე დაფუძნებული ისეთი მერყევი ფედერაციის შექმნა, რომელიც რუსეთს საერთაშორისო ურთიერთობებში იმპერიულ ძალაუფლებას არ დაუტოვებდა.

როდესაც მინისტრთა კაბინეტს ზემოთმოყვანილ მემორანდუმს წარუდგენდა, კერზონს სამხრეთ კავკასიის საკითხზე უკვე ჰქონდა გარკვეული შეთანხმებები მიღწეული ფილიპ ბერტელოსთან. 11-13 დეკემბრის ანგლო-ფრანგული კონფერენციის შემდეგ, იმავე თვის 22-23 რიცხვებში თურქეთის პრობლემის გადაწყვეტასთან დაკავშირებული მოლაპარაკებები გაგრძელდა ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრსა და მაღალი რანგის ფრანგ დიპლომატს შორის. ანგლო-ფრანგული დიალოგი თურქეთთან ზავის ფაქტობრივად ყველა საკითხს შეეხო, მაგრამ თურქული პრობლემის გარეთ ვერ დარჩებოდა სომხეთი, სამხრეთ კავკასია და შესაბამისად საქართველოს სამხრეთი საზღვრები.

1919 წლის დეკემბრისათვის ცხადი გახდა, რომ ომის შემდგომი აღტყინებაში სომხეთისათვის დაპირებული “ზღვიდან ზღვამდე” ტერიტორიების

⁵² საქართველოს მთავრობაზე, სამხრეთ კავკასიაში რუსეთის როლზე კერზონისაგან საპირისპირო მოსაზრებები იხ. C. E. Bechhofer-Roberts – In Denikin's Russia and The Caucasus, 1919-1920 (332). ბენჰოფერ-რობერტსი გახლდათ რუსოფილი, ნახევრად რუსული ოჯახის მქონე ბრიტანელი ჟურნალისტი, რომელმაც 1919-1920 წლებში იმოგზაურა სამხრეთ კავკასიასა და დენიკინის მიერ კონტროლირებად მხარეებში. მან წიგნში თავისი მოგზაურობა აღწერა, სადაც საქართველოს ხელისუფლებას იმაზე მუქ ფერებში ახასიათებდა, ვიდრე თავად დენიკინი; როგორც რუსულად მოლაპარაკე ადამიანს, მას არ მოსწონდა მთავრობისა და დამფუძნებელი კრების მიერ სამუშაო ენად ქართულის გამოცხადება; ის ევროპელებს უსაყვედურებდა, რომ მათ მხედველობიდან რჩებოდათ კავკასიაში რუსული კოლონიალიზმის კეთილისმყოფელი გავლენა და ა.შ.

მინიჭება არარეალური იყო. მუსტაფა ქემალის სამხედრო ძალები უკვე ხელშესახებ ძალას წარმოადგენდნენ, მათგან სომხეთის დაცვა რთული ამოცანა იყო; ამასთანავე, ბრიტანეთის მინისტრთა კაბინეტის ნაწილი, ინდოეთის საქმეთა მინისტრ – ედვინ მონტაგუს ხელძღვანელობით, უფრთხოდა მუსულმანებისადმი მკაცრ მოპყრობას, რადგან ამას შეიძლებოდა ინდოელ მუსულმანთა შორის მღელვარება გამოეწვია. ფრანგულმა მხარემ ბრიტანეთს წარუდგინა მემორანდუმი, სადაც აღინიშნა, რომ ტრაპიზონის მიმართულებით სომხები აშკარა უმცირესობას წარმოადგენდნენ და მათ ზღვაზე გასასვლელი ვერ მიეცემოდათ. უფრო ადრე, ფრანგებმა ხმელთაშუა ზღვაზე გასასვლელი დაუკეტეს სომხებს. საქართველოს მთავრობის იმედი, რომ რაც შეიძლებოდა მეტი თურქული ტერიტორია მინიჭებოდა სომხეთს, რათა ის საქართველოს არ “მოწოლოდა”, არ გამართლდა და ფრანგული მემორანდუმიც სწორედ კავკასიის მიმართულებით “მოწოლას”, საქართველო-აზერბაიჯანის ხარჯზე სომხეთისთვის კომპენსაციის მინიჭებას ითვალისწინებდა. აღნიშნულ ინიციატივაზე კომენტარი გააკეთეს ბრიტანეთის სამშვიდობო დელეგაციის წევრებმა – ერიკ ფორბს ადამმა და რობერტ ვანსიტარტმა: “ჩვენ სიმპათიით ვუყურებთ საქართველოსთან (ბორჩალო) და აზერბაიჯანთან (ყარაბაღი და ზანგეზური) არსებული რაც შეიძლება მეტი სადავო რაიონის ერევნის სომხურ რესპუბლიკაში ინკორპორაციას. სომხური მოსახლეობა, რომელმაც ახალ სახელმწიფოში უნდა იცხოვროს, ძალიან მცირედ გვეჩვენება იმისათვის, რომ სომხური უმრავლესობით დასახლებული ტერიტორიები ამ სახელმწიფოს შემადგენლობაში არ ჩაერთოთ.” (96; 291, 954).

ამრიგად, ერთი წლით ადრე აღმოსავლეთის კომიტეტის მიერ მიღებული გეგმა, რომელიც ბრიტანეთის სამშვიდობო დელეგაციამ სახელმძღვანელოდ წაიღო პარიზში და ითვალისწინებდა ლორეს (ბორჩალოს) საქართველოს შემადგენლობაში დატოვებას, შეიცვალა. 31 დეკემბერს ლონდონში მყოფმა აპარონიანმა ინახულა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ჯონ ტილი, რომელსაც შესჩვილა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ისედაც სახლობდა 306 ათასი, ხოლო აზერბაიჯანში 188 ათასი სომეხი და მიუხედავად ამისა, ეს ქვეყნები ითხოვდნენ უშუალოდ “სომხური ტერიტორიების” მათთვის მიკუთვნებას (123). სომხური დელეგაციის თავმჯდომარემ მიიღო ინფორმაცია, რომ მოკავშირეები სადავო ტერიტორიების სომხეთისთვის გადაცემას აპირებდნენ, მაგრამ ეს გამომჩნდებოდა არა როგორც აპარონიანის მოთხოვნა, არამედ

გამარჯვებულ სახელმწიფოთა გადაწყვეტილება. სომხეთს ამ დროისათვის კავკასიის ქვეყნებთან კარგი ურთიერთობა სჭირდებოდა, რადგან მოკავშირეთა უხვი დაპირებების შედეგი არსად ჩანდა, ძალას იკრებდა მუსტაფა ქემალი, ჩრდილოეთში მარცხდებოდა ერევნის რესპუბლიკის მოკავშირე დენიკინი და ბოლშევიკური საფრთხე უახლოვდებოდა სამხრეთ კავკასიას. შესაბამისად, სომხურმა დელეგაციამ ქართულ მხარესთან ურთიერთობები დაათბო. აპარონიანის ტილისთან შეხვედრიდან ორი დღის შემდეგ კონსტანტინე გვარჯალაძე კარლო ჩხეიძეს ლონდონიდან პარიზში წერდა: “არასოდეს მინახავს აპარონიანი ასეთ ღირიკულ პოზაში, როგორც ეხლა იყო. ეხლა არც ახალქალაქი და არც ბორჩალო ვეღარ წავგაჩხუბებს ერთმანეთსო. როცა სომხების ამერიკის კომიტეტზე გაკვირით ვუთხარი, რომ ის ჩვენ და ადერბაიჯანის წინააღმდეგ იქ აგიტაციას ეწვეათქო, ჩემთან დასწერა წერილი ინსტრუქციის სახით კომიტეტისადმი, რომ ეხლა საქართველოსთან დამოკიდებულება კარგია და შესწვიტეთ ამათ წინააღმდეგ აგიტაციას და გააგზავნა ამერიკაში. მგონია, რომ საჭიროა ამათთან მუდმივი კავშირი, რომ მით მოსპობილ იქმნას ყოველგვარი მათი აგიტაცია ჩვენს წინააღმდეგ.” (49, 16).

ფრანგულ მემორანდუმში ეწერა, რომ რადგან სომხეთს ტრაპიზონში არ ეძლეოდა ზღვაზე გასასვლელი, მას ბათუმის თავისუფალ პორტში უნდა მიეღო ამის შესაძლებლობა. ბრიტანელმა ექსპერტებმა თავიანთი კომენტარი მიაწერეს – სასურველი იყო, ერთა ლიგის პატრონაჟის ქვეშ, ბათუმში სახელმწიფოს დაარსება; საქართველოს, სომხეთს, აზერბაიჯანს, თურქეთს, სპარსეთს შორის ხელშეკრულების დადება თავისუფალი ტრანზიტისა და პორტით სარგებლობის შესახებ (96; 291, 956).

22 დეკემბრის შეხვედრაზე კერზონმა და ბერტელომ დააზუსტეს, რომ ისინი თანხმდებოდნენ როგორც მემორანდუმის შინაარსზე, ასევე ბრიტანულ კომენტარებზე. საქართველოსა და აზერბაიჯანთან სომხეთის საზღვრებზე გამოთქმული მოსაზრებები ორივე მხარისათვის მისაღები იყო, მაგრამ მათი საბოლოო დადგენა მოკავშირეთა კომისიას უნდა მოეხდინა. ასევე მოწონებულ იქნა ბათუმში სახელმწიფოს შექმნის იდეა. თბილისში საფრანგეთის სამხედრო მისიის მეთაურის – პოლკოვნიკ შარდინის ჩვენებით, სომხური სახელმწიფოს საზღვრების დასაცავად მომავალში საჭირო გახდებოდა 20 ათასი ჯარისკაცის გამოყოფა (96; 291, 962-965-966). მოკავშირეთა სახელით გაკეთებული ზოგადი

დაპირება მანამდეც არაერთხელ მიუღია სომხეთს, მაგრამ საკითხი ყოველთვის მაშინ ფერხდებოდა, როდესაც კონკრეტულ დიდ სახელმწიფოს ეკითხებოდნენ თუ რა წვლილის შეტანა შეეძლო სომხეთის დაცვაში. აქაც, საფრანგეთისა და ბრიტანეთის წარმომადგენელთა შეხვედრაზე, რომელსაც შეერთებული შტატების მხრიდან არავინ ესწრებოდა, ლორდმა კერზონმა რწმენა გამოთქვა – “ფულის დიდი რაოდენობა ალბათ ამერიკიდან წამოვა”; მას შარდინის მიერ დასახელებული 20 ათასი ჯარისკაცი ბევრად მოეჩვენა და ჩათვალა, რომ ხუთი წლის ვადით ხუთი ან ათი ათასი საერთაშორისო ჯარისკაცის გამოყოფა საკმარისი იქნებოდა სომხური სახელმწიფოს შესაქმნელად. მას ბერტელოც დაეთანხმა, მაგრამ ვის უნდა გამოეყო თუნდაც ხუთი ათასი კაცი, ამაზე საუბარი არ ყოფილა (96; 291, 968-969).

ხელშესახები გეგმები დაისახა საქართველოსა და აზერბაიჯანის მომავლის თაობაზე. კერზონმა თავისი შეხედულებები რვა პუნქტად ჩამოაყალიბა:

1. ბათუმში თავისუფალი სახელმწიფოს დაარსება ერთა ლიგის მეთვალყურეობის ქვეშ;
2. ბრიტანეთის ჯარების მიერ რეგიონის ბოლოდროინდელი ოკუპაციიდან, მისი აღმოსავლური პოზიციებიდან, დიპლომატიური წარმომადგენლების ადგილზე ყოფნიდან გამომდინარე, ლონდონი უფრო მეტად იყო დაინტერესებული კავკასიის სახელმწიფოების აწმყოთი და მომავლით, ვიდრე ნებისმიერი სხვა მოკავშირე;
3. ბრიტანეთის მიმდინარე პოლიტიკა ამ სახელმწიფოების ჩრდილოეთიდან, დენიკინის აგრესიისაგან დაცვაში მდგომარეობდა, თუმცა მას არ მოუხდენია რესპუბლიკათა დე ფაქტო აღიარება, რადგან ასეთი ნაბიჯი თავის თავში დიდ პასუხისმგებლობას მოიცავდა;
4. თუ ამ მიმართულებით პოლიტიკა შეიცვლილებოდა, ბრიტანეთს სურდა მოკავშირეებთან თანხმობით ემოქმედა;
5. მიმდინარე მომენტისათვის სასურველი იყო დალოდებოდნენ თუ რა ბედი ეწეოდა დენიკინს სამხრეთ რუსეთში;
6. პირადად ლორდ კერზონს სურდა ეს სახელმწიფოები ენახა ავტონომიური განვითარების გზაზე, ერთმანეთთან მჭიდრო კავშირით. რუსეთის ოდესმე აღდგენის შემთხვევაში, მასთან შეიძლებოდა ფედერალური კავშირის შეკვრა;
7. თუ ზამთრის განმავლობაში რაიმე კატასტროფული მოხდებოდა, მოკავშირეებს გაზაფხულისათვის შეიძლებოდა განეხილათ საქართველოსა და აზერბაიჯანის აღიარება. დაღესტნის მდგომარეობა განსხვავებული იყო, რადგან მას დენიკინი აკონტროლებდა;
8. ცხადად ჩანდა, რომ არც ამერიკა, არც საფრანგეთი, არც

იტალია და არც დიდი ბრიტანეთი მზად არ იყვნენ კავკასიაზე მანდატის ასაღებად.

საფრანგეთი არ ყოფილა კავკასიური პოლიტიკით დაინტერესებული; ბერტელო უყოყმანოდ დაეთანხმა კერზონის მოსაზრებებს და აღნიშნა, რომ საფრანგეთს რეგიონში აინტერესებდა ვაჭრობა და ნავთობი.

კერზონმა დააზუსტა, რომ ქართული და აზერბაიჯანული საკითხები განსხვავდებოდა სომხურისაგან; საქართველოს სტატუსის საბოლოო განსაზღვრას თურქეთთან დასაღები ზავი არ ითვალისწინებდა. საგარეო საქმეთა მინისტრმა თურქეთის მიმართულებით საქართველოს ტერიტორიული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად წინადადება წამოაყენა, რომელიც მან ერთი წლის წინ აღმოსავლეთის კომიტეტის სხდომაზეც გაიტანა: “შესაძლოა სასურველი იყოს ლაზისტანის სანჯაყის თურქეთისაგან ჩამოცილება და საქართველოსათვის გადაცემა, რადგან ლაზები, მიუხედავად მათი მუსულმანობისა, ქართული მოდემისანი არიან და ქართული სენტიმენტები აქვთ, ისინი საუბრობენ ქართულ დიალექტზე. საქართველოს ტერიტორიამ შესაძლოა გაიაროს ბათუმის თავისუფალ სახელმწიფოსა და სომხეთს შორის და შეუერთდეს ლაზისტანს.” (96; 291, 967-968).

ბერტელოს არც აქ ჰქონდა რაიმე საწინააღმდეგო. მან, დეკემბრის მოლაპარაკებათა დასრულების შემდეგ, 11 იანვარს უფრო დაზუსტებული მემორანდუმი გადასცა კერზონს, რომელიც ბრიტანეთის მინისტრთა კაბინეტმა განიხილა. მონტაგუ კონსტანტინოპოლიდან სულთნის გაძევებისა და ზოგადად მუსულმანებისადმი მკაცრი მოპყრობის წინააღმდეგი მიდიოდა. კაბინეტმა მას საპირისპირო მემორანდუმის დაწერა დაავალა (76). ჯერ ინდოეთის საქმეთა მინისტრმა წარუდგინა კაბინეტს მემორანდუმი, შემდეგ კომპრომისული მემორანდუმის დაწერა დაევალათ ერიკ ფორბს ადამსა და რობერტ ვანსიტარტს. ბერტელოსა და კერზონს შორის შეთანხმებული, საქართველოსთან დაკავშირებული პუნქტები, სამივე დოკუმენტში უცვლელი დარჩა: საქართველოსა და სომხეთის საზღვარს მოკავშირეთა კომისია დაადგენდა, თუმცა, მემორანდუმებიდან უკვე ამოღებული იყო ლორეს (ბორჩალოს) აუცილებლად სომხეთისათვის მიკუთვნების საკითხი; ბათუმში, ერთა ლიგის მეთვალყურეობის ქვეშ, დაარსდებოდა ახალი სახელმწიფო; ლაზისტანი გადაეცემოდა საქართველოს (291, 1016-1028-1036-1061).

ლაზისტანი ბათუმისა და ლორეს სანაცვლოდ საქართველოსათვის გადასახდელი “კომპენსაცია” იყო, მაგრამ არავის განუმარტავს თუ როგორ უნდა მიეერთებინათ საქართველოსთვის ეს ტერიტორია, რომელიც თურქეთის ფაქტობრივ მფლობელობაში ცხოვრობდა; ვინ უზრუნველყოფდა თურქების იქიდან გაძევებას და ა.შ. ეს იყო უფრო სურვილები, ვიდრე რეალურ საქმეზე საუბარი, რადგან არავინ აპირებდა მუსტაფა ქემალთან ლაზისტანისათვის ბრძოლას.

აღნიშნულ დასკვნას ადასტურებდა ბრიტანეთის გენერალური შტაბის მიერ მომზადებული და ჩერჩილის მიერ მინისტრთა კაბინეტისათვის გადაცემული მემორანდუმი “თურქეთთან ზავის დამყარების სამხედრო ასპექტები” (98). გენერალურმა შტაბმა პრობლემა სწორად დაინახა, რომ სულთნის მთავრობის მიერ წაყენებულ პირობათა მიღებას დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა თუ ხელშეკრულება აღიარებული არ იქნებოდა მუსტაფა ქემალის მიერ. დოკუმენტში უარყოფილი იყო სომხეთში ჯარების გაგზავნა, სამაგიეროდ 40 ათას სომეხ სამხედრო მოსამსახურეს უნდა მიეღო მოკავშირეთა აღჭურვილობა და მათ თავად უნდა მოეხერხებინათ თურქებისაგან ტერიტორიების დაცვა. თუმცა, აქაც ზოგადად მოკავშირეებზე იყო საუბარი და არა იმაზე თუ კონკრეტულად რომელ ქვეყანას რა რაოდენობის დახმარება უნდა მიეწოდებინა სომხეთისათვის – “ეს იქნება საფრანგეთი, ინგლისი, ამერიკა თუ შესაძლოა იტალიაც ან მათ შორის მოხდება რაიმე კომბინაცია, ერთ-ერთ პირველ საკითხად უნდა განიხილოს მომავალმა კონფერენციამ.” ასეთი ფორმულირება სომხეთის საკითხის დადებითად გადაჭრისათვის ოპტიმიზმის საფუძველს არ იძლეოდა, რადგან, მისი ჯარების აღჭურვის შემთხვევაშიც, საექვო იყო ის მარტო გამკლავებოდა თურქეთის შემოტევას; თავად აღჭურვის საკითხშიც არ გახლდათ სიცხადე შეტანილი, რადგან 1919 წელს მიმდინარე საერთაშორისო პოლიტიკურმა მოვლენებმა აჩვენეს, რომ ყველა აღიარებდა სომხეთისათვის დახმარების გაწევის საჭიროებას, მაგრამ როდესაც რეალურ მოქმედებათა დრო დგებოდა, დიდი სახელმწიფოები ერთმანეთისაკენ იშვერდნენ თითოს.

გენერალურ შტაბს შესაძლოდ მიაჩნდა საქართველოსა და აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის აღიარება, მაგრამ მათ დასაცავ საჭირო ზომად მხოლოდ დენიკინისათვის მკაცრი გაფრთხილების მიცემა იყო მიჩნეული, რომ ის

მოკავშირეთა მხარდაჭერას დაკარგავდა თუ სამხედრო გზით მოინდომებდა მათ დამორჩილებას. დოკუმენტში, საქართველოსა და აზერბაიჯანის საკითხთა განხილვისას, ნახსენები არ ყოფილა კარს მომდგარი ბოლშევიკური საფრთხე ან მუსტაფა ქემალის შესაძლო აგრესია, რომელიც როგორც მინიმუმ საქართველოსათვის ლაზისტანის დათმობას არ მოისურვებდა, უარეს შემთხვევაში ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთ საზღვრებს შეუტევდა. აღნიშნული რისკების განეიტრალება სამხედრო ჩარევას მოითხოვდა, მაგრამ იმავე 1919 წელმა აჩვენა, რომ ჩერხილის უწყებას სამხრეთ კავკასიის დასაცავად ხელშესახები მოქმედება არასასურველად მიაჩნდა.

არა სამხედრო, არამედ საერთაშორისო სტატუსის თვალსაზრისით, რესპუბლიკებისათვის უფრო არსებითი იყო კერზონის რვა პუნქტი; მისი ის ნაწილები, რომლებიც კავკასიით ბრიტანეთის დაინტერესებას და შესაძლო აღიარებას გულისხმობდა; განსაკუთრებით მეშვიდე პუნქტი – “თუ ზამთრის განმავლობაში რაიმე კატასტროფული მოხდება, გაზაფხულისათვის მოკავშირეებმა შეიძლება განიხილონ საქართველოსა და აზერბაიჯანის აღიარება.”

“კატასტროფა” იმაზე მალე მოხდა, ვიდრე დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრს წარმოედგინა. 1920 წლის იანვრის დასაწყისშივე გამოჩნდა, რომ ბოლშევიკთა დენიკინზე საბოლოო გამარჯვება მხოლოდ დროის საკითხი იყო. 2 იანვარს საბჭოთა მთავრობის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა – გიორგი ჩიხერინმა საქართველოსა და აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრებს იდენტური შინაარსის ნოტები გაუგზავნა. ეს იყო პირველი ოფიციალური კონტაქტი ქვეყნების საგარეო უწყებებს შორის. მართალია, ნოტა გეგეჭკორს გაეგზავნა, მაგრამ ჩიხერინი საერთოდ არ მოიხსენიებდა ქვეყნის მთავრობას, არ სცნობდა მის არსებობას; ის “საქართველოს ხალხს”, “ქართველ მშრომელებსა და გლეხებს” მოუწოდებდა სამხედრო შეთანხმება დაედოთ საბჭოთა მთავრობასთან საერთო მტრის, “მეფის გენერლის ბანდების” წინააღმდეგ და დაეხმარებინათ მისი აღსასრული. ბოლშევიკი კომისარი არაორაზროვნად მიანიშნებდა კავკასიის რუსული კუთვნილების შესახებ, რომ ქართველი მშრომელები “მოუთმენლად ელიან იმ დღეს, როდესაც თეთრგვარდიული ბარიერები საბჭოთა რუსეთსა და კავკასიას შორის დაიმსხვრევა და აღდგება ურთიერთობა ხალხებს შორის, რომლებიც წინათ ერთ

სახელმწიფო საზღვრებში ცხოვრობდნენ.” ნოტა მუქარის შემცველი ტონით მთავრდებოდა – “სანამ გვიან არ არის, ჩვენ მოვუწოდებთ საქართველოსა და ქართველ ხალხს დაიწყოს ბრძოლა გენერალ დენიკინის წინააღმდეგ.” (44, 3).

საქართველოს მთავრობა რთულ ვითარებაში აღმოჩნდა. დენიკინის წინააღმდეგ ბრძოლის დაწყება მას, მოკავშირეთა თვალში, ბოლშევიკურ სატელიტად აქცევდა და საბჭოთა მთავრობასთან ერთი ერთზე დარჩენილს ოკუპაცია არ ასცდებოდა; მეორე მხრივ, ჩიხერინისათვის გაგზავნილი უარი საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ აგრესიის საბაბად იქნებოდა გამოყენებული, რადგან ქვეყნის მთავრობამ “შშრომელებისა და გლეხების ნება არად ჩააგდო” და ა.შ. მთელს ამ ვითარებაში არსაიდან ჩანდა იმ დროისათვის ალბათ ერთადერთი იმედი – მოკავშირეთა დახმარება.

საპასუხო ნოტაში გეგეჭკორმა გამარჯვებულ სახელმწიფოთა პოზიცია დაიჭირა, არ მოიხსენია საბჭოთა მთავრობა და სურვილი გამოთქვა “რუსეთთან” კეთილმეზობლური ურთიერთობების დამყარებისა. ის ჩიხერინს შეახსენებდა, რომ საქართველო მთელი წლის მანძილზე იბრძოდა დენიკინთან საკუთარი ტერიტორიის დასაცავად, მაგრამ ქართველმა ხალხმა, ერთა თვითგამორკვევის პრინციპებიდან გამომდინარე, გამოაცხადა დამოუკიდებლობა და ქვეყანა ვერ ჩაეროდა უცხო ქვეყნის – რუსეთის საშინაო საქმეებში; საკუთარ მწირ რესურსებს ვერ დახარჯავდა სხვა ქვეყნის ომში საბრძოლველად.

მომდევნო წერილებშიც შენარჩუნდა საქართველოს მისამართით მუქარის შემცველი ტონი და ბრალდებები. თუ დენიკინი, გენერალი მილნი და სხვები, მთელი 1919 წლის მანძილზე, ქვეყნის ხელისუფლებას ბოლშევიკებისადმი მხარდაჭერაში ადანაშაულებდნენ, ამჯერად ჩიხერინმა გაიხსენა წარსული და საქართველოს მოხალისეთა არმიისადმი, ასევე გერმანელებისადმი გაწეულ დახმარებაში დასდო ბრალი. საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ასკენიდა, რომ თუ საქართველოს სურდა საბჭოთა მთავრობისადმი თავისი მეგობრული დამოკიდებულება ეჩვენებინა, მას საკუთარ ტერიტორიაზე არ უნდა დაეშვა მტრულად განწყობილი ანტანტის სამხედრო ძალები.

გეგეჭკორმა უპასუხა, რომ რესპუბლიკა თვითონ განსაზღვრავდა თავის საგარეო ურთიერთობებს. მან კონტრბრალდებებიც წაუყენა საბჭოთა

მთავრობას, რომელმაც 1917 წელს კავკასიის ფრონტი მოაშიშვლა და საქართველოს უკითხავად გადასცა მისი ტერიტორიები თურქეთს (44, 4-6).

საქართველოს ხელისუფლებას არჩევანის უფლება არ ჰქონია. მას გამარჯვებულ სახელმწიფოთა დახმარების ეიმედებოდა და მათზე ორიენტირებულ პოლიტიკას დაუჭირა მხარი. უფრო მეტიც, ჩიჩერინის ანალოგიური შინაარსის ნოტის საპასუხო წერილში აზერბაიჯანის მთავრობას სურდა ჩაერთო წინადადება “აზერბაიჯანის ხელისუფლება მზადყოფნას გამოთქვამს, დამოუკიდებლობის ნიადაგზე, მეგობრული ურთიერთობების დასამყარებლად მოლაპარაკებები დაიწყოს საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობასთან.” აღნიშნული წინადადება ერთ-ერთი სამხრეთ კავკასიური მთავრობის მიერ მოკავშირეთა პოლიტიკის წინააღმდეგ წასვლას ნიშნავდა, რადგან გამარჯვებული სახელმწიფოები 1920 წლის იანვრის დასაწყისისათვის ჯერ კიდევ არ უშვებდნენ საბჭოთა მთავრობის ცნობას და მასთან მოლაპარაკებების დაწყებას. აზერბაიჯანში საქართველოს ელჩმა – ალშიბაიამ მოიპოვა და საიდუმლოდ გადასცა აღნიშნული დოკუმენტი ბაქოში უორდროპის წარმომადგენელ – პოლკოვნიკს სტოქსს. ამ უკანასკნელმა ელჩთან ერთად ინახულა აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრი – ფათ ალი ხან-ხოსისკი და ფორმულირების შეცვლა მოსთხოვა. საბოლოო ვარიანტში “საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობის” ნაცვლად ჩაიწერა “რუსი ხალხი.” (199).

იგრძნეს რა კავკასიასთან მოახლოებული ბოლშევიკური ოკუპაციის საფრთხე, უორდროპმა და სტოქსმა განგაში ატეხეს. მათ დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს გრძელი ტელეგრამებით “დაბომბვა” დაიწყეს. უმაღლესი კომისარი, თავის შეტყობინებებში, ლორდი კერზონისათვის ყველაზე სენსიტიურ თემებს ეხებოდა. დეკემბრის ბოლო დღეებში თბილისიდან და ბაქოდან გაგზავნილ ინფორმაციებში აღნიშნული იყო, რომ ბოლშევიკები საქართველოსა და აზერბაიჯანის გავლით სპარსეთში გზავნიდნენ 1500 კაცს, ასევე ფულად რესურსებს; წითელი არმიის მიერ კრასნოვოდსკის აღების შემდეგ კასპიის ზღვაში მყოფი დენიკინის ფლოტი მათ მხარეს გადავიდოდა (290, 741-742).

უორდროპი 1 იანვარს ნოვოროსიისკში შეხვდა მაკინდერს. უკან დაბრუნებულს ჩიჩერინის მიერ სამხრეთ კავკასიის მთავრობებისათვის გაგზავნილი ტელეგრამები და უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნილი რეგიონი

დახვდა. მან ლონდონში ყოველდღიურად, ხანდახან დღეში რამდენჯერმე დაიწყო ცნობების გაგზავნა.

3 იანვრის ტელეგრამაში ის დენიკინის მალე დამარცხებას და ბოლშევიკთა მხრიდან სამხრეთ კავკასიაზე შეტევას ვარაუდობდა. უმაღლესი კომისარი სპარსეთის დასაცავად კავკასიის გამაგრებას სთავაზობდა საკუთარ ქვეყანას. ის რადიკალური ზომების მიღებას მოითხოვდა: ბათუმში კარგად აღჭურვილი ერთი დივიზიის გაგზავნა, ოლქის ადმინისტრაციის მაღალკვალიფიციური სამოქალაქო კადრებით დაკომპლექტება, არასასურველი ელემენტების გაძევება, აჯანყებების თავიდან ასაცილებლად ბათუმის საკვებით მომარაგება; ჩრდილოეთ სპარსეთის ბრიტანული ძალების გაძლიერება, რომელიც ბაქოს ბოლშევიკთაგან დაცვას შეძლებდა; ზღვიდან შეტევის მოსაგერიებლად აზერბაიჯანის დედაქალაქში არტილერიის დამონტაჟება და წყალქვეშა ნაგების გამოყენება; კასპიის ფლოტის ბრიტანეთის კონტროლქვეშ გადასვლა. მისი რწმენით საქართველო და აზერბაიჯანი მზად იყვნენ საბრძოლველად, მაგრამ ისინი დახმარებას საჭიროებდნენ. უორდროპს შესაძლოდ სთვლიდა ამ სქემაში დადესტნის ჩართვასაც. მას აუცილებლად მიაჩნდა კავკასიის ოთხივე რესპუბლიკის აღიარება და მათთვის დაპირების მიცემა, რომ თვითგამორკვევაზე მათ თხოვნას მხარს დაუჭერდნენ. “თუ სასწრაფო ზომები არ იქნა მიღებული, არსებობს სახიფათო რისკი, რომ ბოლშევიკები სამხრეთ კავკასიას წელში გატეხავენ და შემდეგ საკუთარი ნება-სურვილით იმოქმედებენ სპარსეთში, კასპიისპირეთში და კიდევ უფრო შორს.” (290, 746-747; 171).

უმაღლესი კომისრის მოსაზრებებს მხარს უჭერდა სპარსეთში ბრიტანეთის ელჩი – სერ პერსი კოქსი. მისი აზრით, სპარსეთის უსაფრთხოებისათვის აუცილებელი იყო აზერბაიჯანის აღიარება, ბაქო-ბათუმის გამაგრება და კასპიის ზღვაზე ბრიტანეთის კონტროლის დაწესება. აღნიშნული შემოთავაზებები თავად სპარსეთის პრემიერ-მინისტრისგან მოდიოდა, მაგრამ ელჩიც იგივე აზრზე იდგა (290, 741-742; 179).

იმავე დღეს უორდროპი გეგეჰკორთან შეხვედრის შინაარსს აუწყებდა კერზონს. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი მას არწმუნებდა, რომ ქვეყანა 70-80 ათას კაცს გამოიყვანდა ბოლშევიკთა წინააღმდეგ საბრძოლველად და მათ მხოლოდ ტყვია-წამლის მიწოდება სჭირდებოდათ. გეგეჰკორი

ვარაუდობდა, რომ დაღესტანში 2-3 კვირის ვადაში გამოცხადდებოდა საბჭოთა რესპუბლიკა, ამიტომ ჩრდილო კავკასიის დახმარებასაც სთხოვდა ბრიტანეთს (170).

ბრიტანელი დიპლომატი 5 იანვარს კიდევ ერთხელ მოუწოდებდა საგარეო საქმეთა სამინისტროს დაღესტნის მხარდაჭერისკენ. მისი ინფორმაციით თუ ჩრდილო კავკასიელებს სხვა გამოსავალი არ დარჩებოდათ, იძულებულნი იქნებოდნენ ბოლშევიკთა ყალბ დაპირებას დაჰყოლოდნენ, რომ საბჭოთა მთავრობა მოახდენდა მათ აღიარებას. სამინისტროს აღმოსავლეთის დეპარტამენტში საკითხის განხილვას არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა. ჩრდილოეთ კავკასიას დამცავი ზღუდის ფუნქცია ჰქონდა და, ბუნებრივია, როგორც უორდროპი, ისე სამხრეთ კავკასიელები მხარს უჭერდნენ მის დამოუკიდებლობას, მაგრამ დაღესტანს არ გააჩნდა სახელმწიფო ინსტიტუტები, როგორც მაგალითად საქართველოს ან აზერბაიჯანს ჰქონდათ, არ არსებობდა ადგილობრივი მთავრობა, რომელსაც ბრიტანეთი შეიძლებოდა დაყრდნობოდა, ამასთანავე ეს ტერიტორია ჯერ კიდევ დენიკინის ფაქტობრივი კონტროლის ქვეშ იყო. დეპარტამენტში გადაწყვიტეს მაკინდერის დაბრუნებას დალოდებოდნენ და მისგან მიეღოთ ცნობები (197).

6 იანვარს გეგეჭკორი და სამხედრო მინისტრი ლორთქიფანიძე ესტუმრნენ ბრიტანულ მისიას. მათ მემორანდუმი გადასცეს უმაღლეს კომისარს. ქართველი პოლიტიკოსები ვარაუდს გამოთქვამდნენ, რომ “ლენინმა დაიკავა ვილჰელმის ადგილი” და ის თურქეთთან შეთანხმებით ცდილობდა აღმოსავლეთში პრობლემები შეექმნა იმპერიისათვის. მხოლოდ საქართველო ჰყოფდა ორ პოტენციურ აგრესორს ერთმანეთისგან. გეგეჭკორის რწმენით, მისი უდიდებულესობის მთავრობის სასიცოცხლო ინტერესებში შედიოდა სამხრეთ კავკასიის დაცვა. მისი ქვეყანა ამისათვის საჭიროებდა დახმარებას; რესპუბლიკის მთავრობა სამი აუცილებელი ნაბიჯის გადადგმას მოითხოვდა: 1. დამოუკიდებლობის აღიარება; 2. ბათუმის საქართველოსათვის გადაცემა, რათა ქართულ ჯარს სამხრეთ-დასავლეთ საზღვარი გაემაგრებინა თურქეთთან შესაძლო ომისათვის. ამასთანავე პორტსა და შავი ზღვის აკვატორიაზე კონტროლი ბრიტანეთს უნდა შეენარჩუნებინა; 3. იარაღით, აღჭურვილობით, ფინანსებითა და საკვებით ქვეყნის მომარაგება. უპირველეს საჭიროებას მაინც პურის, ტყვია-წამლის და ჯარისკაცთათვის ჩექმების მიწოდება წარმოადგენდა.

უორდროპი სრულიად უჭერდა მხარს საქართველოს მთავრობის მოთხოვნებს: “თუ დახმარება დროულად მიეწოდებათ, ეს არაჩვეულებრივად ასწევს ენთუზიაზმსა და ეროვნულ ენერჯიას, რაც სავსებით შესაძლებელს გახდის დიდი ბრიტანეთისა და საქართველოს ინტერესთა დაცვას, რომლებიც ამ ისტორიულ მომენტში აბსოლუტურად ერთიანნი არიან.” უმაღლესი კომისარი რწმენას გამოთქვამდა, რომ საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს ჰყავდათ მთავრობები, რომლებიც მზად იყვნენ ბოლომდე ებრძოლათ ბოლშევიკთა წინააღმდეგ და დროული მიშველების შემთხვევაში წარმატებული თავდაცვის იმედი არსებობდა (172).

თურქეთ-საბჭოთა რუსეთის შესაძლო გარიგების თაობაზე ინფორმაციას ადასტურებდნენ კონსტანტინოპოლში დიდი ბრიტანეთის უმაღლესი კომისარი – აღმირალი დე რობეკი და მისი პოლიტიკური ოფიცერი – კომანდერი ლუკი. მათი ინფორმაციით, ბოლშევიკები ცდილობდნენ მუსულმანთა მტრის იმიჯი შეექმნათ ბრიტანეთისაგან, რომლის დასტურად ლენინის მთავრობას დადესტანსა და აზერბაიჯანში იმპერიის მეგობრის – გენერალ დენიკინის ქცევა მოჰყავდა. დაარწმუნებდნენ რა მუსულმანებს, ბოლშევიკები შეეცდებოდნენ აღმოსავლეთში პრობლემები შეექმნათ ბრიტანეთისათვის. კონსტანტინოპოლის სარდლობა აღნიშნული მცდარი მოსაზრების გაქარწყლების ერთ-ერთ საშუალებად აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის აღიარებას მიიჩნევდა (291, 1001-1003).

თურქულ-ბოლშევიკური ალიანსისა და ჩიხერინის მიერ გამოგზავნილი ტელეგრამის შესახებ გეგეჰკორმა საფრანგეთის სამხედრო მისიის მეთაურ – კომანდანტ დე ნონანკურსაც აცნობა. უფრო მეტიც, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა საბჭოთა მთავრობისათვის გასაგზავნი ნოტის შინაარსი წინასწარ გააცნო ფრანგულ მისიას. ნონანკურმა ინფორმაცია 10-12 იანვარს პარიზში გადაგზავნა (275; 282).

7 იანვარს უორდროპი სამინისტროს აცნობებდა, რომ ქართველებმა დახმარების შეთავაზება გერმანელებისაგან მიიღეს, მაგრამ ამის განხილვას საქართველოს მთავრობა არ აპირებდა. მათ უმაღლეს კომისარს განუცხადეს, რომ მისგან საიდუმლო არ ექნებოდათ, სრულიად გაითვალისწინებდნენ მის რჩევებს და სთხოვეს თავადაც ასევე გულახდილი ყოფილიყო. უორდროპი კიდევ ერთხელ, დაუინებით ითხოვდა საქართველოსათვის დახმარების აღმოჩენას (176).

იმავე დღეს გაგზავნილ მეორე ტელეგრამაში მან 60 ათასი ქართველი ჯარისკაცის აღსაჭურვად საჭირო შეიარაღების ნუსხა გადაუგზავნა სამინისტროს. უმაღლესი კომისარი დენიკინის მიერ კონტროლირებადი ტერიტორიიდან შეიარაღების ნაწილის საქართველოში გადატანას სთავაზობდა სამინისტროს და დასძენდა, რომ ქართველებს ბევრი გაწვრთნილი არტილერიისტი ჰყავდათ, რომლებიც უსაქმოდ, შეიარაღების გარეშე იყვნენ დარჩენილნი (175).

8 იანვარს სტოქსი ბაქოდან იტყობინებოდა, რომ აზერბაიჯანის ხელისუფლება ცალსახად ანტიბოლშევიკური იყო, მაგრამ ის, რთული ეკონომიკური ვითარების გამო, ბოლშევიკური შიდა აჯანყების წინაშე იდგა. თუ ბრიტანეთი დაუყოვლებლივ არ სცნობდა მის დამოუკიდებლობას და არ გაუწევდა დახმარებას, მთავრობა იძულებული გახდებოდა ბოლშევიკებთან მორიგების გზები მოეძებნა. “სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოთა აღიარებასთან დაკავშირებით მინდა განვაცხადო ჩემი რწმენა, რომ რუსეთში არსებული ნებისმიერი მთავრობის მხრიდან ავტონომიის არანაირ ფორმაზე დაპირებას წონა არ ექნება. ეს იმ შემთხვევაშიც თუ გარანტორებად მოკავშირეები იქნებიან.”, დაასკვნიდა სტოქსი. უმაღლესმა კომისარმა ამ ტელეგრამას წააწერა “სრულიად ვეთანხმები.” (290, 748-749; 250; 177).

უორდროპს, რომელიც თავისი რწმენით კონსერვატორი იყო, სულაც არ მოსწონდა, მაშინდელი მსოფლიოსათვის ახალი, საქართველოს მთავრობის სოციალ-დემოკრატიული იდეოლოგია. ის საქართველოს მთავრობის შესახებ ცოლს წერდა: “...ისინი ანცი ბავშვებივით იქცევიან, მაგრამ ყველაფერს თავი რომ დავანებოთ ისინი ჯერ კიდევ ბავშვები არიან და რადგან მე ნათლიმამას მეძახიან, ვფიქრობ მათდამი თუ რელიგიური არა გარკვეული მორალური ვალდებულებები გამაჩნია. უნდა ვთქვა, რომ არ მიყვარს სოციალ-დემოკრატები, რადგან სოციალ-დემოკრატიური თეორია ამ ხალხს უფრო ნაკლებად “ჯენტლმენურს” ხდის, ვიდრე ისინი სხვა შემთხვევაში იქნებოდნენ. თუმცა, მთლიანობაში ხალხი, განსაკუთრებით გაჭირვებული ხალხი, არ არიან სოციალ-დემოკრატები და ვფიქრობ ისინი ჩემზე შეყვარებულნი არიან, ყოველ შემთხვევაში ყველა ასე მეუბნება და სანამ არ მეცოდინება, რომ ისინი უსაფრთხოდ არიან, მინდა მათთან დავრჩე და საკუთარ თავზე ავიღო რისკები...” ის არანაკლებ კრიტიკული იყო საკუთარი მთავრობისადმი, რომლის

უმოქმედობით იმედგაცრუება აშკარად ჩანდა მის წერილში: “შენ ალბათ გაიგებ, რომ დენიკინის საქმეები ცუდად მიდის. აშკარაა, რომ მისი საქმე წასულია და, რაც ძველი რუსეთისგან დარჩა, ბოლშევიკები ყველაფერს დაიკავებენ გარდა სამხრეთ კავკასიისა. მათი სამხრეთ კავკასიის მიღმა დატოვება შესაძლებელია თუ მოკავშირეები, და განსაკუთრებით დიდი ბრიტანეთი, გონივრულად მოიქცევიან – მაგრამ როგორც იცი მე მთავრობათა გონიერების არ მწამს. არამგონია ლოიდ ჯორჯმა იცოდეს სად არის კავკასია... ლორდმა კერზონმა ყველაფერი იცის მის შესახებ და იმედი მაქვს, რომ მისი გავლენა დაჩრდილავს მის კოლეგებს – განსაკუთრებით ჩერჩილს.” (268, 148-149).

რთულად გამოსაცნობი არ იყო, რომ შექმნილი ვითარება ხელახალ დაპირისპირებას გამოიწვევდა ერთი მხრივ კერზონს, ხოლო მეორე მხრივ ჩერჩილსა და ფელდმარშალ უილსონს შორის. საგარეო საქმეთა მინისტრმა 1918 წლის დეკემბერში, აღმოსავლეთის კომიტეტის სხდომებზე დაამტკიცა, რომ მას შეეძლო სამხრეთ კავკასიისათვის კეთილისმყოფელი პოლიტიკური გადაწყვეტილებები მიეღებინებინა მისი უდიდებულესობის მთავრობისათვის, მაგრამ მიღებულ გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში გატარება დიდწილად პრემიერ-მინისტრზე იყო დამოკიდებული, ხოლო სამხედრო ხასიათის საკითხებს ჩერჩილი და უილსონი წარმართავდნენ. 1920 წლის იანვრისათვის შექმნილ მდგომარეობაში კერზონის უპირატესობა იყო, რომ ამჯერად ლოიდ ჯორჯი მის მხარეს იდგა, დენიკინის მარცხმა კი ჩერჩილის პოზიციები შეასუსტა. კერზონმა წერეთელსა და ბერტელოს უთხრა, რომ ჯერ უნდა დალოდებოდნენ რა ბედი ეწოდა დენიკინს და შემდეგ ემოქმედათ. სამხრეთ რუსეთის მოხალისეთა მარცხი გაცხადდა. შესაბამისად, აღმოსავლეთში ბოლშევიკური საფრთხის ზრდის კვალდაკვალ, სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკათა დამოუკიდებლობის დე ფაქტო აღიარებას ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერა გარანტირებული ჰქონდა; იმავე პოზიციაზე იდგა პრემიერ-მინისტრიც; აღიარების საკითხი უშუალოდ სამხედრო სამინისტროს კომპეტენციაში არ შედიოდა და ჩერჩილს პროცესის პრევენციისათვის საკმარისი ბერკეტები არ გააჩნდა; რაიმე “კატასტროფული” მოვლენის შემთხვევაში რესპუბლიკათა ერთობლივი აღიარების განხილვა კერზონს ბერტელოსთან უკვე შეთანხმებული ჰქონდა; რეგიონის დამოუკიდებლობა მეტ-ნაკლებად ჯდებოდა კლემანსოს მიერ ინიცირებულ “სანიტარული კორდონის” პოლიტიკაშიც; იტალიელები ჯერ კიდევ 1919 წლის ნოემბერში თავად სთხოვდნენ მისი უდიდებულესობის მთავრობას

საქართველოს აღიარებას; ამერიკულმა დელეგაციამ სამშვიდობო კონფერენცია დატოვა; იაპონელებისათვის კავკასია პრინციპული საკითხი არასოდეს ყოფილა.

ყველა ფაქტორი ერთისკენ მიუთითებდა, რომ რესპუბლიკების დე ფაქტო აღიარებას წინ ვერაფერი დაუდგებოდა. თემა უორდროპის მიერ გაგზავნილმა ტელეგრამებმა დაძრა და მისი განხილვა უპირველეს ყოვლისა საგარეო საქმეთა სამინისტროში მოხდა. ლორდმა კერზონმა გადაწყვიტა საკითხი პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე დაეყენებინა. სამინისტრო დე ფაქტო აღიარების რაობაზე საერთაშორისო სამართლის საკითხებში მრჩეველს დაეკითხა, რომელმაც თქვა, რომ აზერბაიჯანს მანამდე არ ჰქონია დამოუკიდებელი არსებობის ისტორია და დე იურე აღიარებამდე მისთვის აუცილებელი იყო “დე ფაქტო ეტაპის” გავლა. ბრიტანელ დიპლომატთა მოსაზრებით, ეს ნაბიჯი რესპუბლიკებში გაფანტავდა ეჭვს, რომ მოკავშირეები მათ გადაცემას აღდგენილი რუსეთისთვის აპირებდნენ და, ბოლშევიკთა წინააღმდეგ საბრძოლველად, ადგილობრივი მთავრობებისადმი მოსახლეობის მხარდაჭერას გააძლიერებდა. ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო, რომ კავკასიაში ახალი ბრიტანული პოლიტიკა დენიკინის წინააღმდეგ წავიდოდა და მისი უდიდებულესობის მთავრობას მორალური უფლება აღარ ექნებოდა რესპუბლიკათა მოწინააღმდეგეებისათვის დაეჭირა მხარი; თუმცა, – “ჩვენ რეკომენდაციები მიმართულია არა იქითკენ, რომ საქართველოსა და აზერბაიჯანს ბოლშევიკებთან შეთანხმების მიღწევაში ხელი შევეუშალოთ, რომლისკენაც მათ ცხოვრებამ შესაძლოა ნებისმიერ მომენტში უბიძგოს, არამედ მათი გადათელვისა და ბოლშევიკურ სისტემაში ინკორპორაციის წინააღმდეგ.” სომხეთის აღიარება საქართველოსა და აზერბაიჯანთან ერთად ვერ მოხდებოდა, რადგან მისი საკითხი თურქეთის ზავთან იყო დაკავშირებული, მაგრამ ეს არ გამორიცხავდა სამ რესპუბლიკას შორის ფედერაციის შეკვრას. დე ფაქტო აღიარება, მოცემული მომენტისათვის, საკმარისი ზომა იყო რესპუბლიკათა სურვილების დასაკმაყოფილებლად, ხოლო დე იურე ცნობა დამოკიდებული იქნებოდა, გარკვეული პერიოდის შემდეგ, ერთა ლიგის ან მოკავშირეთა გადაწყვეტილებაზე (174).

ამრიგად ჩამოყალიბებული პოზიციით კერზონი პარიზში გაემგზავრა. საგარეო საქმეთა მინისტრთა საბჭოს 10 იანვრის სხდომაზე მან განაცხადა – “ჩამოთვლილმა ქვეყნებმა ნამდვილ სახელმწიფოებად ჩამოყალიბების ურყევი

სურვილი აჩვენებს. მათი მთავრობები არიან სოციალისტურნი, მაგრამ ცალსახად ანტიბოლშევიკურები. ისინი ცხოვრობენ ბოლშევიკური შემოსევის შიშის ქვეშ, ამიტომ დახმარების თხოვნით ევროპისაკენ შემობრუნდნენ. ისინი მოკავშირეებს დახმარებისთვის მიმართავენ; მათი მთავრობათა დე ფაქტო აღიარება დახმარების ეკვივალენტურია. ასე მოვიქცით ბალტიის სახელმწიფოებთან მიმართებაში.” ბერტელო გამოეხმაურა, რომ მათ ლონდონში შეხვედრისას უკვე განხილული ჰქონდათ ეს საკითხი. ის კლემანსოსაც დაეკითხა და საფრანგეთი თანახმა იყო რესპუბლიკების დე ფაქტო დამოუკიდებლობა ეცნო. იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრი სკიალოია უყოყმანოდ დაეთანხმა წინადადებას. შეერთებული შტატებისა და იაპონიის ელჩებმა, საკუთარ მთავრობათაგან ინსტრუქციების მიღებამდე, გადაწყვეტილების მიღებისგან თავი შეიკავეს. აქვე გადაწყდა, რომ სომხეთის დამოუკიდებლობას ვერ ცნობნენ, რადგან მისი საკითხი დაკავშირებული იყო თურქეთის სამშვიდობო ხელშეკრულებასთან (289, 796-797; 307, 958-959).⁵³

იაპონელებმა 7 თებერვალს ქართულ დელეგაციას აცნობეს, რომ იაპონიის მთავრობა უერთდებოდა მოკავშირეთა გადაწყვეტილებას და ცნობდა საქართველოს დე ფაქტო დამოუკიდებლობას (23, 9). ორი კავკასიური რესპუბლიკის აღიარება ამერიკის ელჩმა უოლასმა 13 იანვარს შეატყობინა მოქმედ სახელმწიფო მდივანსა და პარიზში შეერთებული შტატების დელეგაციის ყოფილ მეთაურ – ფრენკ პოლკს. 24 იანვარს პოლკმა უპასუხა: “ამ მთავრობათა დე ფაქტო მთავრობებად აღიარების კითხვა წინ წამოსწევს დიდი მნიშვნელობის მქონე საკითხებს. რა რეაქცია შეიძლება ჰქონდეთ ამ აღიარებაზე რუსებს, რომლებიც აქამდე მოკავშირეებისადმი მეგობრულად იყვნენ განწყობილი... მოსკოვის მთავრობამ შესაძლოა აღიარება აღიქვას რუსეთის დაშლის მცდელობად. ამიტომ საკითხი მოითხოვს ამერიკის მთავრობის მიერ კიდევ უფრო ღრმა დაფიქრებას.” (301, 774-776).

პოლკის მოსაზრებები არ არის ცხადად გასაგები. “მეგობრულად განწყობილი რუსები” ანუ კოლჩაკი და დენიკინი 1920 წლის იანვრის ბოლოსათვის ხელშესახებ ძალას აღარ წარმოადგენდნენ და საეჭვოა,

⁵³სომხეთის აღიარება 19 იანვარს მაინც მოხდა. 9 დღიან სიმბოლურ განხილვებზე ქართველი დელეგატი – ზურაბ ავალიშვილი ირონიულად შენიშნავდა: “საქართველომ და აზერბაიჯანმა რომ სომხეთზე უფრო ადრე მიიღეს ცნობა – ეს მხოლოდ მოეჩვენება ადამიანს ისტორიის პარადოქსათ.” (318, 288).

იურიდიულად ან ფაქტობრივად, მათი “მოსკოვის მთავრობად” აღქმა. არ არის გამორიცხული ამ უკანასკნელ ტერმინში ბოლშევიკური მთავრობა იგულისხმებოდა, მაგრამ ტრადიციულად ანტიბოლშევიკური უილსონის ადმინისტრაციისათვის მნიშვნელოვანი არასოდეს ყოფილა ლენინის აღქმები.

პარიზში მყოფ ქართულ დელეგაციას, როგორც ხშირად ხდებოდა ხოლმე, მოვლენათა მსვლელობაზე ინფორმაცია არ ჰქონდა. 10 იანვარს მომხდარი აღიარება დელეგაციამ 13 იანვარს ბრიტანელებისგან, მშრალი ცნობის სახით გაიგო (31, 156). პარადოქსულად, პარიზულ დელეგაციაზე უფრო ადრე შეტყობინება თბილისში საქართველოს მთავრობამ ოლივერ უორდროპისაგან მიიღო.

ქართველებზე არანაკლებ საზეიმო განწყობილება და თვითკმაყოფილების განცდა უმაღლეს კომისარს ჰქონდა. 13 იანვარს ის ლონდონს აცნობებდა: “აღიარებამ თბილისში დიდი პატრიოტული დემონსტრაციები გამოიწვია. ინფორმაციის გამომცხადებიდან ერთ საათში ქალაქი დროშებით იყო მოფენილი, მანქანების მოძრაობა შეჩერდა, მაღაზიები და ქარხნები დაიხურა. მთელმა გარნიზონმა, კავალერიითა და არტილერიით, ჩემი სახლის წინ მოსასალმებლად ჩაიარა. შემდეგ მე და პრემიერ-მინისტრი მთავრობის სასახლესთან დავესწართ აღლუმს, რომელსაც ტრეიდ-უნიონები და ყველა წოდების ჩვეულებრივი მოქალაქეებიც შეურთდნენ. პრემიერ-მინისტრმა და საგარეო საქმეთა მინისტრმა ხალხის უზარმაზარი რაოდენობის წინაშე წარმოსთქვეს ძლიერ პატრიოტული, ანტიბოლშევიკური და პრობრიტანული სიტყვები. ხალხთა მასის მხრიდან მთელი დღის განმავლობაში ვიღებდი უსასრულო ემოციებს და მათ ჩემს მანქანამდე მხრებზე აყვანილი მიმიყვანეს. ქალაქი გაანათეს და ოპერაში გაიმართა დიდი პრობრიტანული დემონსტრაცია, რომელსაც ღამის 11 საათიდან დღის 4 საათამდე ბანკეტი მოჰყვა, სადაც წარმოითქვა უამრავი პრობრიტანული სიტყვა...” (181).

15 იანვარს, ბაქოდან გაგზავნილ პირად წერილში პოლკოვნიკი სტოქსი უორდროპს წერდა: “არამგონია შესაძლებელი იყოს წერილის დაწყება იმაზე უკეთ, ვიდრე მთელი გულით მოგილოცოთ საქართველოსადმი თქვენი იმედების ასრულება და თქვენი ყოფნა თბილისში იმ დროს, როდესაც ეს დიდებული ამბავი მოვიდა.” (270, 13).

თავად უორდროპი ცოლს პირადი ემოციების შესახებ ატყობინებდა: “ეს არის ჩემი ცხოვრების ერთ-ერთი უბედნიერესი დღე... რისი იმედიც 30 წლის მანძილზე მქონდა, ახდა...” და ამ ემოციებში საკუთარ წვლილსაც არ ივიწყებდა – “ვერც კი ვაანალიზებ იმ გამარჯვებას, რომელიც მოვიპოვე. მე ამ საქმისათვის ყველაზე მეტი გავაკეთე და აქ ეს ყველამ იცის.” უორდროპი ქართველთა ხოტბის საგნად იქცა – “გაოცდებოდი რომ გენახა როგორ ინტერესთა ცენტრშია შენი პროზაული ქმარი”. სადღესასწაულო ბანკეტზე მან საპატიო ადგილი თბილისის მერის გვერდით დაიკავა და “ოთხი საათის განმავლობაში ჩემს შესახებ საქებარი საუბარი მიმდინარეობდა... ერთი შენი და ბავშვების სადღეგრძელო თქვეს. ყველაზე არაჩვეულებრივი დღე იყო, რომელიც ოდესმე გამიტარებია.” მომდევნო, მუნიციპალიტეტში გამართულ ბანკეტზე ის მთავრობის თავმჯდომარესა და პატრიარქს შორის დასვეს და უთხრეს რომ ის ქართველი ერის განმათავისუფლებელი იყო, ხოლო დიპლომატებისათვის გამართულ ვახშამზე, რომელსაც ხატისიანიც ესწრებოდა, საქართველოს და სომხეთის პრემიერ-მინისტრებს შორის იჯდა. ის ეიფორიაში იყო – “თუ რაიმე ძალიან გინდა, შეიძლება დიდი ხნით მოცდა დაგჭირდეს, მაგრამ შენ მას მაინც მიიღებ და მე არ ვნანობ, რომ გუშინდელ დღეს 33 წელი ვუცდიდი.” უორდროპმა როგორც მთავრობის, ისე ქალთა საზოგადოების ემოციებიც დაიმსახურა, ის მეუღლეს წერდა: “არ იეჭვიანო, მაგრამ უნდა გითხრა – დღეს ქალბატონებმა გამიმხილეს, რომ მათ ყოველთვის მოვწონდი, თუმცა მას შემდეგ რაც მე ამ კვირაში საქართველოსთვის გავაკეთე, ისინი მადმერთებენ... მინისტრებმა დამარწმუნეს, რომ საკმარისია მე მათ რაიმე ვთხოვო და ისინი აუცილებლად გააკეთებენ. ეს მისია წარმატებულად წარვმართე და ჩემს ცხოვრებაში ტრიუმფის დროა, რომელსაც ბოლომდე ვერანაირი სამომავლო წარუმატებლობა ვერ დაანგრევს.” (268, 84-95). გარდა ოფიციალური წრეებისა, მას უბრალო ქართველებისგან, სოფლებიდან, გლეხებისგან ქართულ ენაზე დაწერილი წერილები მოსდიოდა. მას ასე მიმართავდნენ – “ბატონო ოლივერ”, “ძმარო ოლივერ”, “მოგესალმებით არა როგორც ბრიტანელს, არამედ როგორც საქართველოს შვილს”, “თქვენ მკვდრეთით ადადგინეთ საქართველო” და ა.შ. (269, 15-19; 264, 19).

ქართველებს არც ღორდი კერზონი დაავიწყდათ. მას მთავრობამ წერილი გაუგზავნა და მადლობა გადაუხადა საქართველოს აღიარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის. სამადლობელი წერილები ასევე გაეგზავნათ

ლოიდ ჯორჯს, თემთა პალატის თავმჯდომარეს და სამშვიდობო კონფერენციის პრეზიდენტს – ჟორჟ კლემანსოს (60, 38-39; 194).

უორდროპისადმი გამოჩენილ განსაკუთრებულ ყურადღებას შურის თვალთ უყურებდა საფრანგეთის სამხედრო მისიის მეთაური – კომანდანიტი დე ნონანკური. ის ეჭვქვეშ აყენებდა დე ფაქტო აღიარების მნიშვნელობას და მოკავშირეთა მისიების თავდაჭერილ დამოკიდებულებაზე მიუთითებდა. დე ნონანკური საფრანგეთის სამხედრო სამინისტროს წერდა – ამ დროს კი “ბატონმა უორდროპმა ყველაფერი გააკეთა ქართველთა პატრიოტული ენთუზიაზმის გასადვივებლად და თან იძლეოდა შთაბეჭდილებას, რომ ის გახლდათ აღიარების მოთავე. ის კმაყოფილების ნიშნებს გამოხატავს და დიდ მიღებებს მართავს. 12 იანვარს მან ხალხის მასას მიმართა. მისი ოფიციალური მიმოწერის დიდი ნაწილი პრესაში გამოქვეყნდა. ის მილოცვებს არ იშურებს, ზოგს რჩევებს აძლევს, სხვებს კი ტკივილს უმსუბუქებს. მოკლედ რომ ვთქვათ, თავი კავკასიის მეფისნაცვლად წარმოუდგენია.” (281).

2. კონფერენციის ბოლო ორი კვირა: კავკასია – საერთაშორისო პოლიტიკის მთავარი თემა

მათთვის შესაბამისი სამხედრო მხარდაჭერის აღმოჩენის გარეშე საქართველოსა და აზერბაიჯანის მხოლოდ აღიარება რეგიონის ბოლშევიკთაგან დაცვის ეფექტურ საშუალებას არ იძლეოდა. შუა აღმოსავლეთის დამცავი ხაზის კავკასიაზე გასატარებლად საჭირო იყო სერიოზული სამხედრო ღონისძიებების გათვალისწინება. დიდი ბრიტანეთის სამხედრო სამინისტროს თანხმობის გარეშე ამ მიმართულებით ზომების მიღება, შეუძლებელი თუ არა, ძალიან ძნელი იყო. ჩერჩილისთვის, 1920 წლის იანვარშიც, მთავარ დასაყრდენ ძალას დამარცხების პირას მისული დენიკინი წარმოადგენდა. ის პოლონეთის ნახევარ მილიონიან არმიასაც “დენიკინის მარცხენა ფლანგად” მიიჩნევდა და მოხალისეთა ნაცვლად პატარა კავკასიურ რესპუბლიკებზე დაყრდნობა მისთვის, რასაკვირველია, მიუღებელი იყო. თეთრ არმიაზე ჩერჩილის წარმოდგენები კარდინალურად განსხვავდებოდა კერზონის, ლოიდ ჯორჯისა და პატარა ერების მთავრობათა შეხედულებებისგან – “რუსეთის მოხალისეთა არმიის შექმნა და მიღწევები აუცილებლად უნდა იქცეს ისტორიული მონოგრაფიის თემად, რომელსაც

მადლიერებით წაიკითხავენ ყველა მათი მეგობრები ბრიტანეთის იმპერიაში, საფრანგეთში, იტალიაში, შეერთებულ შტატებში, ასევე იმ პატარა სახელმწიფოებში, რომელთა თავისუფლება დღეს უსაფრთხოდ გამოიყურება...”, წერდა სამხედრო მინისტრი. ის დენიკინელთა ბრძოლას გარიბალდისტურ იდეებთან აკავშირებდა (335, 1127-1137).

საპირისპირო პოზიციაზე გაცილებით უფრო ძლიერი ბანაკი იდგა – პრემიერ-მინისტრი, საგარეო საქმეთა სამინისტრო, ადმირალიტეტი და ერთი წლით ადრე კავკასიისადმი სრულიად ინერტულად განწყობილი ედვინ მონტაგუც კი რეგიონში ენერგიული სამხედრო ზომების მიღებას მოითხოვდნენ. ლოიდ ჯორჯი კავკასიის დახმარებას და დამოუკიდებლობას კი უჭერდა მხარს, მაგრამ ის, როგორც ყოველთვის, რუსეთის ყოფილი იმპერიის ტერიტორიაზე ბრიტანული ჯარების გამოყენების წინააღმდეგი იყო. მიუხედავად ამისა, 1920 წლის იანვრისათვის არსებული ვითარება იმედს იძლეოდა, რომ კავკასია მოკავშირეთა ხელშესახებ დახმარებას მიიღებდა.

უორდროპისა და სტოქსის ტელეგრამებით შეშფოთებულმა ზღვის პირველმა ლორდმა – ადმირალმა ბიტმ 6 იანვარს კაბინეტისათვის მიმოქცევაში გამოუშვა მემორანდუმი. მისი აზრით, კასპიის ზღვაზე ბრიტანული კონტროლის აღდგენა აუცილებელ პირობას წარმოადგენდა სამხრეთ კავკასიის, სპარსეთის, მესოპოტამიისა და ინდოეთის დასაცავად. სასწრაფო მოქმედების შესაძლებლობას დენიკინისათვის გადაცემული ფლოტის უკან დაბრუნება იძლეოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში ადმირალიტეტს შეეძლო ალტერნატიული გეგმა შეეთავაზებინა კაბინეტისათვის, თუმცა მისი განხორციელება დროს წაიღებდა. ფლოტის ბაზით უზრუნველყოფისათვის საჭირო იყო ბაქოს ოკუპაცია, ხოლო საჭიროების შემთხვევაში უსაფრთხო ევაკუაციისათვის ბაქო-ბათუმის სარკინიგზო ხაზის ხელახლა დაკავება. “...თუ რაიმე ზომა საერთოდ იქნა მიღებული, ის სასწრაფოდ უნდა განხორციელდეს. შესაბამისად, საკითხი მოითხოვს დაუყოვნებლივ განხილვას”, ასკენიდა მემორანდუმი (97).

დოკუმენტის გარშემო საუბარი მომდევნო დღეს, მინისტრთა კაბინეტის სხდომაზე გაიმართა. სამხედრო ექსპერტებმა განაცხადეს, რომ ბაქო-ბათუმის ხაზის ოკუპაციას ორი დივიზია დასჭირდებოდა. კაბინეტმა გენერალურ შტაბს, საჰაერო ძალებსა და ადმირალიტეტს დაავალა მოემზადებინათ ინფორმაცია: ა) რა უპირატესობას მოიტანდა კასპიის ზღვაზე კონტროლის ხელში აღება და რა

საფრთხეს შექმნიდა მისი დაკარგვა; ბ) რა რესურსების გამოყენება და ზომების მიღება იყო საჭირო კასპიის ზღვაზე ბრიტანეთის კონტროლის აღსადგენად (73).

მემორანდუმის თაობაზე საგარეო საქმეთა სამინისტრომ 6 იანვარსვე მისწერა ადმირალიტეტს. ლორდი კერზონის აზრით, დენიკინის ფლოტის ბრიტანეთისთვის გადაცემა შემდეგ პირობებში იყო დასაშვები: 1. თუ ადმირალიტეტს ამ საქმისათვის სათანადო რაოდენობის საზღვაო მოსამსახურეთა გამოყოფა შეეძლო; 2. თუ ფლოტი საკმარისად ძლიერი იყო იმისათვის, რომ ვოლგიდან გამოსული ბოლშევიკები დაემარცხებინა; 3. ასევე განიხილებოდა ფლოტის შეკეთება და მისი სპარსეთის, აზერბაიჯანის ან ორივესთვის ერთად გადაცემა (169).

ედვინ მონტაგუზეც, რომელიც ბოლშევიკთა და მუსულმანთა ალიანსს უფრთხოდა, დიდად იმოქმედა უორდროპის 27 იანვრის ტელეგრამამ. ასეთი ალიანსი სახიფათო იყო ჭარბი მუსულმანური მოსახლეობის მქონე ინდოეთისათვის. მან საგარეო საქმეთა სამინისტროს 7 იანვარს მისწერა და შესთავაზა, როგორც კასპიის ზღვაზე ბრიტანული კონტროლის აღდგენა, ასევე სამხრეთ კავკასიის სამი რესპუბლიკის, განსაკუთრებით აზერბაიჯანის ინტერესთა ბრიტანეთის ინტერესებთან შესაბამისობაში მოყვანა (173).

საკუთარი ახალი რუსული პოლიტიკით, საერთაშორისო მხარდაჭერითა და გადაწყვეტილების მიმღებ ბრიტანულ პოლიტიკოსთა მოსაზრებებით შეიარაღებულმა ლოიდ ჯორჯმა 10 იანვარს, პარიზში უმაღლესი საბჭოს სხდომაზე, კავკასიის რესპუბლიკათა ანტიბოლშევიკური ბრძოლის მხარდასაჭერად, მათი იარაღით მომარაგების იდეა წამოაყენა. თუ დენიკინი ბოლომდე დამარცხდებოდა, ბოლშევიკები თურქებს შეუერთდებოდნენ, რაც, პრემიერ-მინისტრის მოსაზრებით, სასოწარკვეთილ მდგომარეობაში ჩააგდებდა რესპუბლიკებს. ის კოლეგებს ვერსალის სამხედრო საბჭოსათვის საკითხის განსახილველად გადაცემას ურჩევდა. სამხედრო საბჭო განსახორციელებელ ღონისძიებებზე ინფორმაციას მიაწვდიდა უმაღლეს საბჭოს. კლემანსომ დასძინა, რომ კარგი იქნებოდა თუ ერთ მემორანდუმს ბრიტანული დელეგაციაც მოამზადებდა (289, 725; 307, 837; 114).

კერზონი, პარიზში ყოფნის პირობებში, ეფექტურად აკონტროლებდა ბრიტანული დელეგაციის მუშაობას, ხოლო სამხედრო საბჭოში ბრიტანეთს

წარმოადგენდა არა ჰენრი უილსონი, რომელიც იმუამად ლონდონში იყო, არამედ გენერალი საკვილ-ვესტი. საბჭოს ბოლშევიკური რუსეთის გარშემო “მათუფლხართების ჯებირის” თეორიის ავტორი, მარშალი ფერდინანდ ფოში მეთაურობდა. მისი ავტორიტეტი საბჭოს შემადგენლობაში მყოფ ბრიტანელ და იტალიელ კოლეგებს ჩრდილავდა. შესაბამისად, ორივე დოკუმენტი ფორმულირდა იმ ტონით, რომ მოკავშირეებს აქტიური ქმედებებისაკენ მოუწოდებდა.

ბრიტანული მემორანდუმი ხაზს უსვამდა რა ორი “ურდოს” – თურქეთისა და საბჭოთა რუსეთის გაერთიანების საფრთხეს, მათი შეკავშირების პრევენციის მთავარ საშუალებად საქართველოს დაცვას ასახელებდა. ბრიტანელმა დიპლომატებმა ხუთ პუნქტიანი წინადადებათა პაკეტი წამოაყენეს: 1. საქართველოსა და აზერბაიჯანის აღიარება (ეს უკვე მოხდა); 2. დენიკინისათვის გასაგზავნი, გზაში მყოფი ყველა მარაგის აღნიშნულ რესპუბლიკებზე და სომხეთზე გადამისამართება; 3. დამატებითი – ფინანსური, სამხედრო აღჭურვილობითი და სასურსათო დახმარების გაწევა; 4. ბაქოსა და ბათუმის დასაცავად სათანადო სამხედრო დახმარების მიწოდება; 5. დენიკინის ფლოტის ჩაძირვა ან მოკავშირეთა ხელში გადასვლა 289, 926-927; 307, 903-904; 118).

სამხედრო საბჭოს მიერ მომზადებულ დოკუმენტში, რომლებსაც ხელს მარშალი ფოში, გენერლები საკვილ-ვესტი და კავალიერო აწერდნენ, ეწერა: “თუ შეუძლებელია ბოლშევიკთა მათსავე მიწაზე დამარცხება, გარკვეული სახიფათო მიმართულებებით, ისეთით როგორც კავკასია, მათი შეჩერება შესაძლებელი უნდა იყოს.” აღნიშნული მოსაზრებით, კავკასიაში სამხედრო ბარიერის ორგანიზების განხილვა სამხედრო საბჭოს მიზანშეწონილად მიაჩნდა, მაგრამ ადგილობრივ მთავრობათა არამდგრადი მდგომარეობის გამო, ეს ამოცანა, პირველ ეტაპზე, ევროპული ჯარების ორ დივიზიას უნდა შეესრულებინა. ადგილობრივი ჯარების აღჭურვისა და ფეხზე დაყენების შემდეგ, ისინი ევროპულ ძალებს ჩაანაცვლებდნენ. ბარიერის ორგანიზებას სამი თვე დასჭირდებოდა, ამიტომ პრაქტიკულ მოქმედებებზე გადასვლა დაუყოვნებლივ ამოცანას წარმოადგენდა. იმისათვის, რომ მოკავშირეებს ბარიერის ორგანიზებისათვის სათანადო დრო ჰქონოდათ, დენიკინს ბრძოლა, ხოლო გამარჯვებულ სახელმწიფოებს მისი დახმარება უნდა გაეგრძელებინათ. გეგმის

მიღების შემთხვევაში, კასპიის კონტროლი მოკავშირეთა ხელში გადავიდოდა (289, 925-926; 307, 902-903; 118; 280).

რესპუბლიკათა საჭიროებების გამოსარკვევად, 15 იანვარს საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური დეპარტამენტის დირექტორი – ჟიულ კამბონი, ლოდ ჯორჯის მდივანი – ფილიპ კერი და იტალიელი დელეგატი – მარკოზი დელა ტორეტო აზერბაიჯანისა და საქართველოს დელეგაციებს შეხვდნენ. მოკავშირეთა წარმომადგენლებმა, 1920 წლის იანვარში კავკასიის გარშემო შექმნილი საერთო აღტყინების ფონზე, ქართველ და აზერბაიჯანელ დიპლომატებს განუცხადეს – “თქვენ შეგიძლიათ სრული იმედი გქონდეთ დიდი სახელმწიფოების მუდმივი ყურადღებისა და მუდმივი დახმარების...” და სთხოვეს გამოეთქვათ თავიანთი სურვილები, წუხილები. წერეთელმა აღნიშნა, რომ საქართველოს შიდა მდგომარეობა აბსოლუტურად დამაკმაყოფილებელი იყო, მხოლოდ, ევროპისგან ეკონომიკურად მოწყვეტილი, მძიმე სასურსათო კრიზისს განიცდიდა. ავალიშვილმა ხაზი გაუსვა ქვეყნის სურვილს – საერთაშორისო ოჯახში სამუდამოდ დაემკვიდრებინა ადგილი. მან კამბონისაგან დაზუსტება მოითხოვა, რომ დე ფაქტო აღიარება ნიშნავდა არა მხოლოდ მთავრობის, არამედ ქვეყნის აღიარებასაც.

ქართველმა დელეგატებმა ძირითადად აქცენტი ეკონომიკურ დახმარებაზე გააკეთეს. ისინი სამხედრო თემაზე სასაუბროდ მზად არ იყვნენ, მაგრამ მოკავშირეებს, განსაკუთრებით ბრიტანეთს, ეს უკანასკნელი კითხვები უფრო აწუხებდათ. დენიკინის ან ბოლშევიკთა მხრიდან საფრთხის შესახებ ფილიპ კერის მიერ დასმულ ზოგად შეკითხვას, ავალიშვილის ზოგადი პასუხი მოჰყვა – “არ შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი რესპუბლიკები ამას მოუმზადებელი დაუხვდებიან, მით უფრო რომ კავკასიის ქედის ბუნებრივი ზღუდე მათთვის თავდაცვის საქმეს მხოლოდ სამი ადგილის დაცვით საზღვრავს, შუა ხეობის და ორი ზღვის ზოლის.” ქართველმა დელეგატმა კერს მეხადირის სტრატეგიული პოზიციის გამო დენიკინსა და საქართველოს შორის არსებული დავა შეახსენა, რომელშიც მოკავშირეებმა რუსი გენერლის მხარე დაიკავეს – “მაშინ დაკავებული სტრატეგიული ხაზი დიდად გაადვილებს ახლა ბოლშევიკების შემოსევისგან საქართველოს დაცვას”, ასკვნიდა ავალიშვილი. კამბონმა უფრო მეტი კონკრეტიკისაკენ წაიყვანა საქმე და ჯარების რაოდენობაზე, მათი ხელმძღვანელი ოფიცრობის, შეიარაღების შესახებ იკითხა. აქ გამოჩნდა

მოკავშირეთა შეცდომა, რომლებმაც ერთი წლით ადრე დელეგაციის სამხედრო ექსპერტი – გენერალი ოდიშელიძე კონსტანტინოპოლიდან პარიზისკენ არ გაატარეს, ხოლო მეორე მხრივ ბრიტანელებს უორდროპისგან უკვე ჰქონდათ ცნობა მიღებული ქართული ჯარის საჭიროების შესახებ. ავალიშვილმა აუხსნა, რომ ქვეყანას ჰყავდა არმია და გვარდია, რომლებსაც რუსეთში გამოცდილი გენერლები მეთაურობდნენ. მან მორიდებით აღნიშნა – “ჩვენ სამხედრო ექსპერტები არ ვართ, ამიტომ მე ჯარების რაოდენობაზე ცნობების მოცემა არ შემძლია... თოფები და ზარბაზნები გვაქვს, ამუნიცია გვაკლია... მთავრობამ შავი ზღვის პირას ააგო ფორტიფიკაციები...” კამბონმა განმეორებით დასვა შეკითხვა ჯარის რაოდენობის თაობაზე, რაზეც წერეთელმა კვლავინდებურად ბუნდოვანი პასუხი გასცა. ფრანგმა დიპლომატმა დაუინებით, მესამედ დასვა შეკითხვა და მიიღო წერეთლის ნაგარაუდები პასუხი, რომ საჭიროების შემთხვევაში სულ ცოტა 50 ათასი კაცის გამოყვანა შეეძლო ქვეყანას. მან ხაზი გაუსვა შეიარაღების ნაკლებობას და დასძინა – “სულ სხვაა შეტევითი ომი და ჩვენმა მთავრობამ, რომ ამგვარი ომი დაიწყოს ერთ ჯარისკაცსაც ვერ იშოვის... ჩვენი ხალხი უძლევეა თავისი მხარის დაცვაში, მაგრამ აგრესიული ომი არ სურს და მისი წინააღმდეგია.” (31, 158-160; 307, 866-867; 289, 896-897; 116).⁵⁴ აქ წერეთელს ანტიიმპერიალისტურმა იდეოლოგიამ გადასცა, მისთვის არავის უკითხავს და უთხოვია შეტევითი ომის წარმოება. აღნიშნული საუბრის ჩანაწერის წაკითხვის შემდეგ აკაკი ჩხენკელმა დელეგაციას თბილისიდან პარიზში მისწერა – “სულაც არ იყო საჭირო ასეთი скромность გამოგეჩინათ: არ ვიცით, ექსპერტები არა ვართ... თქვენს პასუხებს სულაც არ ეტყობა წინასწარი მომზადება. ბოლოს გაბედეთ გეთქვათ უფრო გარკვევით, მაგრამ შთაბეჭდილება ვერ დასტოვეთ უეჭველათ სერიოზული. კაკი იმასაც ამბობს თავდასხმითი ომისთვის ვერ გამოვდგებითო, თითქო წესრიგში ეს კითხვა დგას, თითქო მოკავშირეებმა თითონ არ დასტოვეს რუსეთში შეიარაღებული ჩარევის გზა, თითქო ბალტიის მხარეში ისინი არ ადგებიან ზავის გზას. მართალია, თქვენი მოუმზადებლობა აქაურების ბრალიცაა, ექსპერტები არ გამოგიგზავნეს დროზე, მაგრამ ეს არაა გამართლება. მოკავშირეთა თვალში. თვითონ თქვენ უნდა შეგედგინათ გეგმა და მტკიცეთ მოგეთხოვათ დაუყოვნებლივ იარაღის მოცემა.” (62, 4).

⁵⁴საუბრის სტენოგრაფიული ჩანაწერი ქართულმა დელეგაციამ აწარმოა, მისი შინაარსი უმაღლეს საბჭოს მოუყვა ჟიულ კამბონმა. ორივე ჩვენება ზედმიწევნით ემთხვევა ერთმანეთს, მაგრამ ქართული დოკუმენტი უფრო დეტალურად ასახავს დიალოგს.

ჩხენკელის კრიტიკა დელეგაციის მოუმზადებლობის თაობაზე სამართლიანი იყო, მაგრამ ამაში არა მხოლოდ ქართველი დელეგატები, არამედ თავად მოკავშირეებიც იყვნენ დამნაშავე. ამასთანავე, დელეგაციის მოუმზადებლობას მოკავშირეთა გადაწყვეტილებაზე სერიოზული გავლენა არ ჰქონია, რადგან საბოლოო ჯამში ისინი არა ქართველ დიპლომატთა, არამედ ადგილზე საკუთარ სამხედრო წარმომადგენელთა ჩვენებებს ეყრდნობოდნენ.

საუბრის მსვლელობისას ორივე დელეგაციამ დადესტნის ბუფერული სახელმწიფოს აღიარება მოითხოვა. თოფჩიბაშევიმ აღნიშნა, რომ აზერბაიჯანი საქართველოსთან სრულ კოორდინაციაში მოქმედებდა, ქვეყანას შეეძლო 100 ათასი მებრძოლის გამოყვანა და მოკავშირეთა ყურადღება კასპიის ზღვის დაცვის აუცილებლობაზე გაამახვილა (31, 158-160).

კაბმონმა და კერმა მომდევნო დღეს უმაღლეს საბჭოს საუბრის შინაარსი გააცნეს. მათი შეხედულებით, რესპუბლიკები ჯერ კიდევ დენიკინს უფრო უფროთხოვდნენ, ვიდრე ბოლშევიკებს; სამხედრო მდგომარეობაზე დელეგატების პასუხი არადამაჯარებელი იყო; შეტევით ომზე ისინი უარს აცხადებდნენ; აზერბაიჯანელები კასპიის ზღვის დაცვას მოითხოვდნენ, ხოლო ქართველები შავი ზღვისას; მათ სურდათ მოკავშირეებს დადესტანი ეღიარებინათ. ლოიდ ჯორჯი მიღებული პასუხებით კმაყოფილი დარჩა. რეგიონის მცხოვრებლები მან “თათრებათ” მოიხსენია და მათ მაღალ საბრძოლო უნარს გაუსვა ხაზი. “ისინი ჯარებს არ გვთხოვენ: ეს დამაკმაყოფილებელია. შეგვიძლია მათი შეიარაღებითა და ტყვია-წამლით მომარაგება ვცადოთ...”, დასძენდა იგი. ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა დადესტნის, კიდევ ერთი მუსულმანური რესპუბლიკის აღიარებასაც დაუჭირა მხარი. კლემანსომ შენიშნა, რომ დენიკინისათვის გაგზავნილი შეიარაღების დიდი ნაწილი ბოლშევიკებს ჩაუვარდათ ხელში. “შეგვიძლია ბევრი ტანსაცმელი და სხვა საქონელი მაინც გაუზუზავნოთ...”, უპასუხა ლოიდ ჯორჯმა. საკითხის განხილვა და გადაწყვეტილების მიღება გადაიდო (307, 866-868; 289, 896-898; 116).

როდესაც პარიზში კერზონი და ლოიდ ჯორჯი კავკასიის ბოლშევიკური ოკუპაციისაგან ხსნის დეტალებს არჩევდნენ, ლონდონში ჩერჩილი და უილსონი მარცხენა ხელით შლიდნენ იმას, რასაც ბრიტანული პოლიტიკა სამშვიდობო კონფერენციაზე აწყობდა.

10 იანვარს რესპუბლიკათა აღიარებითა და ლოიდ ჯორჯის მიერ სამხრეთ კავკასიის დახმარების საკითხის უმაღლესი საბჭოს სხდომაზე წამოწევით შეგულიანებულმა ლორდმა კერზონმა, ედვინ მონტაგუსთან შეთანხმებით, იმავე დღეს ტელეგრამა გააგზავნა ლონდონში. მინისტრი, თავისი მოადგილის – ლორდ ჰარდინგის თაემჯდომარეობით შუა აღმოსავლეთში დეპარტამენტთაშორისი კონფერენციის გამართვას 12 იანვრისთვის ითხოვდა. სხდომას კავკასიის ბოლშევიკთაგან ხსნის სამხედრო ღონისძიებები უნდა განეხილა. საგარეო საქმეთა მინისტრი 11 კითხვას აძლევდა კონფერენციას: 1. ბათუმში ბრიტანული ჯარების დატოვება; 2. ქართული ჯარებისათვის დახმარების გაწევა; 3. დენიკინისათვის განკუთვნილი “პაკეტის” კავკასიაზე გადამისამართება; 4. კრასნოვოდსკიდან ბოლშევიკური საფრთხის შემთხვევაში ბაქოს დაცვა; 5. დენიკინის ფლოტის ბრიტანელთათვის გადაცემა ან მისი ჩაძირვა; 6. ყაზვინში ბრიტანული ძალების გაძლიერება; 7. სხვა თეატრებიდან კავკასიის ან სპარსეთის მიმართულებით აეროპლანების გაგზავნა; 8. ხორასნის პერიმეტრის დასაცავად მისაღები ღონისძიებები; 9. აღნიშნული მიმართულებით ბრიტანელ ოფიცერთა გაგზავნა; 10. მეშხედში ანგლო-ინდური ჯარების გაძლიერება; 11. ნეჰის მიმართულებით რკინიგზის გაგრძელება (290, 751-752; 178).

დასმულ საკითხთა გათვალისწინებით, საგარეო საქმეთა მინისტრი სრულ საომარ მზადებას მოითხოვდა, მაგრამ ამ თემების ლონდონში განხილვის ინიცირებით მან შეცდომა დაუშვა. კერზონის, მონტაგუსა და ლოიდ ჯორჯის პარიზში ყოფნის პირობებში, ლორდ ჰარდინგს ან ინდოეთის საქმეთა სამინისტროს ჩინოვნიკებს არ შეეძლოთ ჩერჩილისა და ჰენრი უილსონის წინააღმდეგობათა დაძლევა.

პრემიერისა და საგარეო საქმეთა მინისტრების მიერ ინიცირებული სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკათა აღიარება, მათ დასახმარებლად საჭირო ღონისძიებებზე საუბარი, პარიზში გამართული შეხვედრების ხასიათის გათვალისწინებით, სულაც არ ყოფილა ერთა თვითგამორკვევის უფლებით ნაკარნახევი პოზიცია. თუმცა, ლონდონში დარჩენილ ჰენრი უილსონს თავისი განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა პატარა ერებისადმი. მას, როგორც ძლიერ იმპერიალისტს, მცირე ეროვნებათა დამოუკიდებელი არსებობის არ სჯეროდა, არ ჰქონდა მათადმი თანაგრძნობა. ის იყო უნიონისტი ირლანდიელი, რომელიც 1922 წელს მოიკლა ირლანდიის განმათავისუფლებელი ორგანიზაცია

IRA-ს მიერ. ის თავის დღიურში, მსოფლიო პოლიტიკის საჭეთმპყრობელთა შესახებ კრიტიკულად შენიშნავდა: “...ერთი მხრივ ჩვენ ვქმნით უთვალავ ახალგაზრდა ერებს, ვახალისებთ მათ, ამავე დროს ვაყალიბებთ ერთა ლიგას, რომელიც მსოფლიოს ინტერნაციონალიზაციას ეწევა და სიმართლე რომ ვთქვათ ეს არის მექანიზმი, რომელიც ყველას საქმეში ჩაერევა და ამას გააკეთებს მესამე, მეოთხეხარისხოვანი ხალხის და მეათეხარისხოვანი სახელმწიფოების მეშვეობით.” მან შეხვედრას, რომელზეც პატარა ერთა ჩაგვრის შესახებ მიდიოდა საუბარი, “მომაბეზრებელი” უწოდა (334, 176, 197).

უილსონი, 1920 წლის იანვარში, კავკასიისადმი დახმარების ყველაზე ძლიერი მოწინააღმდეგე იყო. მან, თავისი სამხედრო ცოდნითა და ავტორიტეტით, დეპარტამენტთაშორისი კონფერენციის სხდომაზე დაჩრდილა ლორდი ჰარდინგი. გენშტაბის უფროსმა აღმოსავლეთის დაცვის სამი ალტერნატიული ხაზი წარადგინა: 1. კონსტანტინოპოლი-ბათუმი-ბაქო-კრასნოვოდსკი-მერვი, რაც შავი და კასპიის ზღვების გაკონტროლებას გულისხმობდა. ამოცანის შესასრულებლად საჭირო იყო კავკასიაში ორი, ხოლო კრასნოვოდსკიდან მერვამდე ხუთი, სულ შვიდი დივიზია; 2. კონსტანტინოპოლი-ბათუმი-ბაქო-ენზელი-თეირანი-მეშხედი. აღნიშნული ხაზის დაკავება შავი, ნაწილობრივ კასპიის ზღვების გაკონტროლებას და ასევე შვიდ დივიზიას მოითხოვდა; 3. დამცავი ხაზის სამხრეთით, ჩრდილო პალესტინასა და მოსულზე გატარება.

სამხედრო სამინისტროს შესაძლებლად მხოლოდ მესამე ხაზის დაცვა მიაჩნდა. ვერსალის სამხედრო საბჭო ორ დივიზიაზე საუბრობდა, იმავეს ამბობდნენ სამხედრო ექსპერტები 7 იანვრის მინისტრთა კაბინეტის სხდომაზე, მაგრამ უილსონის მოსაზრებით შვიდი დივიზიაც მაშინ იქნებოდა საკმარისი თუ მათი დაკომპლექტება მარტოოდენ ბრიტანული ძალებით მოხდებოდა. მოკავშირეთა შორისი კოორდინაციის შემთხვევაში, გენერალური შტაბის უფროსი, ჯარების რაოდენობის გაზრდის საჭიროებას ვარაუდობდა. იქვე იყო ჩერჩილი, თავისი უსაზღვრო სიმპათიებით დენიკინისადმი. სამხედრო მინისტრს მიაჩნდა, რომ თუ ბაქო-ბათუმის დასაცავად ორი დივიზიის გამოყოფა მოხერხდებოდა, უმჯობესი იყო მისი გამოყენება პოლონეთის მხრიდან მოსკოვზე მარშისათვის, რაც გაამხნევებდა სამხრეთ რუსეთის მოხალისეებს, მაგრამ მსოფლიოს სხვა ნაწილებში შექმნილ მდგომარეობათა გამო ორი დივიზიის გამოძებნაც შეუძლებელი იყო. საქართველოსა და აზერბაიჯანისათვის, ჯარებით

მიშველების გარეშე, სამხედრო დახმარების გაწევა ბოლშევიკებისათვის გადაცემულ საჩუქრად მიაჩნდა სამხედრო სამინისტროს. საჰაერო ძალებმაც მიზანშეუწონლად მიიჩნიეს ეგვიპტესა და ინდოეთში მყოფი აეროპლანების კავკასიისაკენ გადასროლა. აღმირალიტეტი მართალია, ემხრობოდა კასპიის ზღვაზე კონტროლის აღდგენას, მაგრამ ამისათვის ბაქო-ბათუმის ოკუპაციას მოითხოვდა, რაზეც გენერალური შტაბი უარს აცხადებდა. შესაბამისად, კერზონის 11 კითხვას 11 უარყოფითი პასუხი გაეცა: 1. ბათუმში მყოფი ჯარები ჯერჯერობით ადგილზე რჩებოდნენ, მაგრამ მათი ევაკუაცია უნდა მომხდარიყო მანამდე, ვიდრე ისინი ისეთივე მდგომარეობაში აღმოჩნდებოდნენ, როგორც ფრანგები ოდესაში; 2. საქართველოს ვერ მიეწოდებოდა სამხედრო, საჰაერო, საზღვაო დახმარება; 3. დენიკინის წილი იმდენი დახმარება უნდა გადაემისამართებინათ რესპუბლიკებისათვის, რამდენიც საკმარისი იქნებოდა იმისათვის, რომ ისინი ბოლშევიკებს არ მიმხრობოდნენ; 4. ბაქოს დაცვა ვერ მოხერხდებოდა; 5. კასპიის ზღვის დაკავება ბაქოს ოკუპაციის გარეშე შეუძლებელი იყო, ხოლო დენიკინი საკუთარი ფლოტის ჩაძირვას არ დათანხმდებოდა და ა.შ.

პარდინგი კერზონს აუწყებდა – “ჩვენი პოზიცია, ჩვენივე პრესტიჟისათვის, იქნება სამარცხვინო და ფატალური, რადგანაც სამხედრო პოლიტიკა ყველგან უკანდახევისკენ გვიბიძგებს, სადაც კი საფრთხე გვემუქრება.” (290, 753-755). გამარჯვებულმა უილსონმა შემდეგი ჩანაწერი გააკეთა დღიურში: “კერზონი, რომელიც ლოიდ ჯორჯთან ერთად პარიზშია, გზავნის სასაცილო შეტყობინებას საქართველოს, აზერბაიჯანის და მათთვის გასაწევი დახმარების აუცილებლობის შესახებ. ეს იმ დროს, როდესაც მე მინდოდა ბათუმიდან ჩვენი ჯარების გამოყვანის შესახებ დამეწერა. შეხვედრა გვექონდა საგარეო საქმეთა სამინისტროში და რუკის წინაშე ლექცია ჩავატარე, ვუჩვენე ინდოეთის დაცვის წინა ხაზზე დგომის შეუძლებლობა. ვუჩვენე, რომ პალესტინა-მოსული-ხანიკინი-ბურუჯირდი იყო ერთადერთი შესაძლო ხაზი და ჩვენი პოლიტიკაც ამ ხაზზე უნდა გავასწოროთ. მართალია, ახლა საქართველო და აზერბაიჯანი გაბოლშევიკდებიან, მიუხედავად იმისა, რომ ეს სულელები პარიზში გუშინ შეთანხმდნენ ამ ქვეყნების “დე ფაქტო მთავრობების” აღიარებაზე. ასევე მართალია, რომ ჩვენ სპარსეთის დატოვებაც მოგვიწევს, მიუხედავად იმისა, რომ კერზონმა, სამხედრო სამინისტროსთან შეუთანხმებლად, მათთან ხელშეკრულება გააფორმა. ყველაფერი ეს შეთანხმებული იქნა კომიტეტის მიერ და გადაეგზავნა

კერზონს. ჩვენი შეტყობინება კერზონსა და ქურთუკიანებს პარიზში, დაფიქრების საშუალებას მისცემს.” (334, 221-222).⁵⁵

სამხედრო სამინისტროს პარიზულ პოლიტიკასთან შეუსაბამობა კიდევ უფრო შორს წავიდა ლონდონში გამართულ მინისტრთა კაბინეტის 14 იანვრის სხდომაზე. მას ჩერჩილისა და უილსონის არც ერთი ოპონენტი არ დასწრებია. შეხვედრაზე ითქვა, რომ თუ ბოლშევიკები წარმატებულ წინსვლას გააგრძელებდნენ, საქართველო და აზერბაიჯანი მათ მხარეს გადავიდოდნენ. ამიტომ, სანამ მის შემოგარენში რაიმე ბრძოლები დაიწყებოდა, ბათუმიდან ჯარები უნდა გამოეყვანათ (74). ჩერჩილმა აღნიშნული მოსაზრებები პრემიერ-მინისტრსაც მისწერა (293, 1000).

ლოიდ-ჯორჯმა ჩერჩილი, უილსონი, ადმირალ ბიტი და ადმირალიტეტის პირველი ლორდი – უოლტერ ლონგი პარიზში გამოიძახა. იქვე იყვნენ საფრანგეთისა და იტალიის პრემიერ-მინისტრებიც. დასავლური პრესა ანტიბოლშევიკური მასშტაბური ომის დაწყებას პროგნოზირებდა, კავკასიის შესახებ საგანგაშო ცნობები არ ჩამოდიოდა გაზეთების ფურცლებიდან. 9 იანვრიდან მოყოლებული New York Times-მა დაიწყო წერილების ბეჭდვა სათაურებით: “სპარსეთს წითლების საფრთხე ემუქრება”, “წითელი არმიები სამ ფრონტზე აღწევენ წარმატებას: ემუქრებიან სპარსეთსა და ინდოეთს”, “მარში ინდოეთის მიმართულებით”, “ლონდონი მოახლოებულ შტორმს ხედავს”. 21 იანვარს საერთოდ 100000 ბრიტანელი ჯარისკაცის რეგიონში შესაძლო გაგზავნას იტყობინებოდა გამოცემა (413; 414; 415; 416; 417; 418; 420; 421; 422). მას მხარს უბამდა ლონდონის The Times-ც, სტატიებით – “ბოლშევიკური საფრთხე იზრდება”, “ბრიტანეთის დახმარება კავკასიას”, “კავკასიის წითელი საფრთხე” და ა.შ. (425; 426; 427; 429). საქმე იქამდეც მივიდა, რომ ჯერ შეერთებული შტატების თავდაცვის მდივანს მოუწია განცხადების გაკეთება ამერიკა რუსეთში ჯარებს არ გაგზავნისო, შემდეგ ქართველმა დელეგატმა იოსებ გობეჩიამ განუმარტა პრესას, რომ ქვეყანა ბოლშევიკების წინააღმდეგ შეტევით ომში მონაწილეობას არ აპირებდა და საკუთარი საზღვრების დაცვას შეძლებდა თუ მოკავშირეები მას დახმარებას მიაწვდიდნენ (423; 428; 42, 22).

⁵⁵Frocks – ქურთუკიანები, ასე უწოდებდა უილსონი პოლიტიკოსებს.

ბრიტანეთის მინისტრთა კაბინეტი, თითქმის სრული შემაღგენლობით, პოზიციების შეჯერებას 16, 18 და 19 იანვრის პარიზში გამართულ სხდომებზე შეეცადა.

16-ში პრემიერ-მინისტრმა პარიზში განვითარებულ მოვლენებზე გააკეთა მოხსენება. მან თავიდანვე აღინიშნა, რომ კასპიის ზღვაზე კონტროლი განაპირობებდა ბრიტანეთის აღმოსავლურ პოზიციებს. ეს შეეხებოდა როგორც კავკასიას, ისე სპარსეთს.

შემდეგ უოლტერ ლონგმა წარმოადგინა ადმირალიტეტის ხედვა, რომ ბაქო-ბათუმის სარკინიგზო ხაზის ოკუპაციის შემთხვევაში ის 1200 მეზღვაურს გამოჰყოფდა დენიკინის ფლოტის ხელში ასაღებად და აღჭურვადა გადმოცემულ გემებს. მას ასევე დასჭირდებოდა კასპიის ზღვაში სამი წყალქვეშა ნავისა და ძრავიანი, შეიარაღებული კატარღების გადატანა. აღნიშნული ღონისძიებების განხორციელებას, ბრძანების გაცემიდან, ერთი თვე დასჭირდებოდა.

სამხედრო მინისტრმა დასვა კითხვა – რამდენად საზრიანი იყო ანტიბოლშევიკური ფრონტის დენიკინის არმიებიდან კავკასიაზე გადატანა, რადგან, მისი აზრით – “ქართველებისა და აზერბაიჯანელების როგორც ერთგულება, ისე ბრძოლის უნარი, სულ ცოტა, ძალიან საეჭვოა.” სიგიჟე იქნებოდა “ჩვენი მეგობრების” მიტოვება, რომლებსაც ჯერ კიდევ 100 ათას კაციანი საბრძოლო ძალა ჰყავდათ, არწმუნებდა კოლეგებს ჩერჩილი. ის ემხრობოდა ბოლშევიკური რუსეთის გარშემო “მავთულხლართების პოლიტიკას”, მაგრამ ამ პოლიტიკაში ის კავკასიის რესპუბლიკათა ადგილს ვერ ხედავდა. დამცავ ზოლს უნდა გაეგლო ფინეთზე, ბალტიის რესპუბლიკებზე, პოლონეთზე და სამხრეთ რუსეთში დენიკინის მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე. ამის შემდეგ ბოლშევიკებისათვის შეეძლოთ ეთქვათ, “რომ მოკავშირეებს არ აინტერესებთ რა ხდება თქვენს საზღვრებს შიგნით, მზად ვართ ბლოკადა მოვხსნათ, თქვენთან ვივაჭროთ, მაგრამ საზღვრებს თუ გადალახავთ, მაშინ ბრძოლას გამოგიცხადებთ.”

რასაკვირველია, ჩერჩილის გამოსვლას კერზონი გამოეკამათა. მან კოლეგას შეახსენა, რომ კოლჩაკი დამარცხდა, დენიკინიც თითქმის

დამარცხებული იყო და მოხალისეებზე დაყრდნობით დამცავი ზოლის ორგანიზება უფრო მძიმე ამოცანა იქნებოდა, ვიდრე ქედს გადაღმა კავკასიაში.

მონტაგუმ გამოთქვა მოსაზრება, რომ ბოლშევიკები ვაჭრობისა და მშვიდობის ნაცვლად დენიკინის ტერიტორიებს არ შეეხებოდნენ, რადგან მათ მშვიდობა ძალიან ესაჭიროებოდათ. ბონარ ლოუ არ იყო დარწმუნებული რამდენად სურდათ თავად ყუბანელებს ან დონელებს დენიკინთან ყოფნა და რომ ამ საკითხების წამოწევა შეიძლებოდა რუსეთის შიდა საქმეებში ჩარევად აღქმულიყო.

ლოიდ ჯორჯმა არსებულ მოსაზრებათაგან საკუთარ პოლიტიკასთან შესაბამისობაში მყოფი განცხადებები ამოკრიფა. მან ხაზი გაუსვა დენიკინის უუნარობას კოორდინაციაში ემოქმედა სხვა ძალებთან – “მას უთანხმოება ჰქონდა ქართველებთან, აზერბაიჯანთან, სამხრეთში დაღესტანთან, მის მიერ ოკუპირებულ მხარეებში გლეხებთან, რადგან მან უფლება მისცა თავის ოფიცრებს გლეხებისათვის მიწა ჩამოერთმიათ. მან რეპრესიები განახორციელა ყუბანის პარლამენტის წინააღმდეგ, რადგან მის პოლიტიკას ეწინააღმდეგებოდა...” პრემიერ-მინისტრს შეუძლოდ მიაჩნდა დენიკინის მიერ კონტროლირებადი ტერიტორიის ათას მილიანი პერიმეტრის დაცვა. მან ჩამოთვალა კოლჩაკის, ჩრდილოეთის მოხალისეთა და დენიკინის წარუმატებლობები, რომლებიც ერთ დიდ პროექტს შეადგენდნენ და დასძინა: “უნდა ვადიაროთ, რომ ანტიბოლშევიკური მოძრაობის ეს ფაზა აშკარად ჩავარდა”. თუმცა, იქვე დაეთანხმა ჩერჩილის მეორე მოსაზრებას – “ჩვენ უნდა ვუთხრათ ბოლშევიკებს, რომ არ გვაინტერესებს რა ხდება რუსეთის შიგნით, მაგრამ დაინტერესებულნი ვართ რუსეთის მეზობლების დამოუკიდებლობით და რომ შევებრძოლებით თუ მათ დანგრევას მოინდომებენ.” ლოიდ ჯორჯმა დამსწრეებს შეახსენა, რომ რუსეთიდან კავკასიაში შესასვლელად მხოლოდ სამი გზა – ორი ზღვის ზოლი და შუა უღელტეხილი არსებობდა, რაც შეუძლებელს ხდიდა დიდი არმიების გადაადგილების. შესაბამისად, მან ინსტრუქცია მისცა ჰენრი უილსონსა და ადმირალ ბიტის – რესპუბლიკების წარმომადგენლებთან შეხვედრაზე გაეგოთ, რა სამხედრო საშუალებები ჰქონდათ ადგილობრივ მთავრობებს ბოლშევიკთა წინსვლის აღსაკვეთად.

ჩერჩილი არ ნებდებოდა – “თუ ეს დენიკინისა და მოხალისეთა არმიის საბოლოო მიტოვებას ნიშნავს, მე ამას ვერ დავეთანხმები.” პრემიერ-მინისტრმა

მას შეახსენა, რომ დენიკინი ბრიტანელთა დახმარებას ჯერ კიდევ ღებულობდა და მას არ ესმოდა, ამის მეტი რა შეიძლებოდა გაეკეთებინათ, ხოლო მეორე მხრივ კავკასიას ისეთივე დახმარებას აღმოუჩენდნენ, როგორც პოლონეთსა და ბალტიის რესპუბლიკებს გაეწიათ. კავკასია იქნებოდა დენიკინის უკან მეორე დამცავი ზღუდე, ხოლო თუ კასპიის ზღვაზე კონტროლს ბრიტანეთი მოჰკიდებდა ხელს, ეს მხოლოდ დაეხმარებოდა მოხალისეებს.

შემდეგ ჰენრი უილსონის ჯერი დადგა. მან გაიმეორა ინდოეთის დასაცავად სამი ხაზის არსებობა და კიდევ ერთხელ დააფიქსირა საკუთარი პოზიცია, რომ შესაძლებელი მხოლოდ პალესტინიდან სპარსეთის ყურემდე მიმართულების დაცვა იყო.

ლორდი კერზონი მასაც შეეკამათა – “ამ მომენტისათვის შემოთავაზება ეხება არა ინდოეთის დაცვას, არამედ იმას, შეგვიძლია თუ არა კავკასიელი ხალხის მუდმივ დამოუკიდებლობასა და ბოლშევიკებისათვის წინააღმდეგობის გაწევას დაუჭიროთ მხარი.” საგარეო საქმეთა მინისტრს აუცილებლად მიაჩნდა კასპიის ზღვის დაკავება; ამ მიზნით ბაქო-ბათუმის სარკინიგზო ხაზის ოკუპაცია თუ ვერ მოხერხდებოდა, საყრდენ საზღვაო პორტად ენზელის გამოიყენებდნენ.

შეხვედრაზე კონკრეტული გადაწყვეტილება ვერ იქნა მიღებული, მაგრამ მხარეებმა ერთმანეთის ძალები და პოზიციები მოსინჯეს. უილსონს და ბიტის კავკასიელ დელეგატებთან შეხვედრა დაევაღათ (77).

ბრიტანელ სამხედრო მაღალჩინოსანთა კავკასიელ წარმომადგენლებთან შეხვედრამდე, ქართველ დიპლომატებთან საიდუმლოდ მივიდა ერთი ბრიტანელი დელეგატი და ურჩია უილსონთან შეხვედრაზე მათ ეთქვათ, რომ ბოლშევიკებთან შეტევით ომს ვერ დაიწყებდნენ თუ მოკავშირეები დიდი რაოდენობით ჯარებს არ მიაშველებდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში საქართველო მზად იყო, თავდაუსხმელობის პირობით, საბჭოთა რუსეთთან ხელშეკრულება გაეფორმებინა. საქართველოს დელეგაციას თავის ჩანაწერებში ბრიტანელი დელეგატის ვინაობა არ დაუსახელებია, მაგრამ აშკარაა, რომ მან ლოიდ ჯორჯის შეტყობინება მოიტანა, რომელიც ომის განუახლებლობას, ბოლშევიკებთან მშვიდობის დამყარებასა და განაპირა სახელმწიფოთა დამოუკიდებლობას გულისხმობდა. ქართული მხარის პოზიცია თანხვედრაში

მოდოდა ინკოგნიტო დელეგატის შემოთავაზებასთან და ისიც დათანხმდა ასეთი განცხადების გაკეთებას (31, 162).

ამასობაში, “მათულხლართის პოლიტიკაში” წამყვანმა სახელმწიფომ – პოლონეთმა სამხრეთ კავკასიით დაინტერესება გამოხატა. 16 იანვრის კაბინეტის სხდომაზე ლოდ ჯორჯმა დამსწრეებს პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრის – პატეკის მოსაზრება გააცნო, რომ მას სურდა კავკასიელებთან ეთანამშრომლა. მომდევნო დღეს პოლონელი დიპლომატი ჩხეიძესა და თოფჩიბაშევს შეხვდა. 1920 წლის იანვრისათვის მარშალი პილსუდსკი მოსკოვზე მარშის იდეას განიხილა და პატეკმა ჩხეიძეს ჰკითხა – საქართველო საკუთარი საზღვრების კავკასიონის ქედს ჩრდილოეთით გაფართოებას ხომ არ ფიქრობდა. ქართული დელეგაციის თავმჯდომარემ ცალსახად უარყოფითი პასუხი გასცა (31, 160-161).

აზერბაიჯანელები და სპარსელები ჯერ კიდევ წინა წლის ნოემბრიდან მოყოლებული, მოსაზრებების დონეზე, კონფედერაციის იდეას ამუშავებდნენ. სპარსეთი, 1919 წლის 9 აგვისტოს პროტექტორატის ხელშეკრულების რატიფიკაციის შემთხვევაში, ბრიტანეთისაგან უსაფრთხოების გარანტიას იღებდა. სპარსეთისა და კავკასიის, ორი აზერბაიჯანის გაერთიანებით აღნიშნული ქოლგის ქვეშ ბაქოც აღმოჩნდებოდა; ამასთანავე მოიხსნებოდა აზერბაიჯანისადმი სპარსეთის ტერიტორიული პრეტენზიები. თუმცა, კონფედერაციის იდეას მოწინააღმდეგეები ჰყავდა სპარსეთში, რომლებიც ამბობდნენ, რომ კავშირი ქვეყანას რუსული საფრთხის პირისპირ დატოვებდა, ხოლო აზერბაიჯანში თურქოფილურ პოზიციებს ჰქონდათ საკმაოდ ძლიერი გავლენა. ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო ფრთხილად აკვირდებოდა მიმდინარე მოვლენებს და ცდილობდა პროცესი არ წაეხალისებინა. ორ ქვეყანაზე ერთიანი პროტექტორატის განხორციელება ლორდი კერზონისათვის, რასაკვირველია, სასურველი იყო, მაგრამ 1919 წლის 24 დეკემბრის მემორანდუმში მან დაწერა, რომ რუსეთს აზერბაიჯანის დამოუკიდებლობა უფრო ნაკლებად გააღიზიანებდა და უბიძგებდა პირდაპირი აგრესიისაკენ, ვიდრე მისი ბრიტანეთის ქვემდებარე სახელმწიფოსათვის გადაცემა (290, 693-694-733-734-752-753; 291, 1207-1211-1228-1232-1235-1244-1249-1251-1257-1260; 95; 164; 165; 196; 372, 92-110).

ყველა ეს კომბინაცია ჰენრი უილსონის ინტერესთა მიღმა რჩებოდა. ის, დაკისრებული მოვალეობიდან გამომდინარე, იძულებით გაესაუბრა კავკასიელ დელეგატებს. გენერალური შტაბის უფროსი შეხვედრაზე შემდეგი განწყობით წავიდა: “ყველაზე იმედგამაცრუებელი დღეა. კავკასიაში ვითარების შესახებ საუბარი მქონდა ტიტ უილსონთან და გრიბონთან,⁵⁶ შემდეგ 11 საათზე დავიდა ბიტისთან. შევხვდი საქართველო-აზერბაიჯანის წარმომადგენლებს. პრემიერ-მინისტრმა მითხრა, რომ უნდა ვენდოთ ამ ხალხს, დავიკავოთ ბათუმი-ბაქოს ხაზი, ამ ნდობის გამო 2000 მეზღვაური გავზავნოთ დენიკინის ფლოტის გადმოსაბარებლად და კასპიის სამართავად. ეს სასაცილოა. ამ საცოდავ რესპუბლიკებს ბოლშევიკებთან ბრძოლის განზრახვა არ აქვთ და სანამ ჩვენ ბრძოლის პროცესში ვიქნებით, ისინი გაგვძარცვავენ. სულ ეს არის. მათ სურვილი არ გააჩნიათ, დაგვეხმარონ კასპიის დაკავებასა და კონტროლში. სიმართლე ის არის, რომ ჩვენ უნდა გადავიბაროთ ორივე ქვეყანა, შევიახრადოთ, გამოვკვებოთ, ვმართოთ მათი სარკინიგზო კავშირები და მერე მთელი ბრძოლა ჩვენს თავზე ავიღოთ – შემდეგ ისინი შეგვიყვარებენ.” უილსონმა დღიურში მოინიშნა, რომ კაბინეტის მიერ დენიკინისათვის ზურგის შექცევით იმედგაცრუებული ჩერჩილი გადადგომას ფიქრობდა (293, 1004-1005).

ფელდმარშალი შეხვედრაზე წინასწარ ჩამოყალიბებული უარყოფითი პოზიციით მივიდა. მართალია, საუბარმა საქმიან ატმოსფეროში ჩაიარა, მაგრამ კავკასიელ დელეგატებს არ ჰქონდათ მისი გადარწმუნების შესაძლებლობა, მით უმეტეს, რომ მათ არაფერი იცოდნენ უილსონის მოსაზრებათა შესახებ. ავალიშვილმა ბრიტანელ სამხედროებს ზოგადად გააცნო ქართული ჯარის სტრუქტურა, აღუწერა რუსეთიდან საქართველოში შემოსვლის სამი შესაძლო გზა. მათ შორის შავ ზღვას თავად ბრიტანეთი აკონტროლებდა, ხოლო მეხადირისა და დარიალის ფრონტები ქვეყნის შეიარაღებულ ძალებს ჰქონდათ კარგად გამაგრებული. თუმცა, მას, რასაკვირველია, არ შეეძლო პასუხის გაცემა აღმირალ ბიტის ისეთ კითხვებზე, როგორც მაგალითად იყო – “მეხადირზე ექვს ინჩიანი არტილერია თუ გაქვთ?” წერეთელმა ისევ უარყოფითად ილაპარაკა შეტევით ომზე; ხაზი გაუსვა ბოლშევიკებთან სამშვიდობო მორიგების სურვილს, რაც იმ პირობებში იყო შესაძლებელი თუ საბჭოთა მთავრობას ეცოდინებოდა,

⁵⁶ტიტ უილსონი – ასე ეძახდა უილსონი ვერსალის სამხედრო საბჭოში ბრიტანეთის წარმომადგენელ გენერალ საკვილ-ვესტს. გრიბონი – პოლკოვნიკი გრიბონი, პარიზში ბრიტანეთის სამშვიდობო დელეგაციის წევრი.

რომ მოკავშირეებმა საქართველო კარგად შეაიარაღეს და სურსათით მოამარაგეს. აღინიშნა საქართველოსა და აზერბაიჯანის შეიარაღებული ძალების თავდაცვით ერთობა. ჰენრი უილსონის კითხვას – რას ფიქრობდნენ ამ ალიანსში სომხეთის ჩართვაზე, ორივე მხარემ სრულიად დადებითად უპასუხა, ხოლო ქართველებმა სომხეთის დამოუკიდებლობის აღიარებაც მოითხოვეს. ავალიშვილმა თქვა, რომ საქართველოს აღმოსავლეთი საზღვრების უსაფრთხოების უზრუნველყოფა აზერბაიჯანისათვის დახმარებით განისაზღვრებოდა. თოფჩიბაშევმა დაამატა, რომ თუ კასპიის ზღვაზე ბრიტანული კონტროლი არ დაწესდებოდა, ქვეყანას ბოლშევიკური აგრესიისგან თავის დაცვა გაუჭირდებოდა. უილსონმა და ბიტომ იკითხეს – “ბოლშევიკებმა ხელშეკრულების წინაპირობად ბრიტანეთის კასპიის ზღვიდან გასვლა რომ შემოგთავაზონ, დათანხმდებით?” ორივე დელეგაციამ უარყოფითად უპასუხა, რადგან, მათი მოსაზრებით, საბჭოთა მთავრობა შეთანხმების პირობებს მხოლოდ მაშინ შეასრულებდა თუ მას ეცოდინებოდა, რომ რეგიონი კარგად იყო დაცული. ავალიშვილისა და წერეთლის მტკიცებით, ქვეყნის დაცვისათვის ყველა უნარის მქონე მამაკაცი იბრძოლებდა, მაგრამ მთავრობა იმდენი კაცის მობილიზებას შეძლებდა, რამდენი შეიარაღებაც ექნებოდა. არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო სურსათი – კერძოდ 50 ათასი ტონა პური, რომელიც შეიძლებოდა ქართულ სასარგებლო წიაღისეულზე გაეცვალათ, მაგრამ გადაზიდვების საწარმოებლად საქართველოს სათანადო გემის ტონაჟი არ ჰქონდა. ბრიტანელთა ბოლო კითხვა დენკინის ჯარებისათვის კავკასიაში შესაძლო თავშესაფარის მიცემას ეხებოდა. დელეგაციებმა უპასუხეს, რომ, ესტონეთის მაგალითის მსგავსად, ჯარისკაცებს იარაღს აჰყრიდნენ და დაატყვევებდნენ (31, 162-165).

უილსონმა კავკასიელ დიპლომატთა მონაყოლი თავის დღიურში “სასაცილო არარეალური ამბად” შეაფასა (334, 224).

მეორე დღეს ლორდმა კერზონმა საკუთარი ინიციატივით, კაბინეტისგან მითითების გარეშე, შეხვედრაზე დაიბარა ირაკლი წერეთელი. საგარეო საქმეთა მინისტრმა საუბრის დასაწყისშივე რესპუბლიკების აღიარების ინიცირებით მოიწონა თავი და პასუხიც შესაბამისი მიიღო წერეთელისაგან – “ჩვენ ვიცით, რომ მაშინაც კი, როცა სხვა სახელმწიფო პირები ჯეროვნათ ვერ აფასებდნენ პოლიტიკურ მდგომარეობას კავკასიაში, თქვენ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების მდგომარეობა და მისწრაფება გაითვალისწინეთ და დღეს ჩვენი ცნობის

ინიციატორი გახდით. ჩვენი რესპუბლიკები არ დაივიწყებენ იმ როლს, რომელიც თქვენ მათი დამოუკიდებლობის ცნობის საქმეში ითამაშეთ.”

კერზონმა ძირითადად ბიტისა და უილსონის მსგავსი სამხედრო ხასიათის კითხვები დასვა. ამასთანავე, მან ორჯერ მიანიშნა – “თუ ბრიტანიის სამხედრო ძალები ბაქოში იქნა და მათ უკან დახვევა მოუხდათ, ფლოტი ენზელიში წავა, ჯარები კი რგინიგზით უნდა წამოვიდნენ. არა გგონიათ, რომ ამისათვის საჭირო იქნება რკინიგზის დაკავება ბრიტანიის ძალების მიერ?” წერეთელს ესმოდა ქვეყნის უსაფრთხოებისათვის საკითხის მნიშვნელობა, მაგრამ თუ სხვა გამოსავალს დაინახავდა, შეეცდებოდა “იმპერიალისტური” ჯარების ოკუპაცია თავიდან აეცილებინა და უპასუხა, რომ შეიარაღების მიწოდების შემთხვევაში საქართველო თვითონ მოახერხებდა რკინიგზის დაცვას. მას თავისი სიტყვების ნამდვილად სჯეროდა, მაგრამ უილსონი და ბიტი ბრიტანული ჯარების უსაფრთხოებას ქართულ მხარეს ვერ ანდობდნენ.

ასევე საინტერესო იყო, რომ კერზონი ქართველ დელეგატს ეკითხებოდა – გუშინდელი საუბრის შემდეგ რა შთაბეჭდილება დარჩათ ბრიტანელ სამხედრო მეთაურებსო. წერეთელს ამის პასუხი არ ჰქონდა.

მინისტრის კითხვაზე – რომელი მხრიდან არსებობდა სამხედრო შეჭრის ყველაზე რეალური საფრთხე, მან ივარაუდა, რომ ბოლშევიკები დაღესტნის მხრიდან შევიდოდნენ აზერბაიჯანში, რადგან ზღვიდან შესატევად ენზელიში განლაგებული ბრიტანული ფლოტის შიში ექნებოდათ, ხოლო მეხადირი და დარიალი საქართველოს მიერ კარგად იყო გამაგრებული. წერეთელი მოკავშირეთაგან დაღესტნისა და სომხეთის აღიარებას მოითხოვდა, რათა ეს ხალხებიც ჩართულიყვნენ საერთო სამხედროთვის ბრძოლაში. კერზონმა დაღესტნის შესახებ გაიკვირვა – “როგორ შეიძლება მათი ცნობა, როცა არ ვიცით რა მდგომარეობაში არიან და სად არის მათი მთავრობა?” ქართველ დელეგატს ცნობები არ ჰქონდა, რაზეც მინისტრმა უპასუხა – “აი ხომ ხედავთ! არც ჩვენ გვაქვს.”

წერეთელმა წინა დღით სამხედროებისათვის ნათქვამი გაიმეორა, რომ თუ რესპუბლიკების გაძლიერება, მხარდაჭერა მოხდებოდა, არ გამორიცხავდა ბოლშევიკებს კავკასიონის ქედის გადმოლახვაზე ხელი აეღოთ; დახმარების გარეშე დარჩენილი საქართველო მაინც იბრძოლებდა, მაგრამ ძალიან

გაუჭირდებოდა. მინისტრის კითხვას – რა სახის დახმარებას საჭიროებდა ქვეყანა, მან უპასუხა – “უწინარეს ყოვლისა სურსათი, აგრეთვე იარაღი და სამხედრო მასალა. ეკონომიური მდგომარეობა საქართველოში კრიტიკულია, განსაკუთრებით სურსათის მხრით. აზერბაიჯანი პურის მხრით გაჭირვებული არ არის, რადგან საკუთარი მოსავალი ჰყოფნის, სომხეთს ამერიკა ეხმარება. საჭიროა საქართველოსაც ახლავე გაუწიონ დახმარება, თუ გინდ კავკასიაში მყოფი ამერიკული ორგანიზაციების შემწევობით. თუ ჩვენ სურსათით უზრუნველყოფილი ვიქნებით, შეჭველია მთელი ხალხი მხნეთ დაიცავს თავის დამოუკიდებლობას.” (131, 165-167).

კავკასიის მიმართულებით მისაღებ ღონისძიებათა შესახებ მსჯელობა უმაღლეს საბჭოში 19 იანვრის დილას უნდა გაემართათ. ბრიტანეთის მინისტრთა კაბინეტი საკუთარი პოლიტიკის ჩამოსაყალიბებლად 18 იანვრის საღამოს 5 საათზე შეიკრიბა. აქ მიღებული გადაწყვეტილებები უდიდეს წილად უმაღლესი საბჭოს პოზიციასაც განაპირობებდა.

ჩერჩილმა შეხვედრისათვის ემოციური მემორანდუმი მოამზადა. ის მოკავშირეებს კიდევ ერთხელ საყვედურობდა, რომ მათ არაფერი გააკეთეს ისეთი დიდი ძალების კოორდინირებული მოქმედებისათვის, როგორებიც დენიკინი, კოლჩაკი, ფინელები და პოლონელები იყვნენ; დაუშვეს “მეგობართა” არმიების ბოლშევიკთა მიერ გაჭყლეტა; სამაგიეროდ, ახალი პოლიტიკა “ორ პატარა, სუსტ პაიკს” – საქართველოსა და აზერბაიჯანს ეყრდნობოდა, სადაც ბრიტანელი ჯარისკაცები ყველაზე უფრო სახიფათო მდგომარეობაში ჩავარდებოდნენ. ის ფრონტის ხელახლა შექმნას სთავაზობდა კაბინეტს: დენიკინის გაძლიერებას, ფინელთა პეტროგრადზე მარშს, პოლონეთის მიერ დენიკინისათვის დასავლეთის ფლანგის გათავისუფლებას, იაპონელთა მიერ ციმბირის ფრონტის გახსნას. მაგრამ თუ ყველაფერი ეს გვიანი იყო, განაგრძობდა სამხედრო მინისტრი, მაშინ თავი არ უნდა მოეტყუებინათ და ბრიტანელი ჯარისკაცები, მეზღვაურები არ უნდა გაეგზავნათ იქ, “სადაც მათი უბედური სიცოცხლე მოკავშირეთა ხანგრძლივი ჩამოუყალიბებლობის კიდევ ერთ უაზრო მსხვერპლად იქცევა.” (361, 332-333).

დისკუსია პრემიერ-მინისტრმა გახსნა. მან დამსწრეებს ფრანჩესკო ნიტისთან შეხვედრის დეტალები გააცნო. იტალია სრულ დაუინტერესებლობას იჩენდა არა მარტო რუსეთში ინტერვენციის, არამედ “მაკოულხლართების

პოლიტიკის” მიმართაც და ბოლშევიკებთან მშვიდობის ჩამოგდებას ემხრობოდა. იმავე აზრზე იდგნენ ლიოდ ჯორჯი და ბონარ ლოუც. გამოურკვეველი პოლიტიკით გაბეზრებულმა ჩერჩილმა ირონიულად შენიშნა – “ეს განსაზღვრული პოლიტიკა მაინც არის.”

შემდეგ პრემიერ-მინისტრი უშუალოდ კავკასიის საკითხზე გადავიდა და დაანონსა, რომ მომდევნო დღეს კონფერენციას უნდა ემსჯელა: ა) საქართველოსა და აზერბაიჯანისათვის იარაღის მიწოდებაზე; ბ) ბათუმი-ბაქოს დაკავებაზე; გ) ბრიტანეთის მიერ კასპიის ფლოტის გადაბარებაზე. თუ “ა” და “ბ” წინადადებები იქნებოდა მიღებული, მაშინ გამოსარკვევი რჩებოდა, ამ ამოცანებს ბრიტანელები მარტო შეასრულებდნენ თუ მოკავშირეებთან ერთად, ხოლო “გ” მთლიანად მისი უდიდებულესობის მთავრობის ამოცანა იყო.

ჩერჩილი და უილსონი რიცხობრივ, ასევე ხარისხობრივ უმცირესობაში იყვნენ, მაგრამ მეორე მხარის უპირატესობის გადასაფარად მათ დებატების მსვლელობისას აქტიურობა გააორმაგეს.

სამხედრო მინისტრმა მიანიშნა, რომ რესპუბლიკათა დახმარება მხოლოდ ბრიტანეთის საზრუნავად იქცეოდა, რადგან იტალიის როლი თავიდანვე გამოირიცხებოდა, ხოლო საფრანგეთი პოლონეთით იყო დაინტერესებული და არა კავკასიით.

შემდეგ პრემიერ-მინისტრმა სიტყვა გენერალური შტაბის უფროსს გადასცა. უილსონმა საკუთარი პოზიციის გასაყვანად ყველა მეთოდს მიმართა, მან მოხსენებისას არაერთი ტყუილი თქვა. მიუხედავად იმისა, რომ შეხვედრაზე კავკასიელ დელეგატებს საკუთარი ჯარების რაოდენობისა და შეიარაღების სახეობების შესახებ არ უსაუბრიათ, ფელდმარშალი კაბინეტს მოახსენებდა – “აზერბაიჯანელებს 10000 ჯარისკაცისა და 50 ქვემეხის მოწოდება შეუძლიათ, ქართველებს 30000 ჯარისკაცისა და 150 ქვემეხის. მათი შაშხანები ძველი მოდელისა და დაბალი ხარისხისა... ორივე ქვეყნისათვის ჯარების მთლიანი რაოდენობა მოცემული მომენტისთვის არის 40000, ხოლო ქვემეხების რაოდენობა 200.” ბრიტანულ მხარეს საუბარი არ ჩაუწერია, მაგრამ ქართული დელეგაციის მიერ გაკეთებულ სტენოგრაფიულ ჩანაწერში ეს ციფრები არსად არის ნახსენები და არც შეიძლება იმ ხალხს, რომლებიც ორი დღით ადრე უიულ კამბონს არწმუნებდნენ, რომ 150000 ჯარისკაცის გამოყვანა შეეძლოთ, ეთქვათ,

რომ მათ მხოლოდ 40000 მეომარი ჰყავდათ. თუმცა, უილსონის განზრახვა აშკარა იყო – მან ბაქო-ბათუმის სარკინიგზო ხაზის სიგრძე 400 მილიდან 500 მილამდე დააგრძელა, შემდეგ 40000 ჯარისკაცზე გადათვალა და კაბინეტს განუცხადა, რომ ორი ქვეყნის შეიარაღებული ძალების რაოდენობა საკმარისი არ იყო ხაზის დასაკავებლად. მან ასევე იცრუა, როდესაც განაცხადა, რომ საქართველოს გარდა აზერბაიჯანიც გამოკვებას საჭიროებდა, რადგან შეხვედრაზე თოფნიბაშევმა ცალსახად დააფიქსირა – მის ქვეყანას საკმარისი სურსათის მარაგი ჰქონდა.

უილსონი წინა დღეს ერთობ გააკვირვა პრემიერ-მინისტრის “მითითებამ რუსების მიმართ კავკასიელთა წარმატებული წინააღმდეგობის თაობაზე.” მან თვალი გადაავლო 1212 წლიდან მოყოლებულ საქართველოს ისტორიას და დაასკვნა – “ვერ ვიპოვე ვერც ერთი შემთხვევა, სადაც ისინი მტერს არ დანებდნენ. ბოლოს, რაც მათ ყველაზე მსდალად გააკეთეს, ორი წლის წინ თურქებს გადასცეს ბათუმი. მათი წარსული მუდმივ სიმხდალეს უკავშირდება. ისინი დანებდნენ არაბებს, თურქებს, სპარსელებს, რუსებს და თითოეული ამ ქვეყნის დახმარებას ეძიებდნენ დანარჩენების წინააღმდეგ.” რიჩარდ ულმანმა უილსონის სიტყვების შესახებ შენიშნა “მისი ცინიზმი უფრო დიდი იყო, ვიდრე ისტორიული სიმართლე” (361, 335). კერზონიც ვერაფრით დაეთანხმებოდა მის ისტორიულ წიაღსვლებს და კავკასიის ანტირუსული, ჰეროიკული წარსულის ფაქტები მოიყვანა. ბოლოს ისტორიული დისკუსია, უსავნო საუბრის გამო, პრემიერ-მინისტრმა შეაჩერა. ფელდმარშალი არ ყოფილა შეცდომაში შეყვანილი. მან ათვლა 1212 წლიდან იმიტომ დაიწყო, რომ სწორედ ამ წელს დასრულდა საქართველოს ისტორიის “ოქროს ხანა”, მაგრამ მის მიერ ქართველების შესახებ მოყვანილი დახასიათება მსოფლიოს არც ერთ წიგნში არ ეწერა და რაც არ ეწერა, იმას ვერ წაიკითხავდა. ისტორიული გადმოსახედიდან, იმპერიის რაინდის ღირსებას არაფერი შემატებია იმით, რომ მან იცრუა და საკუთარი მიზნების მისაღწევად ისედაც დაჩაგრული ერის ღირსება შელახა. თავის დღიურში ის თვითკმაყოფილი წერდა – “ისტორიული სკეჩი წარმოვადგინე ქართველებისა და აზერბაიჯანელების სამხედრო ღირებულებაზე”, კავკასიაში ორი დივიზიის გაგზავნაზე, შემდეგ ბათუმიდან ჯარების გაყვანის აუცილებლობაზე და “ამან თამაშგარეთ დატოვა მთელი სქემა.” ის იქვე აგრძელებდა – “მე გამოვთქვი მოსაზრება, რომ არ მესმოდა რატომ არ უნდა შეუტოს ლენინმა მოსაზღვრე სახელმწიფოებს. პარიზმა ხომ ისინი რუსეთისგან მოიპარა. ლენინს შეუძლია და

მე ვფიქრობ უნდა მოითხოვოს კიდევ მათი რუსეთში დაბრუნება და შესაბამისად ხელახლა უნდა დაიკავოს ისინი. ეს კითხვები უპასუხოდ დარჩა.” (334, 224; 293, 1006).

კერზონმაც გააცნო დამსწრეებს მისი წერეთელთან საუბრის შინაარსი, თუმცა მისი თხრობა აბსოლუტურად ზუსტი იყო. უილსონი არ ცხრებოდა, ის განაგრძობდა, რომ კავკასიის დაცვას ადგილზე მინიმუმ ორი დივიზია და დამატებით კონსტანტინოპოლში მესამე სარეზერვო დივიზიის ყოფნა დასჭირდებოდა; კავკასიელთა მხრიდან არანაირი დახმარების იმედი არ უნდა ჰქონოდათ, რადგან მათ უბრძოლველად გადასცეს ბათუმი თურქეთს. მან მარშალი ფოშის სიტყვები მოიხმო, რომ საფრანგეთი ერთ ბატალიონსაც არ გაგზავნიდა რეგიონში. ორი დივიზია მხოლოდ ბრიტანელთა პასუხისმგებლობის საკითხი იყო, მაგრამ გენერალური შტაბის უფროსი ამტკიცებდა, რომ ამ ძალებს ვერსად იშოვიდა. ჩერჩილმა ვითარება უფრო დაამძიმა – გარდა რუსული საფრთხისა, ისინი ზურგიდან თურქების შეტევასაც მიიღებდნენ.

პრემიერ-მინისტრი ადმირალ ბიტის მიუბრუნდა და ჰკითხა – 1200 მეზღვაურის კასპიის ზღვაში გაგზავნას ბაქო-ბათუმის დაუკავებლობის შემთხვევაშიც თუ შეძლებდა. პასუხი ცალსახათ უარყოფითი იყო. ლოიდ ჯორჯმა დაასკვნა, რომ ბაქო-ბათუმის, ისევე როგორც კასპიის დაკავება გამომირიცხა. დარჩა მხოლოდ რესპუბლიკების იარაღის მიწოდებით დახმარების განხილვა.

ჩერჩილმა ისევ კასპიის კონტროლის თემა შემოატრიალა. ითვალისწინებდა რა სპარსეთისა და ავღანეთის მიმართულებით გარდაუვალ საშიშროებას, ის კაბინეტს, ფრანგებთან ერთად და მარშალ ფოშის ხელმძღვანელობით, ერთიანი სამხედრო მმართველობის კომიტეტის შექმნას სთავაზობდა. ამ ორგანოს ფინეთიდან მოყოლებული, ბრიტანულ აღმოსავლეთამდე რკალში უნდა მოექცია ბოლშევიზმი და შემდეგ მასთან ღირსეული ზავი დაედო. წინააღმდეგ შემთხვევაში საბჭოები სათითაოდ გაანადგურებდნენ მათ მოწინააღმდეგეებს და ბოლოს მოკავშირეებს სრული დანებება მოუწევდათ. თუმცა, სამხედრო მინისტრი დამსწრეებს აუწყებდა, რომ ფოში მხოლოდ დასავლეთის ფრონტით იყო დაინტერესებული – ფინეთიდან ოდესამდე ხაზის გამაგრებით, ხოლო ბრიტანული აღმოსავლეთი იმპერიის საზრუნავ საგანს წარმოადგენდა. ჩერჩილი ვარაუდობდა, რომ შეიძლებოდა

შეთანხმებისათვის მიეღწიათ, რომლის მიხედვით დასავლეთ ფრონტზე ბრიტანელები ფრანგებს დაეხმარებოდნენ, ხოლო აღმოსავლეთში პირიქით.

უოლტერ ლონგმა შენიშნა, რომ კასპიის ზღვა აღნიშნულ შემთხვევაშიც ბრიტანეთის პასუხისმგებლობად რჩებოდა და მისი დაკავება სასწრაფო მოქმედებას მოითხოვდა, რათა ბოლშევიკებს მათთვის არ დაესწროთ. ის რამდენიმე კვირის განმავლობაში ზედმიწევნით სწავლობდა შექმნილ ვითარებას და ასკვნიდა – “ჩვენი აღმოსავლური იმპერიის საფრთხე ისეთი დიდია, როგორც არასდროს.” აღმირაღმა ბიტიმ დაამატა, რომ ბრიტანეთის ფლოტის 75% უკვე ქვანახშირის ნაცვლად ნავთობს მოიხმარდა, თუმცა მსოფლიო ნავთობის მარაგის მხოლოდ 4% იყო იმპერიის ხელში, რაც სპარსულ და ბაქოს ნავთობზე კონტროლის აუცილებლობას წარმოშობდა. ის კაბინეტს აფრთხილებდა, რომ თუ უახლოესი სამი დღის ვადაში გადაწყვეტილებას არ მიიღებდნენ, კასპიას ველარ დაიცავდნენ.

პრემიერ-მინისტრმა უილსონს ჰკითხა – რამდენად სავარაუდო იყო ბოლშევიკთა ბაქოზე შეტევა თუ ხმელეთს ადგილობრივი ჯარები, ხოლო ზღვას ბრიტანული ფლოტი დაიკავებდა. ფელდმარშალმა კვლავ არასწორი ინფორმაცია მიაწოდა კაბინეტს, თითქოს “ძალიან ბევრი ადგილია, სადაც კავკასიონის ქედის გადალახვა შეიძლება” და თუ მხოლოდ აზერბაიჯანელები გაუწევდნენ მათ წინააღმდეგობას, ბოლშევიკებს ბაქოს დაკავება არ გაუჭირდებოდათ. საჭირო იყო ბრიტანული დივიზიები, რომლებიც მას არ ჰყავდა. ჩერჩილმა საერთოდ დენიკინის მიერ ბაქო-ბათუმის დაკავება შესთავაზა კოლეგებს, მაგრამ იმ დღეს აღნიშნული წინადადება არ განუხილავთ.

ლოიდ ჯორჯმა ივარაუდა, რომ ბოლშევიკებს რეგიონის დასაკავებლად დრო დასჭირდებოდათ, ამასობაში კასპიის ზღვიდან ბრიტანელ მეზღვაურთა ევაკუაციაც მოესწრებოდა. გენერალური შტაბის უფროსი იმეორებდა, რომ მეზღვაურები ქართველებისა და აზერბაიჯანელების იმედად ვერ გაიგზავნებოდნენ. პრემიერ-მინისტრი ისედაც არ იყო ბრიტანული ჯარების გამოყენების მომხრე და უილსონისგან მიღებული პასუხების შემდეგ გამორიცხა აქტიური სამხედრო ჩარევა.

ასეთ დასკვნას მონტაგუ და კერზონი შეეწინააღმდეგნენ. ისინი აღმოსავლური იმპერიის დანგრევას უფრთხოდნენ. თუმცა, მათ კვლავ

ფელდმარშალი შეეკამათა, რომ ინდოეთის დასაცავად სულ არ იყო კასპიის ზღვის დაკავება საჭირო და უფრო ეფექტური დაცვისათვის სხვა ხაზი არსებობდა. ლოიდ ჯორჯი ფიქრობდა, რომ ბოლშევიკები ბაქოს იქით არ წავიდოდნენ, რადგან “ბარბაროსები არაფრის გულისათვის მარშირებას არ ახორციელებენ”, მათ აინტერესებდათ ნავთობი, რომელსაც მიიღებდნენ და არ შევიდოდნენ სომხეთში – “საცოდავ ქვეყანაში”, სადაც არაფერი იყო. პრემიერ-მინისტრმა უფრო ვრცლად ისაუბრა ჯარების გაგზავნის წინააღმდეგ და აღმირალ ბიტის ჰკითხა – კასპიის ოკუპაციისას, ბაქოს ნაცვლად და შესაძლო სამომავლო ევაკუაციისათვის, რამდენად გამოდგებოდა ენზელის პორტი. თუ დადებით პასუხს მიიღებდა, ის მზადყოფნას აცხადებდა რესპუბლიკებისათვის შეიარაღება და სურსათი გაეგზავნა. “ბოლშევიკებს უკვე იმდენი ბრიტანული მასალა ჩაუვარდათ ხელში, რომ ცოტა კიდევ უფრო მეტი დიდ სხვაობას არ მოგვცემს”, ასკვნიდა იგი. აღმირალს იგივე შეკითხვა კერზონმაც დაუსვა. ბიტიმ უარყოფითად უპასუხა. პრემიერ-მინისტრმა, ჩერჩილთან დისკუსიაში, ერთიანი ფრონტის იდეაც უარყო, თავისი არგუმენტები ბოლშევიკებთან მშვიდობის დამყარებისაკენ წაიყვანა და დასძინა – “რუსეთის შიდა მდგომარეობას თავს ვანებებთ, მაგრამ თუ ბოლშევიკები ესტონეთს, პოლონეთს ან კავკასიას შეუტევენ, ისინი წინააღმდეგობას წააწყდებიან.” ის ყველა მოსაზღვრე სახელმწიფოს ბოლშევიკებთან ზავის დადებას სთავაზობდა და ფიქრობდა, რომ თუ ლენინს თავს დაანებებდნენ, ის არავის შეეხებოდა.

ჩერჩილს ლენინის კეთილი ნების არ სჯეროდა, მას არაფრის გაკეთება აბსურდად მიაჩნდა, ხოლო კავკასიის ქვეყნების გამოყენებით ბოლშევიკთა შეჩერების შესაძლებლობას, პატარა სამაგრის მეშვეობით მიწისძვრის შეკავების მცდელობას ადარებდა. დისკუსიის ბოლოს მან და უილსონმა ბათუმიდან ჯარების გაყვანა მოითხოვეს, რაზეც კერზონი “შეეხვეწა”, რომ მოცემული მომენტისათვის ეს არ გაეკეთებინათ (78).

შეხვედრა უშედეგოდ, კონკრეტული გადაწყვეტილების გარეშე დასრულდა და ბრიტანეთის მინისტრთა კაბინეტის შიდა დებატები მეორე დღიდან უმაღლესი საბჭოს სხდომაზე გადავიდა. კონფერენციის დასრულებამდე ორი დღით ადრე, ერთწლიანი ლოდინის შემდეგ, სამხრეთ კავკასია მოკავშირე სახელმწიფოთა მეთაურების ფართო მსჯელობის საგნად იქცა. სხდომას ესწრებოდნენ: ბრიტანეთიდან ლოიდ ჯორჯი, კერზონი, ჩერჩილი, უილსონი, ბიტი; იტალიიდან

პრემიერ-მინისტრი ნიტი, მარკიზი დელა ტორეტო, გენერალი კავალიერო; საფრანგეთიდან კლემანსო, მარშალი ფოში, ბერტელო, კამბონი; შეერთებული შტატებისა და იაპონიის ელჩები და ა.შ.

შეხვედრა მარშალი ფოშის მიერ 12 იანვარს დაწერილი დასკვნის გაცნობით გაიხსნა. შემდეგ სიტყვა ლოიდ ჯორჯმა აიღო და, საკუთარ მოსაზრებათა სასარგებლოდ, მოხერხებულად წაიყვანა მსჯელობა. მან დაიმოწმა ფოში, რომ რეგიონში დივიზიების გაგზავნის გარეშე დამცავი ბარიერი ვერ მოეწყობოდა, ასევე დაიმოწმა ადმირალი ბიტი, რომ აღნიშნული სამხედრო მხარდაჭერის გარეშე კასპიის ზღვის დაკავება ვერ მოხერხდებოდა და განაგრძო – “საზრიანი ხომ არ იქნებოდა აზერბაიჯანის, დაღესტნისა და საქართველოს კავკასიური რესპუბლიკების იარაღით, საბრძოლო მასალებით მომარაგება? და თუ ასეა, ეს დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს?”

ფოში არ ფლობდა ინფორმაციას, რამდენად შეეძლოთ რესპუბლიკებს დახმარების ეფექტური გამოყენება, მისი აზრით, საკითხი ადგილზე შესწავლას საჭიროებდა. კავკასია უკვე სენსიტიურ თემად იქცა ჩერჩილისა და უილსონისათვის – მათ პირველებმა დააფიქსირეს თავიანთი უარყოფითი პოზიცია.

კერზონი შეეგუა იმ აზრს, რომ რეგიონში მოკავშირეთა ძალები არ გაიგზავნებოდნენ, მაგრამ მან სხდომაზე მოიწვია რესპუბლიკათა დელეგაციები, რათა არსებულ საჭიროებათა შესახებ ინფორმაცია მათგან მიეღო კონფერენციას. საგარეო საქმეთა მინისტრმა ხაზი გაუსვა, რომ დახმარების შემდეგ ისინი იბრძოლებდნენ და საფრთხე შეიძლებოდა აეცილებინათ, წინააღმდეგ შემთხვევაში კავკასიის დაცემა გარდაუვალი იყო.

საქართველოს მხრიდან სხდომაზე შევიდნენ ჩხეიძე, წერეთელი, ავალიშვილი, ხოლო აზერბაიჯანის მხრიდან თოფჩიბაშევი და მაგერამოვი. დელეგაციებს კლემანსომ მიმართა – “ჩვენ საკმაოდ მოშურნენი ვართ რაიმე ხელშესახები მოვიმოქმედოთ, მაგრამ გვინდა ვიცოდეთ, რა მდგომარეობაში არიან თქვენი ქვეყნები და რამდენად ეფექტურად იქნება დახმარება ბოლშევიკთა წინააღმდეგ გამოყენებული. თუ, რაც უფრო სავარაუდოა, როგორც დენიკინის შემთხვევაში მოხდა, ბოლშევიკები საკმაოდ ძლიერი აღმოჩნდებიან იმისათვის,

რომ ჩვენს მიერ გამოგზავნილი მასალა წაგართვან და საქმე კიდევ უფრო გაგვირთულონ?”

ფრანგული ენა ხუთივე კავკასიელ დელეგატს ესმოდა, მაგრამ ხელმძღვანელები – ჩხეიძე და თოფჩიბაშევი საკმარისად კარგად ვერ საუბრობდნენ, ამიტომ, ორივე დელეგაციის სახელით, პასუხებს ირაკლი წერეთელი იძლეოდა. მან განაცხადა, რომ ბოლშევიკთა შეტევა მოსალოდნელი იყო, მაგრამ თუ ანტანტისგან დახმარებას მიიღებდნენ, საბჭოთა მთავრობას აგრესიული აქტი შეიძლებოდა გადაეფიქრებინა. ნებისმიერ შემთხვევაში, რესპუბლიკები მოკავშირეთა დახმარებას საჭიროებდნენ. კონფერენციის თავმჯდომარემ ჯარების გაგზავნის საჭიროების შესახებ იკითხა, მაგრამ მოგვიანებით წერეთელი ქართულ დელეგაციას ეუბნებოდა, რომ კითხვის დასმისას კლემანსოს ინტონაცია უარყოფით პასუხს მოითხოვდა. ქართველი დელეგატი შესაბამისადაც მოიქცა – მისი თქმით, მართალია, ჯარების გაგზავნა ადგილობრივ მთავრობებს ცხოვრებას გაუადვილებდა, მაგრამ ზღვებიდან დაცვის უზრუნველყოფა, სურსათითა და შეიარაღებით მომარაგება შეუფასებელი სახის დახმარება იქნებოდა, რაც ნებისმიერ შემოტევასთან გამკლავების იმედს იძლეოდა. თუმცა, რესპუბლიკებს ომის სურვილი არ ამოძრავებდათ და თუ ბოლშევიკები მათ დამოუკიდებლობას დათანხმდებოდნენ, ისინი მზად იყვნენ საბჭოთა მთავრობასთან ხელშეკრულება გაეფორმებინათ. იქვე წერეთელი სომხეთის დამოუკიდებლობის აღიარებას მოითხოვდა, რათა საერთო ბრძოლაში ეს ქვეყანაც ჩართულიყო.

ლოიდ ჯორჯმა აზერბაიჯანელებსა და ქართველებს ჰკითხა, რამდენი კაცის გამოყვანა შეეძლოთ ბრძოლის ველზე. მაგერამოვმა ციფრი კვლავინდებურად ასი ათასით განსაზღვრა. მიმდინარე მომენტისათვის ქვეყანას 50 ათასიანი ჯარი ჰყავდა, მაგრამ მხოლოდ 10-12 ათასისათვის გააჩნდათ შეიარაღება.⁵⁷ წერეთელმა აცნობა, რომ ქვეყანას მუდმივ საბრძოლო მზადყოფნაში 16 საარმიო ბატალიონი, თითოეული 600 კაცით

⁵⁷შესაძლოა ამას გულისხმობდა ჰენრი უილსონი წინა დღის კაბინეტის შეკრებაზე, რომ თითქოს აზერბაიჯანელებს 10000 კაცზე მეტი არ ჰყავდათ, მაგრამ მან ნებისმიერ შემთხვევაში დაამახინჯა ფაქტი, რადგან აზერბაიჯანელებმა თქვეს არა 10000 კაცზე მეტი არ გვეყავსო, არამედ მხოლოდ 10000 კაცისათვის საკმარისი შეიარაღება გვაქვსო. სწორედ დანარჩენი ჯარის აღსაჭურვად სჭირდებოდათ მოკავშირეთა დახმარება, მაგრამ საკითხის ასეთი ფორმულირება უილსონისთვის მომგებიანი არ იყო და შესაბამისად ის თქვა, რაც უფრო მეტად აძლევდა ხელს.

დაკომპლექტებული, და 15 ათასიანი გვარდია ჰყავდა, მაგრამ ორი კვირის განმავლობაში საქართველოს 50 ათასი მეგრძოლის, ხოლო ხანგრძლივი საომარი ოპერაციების შემთხვევაში ყველა უნარიანი მამაკაცის მობილიზება შეეძლო.

შემდეგ თოფჩიბაშევი ჩაერთო საუბარში და აზერბაიჯანის თავდაცვის შესახებ გაიმართა დიალოგი. დელეგაციის თავმჯდომარის თქმით, ქვეყანას დაღესტნისა და კასპიის ზღვის მიმართულებებიდან ემუქრებოდა საფრთხე. მას იმედი ჰქონდა, რომ ზღვიდან ენზელიში ბაზირებული ბრიტანული ფლოტი დაეხმარებოდათ, ხოლო დაღესტანს მოკავშირეები აღიარებდნენ და ის იქცეოდა ანტიბოლშევიკურ, ბუფერულ სახელმწიფოდ. აზერბაიჯანელებმა არაერთხელ წამოსწიეს კასპიის ზღვის დაცვის თემა, მაგრამ კონკრეტული პასუხი არ მიუღიათ და, ბრიტანეთის მინისტრთა კაბინეტის შიგნით შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, ბუნებრივია, ვერც მიიღებდნენ.

ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა კავკასიელ დელეგატებს განზრახ დაუსვა დენიკინის შესახებ კითხვები, რომლებმაც, უილსონის შთაბეჭდილებით – “ლოიდ ჯორჯის სასარგებლოდ და უინსტონის გასაბრაზებლად დასძინეს, რომ მათ ემინოდათ და ეჯავრებოდათ ცარისტი დენიკინი.” (334, 224). წერეთლის აზრით, რუს გენერალს არა ბოლშევიკთა დამარცხება, არამედ ძველი რეჟიმის აღდგენა სურდა და საბჭოთა მთავრობაზე გამარჯვებისთანავე ის დამოუკიდებელი ერების რეპრესირებას მიჰყოფდა ხელს. მანვე აღნიშნა, რომ დე ფაქტო აღიარებამ საბრძოლო ენთუზიაზმი ასწია ქვეყანაში და სამომავლოდ დე იურე აღიარების იმედი გამოთქვა.

კავკასიელმა დელეგატებმა შეხვედრა დატოვეს. ჩერჩილმა, მოკავშირეთა ყურადღების კავკასიიდან დასავლეთის ფრონტზე გადასატანად, ფოშის გამოყენება სცადა. მან საფრანგეთისთვის სენსიტიურ თემებზე – პოლონეთის შეიარაღებასა და საბჭოთა შეტევისაგან დაცვაზე დაიწყო საუბარი, მაგრამ იმედი არ გაუმართლდა. მარშალმა “მცირე ანტანტის” იდეა წამოაყენა – “მე თუ მკითხავთ პოლონეთს, რუმინეთს, ლიტვას, ლატვიას, ესტონეთსა და ფინეთს შორის “ანტანტა” უნდა შეიქმნას. ანტანტა პირველ ეტაპზე პოლიტიკური ხასიათის იქნება და ბოლშევიზმის პროგრესის შეჩერებას შეეცდება. მას სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ლიგა შეუერთდება და შესაბამისად ბოლშევიზმი ალყაში მოექცევა.” ჩერჩილის შემდეგ ლოიდ ჯორჯი, უფრო წარმატებულად,

შეეცადა საკუთარი პოლიტიკის გასატანად ფოშის პასუხების გამოყენებას. მან იცოდა, რომ სამოქალაქო ომში ჩართულ ბოლშევიკებს ჯერ ვერ მოეხერხებინათ მოსაზღვრე რესპუბლიკებზე შეტევა და ფოშს დაუსვა შემდეგი შეკითხვები: “ხომ არ იცით ბოლშევიკები ამზადებენ რომელიმე ამ ქვეყანაზე შეტევას?”, “შეგიძლიათ ერთი ამ ქვეყანათაგანი მაინც დაგვისახელოთ, რომელზე შეტევაც შესაძლოა განიზრახონ?” ბუნებრივია, მარშალს პასუხები არ ჰქონდა, რაც კარგი არგუმენტი იყო საბჭოთა მთავრობასთან მშვიდობიანი მორიგების სასარგებლოდ.

სამხედრო და საზღვაო წარმომადგენლებმა სხდომა დატოვეს. მსჯელობა პოლიტიკოსთა შორის გაგრძელდა. კერზონმა სომხეთის რესპუბლიკის აღიარების ინიცირება მოახდინა, მხოლოდ იმ პირობით, რომ ეს მის ტერიტორიულ საზღვრებს არ განსაზღვრავდა. მოკავშირეთა ყველა დელეგაციამ უპირობო თანხმობა განაცხადა. ჩერჩილმა აღნიშნა, რომ პოლიტიკური გადაწყვეტილება სომხეთის უსაფრთხოებას ვერ უზრუნველყოფდა, რომელსაც სამხრეთით თურქებისგან, ხოლო ჩრდილოეთით ბოლშევიკთა მხრიდან ემუქრებოდა საფრთხე. როგორც ეს მანამდე არაერთხელ მომხდარა, სომხეთის დაცვის თაობაზე საუბრისას მოკავშირეებმა ამერიკისაკენ გაიშვირეს ხელი, რომ კონგრესი ქვეყნისათვის 25 მილიონი დოლარის გამოყოფას აპირებდა. შეერთებული შტატების ელჩმა უოლასმა ფაქტი დაადასტურა, მაგრამ არავის უკითხავს, რამდენად შესაძლებელი იყო მხოლოდ ფულით, ეფექტური სამხედრო მხარდაჭერის გარეშე უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

ლოიდ ჯორჯი, მისთვის უფრო საინტერესო, საქართველოსა და აზერბაიჯანის სამხედრო დახმარების საკითხზე გადავიდა. სამივე პრემიერ-მინისტრი შეთანხმდნენ, რომ რეგიონში ჯარების გაგზავნა არ შეეძლოთ. ლოიდ ჯორჯმა შეიარაღების გაგზავნის იდეას დაუჭირა მხარი. მას, უკვე მერამდენედ, ჩერჩილი შეეკამათა, რომ კასპიის ზღვა დაუცველი იყო, ბოლშევიკები ბაქოს აიღებდნენ და ხელში ჩაიგდებდნენ რესპუბლიკებისათვის გაგზავნილ მარავს. ცბიერმა უელსელმა ირიბად შეახსენა სამხედრო მინისტრს მისი პოლიტიკის გამო ბოლშევიკთა ხელში გადასული რესურსების რაოდენობა – “წითლებმა უკვე იმდენი შაშხანა ჩაიგდეს ხელში, რომ დამატებით 25000 ან 50000 ერთეულს დიდი მნიშვნელობა არ აქვს: მათ დენიკინს 600 საარტილერიო დანადგარი და რამდენიმე არაჩვეულებრივი ტანკი წაართვეს. ბევრი მათგანი ბრიტანული წარმოების იყო. ასეთ პირობებში, კავკასიის ქვეყნების გარკვეული რაოდენობის

შაშხანებითა და საარტილერიო დანადგარებით მომარაგება დიდ საფრთხეს არ წარმოადგენს.” ლოიდ ჯორჯი არ ფიქრობდა, რომ ბოლშევიკებს ბაქოზე შორს წასვლის სურვილი ჰქონდათ და რესპუბლიკების ბრძოლისუნარიანობის ეიმედებოდა, რასაც საბჭოთა მთავრობისათვის მშვიდობის დამყარებისაკენ უნდა ებიძგებინა.

სამხედრო მინისტრი ისევ მოხალისეთა არმიებზე ფიქრობდა. მან იმედი გამოთქვა რესპუბლიკებისადმი დახმარება დენიკინის “ბოლო პაკეტიდან” არ იქნებოდა გადამისამართებული. ის პრემიერ-მინისტრმა დაამშვიდა, რომ “ბოლო პაკეტი” ბრიტანული პროექტი იყო, ხოლო ის კავკასიისათვის მოკავშირეთა დახმარებაზე საუბრობდა.

კლემანსო და ლოიდ ჯორჯი შეთანხმდნენ, რომ სამხედრო ექსპერტებს დაეკითხებოდნენ რა, სახის დახმარება უნდა გაეგზავნათ. ფრანჩესკო ნიტომ იტალიის პარლამენტის მიერ 1919 წლის დეკემბერში მიღებული კანონი მოიშველია, რომელიც რუსეთში ინტერვენციასა და დე ფაქტო მთავრობებისათვის იარაღის მიწოდებას კრძალავდა. ბრიტანელმა კოლეგამ მას შეახსენა, რომ საქმე ეხებოდა არა რუსეთის საქმეებში ჩარევას, არამედ საქართველოსა და აზერბაიჯანის დე ფაქტო მთავრობებისათვის იარაღის მიწოდებას. კერზონმა იტალიელთა მიერ აზერბაიჯანისა და დაღესტნისათვის შეიარაღების გადაცემის ფაქტები მოიხმო. ნიტომ არ უარყო და განაცხადა, რომ ოფიციალურად ვერაფერს იზამდა, მაგრამ არაოფიციალურად მიაწვდიდა ადჭურვილობას თუ ტრანსპორტირებას ბრიტანეთი ან საფრანგეთი უზრუნველყოფდა. “დიდი მნიშვნელობა არ აქვს იარაღი ოფიციალურად გაიგზავნება თუ არაოფიციალურად, მთავარია ის კავკასიის სახელმწიფოებმა მიიღონ...”, უპასუხა ლოიდ ჯორჯმა. საკითხი შეთანხმდა.

კონფერენციამ ოთხი გადაწყვეტილება მიიღო: 1. საზღვრების წინასწარი განსაზღვრის გარეშე სომხეთის აღიარება; 2. რეგიონში მოკავშირეთა ძალები არ გაიგზავნებოდა; 3. სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებისათვის იარაღის, ადჭურვილობისა და, თუ შესაძლებელი იქნებოდა, სურსათის გაგზავნა; 4. მარშალ ფოშა და ფელდმარშალ უილსონს უნდა განეხილათ, რა სახის მარაგის გაგზავნა იყო საჭირო (307, 890-902; 289, 915-925; 117; 31, 167-171).

მოკავშირეთა კოორდინაცია იმ დონეზე მოხერხდა, რომ მათ ფორმალურად მიიღეს კავკასიის დახმარების გადაწყვეტილება, მაგრამ ბრიტანეთის მინისტრთა კაბინეტის შიგნით კვლავ უთანხმოება სუფევდა. იმავე საღამოს გამართულ კაბინეტის სხდომაზე ჩერჩილმა მოითხოვა დენიკინისათვის დახმარება გაეგრძელებინათ მანამდე, სანამ ის იბრძოდა, რადგან ეს “ღირსების საკითხი” იყო. პრემიერ-მინისტრმა შეახსენა მას, რომ ბრიტანეთს ლიმიტირებული რესურსები გააჩნდა და ახალ ფისკალურ წელიწადში მსგავსი წინადადების პარლამენტში შეტანა ვერ მოხერხდებოდა. ლოიდ ჯორჯი და კერზონი ამტკიცებდნენ, რომ არ არსებობდა ბოლშევიკთა იმპერიალიზმის მაგალითები, მათ არ უჩვენებიათ მეზობლებზე შეტევის განზრახვა. ჩერჩილმა აღნიშნა, რომ მეზობლებისთვის ბოლშევიკებს არ ეცალათ, რადგან კოლჩაკსა და დენიკინს ებრძოდნენ. მან წინასწარმეტყველური პროგნოზი გააკეთა: “ისინი ამ სახელმწიფოებს ერთდროულად არ შეუტევენ, არამედ ცალ-ცალკე აიღებენ; ისინი არც იმ შეცდომას დაუშვებენ, რომ მათი დაპყრობის განზრახვა გამოაცხადონ, არამედ იტყვიან, რომ თეთრგვარდიელთა ტირანიისგან მათ გათავისუფლებას ან რაიმე ამდაგვარს აპირებენ. ახლა ახალ პოლიტიკას ვაწარმოებთ, თუმცა უნდა მოვახდინოთ ამ მთავრობების ორგანიზება. ვინმე დიდმა მოკავშირე გენერალმა უნდა დასახოს გეგმა, რომლის მიხედვით თუ ბოლშევიკები პოლონეთს შეუტევენ, ისინი ფინეთისაგან და სხვა ადგილებიდან მიიღებენ დარტყმას. ასე უნდა დავანახოთ ბოლშევიკებს, რომ ისინი ვერ შეძლებენ ჯერ ერთი სახელმწიფოს გაწკეპვლას და მერე მეორესას. ასეთი ორგანიზება აბსოლუტურად აუცილებელია, რადგან ჩვენი ახალი პოლიტიკის შედეგად აუცილებლად წარმოიშვება დიდი ნაციონალისტური რუსეთი, რომელიც ჩვენი ცივილიზაციისა და საგარეო პოლიტიკისადმი მტრულად იქნება განწყობილი...”

1920 წლის იანვარში ბოლშევიკთა იმიჯი ევროპაში არ ყოფილა ისეთი, როგორც მაგალითად 20 წლის შემდეგ შეიქმნა. მსოფლიოს ჯერ კიდევ სათანადოდ ვერ დაენახა ბოლშევიკების აგრესიული საგარეო პოლიტიკა და შიდა რეპრესიული რეჟიმი. ლოიდ ჯორჯი სინამდვილეში ფიქრობდა, რომ მოსაზღვრე სახელმწიფოების საბჭოთა რუსეთთან მშვიდობიანი თანაცხოვრება შესაძლებელი იყო. თუმცა, ის ფორმალურად მაინც დაპირდა ჩერჩილს, რომ, საფრანგეთის ახალი მინისტრთა კაბინეტის ჩამოყალიბების შემდეგ, მოსაზღვრე სახელმწიფოთა ერთიან სამხედრო ხელმძღვანელობაზე საუბარი დაიწყებოდა.

სამხედრო მინისტრი კატეგორიული იყო მოთხოვნაში, რომ დენიკინის პაკეტიდან არაფერი მიეცათ კავკასიელებისთვის. ის კაბინეტის წევრებს არწმუნებდა – “გენერალ ჰოლმანს მიეცა ინსტრუქცია, მასალის გადაცემა არ გაგრძელდეს თუ არ იქნება იმის გარანტია, რომ მას შესაბამისად გამოიყენებენ” და “კავკასიის სახელმწიფოებისათვის საკმაოდ კარგი მარაგის პაკეტი გამოიყოფა.” თუმცა, იგივე ჩერხილი იანვრის დასაწყისში შენიშნავდა – “ისე ჩანს დენიკინის ამბავი უფრო მალე დამთავრდება, ვიდრე მისთვის განკუთვნილი მარაგი” და იმავე თვეში ბრიტანელებს ტაგანროგში მოუწიათ ოცზე მეტი აეროპლანის განადგურება, ვაგონებში ჩაწყობილი აღჭურვილობის, ტყვია წამლის, ტანკების, არტილერიის რკინიგზის სადგურზე ბოლშევიკებისათვის დატოვება (350, 161-171). ეს მაშინ, როდესაც ბრიტანეთის სამხედრო სამინისტრო ამტკიცებდა, რომ სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკებისათვის დაპირებული დახმარების მისაცემად ვერაფერს პოულობდა.

კაბინეტის სხდომის მეორე ნაწილი ისევ კასპიის ზღვაზე კონტროლის აღდგენას დაეთმო. ჩერხილიც აღიარებდა – “კასპიის დაკარგვა ბრიტანეთის დიდი პროვინციის დაკარგვის ექვივალენტურია”. ის ერთი მხრივ კავკასიელებზე, ხოლო მეორე მხრივ დენიკინზე ზეწოლის მოხდენას სთავაზობდა კოლეგებს, რათა მოხალისეებს 10000 ჯარისკაცი გაეგზავნათ ბაქოს დასაცავად, რაც ბრიტანულ ფლოტს ზღვაში უსაფრთხო მოძრაობის საშუალებას მისცემდა. აღმირალი ბიტი პასუხობდა, რომ მოლაპარაკებებისთვის დრო არ იყო, გადაწყვეტილება ერთ ან ორ დღეში უნდა მიეღოთ. კერზონი უმატებდა, რომ რესპუბლიკათა ზიზღი დენიკინისადმი უფრო დიდი იყო, ვიდრე ბოლშევიკებისადმი და გაჭირდებოდა მათი დაყოლიება.

საგარეო საქმეთა მინისტრი კასპიის დაკარგვის თანმდევ შედეგებს აღწერდა: სომხეთის, საქართველოს, აზერბაიჯანის, ენზელის, ჩრდილო სპარსეთისა და ხორასნის ბოლშევიკთა მიერ ოკუპაცია; სპარსეთის შაჰის ხელისუფლების დაცემა, ავღანეთზე საბჭოთა მთავრობის მიერ გავლენის მოპოვება და ამ ჯაჭვს ბოლოს ინდოეთის მთები მოჰყვებოდა. კასპიის ზღვის დაკავება რისკი იყო, მაგრამ მსოფლიოში ყველაზე დიდ რისკს მისი დაკარგვა წარმოადგენდა. “რამე უნდა ვიღონოთ, სადმე უნდა მოვძებნოთ ჯარისკაცები და მეზღვაურები”, შფოთავდა კერზონი.

პრემიერ-მინისტრი ისევ ადმირალ ბიტის მიუბრუნდა. მან გაიხსენა კავკასიელ დელეგატებთან უმაღლესი საბჭოს შეხვედრა, სადაც აზერბაიჯანელებმა ახსენეს, რომ ბაქოს 7000 კაციანი გარნიზონი ამაგრებდა, ხოლო ქართველებმა კარგი შთაბეჭდილება დატოვეს. ამ უკანასკნელთა ქვეყანაში, ისევე როგორც რუსეთის ყოფილ იმპერიაში, სამხედრო სამსახურში სავალდებულო გაწვევა მოქმედებდა. ლოიდ ჯორჯს აინტერესებდა, რამდენად შეიძლებოდა კასპიის ზღვაზე კონტროლის ხელში აღება თუ ბაქო-ბათუმის რკინიგზას ადგილობრივი ჯარები დაიკავებდნენ.

ადმირალმა დამსწრეებს დენიკინის ფლოტის ძალიან დაბალი ხარისხი აღუწერა. მისი თქმით, ფლოტის შემადგენლობაში ძირითადად შეიარაღებული სავაჭრო გემები იყვნენ, ხოლო თავად შეიარაღებაც დაბალი დონის,, ბოლშევიკურ ფლოტზე გაცილებით უარესი იყო. მას შეეძლო ხელახლა გადაიარაღება, მაგრამ ბაქო ყველა შემთხვევაში ხმელეთიდან დაცვას საჭიროებდა. მან ქართველებთან და აზერბაიჯანელებთან შეხვედრა გაიხსენა, თუმცა გენერალური შტაბის უფროსისაგან კარდინალურად განსხვავებული შეფასება გააკეთა – “ვთვლი, რომ ქართველები, გამომდინარე იქიდან რაც მათზე მსმენია, სამხედრო მოდგმის, გულახდილი და სანდო ხალხია. ეს გარკვეულწილად დამეხმარება. თუმცა, აზერბაიჯანელებზე უფრო დაბალი წარმოდგენის ვარ და სწორედ მათი დასაკავებელია ბაქო. ადმირალიტეტის სადაზვერვო დეპარტამენტმა მითხრა, რომ ბაქოში 80000 რუსი ცხოვრობს, რომლებიც ნებისმიერ მომენტში შეიძლება მიემხრონ ბოლშევიკებს.” ბიტი თვლიდა, რომ შეეძლო გაერისკა ბაქო-ბათუმის ხაზის დასავლეთ ნაწილში მთლიანად ქართველებს დაყრდნობოდა, მაგრამ ბაქოსათვის მას ერთი დივიზია მაინც დასჭირდებოდა.

ყველა კასპიის ზღვის დაკავებაზე თანხმდებოდა, მაგრამ ყველას ყურადღება ფელდმარშალი უილსონისაკენ იყო მიპყრობილი, რადგან მას უნდა დაედასტურებინა ქართველების მიერ რკინიგზის ნაწილის დაკავების შესაძლებლობა და მეორე ნაწილზე ერთი დივიზია გაეგზავნა. თუმცა, ის სარგებლობდა თავისი პოზიციით და დაუინებით იმეორებდა, რომ სათანადო ჯარებს ვერსად მოძებნიდა, რადგან ისინი საჭირონი იყვნენ ეგვიპტისათვის, ინდოეთისთვის, ბრიტანეთისთვის... მან კიდევ ერთხელ შეიყვანა კაბინეტი შეცდომაში, როდესაც თქვა, რომ 1919 წელს ბაქო-ბათუმის ხაზის

ოკუპაციისათვის ბრიტანეთს 50000 ჯარისკაცი დასჭირდა, მაშინ, როდესაც ამ ციფრს ოცი ათასისათვის არასოდეს გადაუჭარბებია. უილსონი იმეორებდა – “მე ღრმა უნდობლობა მაქვს არა მარტო აზერბაიჯანელების, არამედ ქართველებისადმი.” პრემიერ-მინისტრის კითხვის პასუხად თუ რით იყო განპირობებული მისი ასეთი დამოკიდებულება, გენერალური შტაბის უფროსმა ამჯერად ისტორიულ წიაღსვლებს თავი აარიდა და გაიხსენა, რომ ქართველებმა ორი წლით ადრე ბათუმი თურქებს ჩააბარეს. ლოიდ ჯორჯი არ დაეთანხმა, რადგან მაშინ ისინი რუსეთის ნაწილები იყვნენ, ხოლო მის მერე დიდი ეროვნული მოძრაობა დაიწყო ქვეყანაში.

ასე იყო თუ ისე, სერ ჰენრი უილსონის წინააღმდეგობა ვერავინ გატეხა და პრემიერ-მინისტრმა დაასკვნა, რომ კასპიის ზღვის ოკუპაცია შეუძლებელი იყო (79).

გენერალური შტაბის უფროსმა ისიც მოახერხა, რომ უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება არ შეესრულებინა. 20 იანვარს უილსონმა კერზონს მისწერა – მას კავკასიის საჭიროებათა შესასწავლად ადგილზე ოფიცერი უნდა გაეგზავნა (183). იმავე დღეს ლორდმა დერბიმ პარიზიდან კონსტანტინოპოლში გენერალ მილნს აცნობა, რომ მას ადგილზე უნდა გაეგზავნა ოფიცერი, რომელიც რესპუბლიკათა დახმარების დეტალებს გამოარკვევდა (252).

ამრიგად, “ცხვრების” – სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკათა დახმარების საქმე “მგლების” – უილსონისა და მილნის ხელში აღმოჩნდა. ინსტიტუციურად სხვაგვარად ვერც მოხდებოდა. სულ რამდენიმე კვირაში პოლკოვნიკი გედევანიშვილი ჩავიდა ლონდონში, რომელმაც ქართული და აზერბაიჯანული არმიებისათვის საჭირო მასალებზე ინფორმაცია ჩაიტანა, მაგრამ გენერალურმა შტაბმა იქამდე გაწედა პროცესი, სანამ 1920 წლის აპრილში ბაქოს ბოლშევიკური ოკუპაცია არ მოხდა და შემდეგ საკითხი დავიწყებას არ მიეცა. ფრანჩესკო ნიტი ისედაც არ გამოხატავდა რეგიონისადმი სამხედრო დახმარების სურვილს, ხოლო ბრიტანელთა პასიურობის პირობებში იტალიასაც არ გადაუდგამს შესაბამისი ნაბიჯები. საფრანგეთში მთავრობა შეიცვალა და პროცესი შეფერხდა. პარიზიდან წამოსული ისედაც უმნიშვნელო დახმარების მხოლოდ ნაწილმა მოადწია 1920 წლის ზაფხულში საქართველოში. ბრიტანეთის მიერ სომხეთისათვის მიწოდებული შეიარაღების 27%, სატრანზიტო ფასად, საქართველომ დაიტოვა, მაგრამ ეს იყო ცალკე პროექტი, რომელსაც კავშირი არ

ჰქონია უმაღლესი საბჭოს 19 იანვრის გადაწყვეტილებასთან. შესაბამისად, დაპირებული დახმარება რესპუბლიკებს არასოდეს მიუღიათ (253; 201; 278; 36, 118-120; 51, 65).

ადმირალი ბიტი მართალი აღმოჩნდა, 1920 წლის აპრილში აზერბაიჯანში ბოლშევიკური გადატრიალება მოხდა და ქვეყანა რუსეთიდან ჩამოსულმა მე-11 წითელმა არმიამ დაიკავა. იმავე წლის ნოემბერში სომხეთი თურქულ და საბჭოურ რეალში მოექცა, ერევანში საბჭოთა რესპუბლიკა გამოცხადდა. 1921 წლის 26 იანვარს მოკავშირეთა მიერ დე იურედ აღიარებული საქართველო მტრული საბჭოთა ჯარების მიერ იქნა გარშემორტყმული. იმავე წლის თებერვალში საბჭოთა ჯარები მის ტერიტორიაზე შეიჭრნენ როგორც აზერბაიჯანის, ისე სომხეთის მხრიდან. ქვეყანამ თითქმის ერთი თვის მანძილზე გასწია წინააღმდეგობა, მაგრამ უიარაღოდ და სურსათის გარეშე დარჩენილმა მასობრივი მობილიზაცია ვერ მოახერხა, როგორც შეიარაღების, ისე ჯარების რაოდენობის თვალსაზრისით ბოლშევიკურ სამხედრო მანქანასთან უმცირეს მდგომარეობაში აღმოჩნდა. უორდროპის ადგილზე დანიშნული, პოლკოვნიკი სტოქსი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს აუწყებდა, რომ ქართველები იბრძოდნენ, მდგომარეობა უიმედო არ იყო და სასწრაფოდ გაგზავნილ დახმარებას შეიძლებოდა ქვეყანა გადაერჩინა. საბჭოთა მთავრობის მიერ აზერბაიჯანისა და სომხეთის დაკავებით, კერზონისეული ბუფერული კავკასიის პროექტი ჩავარდა. სამინისტრომ, რომელიც ანგლო-საბჭოური შეთანხმების ბოლო დეტალებზე მუშაობდა, სტოქსს 25 თებერვალს, თბილისის ოკუპაციის დღეს უპასუხა: “ჩვენი სიმპათიები ქართველი ხალხისკენაა, რომელთაც სამაგალითო ქცევა აჩვენეს, მაგრამ ახლა ისინი საკუთარი პოლიტიკისა და რესურსების იმედად უნდა იყვნენ.” (292, 668). ქვეყნის შავი ზღვიდან დაცვის მიზნით, ფრანგულმა ფლოტმა მეხადირს მომდგარ ბოლშევიკებს ცეცხლი გაუხსნა, მაგრამ ეს საქართველოს უსაფრთხოებას ვერ უზრუნველყოფდა, რადგან, 1920 წლის იანვრის მდგომარეობისაგან განსხვავებით, რუსული ჯარები თავისუფლად მარშირებდნენ აზერბაიჯანიდან და სომხეთიდან. ფრანგებმა ომის დასასრულს, 1921 წლის მარტში 15 ათასი შაშხანა და 250 ტყვიამფრქვევი გამოუგზავნეს რესპუბლიკას, თუმცა მთელი ეს შეიარაღება გამოუსადეგარი იყო და შეკეთებას საჭიროებდა, ხოლო ამისი დრო აღარავის ჰქონდა, რადგან უკვე თითქმის მთელი ქვეყანა ბოლშევიკებს ჰქონდათ ოკუპირებული (8, 12; 202; 279; 276; 277). რთულია იმის თქმა, დახმარების

დროულად მიწოდების შემთხვევაში მოხერხდებოდა თუ არა ბაქოს ბოლშევიკური გადატრიალების თავიდან აცილება, ასევე რთულად წარმოსადგენია, რომ, თუნდაც დახმარების შემთხვევაში, საქართველო საბჭოთა ძალების დამარცხებას შეძლებდა, მაგრამ ფაქტია – ქვეყანამ დაპირებული დახმარება ვერ მიიღო, სურვილის მიუხედავად, ვერ შესძლო მასობრივი მობილიზაცია და სათანადო წინააღმდეგობის გაწევა.

მომდევნო წლებმა აჩვენა, რომ, რეალ პოლიტიკისა და ბრიტანეთის ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით, ლორდი კერზონი ცდებოდა. მის საპირისპიროდ მართალი აღმოჩნდა ჰენრი უილსონი – ბრიტანული აღმოსავლეთი ბოლშევიკური საფრთხის წინაშე არ დამდგარა. ასევე მართალი იყო უინსტონ ჩერჩილიც – საბჭოთა ოკუპაცია განხორციელდა არა კავკასიიდან აღმოსავლეთის, არამედ დასავლეთის მიმართულებით; მტრულად განწყობილმა რუსეთმა მოახდინა ბალტიის სახელმწიფოებისა და ფინეთის ნაწილის ოკუპაცია, კონტროლი დაამყარა აღმოსავლეთ ევროპაზე, სასიცოცხლო საფრთხე შეუქმნა დასავლურ სამყაროს. ლოიდ ჯორჯის გათვლა, რომ საბჭოთა მთავრობასთან ურთიერთობების დამყარება გამარჯვებულ სახელმწიფოებს მშვიდობას, ხოლო ბრიტანეთს ეკონომიკურ სარგებელს მოუტანდა, მოკლევადიან გათვლაში გამართლდა. პრემიერ-მინისტრი რუსეთის ყოფილი იმპერიის ტერიტორიაზე წარმოქმნილ ახალ რესპუბლიკათა დამოუკიდებლობასაც ემხრობოდა, მაგრამ, როდესაც კავკასიის მიმართულებით ბოლშევიკთა აგრესია განხორციელდა, მან პრიორიტეტად სავაჭრო ხელშეკრულების გაფორმება მიიჩნია და საბჭოთა მთავრობის იმპერიალისტური მისწრაფებებისათვის ხელი არ შეუშლია. ასეთმა მიდგომამ ბოლშევიკებს რუსეთის იმპერიის აღდგენისა და, გერმანიასთან ერთად, აგრესიული პოლიტიკის წარმოების საშუალება მისცა.

მსოფლიო პოლიტიკაში გადაწყვეტილების მიმღებთა სქემების მიღმა რჩებოდნენ მცირე ეროვნებათა მისწრაფებები. იდეალისტური მიდგომა, რომელიც “ერთა ლიგის საყოველთაო პრინციპების” გათვალისწინებით გამარჯვებულთაგან ჩაგრულების, პატარა ქვეყნების დაცვას მოითხოვდა, დიდ სახელმწიფოებს არ აღმოაჩნდათ. უფრო მეტიც, რიგ შემთხვევებში იდეალიზმის ადგილს ეგოიზმი და ცინიზმი იკავებდა.

დასკვნები

პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე საქართველოს საკითხმა ტრანსფორმაციის რამდენიმე ფაზა გაიარა. მსოფლიო ომში გამარჯვებით შეგულიანებულ მოკავშირეთა დიდ ნაწილს გაუჩნდა წარმოდგენა, რომ საკუთარი ხედვების ცხოვრებაში გატარება ახლა ადვილად შეეძლოთ. ამ მოსაზრებით გამარჯვებულ სახელმწიფოთა არაერთი დაპირება იქნა გაცემული სომხეთისადმი და თუნდაც საქართველოსადმი, როდესაც ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო ქართულ დელეგაციას წერდა “მისი უდიდებულესობის მთავრობა სიმპათიით უყურებს საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადებას და მზადაა დაიცვას მისი აღიარება საერთაშორისო კონფერენციაზე” ან საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის – სტეფან პიშონის განცხადება “საქართველოს საკითხი ნათელია და მის დადებითად გადაჭრაში ეჭვი არ მეპარება.” თუმცა, მოკავშირეები მალევე გამოფხიზლდნენ და დაინახეს, რომ სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკებს არა მარტო იმედის მომცემი სიტყვები, არამედ რუსეთისგან, თურქეთისგან დაცვა ესაჭიროებოდათ. შესაბამისად, მათი მხარდამჭერი ტონი შერბილდა ან საერთოდ გაქრა. რუსეთი და თურქეთი უფრო დიდი, პრიორიტეტული თემები იყო, ვიდრე ცალკე აღებული კავკასია. ამ უკანასკნელის პრობლემის მოგვარება პირველ ორ საკითხს უნდა დაქვემდებარებოდა.

თუმცა, კლემანსოს, ლოდ ჯორჯის, ორლანდოსა და პრეზიდენტი უილსონისათვის არც რუსეთი, არც თურქეთი არ ყოფილა ნომერ პირველი პრიორიტეტი. ომში გამარჯვების ენთუზიაზმი ომით დაღლილობის გრძნობამ შეცვალა, სახელმწიფოთა მეთაურებს მშვიდობის დამყარება სურდათ.

საფრანგეთის მთავარი საზრუნავი გერმანიის დასუსტება იყო, რაც სამომავლო გერმანულ-საბჭოური ალიანსის აღკვეთასაც ითვალისწინებდა, მაგრამ 1919 წელს, რუსეთის სამოქალაქო ომისა და “სანიტარული კორდონის” პოლიტიკის პირობებში, საფრთხე იმდენად სერიოზული არ ჩანდა, რომ საფრანგეთს ხელშესახები სამხედრო ზომები მიეღო. ქვეყანას ომის დამთავრება უნდოდა. შესაბამისად, ფრანგული ჯარები 1919 წლის გაზაფხულზე გამოვიდნენ სამხრეთ რუსეთიდან.

ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრსაც იგივე სურვილი ჰქონდა. მართალია, მან ათასობით ბრიტანელი ჯარისკაცის რუსეთში ყოფნა და მოხალისეთა მოძრაობისათვის დაახლოებით 100 მილიონი ფუნტის ღირებულების დახმარების მიწოდება დაუშვა, მაგრამ ეს უფრო ნაკლებად წარმოადგენდა “რუსი მეგობრებისადმი” გაწვდილ ხელს, არამედ იყო ძლიერი პოზიციების მქონე სამხედრო მინისტრის – ჩერჩილისადმი დათმობა. ასეთი დათმობა 1919 წელს გამეფებული ანტიბოლშევიკური კონსენსუსის ნაწილსაც შეადგენდა. თუმცა, ლოდ ჯორჯი ყოველთვის ეძებდა მომენტს, რომ ბრიტანეთის აქტიური რუსული პოლიტიკისათვის წერტილი დაესვა და ეს მომენტი მან 1919 წლის ნოემბერში, დენიკინის მოძრაობის ჩავარდნისას იპოვა.

შეერთებული შტატების აქტიურ პარიზულ პოლიტიკაზე ზოგადად ძნელია საუბარი. მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტი უილსონი საფრანგეთში ფართო მშვიდობისმყოფელი იდეებით – 14 პუნქტითა და ერთა ლიგის შექმნის ინიციატივით ჩავიდა, მას თან არ ჩაუტანია კონგრესის ნდობა. ნებისმიერი საპასუხისმგებლო გადაწყვეტილება მთავრობისაგან საკანონმდებლო ორგანოს თანხმობას მოითხოვდა, მის გარეშე პრეზიდენტი სათათბირო ხმის მქონე დამსწრის როლში გამოდიოდა კონფერენციაზე. რუსეთის საკითხზე მსჯელობისას შეერთებული შტატების დელეგაციას ხელში ინიციატივა არასდროს აუღია. ისიც, სხვა მოკავშირეთა მსგავსად, რუსეთიდან საკუთარი ჯარების გაყვანას ეშურებოდა.

დამარცხებული ოსმალეთისადმი გამარჯვებულ სახელმწიფოთა პოლიტიკა უფრო აქტიური იყო, მაგრამ ისინი აქაც სერიოზული ძალისხმევის გარეშე გეგმავდნენ საკუთარი ამოცანების შესრულებას და მათი გეგმები არ ითვალისწინებდა სცენაზე მუსტაფა ქემალის გამოჩენას. ამ უკანასკნელის გაძლიერების პროპორციულად, კლებულობდა მოკავშირეთა ანტიბოლშევიკური რიტორიკა და შესაბამისად სომხური სახელმწიფოსადმი დახმარების განზრახვა გადაწყვეტილების მიმღებ პოლიტიკოსთა შორის სულ უფრო ნაკლებ მხარდაჭერას პოულობდა.

რუსეთში აქტიური სამხედრო პოლიტიკის მომხრედ ბოლომდე რჩებოდა უინსტონ ჩერჩილი, მაგრამ მისი ხედვები კავკასიის რესპუბლიკათა დამოუკიდებლობაზე კეთილისმყოფელ გავლენას არ ახდენდა. ის სწორად შენიშნავდა, რომ მოკავშირეებმა ბევრი არაფერი გააკეთეს ანტიბოლშევიკურ

ძალთა კოორდინაციისათვის, მაგრამ თვითონაც არაფერი გაუკეთებია, მაგალითად, საქართველოსა და დენიკინის შეთანხმებული პოლიტიკის სასარგებლოდ. უფრო მეტიც, მისი უდიდებულესობის ოფიცრების უაპელაციო რუსოფილური შეხედულებები, ხშირ შემთხვევაში, ახალი რესპუბლიკების გაუცხოებას იწვევდა, როგორც ბრიტანეთთან, ასევე თავად დენიკინთან მიმართებაში. არა მარტო ბრიტანეთის, არამედ სხვა მოკავშირე ქვეყნების შემთხვევაშიც, სამხედროთა პოლიტიკაში ჩარევამ უარყოფითი გავლენა იქონია გამარჯვებულ სახელმწიფოთა რესპუბლიკებთან ურთიერთობის საქმეში. სამხრეთ კავკასიის ბრიტანულმა ოკუპაციამ არსებული პრობლემები ვერ მოხსნა, მაგრამ სტატუს-ქვო შეინარჩუნა, რაც 1919 წლის ტურბულენტურ ვითარებაში მნიშვნელოვანი პოზიტივი იყო.

კავკასიაში აქტიური პოლიტიკის გატარების დაუღალავ მომხრედ ლორდი კერზონი გამოდიოდა, რომელიც რეგიონის ბრიტანულ აღმოსავლურ პოლიტიკაში ჩართვას ესწრაფვოდა. მან ორჯერ – 1918 წლის ნოემბერ-დეკემბერში აღმოსავლეთის კომიტეტის სხდომებზე და შემდეგ 1920 წლის იანვარში სამშვიდობო კონფერენციაზე – საქართველოსათვის კეთილისმყოფელი გადაწყვეტილებების გატანა მოახერხა, მაგრამ ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრს იმდენი ძალა და გავლენა აღარ ეყო, რომ მიღებული გადაწყვეტილებების ცხოვრებაში გატარება უზრუნველყო.

კერზონიც რუსულ ფაქტორს, სამოქალაქო ომში კოლჩაკ-დენიკინის შესაძლო გამარჯვებას უფრთხოდა. შედეგის მოლოდინში, მას 1919 წლის დეკემბრამდე კავკასიის დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად ხელშესახები ნაბიჯები არ გადაუდგამს. რუსეთის მოსალოდნელი აღდგენა აფიქრებდა იტალიასაც, რომლის ახალმა მთავრობამ საქართველოს მანდატზე უარი თქვა.

ანტიბოლშევიკური ძალების კოორდინირებული მოქმედების უზრუნველყოფა დიდ ძალისხმევას მოითხოვდა, მაგრამ კონფერენციის დასაწყისში მოკავშირეები უფრო მარტივად მიუდგნენ საკითხს და პრინციპოზე ყველა რუსული ფრაქციის შეხვედრის ორგანიზება სცადეს. ამ შეხვედრას რუსეთში მშვიდობა უნდა დაემყარებინა და მოკავშირეთათვის “რუსული თავის ტკივილი” მოეშორებინა, მაგრამ ესოდენ კომპლექსური საკითხისათვის იოლი გამოსავლის პოვნა არარეალისტურ სურვილად დარჩა – ყოფილი იმპერიის

ნანგრევებზე წარმოშობილი ერთეულები იმდენად განსხვავებულ პოზიციებზე იდგნენ, რომ შეხვედრაც ვერ მოხერხდა.

პრინციპოს პროექტის ჩავარდნის შემდეგ, 1919 წლის თებერვლიდან ნოემბრამდე, დადგა მოლოდინის დრო, როდესაც გამარჯვებული სახელმწიფოები რუსეთის სამოქალაქო ომის შედეგს უცდიდნენ. ამ პერიოდში ისინი თეთრ არმიებს დახმარებას პირდებოდნენ, რომელსაც ნაწილობრივ ასრულებდნენ, მაგრამ მიღებული ზომები ბოლშევიკთა დასამარცხებლად საკმარისი არ იყო. მეორე მხრივ, მოკავშირეები საბჭოთა რუსეთს და ქემალისტურ მოძრაობას ქედმაღლურად უყურებდნენ, უარს აცხადებდნენ მათთან მოლაპარაკებაზე. ასეთი დამოკიდებულება ორ განსხვავებულ იდეოლოგიურ ბანაკს – ბოლშევიკებსა და ქემალისტებს კავშირისაკენ უბიძგებდა. მოკავშირეთა აღნიშნული პოლიტიკა თუ პოლიტიკის უქონლობა სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკებს ჩრდილოეთიდან საბჭოთა რუსეთის, ხოლო სამხრეთიდან თურქეთის კოორდინირებულ დარტყმას უშადავდა. გამარჯვებულებმა მათთან სამშვიდობო დიალოგზე უარი თქვეს მაშინ, როდესაც ლენინსა და მუსტაფა ქემალს უჭირდათ, მშვიდობა სჭირდებოდათ, მზად იქნებოდნენ მოკავშირეთათვის უფრო ხელსაყრელი ზავი მიეღოთ, მაგრამ მოგვიანებით იძულებული გახდნენ მოლაპარაკებათა მაგიდასთან დამსხდარიყვნენ, როდესაც რუსეთმა და თურქეთმა თავიანთ ძირითად მიზნებს სამხედრო ძალით მიაღწიეს. ჩერჩილი სწორად შენიშნავდა, რომ “არც ომი არც ზავი” ყველაზე წამგებიანი პოლიტიკა იყო.

მოკავშირეთა ჩამოუყალიბებლობამ კავკასიის რესპუბლიკებს შორისაც გამოიწვია უთანხმოება. კონფერენციის პირველ ნახევარში სომხეთს შეექმნა ილუზია, რომ მას განსაკუთრებულ პირობებს შესთავაზებდნენ, ყოველგვარი საფრთხისაგან დაიცავდნენ, სასურველ საზღვრებს დაუდგენდნენ, დენიკინი მის დამოუკიდებლობას დაუშვებდა და ა.შ. შესაბამისად, სომხეთი მოწყდა არა მარტო საქართველოსა და აზერბაიჯანთან, არამედ რუსეთის ყოფილი იმპერიისგან ჩამოცილებულ ყველა სხვა რესპუბლიკებთან კავშირსაც. თუმცა, 1919 წლის ბოლოსათვის სომხურმა დელეგაციამ გაანალიზა, რომ გარკვეულწილად შეცდომაში იყო შეყვანილი, ქართული მხარეც დათმობებზე წავიდა ტრანზიტთან დაკავშირებულ საკითხებთან მიმართებაში. შედეგად, კონფერენციის დასასრულისკენ რეგიონის სახელმწიფოებს შორის სულ უფრო მეტი კოლაბორაციის ნიშნები შეიმჩნეოდა. თუმცა, ტერიტორიული გაუმიჯნაობა

დაუსრულებელი კონფლიქტის აღბათობას ქმნიდა. თითოეული რესპუბლიკა საკუთარ ისტორიულ, ადმინისტრაციულ, ეთნოგრაფიულ არგუმენტებს იყენებდა ტერიტორიული პრეტენზიების დასაკმაყოფილებლად.

კავკასიაში ვერ შეიქმნა რეგიონალური თანამშრომლობის ისეთი მოდელი, როგორც მაგალითად ბალტიის რეგიონში მოხერხდა, სადაც ყველა სახელმწიფოს ეძლეოდა ზღვაზე გასასვლელი; თითოეულ მათგანს თანაბრად ესაზღვრებოდა და ემუქრებოდა რუსეთი; სატრანსპორტო თვალსაზრისით არც ერთ ცალკე აღებულ რესპუბლიკას არ შეეძლო დანარჩენების იზოლაციაში მოქცევა; ისინი არ ყოფილან ერთმანეთის ბუნებრივ რესურსებზე დამოკიდებულნი და ა.შ. კავკასიაში საპირისპირო ვითარების მთავარი მიზეზი გეოგრაფია იყო: თურქეთი უფრო მეტად ემუქრებოდა სომხეთს, ვიდრე საქართველოსა და აზერბაიჯანს. შესაბამისად, ეს უკანასკნელნი თავიანთი უპირატესი მდგომარეობის გამოყენებას ცდილობდნენ; ან პირიქით, როდესაც რუსეთი, როგორც უშუალო მეზობელი უფრო მეტ საფრთხეს უქმნიდა საქართველოსა და აზერბაიჯანს, სომხეთი ცდილობდა თავისი უპირატესი მდგომარეობით ესარგებლა; მხოლოდ საქართველოს ჰქონდა ზღვაზე გასასვლელი, ზღვა კი იმდროინდელ მსოფლიოში შორეული კომუნიკაციის მთავარი საშუალება იყო. შესაბამისად, საქართველოს მორიგი უპირატესი ბერკეტი უჩნდებოდა მეზობლებთან მიმართებაში, რაც მას ცდუნებისაკენ უბიძგებდა; აზერბაიჯანი გახლდათ ერთადერთი, რომელსაც ნავთობი ჰქონდა, რაც მეზობლებთან შედარებით მას პრივილეგირებულ მდგომარეობაში აყენებდა და ა.შ. რესპუბლიკებმა ვერ გათვალეს, რომ მცირე უპირატესობათა ერთმანეთის საწინააღმდეგოდ გამოყენება ყველაზე დიდ ღირებულებას – მათ დამოუკიდებლობას აზარალებდა. როგორც შედეგი, ეთნოსები, რომლებიც საუკუნეთა მანძილზე მშვიდობიანათ თანაცხოვრობდნენ ერთ ქალაქში, ერთ რეგიონსა და სოფელში, ერთმანეთთან დაპირისპირებულები აღმოჩნდნენ.

ეს პრობლემები დროებით გვერდზე გადაიდო, როდესაც კავკასიას ბოლშევიკური საფრთხე დაემუქრა და მოკავშირეთა პასიურობის ფონზე მჭიდრო რეგიონალური თანამშრომლობა რესპუბლიკათა ეგზისტენციალურ საჭიროებად იქცა. საქართველოს ბუნებრივი მოკავშირე 1918 წლის ბოლოდან მოყოლებული აზერბაიჯანი იყო, რადგან ამ ქვეყნებზე გადიოდა ბაქო-ბათუმის სარგინიგზო და ნავთობსადენის ხაზები, რაც ორივე მათგანს ერთიან პროექტად აქცევდა. ეს

პროექტი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და ადმირალიტეტის განსაკუთრებულ დაინტერესებას იწვევდა. ადმირალ ბიტისა და უოლტერ ლონგს ბაქოს ნავთობის საბადოებზე ბრიტანული კონტროლის დაწესება სურდათ, ხოლო ლორდ კერზონს სამხრეთ კავკასიაში აღმოსავლეთის რუსეთისგან დამცავი ბუფერის შექმნა უნდოდა. აღნიშნული პროექტი ერთი მხრივ სასარგებლო იყო საქართველოსათვის, ხოლო მეორე მხრივ მას მოწყველად მდგომარეობაში აყენებდა, რადგან ქვეყნის საერთაშორისო მდგომარეობა და უსაფრთხოება არა მარტო მასზე, არამედ აზერბაიჯანზეხდებოდა დამოკიდებული. ამ უკანასკნელს მოკავშირეთა რიგი წარმომადგენლები უფრო ნაკლები სიმპათიით უყურებდნენ; ამასთანავე, საქართველოსთან შედარებით, აზერბაიჯანის მთავრობა უფრო არამონოლითური და სუსტი იყო, რაც შიდა ბოლშევიზმთან ბრძოლის არაეფექტურობაში გამოვლინდა; ბაქოში ათასობით რუსი ცხოვრობდა, რამაც 1920 წლის აპრილში ბოლშევიკური, ფაქტობრივად უსისხლო გადატრიალება განაპირობა. აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის დაცემამ საქართველო დაუცველი დატოვა როგორც სამხედრო, ასევე საერთაშორისო პოლიტიკური თვალსაზრისითაც – ბაქო-ბათუმის პროექტი ჩავარდა და ქვეყანამ მოკავშირეთა, განსაკუთრებით ბრიტანეთის ყურადღება დაკარგა.

მისი უდიდებულესობის მთავრობის პოლიტიკის დეაქტივაციას სხვა ფაქტორებმაც შეუწყო ხელი: ბალფური თვლიდა, რომ კავკასიაში არსებული ბუნებრივი რესურსები ბრიტანეთს მსოფლიოს სხვა, უფრო უსაფრთხო ადგილებშიც შეეძლო ეპოვნა; ჰენრი უილსონი აღმოსავლეთში ახალ პასუხისმგებლობებს გაურბოდა და ბრიტანეთის პირველადი ინტერესების – ინდოეთის, ეგვიპტის, ირლანდიის დაცვას მოითხოვდა; ლოიდ ჯორჯს რუსულ პოლიტიკაში ჩარევის დასრულება და ამ ქვეყანასთან ურთიერთობის აღდგენა სურდა. მართალია, მის გეგმებში რუსეთის დაშლაც შედიოდა, მაგრამ ამ მიმართულებით ხელშესახებ ღონისძიებათა გატარებისათვის მზად არ იყო და პირველ პრიორიტეტად ურთიერთობათა აღდგენას ხედავდა; ჩერჩილი იგნორირებას უკეთებდა ახალ რესპუბლიკათა ეროვნულ მისწრაფებებს; ბაქოს დაცემასთან ერთად კერზონმაც შეწყვიტა წინააღმდეგობა და კავკასიამ საგარეო საქმეთა სამინისტროში პრიორიტეტული სტატუსი დაკარგა.

1920 წლიდან საფრანგეთი გააქტიურდა, მაგრამ ეს იყო სამშვიდობო კონფერენციის შემდეგ. კონფერენციის ერთწლიანმა მონაკვეთმა საქართველოს იმედები საბოლოო ჯამში არ გააცრუა. მოკავშირეთა სამხედროები ხშირად ქმნიდნენ ქვეყნის უარყოფით რეპუტაციას, მაგრამ საქართველომ მაინც დაიმკვიდრა პროდასავლური, ანტიბოლშევიკური იმიჯი; მოხდა მისი დე ფაქტო აღიარება და მოკავშირეები შეიარაღებით, სურსათით მომარაგებას დაჰპირდნენ. კონფერენცია მეტ-ნაკლებად ნაყოფიერი იყო, მაგრამ სხვა საკითხია, რომ მისი გადაწყვეტილებები არ შესრულებულა. როდესაც დელეგაციას პარიზში გზავნიდა, გერმანიის ყოფილ მოკავშირესა და სოციალისტური მთავრობის მქონე საქართველოს ალბათ არც შეიძლებოდა კონფერენციისგან მეტის იმედი ჰქონოდა.

1920 წლის იანვარში მიღწეული დიპლომატიური წარმატება, ერთა თვითგამორკვევის უფლების ან ქართული დიპლომატიის გამარჯვებად ვერ ჩაითვლება, რადგან მოკავშირეთა გადაწყვეტილების კატალიზატორს უდიდეს წილად ბოლშევიკური საფრთხე წარმოადგენდა. ახალგაზრდა რესპუბლიკას რთული სასტარტო მდგომარეობა ჰქონდა: მას არ ჰყავდა შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე დიპლომატიური კადრები; არ ჰქონდა აწყობილი საზღვარგარეთ წარმომადგენლობათა სისტემა, რომელიც სახელდახელოდ იქმნებოდა; ქართული მისია ფაქტობრივად მოწყვეტილი იყო თბილისს; ლიმიტირებული ფინანსები მის მოღვაწეობას ზღუდავდა. დელეგაციას შეცდომები ჰქონდა, მაგრამ საერთაშორისო პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესში მისი გავლენის სფერო იმდენად ვიწრო იყო, რომ დაშვებულ შეცდომებს განმსაზღვრელი როლი კონფერენციის მსვლელობის არც ერთ ეტაპზე არ უთამაშია. საინფორმაციო იზოლაციის პირობებში ქართველ დიპლომატებს შეიძლებოდა მეტი შეცდომაც მოსვლოდათ, მაგრამ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ისინი ახერხებდნენ, ეწარმოებინათ პროპაგანდა და მკაფიოდ გამოეხატათ საქართველოს დამოუკიდებლობისადმი მისწრაფება. იყო შემთხვევები, როდესაც მათში გასაქანს პოულობდა ანტიიმპერიალისტური, საერთაშორისო სოციალისტური იდეოლოგია, მაგრამ ეს უფრო უკანა პლანზე იდგა, რადგან დელეგაციამ მოახერხა პარტიათაშორისი თანამშრომლობის კარგი მაგალითი ეჩვენებინა და კონფერენციაზე პატრიოტული, პრაგმატული მიდგომით იმუშავა.

სომხეთზე შეერთებული შტატების მანდატის ასაღებად პრეზიდენტ უილსონს კონგრესმა მხარი არ დაუჭირა; იტალიაში საქართველოზე მანდატის აღების მომხრე მთავრობა გადააყენეს; ჩერჩილმა და ჰენრი უილსონმა კავკასიაში ორი დივიზიის გაგზავნა შეცდომად მიიჩნიეს; კლემანსოს მთავრობა რეგიონისადმი ხელშესახებ დაინტერესებას არ იჩენდა; ბაქოში სახელმწიფო გადატრიალების თავიდან აცილება ვერ მოხერხდა; რესპუბლიკები არც ბოლშევიკებთან, არც თურქეთთან ბრძოლაში არ დამდგარან ერთად, ისინი ცალ-ცალკე დაამარცხეს; გაკოტრების პირას, იზოლაციაში მყოფ საქართველოს დაპირებული დახმარება არ მიეცა, რათა მასობრივი მობილიზაცია და უფრო ეფექტური თავდაცვა მოეხდინა. მოვლენათა აღნიშნულმა ჯაჭვმა შეუძლებელი გახადა 1920 წლის იანვარში კონფერენციაზე მიღწეული წარმატებისა და საქართველოს დამოუკიდებლობის შენარჩუნება.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

წყაროები

საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი

1. სცსა ფ. 1831, აღწ. 1, საქმე 4
2. სცსა ფ. 1831, აღწ. 2, საქმე 51
3. სცსა ფ. 1831, აღწ. 2, საქმე 52
4. სცსა ფ. 1831, აღწ. 2, საქმე 84
5. სცსა ფ. 1831, აღწ. 2, საქმე 89
6. სცსა ფ. 1831, აღწ. 2, საქმე 254
7. სცსა ფ. 1831, აღწ. 2, საქმე 256
8. სცსა ფ. 1861, აღწ. 1, საქმე 211
9. სცსა ფ. 1861, აღწ. 3, საქმე 4
10. სცსა ფ. 1861, აღწ. 4, საქმე 3
11. სცსა, ფ. 1864, აღწ. 1, საქმე 78
12. სცსა ფ. 1864, აღწ. 2, საქმე 46
13. სცსა ფ. 1864, აღწ. 2, საქმე 53
14. სცსა ფ. 1864, აღწ. 2, საქმე 77
15. სცსა ფ. 1864, აღწ. 2, საქმე 78
16. სცსა ფ. 1864, აღწ. 2, საქმე 82
17. სცსა ფ. 1864, აღწ. 2, საქმე 90
18. სცსა ფ. 1864, აღწ. 2, საქმე 108
19. სცსა ფ. 1864, აღწ. 2, საქმე 110
20. სცსა ფ. 1864, აღწ. 2, საქმე 111
21. სცსა ფ. 1864, აღწ. 2, საქმე 112
22. სცსა ფ. 1864, აღწ. 2, საქმე 113
23. სცსა ფ. 1864, აღწ. 2, საქმე 114
24. სცსა ფ. 1864, აღწ. 2, საქმე 117
25. სცსა ფ. 1864, აღწ. 2, საქმე 119
26. სცსა ფ. 1864, აღწ. 2, საქმე 122
27. სცსა ფ. 1864, აღწ. 2, საქმე 125

28. სცსა ფ. 1864, აღწ. 2, საქმე 126
29. სცსა ფ. 1864, აღწ. 2, საქმე 127
30. სცსა ფ. 1864, აღწ. 2, საქმე 128
31. სცსა ფ. 1864, აღწ. 2, საქმე 129
32. სცსა ფ. 1864, აღწ. 2, საქმე 131
33. სცსა ფ. 1864, აღწ. 2, საქმე 148
34. სცსა ფ. 1864, აღწ. 2, საქმე 173
35. სცსა ფ. 1864, აღწ. 2, საქმე 178
36. სცსა ფ. 1864, აღწ. 2, საქმე 210
37. სცსა ფ. 1864, აღწ. 2, საქმე 212
38. სცსა ფ. 1864, აღწ. 2, საქმე 220
39. სცსა ფ. 1864, აღწ. 2, საქმე 223
40. სცსა ფ. 1864, აღწ. 2, საქმე 225
41. სცსა ფ. 1864, აღწ. 2, საქმე 228
42. სცსა ფ. 1864, აღწ. 2, საქმე 283
43. სცსა ფ. 1864, აღწ. 2, საქმე 288
44. სცსა ფ. 1864, აღწ. 2, საქმე 242
45. სცსა ფ. 1864, აღწ. 2, საქმე 304
46. სცსა ფ. 1864, აღწ. 2, საქმე 305
47. სცსა ფ. 1864, აღწ. 2, საქმე 309
48. სცსა ფ. 1864, აღწ. 2, საქმე 310
49. სცსა ფ. 1864, აღწ. 2, საქმე 314
50. სცსა ფ. 1864, აღწ. 2, საქმე 328
51. სცსა ფ. 1864, აღწ. 2, საქმე 370
52. სცსა, ფ. 1864, აღწ. 2, საქმე 379
53. სცსა ფ. 2115, აღწ. 1, საქმე 22
54. სცსა ფ. 2115, აღწ. 1, საქმე 60
55. სცსა ფ. 2115, აღწ. 1, საქმე 61
56. სცსა ფ. 2115, აღწ. 1, საქმე 62
57. სცსა ფ. 2115, აღწ. 1, საქმე 90
58. სცსა ფ. 2115, აღწ. 1, საქმე 104
59. სცსა, ფ. 2115, აღწ. 1, საქმე 109
60. სცსა ფ. 2115, აღწ. 1, საქმე 120

61. სცსა ფ. 2115, აღწ. 1, საქმე 122
62. სცსა ფ. 2115, აღწ. 1, საქმე 127
63. სცსა ფ. 2115, აღწ. 1, საქმე 128
64. სცსა ფ. 2121, აღწ. 1, საქმე 9
65. სცსა ფ. 2121, აღწ. 1, საქმე 39

66. ქართულ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ილია ტაბაღუას პირადი არქივი, რუსულად თარგმობილ დოკუმენტთა საქაღალდე

დიდი ბრიტანეთის მინისტრთა კაბინეტის არქივი

67. CAB 23/11 War Cabinet 599, Minutes of Meeting, July 25, 1919
68. CAB 23/11 War Cabinet 601, Minutes of Meeting, July 29, 1919
69. CAB 23/11 War Cabinet 612, Minutes of Meeting, August 12, 1919
70. CAB 23/12 War Cabinet 621, Minutes of Meeting, September 2, 1919
71. CAB 23/18 Cabinet 1 (19), Conclusions of a Meeting, November 4, 1919
72. CAB 23/18 Conclusions of a Meeting of the Cabinet, December 10, 1919
73. CAB 23/20 Cabinet Conclusions 2 (20), January 7, 1920
74. CAB 23/20 Cabinet 4 (20), January 14, 1920
75. CAB 23/20 Cabinet 6 (20), Conclusions of a Meeting, January 29, 1919, Appendix 1
76. CAB 23/35 S-6 Conclusions of Cabinet Conference, January 11, 1920
77. CAB 23/35 S-10, Notes of a Cabinet Conference, January 16, 1920
78. CAB 23/35 S-11, Notes of a Cabinet Conference, January 18, 1920
79. CAB 23/35 S-12, Notes of a Cabinet Conference, January 19, 1920
80. CAB 23/38 Conclusions of a Conference of Ministers, February 13, 1921
81. CAB 23/42 Minutes of a Meeting of the Imperial War Cabinet, December 12, 1918
82. CAB 23/42 Minutes of a Meeting of The Imperial War Cabinet, December 23, 1918
83. CAB 23/42 Minutes of a Meeting of The Imperial War Cabinet, December 30, 1918
84. CAB 23/42 Minutes of Meeting of The Imperial War Cabinet, December 31, 1918
85. CAB 23/43 Minutes of Imperial War Cabinet Meeting, June 25, 1918
86. CAB 24/68 GT 6176
87. CAB 24/72 GT 6505

88. CAB 24/72 GT 6506
89. CAB 24/72 GT 6512
90. CAB 24/72 GT 6539
91. CAB 24/78 GT 7127
92. CAB 24/86 GT 7947
93. CAB 24/87 GT 8056
94. CAB 24/94 CP 225
95. CAB 24/95 CP 336
96. CAB 24/95 CP 375
97. CAB 24/96 CP 401
98. CAB 24/96 CP 410
99. CAB 24/97 CP 516
100. CAB 27/24 Eastern Committee 40th Meeting, December 2, 1918 (annex)
101. CAB 27/24 Eastern Committee 42th Meeting, December 9, 1918 (annex)
102. CAB 27/24 Eastern Committee 43th Meeting, December 16, 1918
103. CAB 27/36 EC Memoranda 2359
104. CAB 27/37 EC Memoranda 2525
105. CAB 27/38 EC 2632
106. CAB 27/38 EC 2715 A
107. CAB 27/39 EC 2843
108. CAB 28/3 I.C. 37
109. CAB 29/2 P-84
110. CAB 29/2 P-84 Peace Conference: Memorandum On Armenia and Transcaucasia,
appendix no. 6
111. CAB 29/7 WCP 63
112. CAB 29/28/1 B.E.D. 2nd Minutes, January 20, 1919
113. CAB 29/38
114. CAB 29/77 H.D. 125
115. CAB 29/81 ICP 1, December 11, 1919
116. CAB 29/81 ICP 18
117. CAB 29/81 ICP – 21
118. CAB 29/81 ICP 21, Annexure A

119. FO 371/3659/512/97452/58
120. FO 371/3659/512/126940/58
121. FO 371/3659/512/127730/58
122. FO 371/3660/512/159650/58
123. FO 371/3660/1015/168436/58
124. FO 371/3661/1015/4907/58
125. FO 371/3661/1015/21597/58
126. FO 371/3661/1015/30358/58
127. FO 371/3661/1015/75933/58
128. FO 371/3661/1015/13524/58
129. FO 371/3661/1015/24247/58
130. FO 371/3662 File 1015, Conversation with Ghambashidze by J. Tilley, May 6,
1919
131. FO 371/3662/1015/13674/58
132. FO 371/3662/1015/81465/58
133. FO 371/3662/1015/83024/58
134. FO 371/3662/1015/95097/58
135. FO 371/3662/1015/97179/58
136. FO 371/3662/1015/97451/58
137. FO 371/3662/1015/102622/58
138. FO 371/3662/1015/104443/58
139. FO 371/3662/1015/106853/58
140. FO 371/3662/1015/107425/58
141. FO 371/3663/1015, War Office to the Undersecretary of FO, November 5, 1919
142. FO 371/3663/1015/125051/58
143. FO 371/3663/1015/131980/58
144. FO 371/3663/1015/135031/58
145. FO 371/3663/1015/135034/58
146. FO 371/3663/1015/138196/58
147. FO 371/3663/1015/139965/58
148. FO 371/3663/1015/139967/58
149. FO 371/3663/1015/143079/58
150. FO 371/3663/1015/144528/58
151. FO 371/3663/1015/144755/58

152. FO 371/3664/1015, Secretary of India Office to the Undersecretary of FO,
November 5, 1919
153. FO 371/3664/1015/149045/58
154. FO 371/3664/1015/149679/58
155. FO 371/3664/1015/151583/58
156. FO 371/3664/1015/151920/58
157. FO 371/3664/1015/152848/58
158. FO 371/3664/1015/153357/58
159. FO 371/3665 GOC Constantinople to War Office, November 9, 1919
160. FO 371/3665/1015/157145/58
161. FO 371/3665/1015/155472/58
162. FO 371/3665/1015/157888/58
163. FO 371/3665/1015/159249/58
164. FO 371/3665/1015/162638/58
165. FO 371/3665/1015/1582987/58
166. FO 371/3666/1015, E. R. McDonnell to Foreign Office, January 1, 1920
167. FO 371/3666/1015/164661/58
168. FO 371/3666/1015/164961/58
169. FO 371/3666/1015/165864/58
170. FO 371/3666/1015/167875/58
171. FO 371/3666/1015/167947/58
172. FO 371/3666/1015/168506/58
173. FO 371/3666/1015/168553/58
174. FO 371/3666/1015/168836/58
175. FO 371.3666/1015/169118/58
176. FO 371/3666/1015/169174/58
177. FO 371/3666/1015/169209/58
178. FO 371/3666/1015/169528/58
179. FO 371/3666/1015/169532/58
180. FO 371/3666/1015/170463/58
181. FO 371/3666/1015/172086/58
182. FO 371/3666/1015/172650/58
183. FO 371/3666/1015/173628/58

184. FO 371/3667 File 1549-11067 The Caucasus by Earl Curzon of Kedleston,
February 2, 1919
185. FO 371/3667 File 1549-11067 Kidston to Curzon, February 6, 1919
186. FO 371/3668/11067/14809/58
187. FO 371/3668/11067/123979/58
188. FO 371/3668/11067/124999/58
189. FO 371/3670/29381-73053/47637/58
190. FO 371/3670/29381-73053/58503/58
191. FO 371/3671/80973-129487/152447/58
192. FO 371/3671/80973-129487/159415/58
193. FO 371/3671/80973-129487/168741/58
194. FO 371/3673/166767-177987/175704/58
195. FO 371/3672/166767-177987/134615/58
196. FO 371/3673/166767-177987/172088/58
197. FO 371/3673/166767-177987/175434/58
198. FO 371/4931/1/E77/58
199. FO 371/4931/1/E414/58
200. FO 371/4933 ff. 127-130
201. FO 371/4945/1/E10762/58
202. FO 371/6270/55/E 4657/58
203. FO 608/83/5104
204. FO 608/84 (unnumbered) ff. 114-124
205. FO 608/84/132
206. FO 608/84/2870
207. FO 608/84/14081
208. FO 608/85 unnumbered, f. 163
209. FO 608/85 unnumbered, ff. 176-177
210. FO 608/85 unnumbered, f. 205-207
211. FO 608/85 unnumbered, ff. 218-221
212. FO 608/85 unnumbered, ff. 236-240
213. FO 608/85/7995
214. FO 608/85/8366
215. FO 608/85/9839
216. FO 608/85/9857

217. FO 608/85/10127
218. FO 608/85/10611
219. FO 608/85/13238
220. FO 608/85/13453
221. FO 608/85/13829
222. FO 608/85/14477
223. FO 608/85/16246
224. FO 608/87/3097
225. FO 608/88/5598
226. FO 608/88/6915
227. FO 608/88/9998
228. FO 608/88/11390
229. FO 608/88/12272
230. FO 608/88/12302
231. FO 608/88/13027
232. FO 608/88/13302
233. FO 608/88/13674
234. FO 608/88/14167
235. FO 608/88/14304
236. FO 608/88/16040
237. FO 608/88/16146
238. FO 608/88/16956
239. FO 608/88/18006
240. FO 608/195/1916
241. FO 608/195/2589
242. FO 608/195/2730
243. FO 608/201/1025
244. FO 608/201/1167
245. FO 608/201/1722
246. FO 608/201/2739
247. FO 608/201/2989
248. FO 608/230/ 2576
249. FO 608/266/12345
250. FO 608/271/19

- 251. FO 608/271/98
- 252. FO 608/271/131
- 253. FO 608/271 ff. 136-152
- 254. FO 608/273 f. 172

დიდი ბრიტანეთის სამხედრო სამინისტროს არქივი

- 255. WO 32/5678 Military Policy of Volunteer Army in the South Caucasus
- 256. WO 32/5678 unnumbered, f. 119A
- 257. WO 32/5691 no. Q.C. 882, GHQ Constantinople to War Office, June 4, 1919
- 258. WO 32/5691 no. 78734, War Office to GHQ Constantinople, June 7, 1919
- 259. WO 32/5691 unnumbered, f. 43A, War Office to GHQ Constantinople, July 22, 1919
- 260. WO 106/1396
- 261. WO 153/785 Persia and Caucasus, Situation Maps 1916-1920

დიდი ბრიტანეთის ინდოეთის საქმეთა სამინისტროს არქივი

- 262. IOR/MSS/EUR/F112/275 Minutes of IDCE 6th Meeting, February 13, 1919
- 263. IOR/MSS/EUR/F112/275 Minutes of IDCE FO, 11th Meeting, March 6, 1919
(appendix I)

ოქსფორდის ბოდლიანის ბიბლიოთეკის განსაკუთრებულ კოლექციაში დაცული უორდროპების ფონდი

- 264. Oxford, Bodleian Library, Special Collections' Room, Ms. Ward. C. 2
- 265. Oxford Bodleian Library, Special Collections' Room, Ms. Ward. C. 19
- 266. Oxford, Bodleian Library, Special Collections' Room, Ms. Ward. C. 30
- 267. Oxford Bodleian Library, Special Collections' Room, Ms. Ward. C. 31
- 268. Oxford Bodleian Library, Special Collections' Room, Ms.Eng. C. 6824
- 269. Oxford, Bodleian Library, Special Collections' Room, Ms. Ward. D. 38.9
- 270. Oxford, Bodleian Library, Special Collections' Room, Ms. Ward. D. 39.9

საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივი

- 271. AMAE, Europe 1918-1940, URSS, Georgie 1918-1919, Vol. 648
- 272. AMAE, Europe, Russie (Georgie), Vol. 653
- 273. AMAE, Europe, Russie, Caucase (Georgie) 1918-1919, Vol. 833
- 274. AMAE, Correspondance politique et commerciale (CPC) 1918-1940, série E (Levant), dossier n°4, Caucase-Kurdistan, 1919

საფრანგეთის სამხედრო სამინისტროს არქივი

- 275. Au Sujet d'une demand de secours aux Allies par le government Georgien, Tiflis 12.01.1920//SHAT 7N 3117, EMA/2, URSS;
- 276. Expose de la situation politique pour la periode du 16 Fevrier au 2 Mars 1921, Koutais 02.03.1921// SHAT 7N 3118, EMA/2, URSS
- 277. Haute Commissaire Francais Constantinople: Armements et Munitions Destines a la Georgie, Constantinople 27.02. 1921// SHAT 7N 3119, EMA/2, URSS
- 278. Lieutt.-Colonel Corbel a Guerre, Tiflis 14.11.1920, no. 471 et 472//SHAT 7N 3118, EMA/2, URSS
- 279. Lieutt.-Colonel Corbel a Guerre, Constantinople 22.02.1921, no. 49// SHAT 7N 3118, EMA/2, URSS
- 280. Note sur la question de l'aide eventuelle a apporter aux Etats du Caucase contre le Bolcheviks, Paris 12.01.1920// SHAT 7N 3119, EMA/2, URSS
- 281. Rapport au sujet de l'effet produit au Transcaucase par la reconnaissance des gouvernements de la Georgie et de l'Azerbaidjan, Tiflis 16.01.1920, no. 38// SHAT 7N 3117, EMA/2, URSS
- 282. Reponse De Gueguetchkori a Tchitcherine, Tiflis 10.01.1920//SHAT 7N 3117, EMA/2, URSS;

საარქივო მასალათა გამოცემები

- 283. მენტეშაშვილი ა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და პარიზის სამშვიდობო კონფერენცია. “მაცნე”, ისტორიის სერია, 2, 1992.
- 284. მენტეშაშვილი ა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და პარიზის სამშვიდობო კონფერენცია. “მაცნე”, ისტორიის სერია, 3, 1992.

285. მენტეშაშვილი ა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და პარიზის სამშვიდობო კონფერენცია. “მაცნე”, ისტორიის სერია, 4, 1992.
286. The Armenian Question before the Peace Conference. Boston, 1919
287. Claims Of The Peace Delegation Of The Republic Of Caucasian Azerbaidjan Presented To The Peace Conference In Paris. Paris: La Nouvel Edition, 1919
288. Documents on British Foreign Policy 1919-1939, Series I, vol. I. London: His Majesty's Stationary Office, 1947
289. Documents on British Foreign Policy 1919-1939, Series I, vol. II. London: His Majesty's Stationary Office, 1948
290. Documents on British Foreign Policy 1919-1939, Series I, vol. III. London: His Majesty's Stationary Office, 1949
291. Documents on British Foreign Policy 1919-1939, Series I, vol. IV. London: His Majesty's Stationary Office, 1952
292. Documents on British Foreign Policy 1919-1939, Series I, vol. XII. London: His Majesty's Stationary Office, 1962
293. Gilbert M. Winston Churchill, Vol. IV, Part I. London: William Heinemann LTD., 1977
294. Gilbert M. Winston Churchill, Vol. IV, Part II. London: William Heinemann LTD., 1977
295. Harbord J. Conditions in The Near East: Report of The American Military Mission to Armenia. Washington: Government Printing Office, 1920
296. Miller, David H. My Diary at the Conference of Paris: With Documents, vol. IV. New York: Appeal Printing Company, 1924
297. Mosely G.V.H. Mandatory Over Armenia. Washington: Government Printing Office, 1920
298. Relief of European Populations: Hearing Before The Committee on Ways and Means, House of Representatives, January 19, 1920, Part 4, pp. 121-131, Washington: Government Printing Office, 1920
299. US State Department. Papers Relating to the Foreign Relations of the United States (FRUS), Paris Peace Conference (PPC), Vol. 1. Washington: Government Printing Office, 1942
300. US State Department. FRUS, PPC, Vol. 2. Washington: Government Printing Office, 1942

301. US State Department. FRUS, PPC, Vol. 3. Washington: Government Printing Office, 1943
302. US State Department. FRUS, PPC, Vol. 4. Washington: Government Printing Office, 1943
303. US State Department. FRUS, PPC, Vol. 5. Washington: Government Printing Office, 1944
304. US State Department. FRUS, PPC, Vol. 6. Washington: Government Printing Office, 1944
305. US State Department. FRUS, PPC, Vol. 7. Washington: Government Printing Office, 1945
306. US State Department. FRUS, PPC, Vol. 8. Washington: Government Printing Office, 1945
307. US State Department. FRUS, PPC, Vol. 9. Washington: Government Printing Office, 1946
308. US State Department. FRUS, PPC, Vol. 10. Washington: Government Printing Office, 1946
309. US State Department. FRUS, PPC, Vol. 11. Washington: Government Printing Office, 1947
310. US State Department. FRUS, PPC, Vol. 12. Washington: Government Printing Office, 1947
311. US State Department. FRUS, PPC, Vol. 13. Washington: Government Printing Office, 1947
312. US State Department. FRUS, Russia 1918, Vol. 1. Washington: Government Printing Office, 1931
313. US State Department. FRUS, Russia 1918, Vol. 2. Washington: Government Printing Office, 1931
314. US State Department. FRUS, Russia 1918, Vol. 3. Washington: Government Printing Office, 1932
315. US State Department. FRUS, Russia 1919. Washington: Government Printing Office, 1937
316. US State Department. FRUS 1920, Vol. 1. Washington: Government Printing Office, 1936
317. Армянский вопрос передь Мировой Конференций. Екатеринодарь, 1919

318. ავალიშვილი ზ. საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საქრთაშორისო პოლიტიკაში. თბილისი: მხედარი, 2011
319. ანჩაბაძე ჯ. საქართველოს საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები 1918-21 წლებში. თბილისი: მემატიანე, 2001
320. ბენდიანიშვილი ა. საქართველოს პირველი რესპუბლიკა. თბილისი: მემატიანე, 2001
321. კირთაძე ნ. ევროპა და დამოუკიდებელი საქართველო. თბილისი: სახელგამი, 1997
322. კობახიძე ბ. სამხრეთ კავკასიაში მისი უდიდებულესობის უმაღლესი კომისრის – სერ ოლივერ უორდროპის როლი ქართულ-ბრიტანული სახელმწიფოებრივი ურთიერთობების ჭრილში. თბილისი, 2014
323. ჟორდანიას ნ. ჩემი წარსული. თბილისი: სარანგი, 1990
324. საითიძე გ. ათი წელი რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს სათავეში. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2001
325. სარალიძე ლ. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დიპლომატიური მისიები დასავლეთ ევროპაში 1918-1921. საკანდიდატო დისერტაცია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, 1994.
326. ღამბაშიძე გ. ინგლისისა და ამერიკის აგრესიული პოლიტიკა საქართველოსა და ამიერკავკასიის მიმართ. თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1964
327. შარაძე გ. ბედნიერებისა და სათნოების საუნჯე: უორდროპები და საქართველო, თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1984
328. შველიძე დ. აი ვინ იყო, ქართველნო, ვარლამ ჩერქეზიშვილი! თბილისი: არტანუჯი, 2001
329. ცუხიშვილი რ. ინგლის-საქართველოს ურთიერთობები 1918-21 წლებში. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1995
330. ჯოჯუა დ. საქართველო-იტალიის ურთიერთობა 1919-1921 წლებში. თბილისი: საქართველოს, ევროპისა და ამერიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, 1997
331. Albrecht-Carrie R. Italy at the Paris Peace Conference. Hamden: Archon Books, 1966

332. Bechhofer-Roberts C. E. In Denikin's Russia and The Caucasus, 1919-1920. London: W. Collins Sons&Co. LTD., 1921
333. Brinkley G. A. The Volunteer Army and Allied Intervention in South Russia 1917-1921. Notre Dame: University of Notre Dame Press, 1966
334. Callwell C. E. Field-Marshal Sir Henry Wilson: His Life and Diaries, Vol. II. New York: Charles Scribners Sons, 1927
335. Churchill W. S. The World Crisis: Aftermath. New York: Kindle Edition, 2012
336. Curzon George, N. Persia and The Persian Question, Vol. 1. London: Frank Cass&Co. LTD., 1966
337. Curzon George, N. Russia in Central Asia. London: Longmans, Green and Co., 1889
338. Fisher J. Curzon and British Imperialism in the Middle East, 1916-1919. London: Franc Cass, 1999
339. Gentizon P. La Resurrection Georgiene. Paris: Editions Ernest Leroux, 1921
340. Ghambashidze D. Mineral Resources of Georgia and Caucasia. London: George Allen and Unwin LTD., 1919
341. Ghambashidze D. The Caucasian Petroleum Industry and its Importance for Eastern Europe and Asia. London: The Anglo-Georgian Society, 1918
342. Ghambashidze D. The Caucasus: Its People, History, Economics, and Present Position. London: The Anglo-Georgian Society, 1918
343. Gilmour D. Curzon: Imperial Statesman. New York: Farrar, Straus and Giroux, 2003
344. Graubard S. R. British Labour and The Russian Revolution. Harvard: Harvard University Press, 1956
345. Hovannisian R. The Republic of Armenia, vol. I. London: University of California Press, 1971
346. Hovannisian R. The Republic of Armenia, vol. II. London: University of California Press, 1982
347. Hovannisian R. The Republic of Armenia, vol. III. London: University of California Press, 1996
348. Hovannisian R. The Republic of Armenia, vol. IV. London: University of California Press, 1996
349. Kazemzadeh F. The Stuggle For Transcaucasia 1917-1921. Birmingham: Templar Press, 1951

350. Kopisto L. The British Intervention in South Russia 1918-1920. PhD Diss., University of Helsinki, 2011
351. Lloyd George D. Memoirs of The Peace Conference, vol. I. Yale: Yale University Press, 1939
352. Lloyd George D. Memoirs of The Peace Conference, vol. II. Yale: Yale University Press, 1939
353. Loris-Melikov D. La revolution russe et les nouvelles republiques Transcaucasiennes. Paris: Nation, 1920
354. Petricioli M. L'Occupazione Italiana Del Caucaso: "Un Ingrato Servizio" Da Rendere A Londra. Milano: Casa Editrice Dott. A. Giuffre, 1972
355. Robool W. H. Tsereteli, a Democrat in the Russian Revolution: A Political Biography. Hague: Martinus Nijhoff, 1976
356. Sabahi H. British Policy in Persia 1918-1925. London: Frank Cass, 1990
357. Sforza C. L'Italia dal 14 al 44, quale io la vidi. Roma, 1945
358. Tardieu A. The Truth about the Treaty. Indianapolis: Boobs-Merrill Pubs, 1921
359. Thompson J. M. Russia, Bolshevism and the Versailles Peace. Princeton: Princeton University Press, 1966
360. Ullman R. Anglo-Soviet Relations 1917-1921, vol. I. Princeton: Princeton University Press 1965
361. Ullman R. Anglo-Soviet Relations 1917-1921, vol. II. Princeton: Princeton University Press, 1968
362. Ullman R. Anglo-Soviet Relations 1917-1921, vol. III. Princeton: Princeton University Press, 1972
363. Адамия В. Вопрос о Грузии на Парижской мировой конференции. Сухуми: Наука, 1958
364. Адамия В. Из истории Английской интервенции в Грузии; Тбилиси: Советская Грузия, 1961
365. Гамбашидзе Г. Из истории политики США в отношении Грузии 1917-1920. Тбилиси: Советская Грузия, 1960
366. Гасанлы Дж. Русская Революция и Азербайджан. Москва: Флирта, 2011
367. Деникин А. Очерки Русской Смуты, Т. I. Paris: J. Povolovzky&C. Editeurs, 1921
368. Деникин А. Очерки Русской Смуты, Т. II. Paris: J. Povolovzky&C. Editeurs, 1923

369. Деникин А. Очерки Русской Смуты, Т. III. Берлин: Слово, 1924
370. Деникин А. Очерки Русской Смуты, Т. IV. Берлин: Слово, 1925
371. Нитти Ф. Европа без мира. Москва: Госиздательство “Комунист”, 1923
372. Топчибашев А.М. Письма из Парижа. Баку: Азернешр, 1998
373. Чохели А. Политика Франций в отношении Грузии в 1917-1821 годах. Тбилиси: Сахелгами, 1982

სტატიები

374. კობახიძე ბ. საქართველოს პირველი ამერიკელი მეგობარი – კონგრესმენი უოლტერ მარიონ ჩენდლერი. თსუ “შრომები” ტ. V, 2012
375. ტაბაღუა ვ. საქართველოს საკითხი შეერთებული შტატების პოლიტიკაში 1917-1920 წლებში. საქართველოს ურთიერთობა ევროპისა და ამერიკის ქვეყნებთან III, 1995
376. ტაბაღუა ი. საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის მთავრობა პარიზში (1919 წ.). საისტორიო ძიებანი II, 1998
377. ქოქრაშვილი ხ. პარიზის საზავო კონფერენცია და საქართველო. საქართველოს ახალი ისტორიის საკითხები VI, 2003
378. Blouet B. W. Sir Halford Mackinder As British High Commissioner to South Russia, 1919-1920. The Geographical Journal, Vol. 142, no. 2 (Jul., 1976)
379. Ewalt D. The Fight for Oil: Britain in Persia, 1919. History Today, vol. 31, issue 9, 1981
380. Fisher J. “On The Glacis of India”: Lord Curzon and British Policy in The Caucasus, 1919. Diplomacy and Statecraft, 8:2, 1997
381. Harbord J. Mustapha Kemal Pasha and His Party. The World’s Work, Vol. 40, 1920 (June)
382. Harbord J. The New Nations of Trans-Caucasia. The World’s Work, Vol. 40, 1920 (July)
383. Kobakhidze B. Davit Ghambashidze: Representative of the First Georgian Republic to His Majesty’s Government (1918-1921). Journal of Central Asian and Caucasian Studies, vol. 8, no. 15, 2013
384. Rose J.D. Batum as Domino, 1919-1920: The Defence of India in Transcaucasia. The International History Review, vol. 2, No. 2 (Apr. 1980)

პრესა

385. “აკაკი ჩხენკელის სიტყვა ბერნის საერთაშორისო სოციალისტურ კონფერენციაზე.” საქართველოს რესპუბლიკა, 6 ივნისი 1919
386. “საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადება.” საქართველოს რესპუბლიკა, 6 აგვისტო 1919
387. “გენერალ ჰარბორდის ვიზიტი.” საქართველოს რესპუბლიკა, 4 ოქტომბერი 1919
388. “გენერალ ჰარბორდის დასახვედრად გამართული ბანკეტი.” საქართველოს რესპუბლიკა, 5 ოქტომბერი 1919
389. “გენერალ ჰარბორდის წერილი მთავრობის თავმჯდომარეს.” საქართველოს რესპუბლიკა, 15 ოქტომბერი 1919
390. “Whole Armenian Race May Be Wiped Out.” New York Times, 31 March 1918
391. “New Slaughter of the Armenians.” New York Times, 22 June 1918
392. “10,000 Armenians Fell in Turkish Massacre.” New York Times, 8 October 1918
393. “Calls on Armenians to Aid Homeland.” New York Times, 15 December 1918
394. “Georgia Rejects Russian Parley.” New York Times, February 1919
395. “Armenians Ask Aid to Drive Out Turks.” New York Times, 19 April 1919
396. “What Armenia Asks.” New York Times, 1 May 1919
397. “Recent Suggestions for Armenia.” New York Times, 8 June 1919
398. “More Help for Armenia.” New York Times, 10 June 1919
399. “Why America Should Accept Mandate for Armenia.” New York Times, 6 July 1919
400. “Turkish Army Moves to Destroy the Armenians.” New York Times, 31 July 1919
401. “Armenia’s Future.” New York Times, 10 August 1919
402. “British Look to Us to Guard Armenia.” New York Times, 15 August 1919
403. “Armenia Asks Help Against Turk Army.” New York Times, 19 August 1919
404. “Wants US to Take Armenian Mandate.” New York Times, 24 August 1919
405. “Briton Calls America Armenia’s Only Hope.” New York Times, 26 August 1919
406. “Washing Our Hands of Armenia.” New York Times, 28 August 1919
407. “No Request by Britain for Aid in Armenia.” New York Times, 5 September 1919

408. "Britain May Aid Armenia." New York Times, 9 September 1919
409. "Urges American Aid to Save Armenia." New York Times, 18 September 1919
410. "Armenian Premier Fears Massacres." New York Times, 26 October 1919
411. "Armenian Mandate Assailed by Gerard." New York Times, 8 December 1919
412. "Recognition of Armenia." New York Times, 4 January 1920
413. "Persia Menaced by Red's Advance." New York Times, 9 January 1920
414. "Red Armies Gain on Three Fronts." New York Times, 10 January 1920
415. "The March Toward India." New York Times, 12 January 1920
416. "London Sees Storm Coming." New York Times, 16 January 1920
417. "None of Our Forces to Fight Bolsheviki." New York Times, 17 January 1920
418. "British Divided on Russian Danger." New York Times, 17 January 1920
419. "Hear Georgians' Plea For Help Against Reds." New York Times, 20 January 1920
420. "Allied Chiefs Planned to Discuss New Policy, But Instead Heard Plea From Caucasus." New York Times, 20 January 1920
421. "British Army May Be Sent to Caucasus: 100.000 Men Expected to Help Georgians Halt Red Advance." New York Times, 21 January 1920
422. "Can Hold Line, Georgian Envoy Says." New York Times, 21 January 1920
423. "Appeal for Armenians." New York Times, 19 January 1920
424. "Five Struggling Republics: Esthonia, Latvia, Lithuania, Azerbaijan and Georgia and Their Needs." New York Times, 25 January 1920
425. "Caucasus Republics and Denikin." The Times, 15 January 1920
426. "Bolshevist Peril Greater." The Times, 16 January 1920
427. "Red Peril to Caucasus: New Republics Threatened." The Times, 20 January 1920
428. "Caucasus Barrier: Republics Ask for Food and Arms." The Times, 21 January 1920
429. "British Aid for Caucasia: War Material and Instructors." The Times, 22 January 1920
430. "Obituary, Sir Oliver Wardrop." The Times, 21 October 1948